




ჩვენი მწერო

გამოდის თვეში ორჯერ პარასკევით

ფასი 1,50 ლარი

13 ივნისი 2014

№ 12 (220)



ნატა ვარადას პოემა
სტენდალის ნაპოლეონი
დიალოგი მაია მირიანაშვილთან
ნანა ღვინეფაძე უშანგი ჩხეიძეზე
გია ხოფერია ავთანდილ ყურაშვილზე
წმინდანთა დევნა და მაფია და პირანდელო
სიყვარულის და ომის დღეები და ღამეები
ალექსანდრ ბლოკის წინაპარი თბილისზე
იმ ერთი კაცის მმართველობის უამს
ინტერვიუ შალვა პეტრიაშვილთან
„არიფიონიდან“ „ცისკრამდე“
კრიტიკის გზასავალი

შინაარსი

რედაქციის გვერდი	2	წმინდანთა ღვინა და მავია და პირანდელი (მიხეილ ანთაძის რომანის „სიცილია გვალვაში“ უჩვეულო წარდგინება)
გამომავალა	4	ნინო ვახანია პრტიკის გზასავალი (ჯონ ქროუ რენსომის რჩევები)
მსპრეს-ინტერვიუ	6	შალვა პეტრიაშვილი „გიჟვარდის და დაეხმარე ადამიანებს“ (მომზადა მაკა ჯაფარიძემ)
პროზა	7	როსტომ ჩხეიძე „არიფიონიდან“ „ცისკრამდე“ (თავი ბიოგრაფიული რომანიდან „საგა ვახტანგური (ვახტანგ ქელიძის ცხოვრების ქრონიკა)“
პოეზია	15	ნატა ვარადა მირვე დღისა. უადამიანოდ
პირველი შთაბეჭდილება	21	ნინო სადღობელაშვილი მირვე დღის სანიღუმლო
უხსოვთნის სხოვრეზიდან	22	ედუარდო გალენო სიჟვარულის და ომის დღეები და დამეები
აინტოლე	27	ეთერ ბერიაშვილი ჩვეულაბრივი მსპრეს-ინტერვიუ უჩვეულო რაჟრსით (ზურაბ ხასაია)
უხსოვლის თვალთ	28	ემზარ კვიტიაშვილი ალექსანდრ გლოკის წინაჰარი თბილისზა
	28	ანდრეი ბეკეტოვი თბილისი და მისი შემოგარენი (ბუნებისა და ადამიანების ცხოვრებიდან)
ღილოვი	37	„წინებვის თარგმნის გარეშე ნამითაც არ შემიძლია ცხოვრება“ (მაია ჯალიაშვილს ესაუბრება მაია მირიანაშვილი)
მომონებათა სივრი	39	ნოშრევან არაბული „ღანახვისი“ და ცოტა რამ სხვაც
რეპორტაჟი	41	ეკა ბუჯიაშვილი „იმ ერთი კაცის“ მმართველოვის ჟამს... (გივი სომხიშვილის ტრილოგია და მოთხრობები)
	44	გია ხოფერია სამოქირო რომანი (ავთანდილ ყურაშვილის „ცდომილთა დღესასწაული“)
გამომავალა	50	ელგუჯა თავბერიძე ისევე წილოსისფარი პირანდი... (დუნა ლალის „ფსიქიატრი“ და ხალიდ ალ-ხამისის „ტაქსი“)
ღაუვიწყარი სახელები	52	ნანა ღვინეფაძე წინგნი — ვით კეგლი!.. (უმანგი ჩხეიძე)
როგორ ვითხლოვთ კლასიკას	54	ტრისტან მახაური სანდრო შანშიაშვილის ორი გალდა
ახალი წიგნები	58	ნინო დოლიძე ქართულად ამეტყველებული არაბი ჰოეტები (ნანა ფურცელაძის თარგმანები)
ახალი თარგმანები	60	სტენდალი ნაჰოლეონის ცხოვრება
საორბი	69	გივი გამრეკელი „პარლსენის ერა“ — სღამდე?! (ვიშვანათან ანანდის უჩვეულო წარმატება, როგორც საოცარი ზღაპარი)
ამ მთისა და იმ გარისა	71	არამედ განეყენა



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 27 ივნისს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომეგა თვაი


პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კიკნაძე

გარეკანზე: აბანოთუბანი
ირაკლი შუბაშიკელის კომპიუტერული გრაფიკა

წმინდანთა ღვინა და მაფია და პირანდელო

(მიხეილ ანთაძის რომანის „სიცილია გვალვაში“ უჩვეულო წარდგინება)



ახალი წიგნების წარდგინება-განხილვის მეტი რა იცის ჩვენმა დღევანდელმა საზოგადოებრივ-კულტურულმა ცხოვრებამ: ზოგი საფუძვლიანი, უმეტესობა — ზედაპირული, მაგრამ მაინც...

ამისთანა წარდგინება კი აღარ ხდება — გამოუცემელ წიგნზე საუბარი, რომანზე, რომელსაც ჯერჯერობით... ერთადერთი ამობეჭდილი ცალის ერთადერთი წამკითხველი ჰყავს.

მაგრამ მიხეილ ანთაძე მოინდომებდა წიგნად გამოცემაზე ამ გზით გაეცნო საზოგადოებისათვის რომანი „სიცილია გვალვაში“, ზოგადად მოეთხრო მისი შინაარსი და უფრო კი შექმნის გარემოებანი.

რომანი ხუთასგვერდიანია და ჟურნალში გამოქვეყნებაც ამან გაართულა და გაზეთის ფურცლებზეც, მომცრო რომანს ერთ გამოცემაშიც რომ მოეხდინა თავი და მეორეშიც. საამისო მაგალითები — გაზეთში რომანის დაუბლიკაცია — წარსულიდანაც გვახსოვს (ალექსანდრე ყაზბეგი, ვასილ ბარნოვი, ლეო ქიაჩელი) და ათი-თორმეტი წლის წინათაც მომხდარა (ოთარ ჩხეიძე).

ახლა ცალკეულ ფრაგმენტთა დაბეჭდვასლა შეპირებია ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“.

და მიხეილ ანთაძეს სული გაუსწრებდა, ამ ნაწყვეტებამდეც დაედგა ერთი მსახიობის თეატრის მსგავსი წარმოდგენა თავისი მთხრობელური ნიჭის იმედად.

ვიცით არაერთი ჩინებული მწერალი, ზეპირმეტყველებისას მაინცდამაინც დიდ უნარს რომ ვერ ამჟღავნებს, და ვიცით არაერთი ჩინებული მთხრობელი, ორატორული ხელოვნებით რომ მოგზიბლავს და სასწრაფოდ მოიძიებ მის წიგნს, მაგრამ... ღრმა შთაბეჭდილების ანარეკლია შეგრძობა ხელთ, თუ მთლად სიცარიელე არა.

ამ შემთხვევაში ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს მიხეილ ანთაძე-მწერალი და მიხეილ ანთაძე-ზეპირი მთხრობელი, იმ დღესაც რომ დადასტურდებოდა წიგნის მაღაზიაში „დიოგენე“, თავმყრილი საზოგადოება მეტად კმაყოფილი რომ დარჩებოდა ამ უჩვეულო სანახაობით.

მითუმეტეს — რომანისტს სხვადასხვა დროს უმსახიობია კიდევ, თორემ კინო და თეატრალური რეჟისორი ხომ გახლავთ, და მისი ეს პროფესია ამჯერად იმით იჩენდა თავს, რომ ეკრანზე გაუშვებდა ვრცელ პანორამას რომანში მონა-

წილე პერსონაჟებისა და ხედებისა, რაკილა „გვალვა სიცილიაში“ მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდისა და ისტორიიდან ცნობილი პიროვნებანი — ლირსეულნი თუ უკეთურნი — უხვად არიან წარმოდგენილნი.

რომანის ბოლოს ამიტომაცაა დართული სია იმ ლიტერატურისა, რომელსაც თითქმის მთლიანად ეყრდნობა მწერალი — პირდაპირ გადმოაქვს არამართო ვრცელი მონაკვეთები, არამედ მთელი გვერდებიც, კონსპექტურ ამოკრებაზე რომ აღარაფერი ითქვას: ემილ ჟიბარის „მისტიკური იტალია“, ბაჩანა ბრეგვადის „დრო და მარადისობა“, ერმანო სანჯორჯის „მოხსენებითი ბარათი“, ჯეიმზ ჯორჯ ფრეზერის „ოქროს რტო“, ჯონ დიკის „კოზა ნოსტრა“, რუბოკო შოს „კომატის ღამეები“, ირაკლი სურგულაძის „მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში“, იოანე ზოსიმეს „პირველსახარება იაკობისი“, თ. კაჩერაუსკასის „ექსისტენციური პესიმიზმის დაძლევა“ და ბიბლია.

ეს ყოველივე მარჯვედაა თავმოყრილი და გაერთიანებული ოსტატური მონტაჟის წყალობით და იმ მწერლური ფანტაზიისა, რომელიც თავით ბოლომდე ამ რკალში ტრიალებს და დოკუმენტალიზმის საზღვრებს თითქმის არა სცილდება, რათა ისტორიული სურათიც სანდოდ და ხელშესახებად იყოს შენარჩუნებული, გარდა ლიტერატურული შთამბეჭდაობისა.

მონტაჟის ასეთი ხერხითა და ხელოვნებით აგებული გვახსოვს თუნდ ნიკა აგიაშვილის „სერვანტესის ცხოვრება“, რომელსაც წინ უძღოდა ვრცელი სია იმ ლიტერატურისა, საიდანაც არამართო სარგებლობდა ავტორი, არამედ მთელი მონაკვეთები და გვერდები პირდაპირ გადმოჰქონდა და ფაქიზი მწერლური ჩარევებით ჰკრავდა და ამთლიანებდა დიდი ესპანელის ბიოგრაფიულ ქარვას.

და აი „სიცილია გვალვაში“ — მაფიის ისტორიის რამდენადაც შესაძლებელია სრული და მიუკერძოებელი სურათი, ამოზრდილი უაღრესად სანდო წყაროებზე.

თუმცე შთამავონებელი ამ მხატვრულ-დოკუმენტური რომანის შექმნისა სულაც არა ყოფილა მაფიოზთა ცხოვრებით დაინტერესება. ეს ინტერესი მხოლოდ მერე იჩენდა თავს, როდესაც მიხეილ ანთაძე წერას დაიწყო — და სულაც არა რომანისა, მოთხრობად ესახებოდა, შემავლუიანებელი კი აღმოჩნდებოდა ჯეიმზ ჯორჯ ფრეზერის — ეთნოგრაფიის სახარებად მონათლული — წიგნის „ოქროს რტო. მაგიისა და რელიგიის კვლევა“ მეხუთე თავში „ამინდის მაგიური კონტროლი“ ამოკითხული სტრიქონები, რასაც მოგვიანებით პროლოგის სანაცვლო ეპიგრაფად ნაუშმძღვარებდა თხრობას.

ფრეზერი იტყობინებოდა, რომ 1893 წელს სიცილიას უწვიმობის გამო ჭირნახულის სრული დაღუპვა დაემუქრა. კონკა დ'ოროს ბაღები, წარმტაც მწვანე სარტყლად რომ შემოვლებოდა პალერმოს, ერთიანად გადაჭყნა. შიმშილობა ჩამოვარდა, ხალხი განგაშმა მოიცვა. წვიმის გამოთხოვის ყველაზე გამოცდილმა მეთოდებმა სასურველი შედეგი ვერა და ვერ გამოიღო. ქუჩებსა და ველ-მინდვრებში პროცესიები გადაება ერთიმეორეს. კაცები, ქალები და ბავშვები კრიალოსნებს მარცვლავდნენ და ღამეების განმავლობაში წმინდანთა ხატების წინაშე იწვნენ ქვედამხობილნი. დღითა და ღამით ციმციმებდა ნაკურთხი სანთლები ტაძრებში. ხეებზე ბზობიდან შემორჩენილი ნაკურთხი პალმის გამმზარი ტოჩები ფრიალებდნენ. დაბა სოლუპარუტაში ძველთაძველი ჩვეულების თანახმად ეკლესიებიდან ბზობას გამოგვილი მტვერი მინდვრებზე მიმოფანტეს. მაგრამ... ეს ამდენი

გარჯა და თავგამოდება ამაოდ ჩაუვლიდათ. ქალაქ ნიქოზიის მოსახლეობა თავშიშველი და ფეხშველა დაიარებოდა ქუჩებში, ჯვარცემებს დაატარებდნენ და ერთმანეთს რკინის წნელებს ურტყამდნენ. საქმეს მაინც არაფერი ეშველებოდა. თვით დიდ წმინდან ფრანჩესკო პაოლელს, ვინც ყოველწლიურად წვიმის სასწაულებს ახდენდა, ახლა უკვე ან აღარ სურდა და ან აღარ შეეძლო ადამიანთა შემწეობა. არც წირვა ჭრიდა მასზე, არც ლოცვა, არც პროცესიები, არც ილუმინაციები და ფოიერვერკები.

ბოლოსდაბოლოს გლეხებს მოთმინების ფილა დაელოდათ.

აქამდე რაც ხდებოდა, მსგავსი რიტუალები არაერთი ყოფილა სხვადასხვა ხალხის მითოსსა თუ ყოფით რეალობაში, და ქართული სინამდვილიდანაც ძალდაუტანებლად მოგვაგონდება ლაზარეს სადიდებელი წესჩვეულება, წვიმის მოლოდინით გაჟღერებული, მაგრამ სიცილიურ ყოფაში უნდა მომხდარიყო ისეთი გამოგონებელი რამ, რომ შეგძრავდა თავისი გონებაარეულობითაც და სისასტიკითაც, თითქოს ქაოსის ძალები ამოჭრილან დედამიწაზე და აქ შემზარავი ორგა გაუმართავთო.

გვალვისაგან სულმეხუთულნი და გაალმასებულნი წმინდანთა უმრავლესობას განდევინდნენ.

რას ჰქვია განდევინდნენ?

რას ჰქვია და:

პალერმოს მცხოვრებნი წმინდა იოსების ქანდაკ ტაძრიდან ბაღში გამოაგდებდნენ, რათა საკუთარი თვლით ენახა, თუ რა სავალალოდ იყო საქმე, და დაიფიცებდნენ, რომ ვიდრე წვიმა არ მოვიდოდა, წმინდანი თაკარა მზეზე ამ ყოფაში დარჩებოდა.

სხვა წმინდანებს დასჯილი ბავშვებივით კედლისაკენ შეაბრუნებდნენ.

კიდევ სხვებს ძვირფას სამოსს შემოახევდნენ და შორს გაისტუმრებდნენ სამრევლო ტერიტორიებიდან.

მათ დამუქრებოდნენ, უშვერი სიტყვებით გალანძლავდნენ, ტლაპოებში ჩააყურყუმელავებდნენ.

ქალაქ კალტანისეტაში მთავარანგელოზ მიქაელს ოქროს ფრთებს მოაგლეჯდნენ და მუყაოს ფრთებით შეუცვლიდნენ, ამასთან, მენამულ მანტიას მოხდიდნენ და ძონძებს ჩაცმევდნენ.

ყველაზე მწარე ხვედრი ქალაქ ლიკატას მფარველ სანტ ანჯელოს ერგებოდა — თავიდან ფეხებამდე გააშიშვლებდნენ, წაბილწავდნენ და შეურაცხყოფდნენ, მერე ჯაჭვებით დააბამდნენ და შესთავაზებდნენ: ხეზე ჩამოგახრჩოთ თუ წყალში დაგახრჩოთო. — ან წვიმა, ან თოკი, — ღრიალს მოჰყვებოდა გამხეცებული ბრბო და სანტ ანჯელოს ცხვირწინ მუშტებს დაუტრიალებდნენ.

არამარტო თავზარდამცემია, არამედ ყოვლად დაუჯერებელიც, რაც აქ ამოიკითხეთ?

ფრეზერი რომ არ ირწმუნებოდეს, მწერალ-ფანტასტთა მეტად ხელოვნურ, ეპატაჟისათვის გამიზნულ გამონაგონად მივიჩნევდით, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ყოფითი რეალობა აჭარბებს ყველაზე ფანტასტიკურ წარმოდგენასაც.

მასობრივი ფსიქოზი და ამისთანა?!

და ამას სჩადიან არა ღმერთმოდულენი და ქრისტიანული რჯულისა და მონამეთა მდევენენი, არამედ მორწმუნე საზოგადოების ნევრები.

თურმე არაფერი უნდა გაგიკვირდეს, თუ ზნეობრივი საყრდენები მოიშლება.

ამ დაუჯერებელი ამბების ხელიდან გაშვება როგორ იქნებოდა, მითუმეტეს, უხვ საზრდოს იძლეოდა განზოგადებისათვის, და მიხილ ანთაქე კიდევ ჩაუჯდებოდა იმ მოთხრობას, რომელსაც სიუჟეტურ ქარგად ფრეზერის მონათხრობი დაედებოდა.

ისტორიული პარალელის მონაცვლეობას თავიდანვე ივარაუდებდა — ისე მკვეთრად არა, ცხადია, საბოლოოდ როგორც გამოიყენებდა ამ მხატვრულ მეთოდს, მაგრამ მის აუცილებლობას კი უკვე იგრძნობდა.

მაგრამ... თითქოს რაღაც აკლდა განზრახვას, რომელიც კიდევ უფრო უნდა გაშლილიყო, თუ გსურდა შთაბეჭდილება გაცილებით მძაფრი ყოფილიყო, ვიდრე მოკლე სარბიელი განვებოდა მასობრივი ფსიქოზის სრულფასოვან წარმოსახვას.

ამიტომაც ამ თვალთ მიმოავლებდა მზერას მაშინდელი სიცილიის ყოფას — რა შეიძლება გამოსდგომოდა სიუჟეტისათვის. რა შეიძლებოდა... რა შეიძლებოდა და... მაფია — სწორედ იმჟამად რომ დამკვიდრდებოდა ამ მხარეში, როგორც ახალი მოვლენა, დიდ ზეგავლენას რომ მოახდენდა არამარტო სიცილიისა თუ მთელი იტალიის, არამედ საერთაშორისო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

ყაჩაღობა, განგსტერობა უძველესი ჟამიდან მოჰყვებოდა კაცობრიობას, მაგრამ აქამდე არასოდეს მომხდარიყო, რომ კრიმინალურ დაჯგუფებებს სახელმწიფო მმართველობაში შეეღწიათ და ამა თუ იმ ქვეყნის ყოფა წარემართათ.

ან აზრადაც არ მოსვლოდათ, ან შესაფერისი სოციალურ-პოლიტიკური პირობები არ არსებობდა ამგვარი განზრახვის აღსასრულებლად.

თურმე ამასაც უნდა მოსწრებოდა კაცობრიობა.

თანაც, ეს არ აღმოჩნდებოდა დროებითი სენი, რადგანაც მაფია ისე გაიდგამდა ფეხებს და ისეთ მეტასტაზებს გაუშვებდა სულ უფრო შორსა და შორს, რომ მისი დათრგუნვაც კი შეუძლებელი იქნებოდა, არამცთუ სრული მოსპობა.

და ამ ყოველივეს სათავე დაედებოდა სიცილიაში.

იქ ჩაისახებოდა, იქ მომძლავრდებოდა და იქიდანვე ამოიფრქვეოდა და მოედებოდა სხვადასხვა ქვეყანას.

მაფიის ნევრები სულაც არ მიიჩნევდნენ თავს ყაჩაღებად თუ კრიმინალურ დაჯგუფებებად, სწორედაც პირიქით — ყოჩად ბიჭებად მოჰქონდათ თავი, გაბედულებად და კეთილშობილებადაც, სრული უფლება რომ ჰქონდათ საკუთარ ნებაზე ეტრიალებინათ ქვეყნის მმართველები, თუ არადა დაე ამათთან დაპირისპირება ყველას თავისი სისხლით ეზლო.

რაც ყველაზე გულსატკეპნია, მაფიოზთა შორის აღმოჩნდებოდნენ კარბონართა ახალი თაობის ნევრები, იმ ადამიანთა მიმდევარნი, იარაღით ხელში რომ გამოვიდნენ ავსტრიის პოლიტიკური ძალმომრეობის წინააღმდეგ და მათი ამბოხი მთელს მსოფლიოში მოდებულ რომანტიკულ აჯანყებათა ციკლის ერთ-ერთ თვალსაჩინო რგოლად წარმოსდგა.

ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანთა ჩამომავალნი ასე თუ უგანებდნენ წინამორბედთა იდეალებს, ვინ წარმოიდგენდა, მაგრამ რე-



ალობა გაცილებით მკაცრი გამოდგებოდა, ვიდრე ჩვენი ამაღლებული შეხედულება მასზე... თუმცა წმინდანთა ქანდაკებებისა და ხატების შეურაცხყოფის ფონზე იდეალთა ეს ლალატი ისე კომპარულადაც აღარ გვეჩვენება.

თუმცა ზნეობრივ ნორმათა რღვევა საბოლოოდ იმ საზარელ ვაკხანალიამდე რომ მივიდოდა, ამის ამოცნობას წინასწარმეტყველური უნარი სულაც არ სჭირდებოდა.

მოთხრობა თვალსადახელშეა შეიძენდა რომანის კონტურებს და მიხეილ ანთაძე მაინც რომ იგრძნობდა უკმარისობას და კიდევ ერთხელ გულდასმით გაჩხრეკდა იმ წლების სიცილიის საზოგადოებრივ ცხოვრებას, მიაკვლევდა, რომ სწორედ იმხანად დაბრუნებულიყო გერმანიიდან სამშობლოში ლუიჯი პირანდელი, მომავალი ნობელიანტი, პროზაიკოსობითა და დრამატურგობით რომ მოიხვეჭდა სახელს, იმჟამად კი ორადორი პოეტური კრებული ეპყრა ხელთ და ეს ლექსები ჰკვებავდა მის ამბიციებს.

ეს კოლორიტული პიროვნება ენერგიულად შემოიჭრებოდა მიხეილ ანთაძის თხრობაში, ახალი მუხტით ალაცხებდა რომანისტიკის შთაგონებას და მთელს სიუჟეტს გამოჰყვებოდა ერთ ყველაზე შთამბეჭდავ სახედ.

მიხეილ ანთაძეს არ ჩაუთქვამს თხრობის იგავურობა, რომანში მოთხრობელი ამბების მიღმა გამჭვირვალე მინიმუმება თანამედროვე საქართველოს ყოფისა. და თუ მკითხველი იპოვნის ზოგიერთ აშკარა საერთოს XIX საუკუნის მინურულის სიცილიასა და XXI საუკუნის დამდეგის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას შორის, ეს იქნება ან უნებლიე დამთხვევა და ან განზოგადების მეოხებით გამოაშკარავება ზოგიერთი მსგავსებისა.

ხოლო ტრაგიკულისა და კომიკურის ერთგვარი მონაცვლეობით „სიცილია გვალვამი“ ექსპრესიული საკითხავი უნდა ყოფილიყო, რაც მკითხველს გაუადვილებდა ხუთასგვერდიანი რომანის გაცნობასაც და აღქმასაც.

ხომ ამდენი სისხლი იღვრება ამ რომანში, მაგრამ თვით ეს გარემოებაც არ ანელვებს მკითხველის მღვდვარებასა და ცნობისნადილს, რადგანაც არაერთი მკვლელის აღწერა ოდნავადაც არ არის თვითმიზნური და, რაც მთავარია, მოქმედებენ არა სქემატური სახეები, არამედ მეტად კოლორიტული პერსონაჟები, გაკვრით გაელვებულნიც რომ ძნელად შეიძლება დაგავინყდეს, არამცთუ მთავარი გმირები თუ ანტიგმირები, სათავეში ბიბი სირაკუზა რომ ჩადგომიათ თავისი ღრმა ფესვებითა და ხლართებით და იმ ზეგავლენით, სასამართლო რომ უძღური ხდება მის წინაშე — უკვალოდ ქრებიან მონმეებიც და ნივთმტკიცებანიც და მოსამართლეებს, რომელნიც ისედაც ემორჩილებიან ამ გავლენას, საუკეთესო საშუალება ეძლევათ თეთრის შავად გასაღებისა და აშკარა დანაშაულთა ჩაფარცხვისა.

ჯერჯერობით ასეთი განცდა დარჩებოდა იმ ერთადერთ ნამკითხველს ამ რომანისა, თქვენი მონა-მორჩილი რომ გახლავთ, მიხეილ ანთაძის ერთი მსახიობის თეატრის შემდეგ მას რომ დაეთმობოდა მიკროფონი და აუდიტორია მოისმენდა იმ შთაბეჭდილებასა და შეფასებას, რომელმაც ფრაგმენტულად ამ რეპორტაჟულ ჩანაწერშიც იჩინა თავი.

ჩვენს სინამდვილეში ასეთი ნიგნიც უნდა შექმნილიყო, შემთხვევითი პირის ხელში ეს მრავალმხრივ საგულისხმო მასალა რსულიად რომ დაკნინდებოდა და გაუფასურდებოდა, და რაოდენ სასიხარულოა, რომ ეს ყოველივე ნამდვილი მწერლის ხელთ აღმოჩნდა და... ასე შემოგვეხლება სახეში მასობრივი ადამიანის სულის ყველაზე ბნელი უფსკრულეები, რათა მოგვანყუროს ამ სულიერი სიკნინის დათრგუნვა საკუთარ არსებაში და მიზანმიმართული სვლა იმ ბილიკებით, იავარქმნილი რეალობიდან თავდაღწევას რომ შეგვაძლებინებს.

ნინო ვახანია

კრიტიკის გზასავალი

(ჯონ ქროუ რენსომის რჩევები)

ამერიკელი კრიტიკოსის **ჯონ ქროუ რენსომის** გასულ საუკუნეში დაწერილი ესეი „**კრიტიკის წარმოება**“ ძალიან თანამედროვედ აღიქმება. მაგალითები რომ ინგლისურენოვანი ლიტერატურიდან არ იყოს მოყვანილი, კაცს შეიძლება ჩვენი დროის ქართველის დაწერილიც ეგონოს. ესეი **პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა** თარგმნეს („**ჩვენი მწერლობა**“, 2014, 18 აპრილი). მთარგმნელებმა ყოველთვის ზუსტად იციან, რა შესთავაზონ უცხოური ლიტერატურიდან ქართველ მკითხველს და, ვფიქრობ, არც ამჯერად შემცდარან არჩევანში. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ზუსტად, უმეტესაკლებოდ, შეუცვლელად გადმოაქვთ დედანი — ეს მათი სტილი თუ მთარგმნელობითი პრინციპია. ქართული სალიტერატურო ცხოვრებისთვის (კერძოდ, კრიტიკული აზრის განვითარებისათვის) დამახასიათებელი პასაჟები, ესეის საერთო განწყობილება და კრიტიკოსის მთავარი მოთხოვნა — არამცდაარამც არაა მთარგმნელთა მიერ „გაქართულებული“, რაიმეს დამატება-გადაკეთებით ჩვენი ყოფისთვის მისადაგებული. რა თქმა უნდა, ეს ზუსტად რენსომის, მე-20 საუკუნის ამერიკელი პროფესორის ნააზრევია, რომელიც ასე გვჭირდება, გვემშობლიურება და, მჯერა, ჩვენც, ოკეანის გამოღმა მცხოვრებთაც გამოგვადგება.

რა არის კრიტიკა? რა ევალება კრიტიკოსს? როგორი უნდა იყოს კრიტიკული წერილი? — ეს და სხვა ზოგადი თუ კონკრეტული საკითხები დიდი ხანია ხელოვანთა წინაშე დანისვა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს (კლასიციზმიდან დაწყებული შემდგომი ლიტერატურული მიმდინარეობის გაჩენასთან ერთად) ერთმანეთისაგან განსხვავებული (ხან რადიკალურად დაპირისპირებული, ხან მეტ-ნაკლებად მსგავსი) შეხედულებანი გაჩნდა.

იმ შორეულ საუკუნეებშიც აკი არ ჩამოვრჩებოდით ევროპას და კრიტიკული აზრი ჩვენშიც ვითარდებოდა, მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან კი კრიტიკა ლიტერატურის შემადგენელ ნაწილად იქცა... მაშინაც ნუხდნენ: „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს?“ (ილია), დღესაც ხშირად გაიგონებთ: კრიტიკა უღვთოდ ჩამორჩა ლიტერატურას, კრიტიკული აზრი არ ისმისო.

ეს სიტყვა (კრიტიკა) პირველად დათვით ბატონიშვილმა გამოიყენა ქართულად 1815 წელს, თუმცა თვითონ სალიტერატურო კრიტიკა გაცილებით უფრო ადრე მკვიდრდებოდა ჩვენში.

საკამათო არაა, რომ „კრიტიკა არის განხილვაც, განჩხრეკაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად... რაც ცხავია ხვავისათვის, ისიც კრიტიკა ლიტერატურისათვის“ (ილია).

და მაინც, „უცნაურია, მაგრამ ჯერ არავის უთქვამს ჩვენთვის, ზუსტად რა უნდა იყოს კრიტიკის საქმე“ — არც ჩვენში, არც ევროპაში, არც ამერიკაში. სწორედ ზემომოხმობილი სიტყვებით იწყება რენსომის ესეი და უნდა ვალიაროთ, ზუსტად შერჩეული ფრაზაა. სათაურთან ერთად პირველივე წინადადება მკითხველის გონებას იპყრობს და განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს (აქ არის ინტრიგაო, იტყვიან ახლა). თან ვეთანხმებით ავტორს, თან კიდევ ვენინააღმდეგებით — ამ ისედაც წარმოებითა და მრენველობით წალეკილ ხანაში კრიტიკის წარმოებალა (მასობრიობა, სტანდარტიზაცია...) გვაკლდა, თანაც, როგორ თუ არ ვიცით, რა არის კრიტიკის საქმე... ეს

კია, რომ ნერილი თავიდანვე იპყრობს ჩვენს გულისყურს და ბოლომდე გაფაციცებით მიყვებით ავტორის მსჯელობას.

იცის ამერიკელმა სწავლულმა, რომ კრიტიკოსები არსებობენ და, მათ შორის, საუკეთესონიც. ოღონდ რადგან სპეციალური სწავლება ამ დარგში არავის გაუვლია, ამიტომ ყველა მოყვარულია და არა — პროფესიონალი.

ვისა აქვს ის კომპეტენცია, რაც კრიტიკოსს ესაჭიროება? — ასე სვამს საკითხს ჯონ ქროუ რენსომი და თვითონვე პასუხობს, რომ ეს შეიძლება იყოს ხელოვანი, ფილოსოფოსი ან ლიტერატურის პროფესორი უნივერსიტეტისა. აქვე სავსებით დასაბუთებულად ამტკიცებს, რომ კრიტიკა პროფესორების საქმეა. ვარაუდს კი არ გამოთქვამს, სურვილს კი არ გვიმხელს, ოცნებას კი არ გვიხატავს, არამედ პირდაპირ ავალებს ლიტერატურაში განსწავლულ ადამიანებს (ლიტერატურის პროფესორებს, რომელთა დიდი ნაწილიც გაურბის კრიტიკას), შექმნან, აწარმოონ კრიტიკა. „კრიტიკა უფრო მეცნიერული უნდა გახდეს, უფრო ზუსტიც და სისტემატურიც, ეს კი ნიშნავს, რომ უნდა განვითარდეს გუნდურად და განსწავლულ პიროვნებათა შემნებობით“, — ვკითხულობთ ესეიში.

იცის რენსომმა, რომ ამ აზრს, ამ იდეას, ამ დავალებას უპირველესად სწორედ უნივერსიტეტებში გამოუჩნდებიან ოპონენტები და უარმყოფლები, მაგრამ იმის იმედიც აქვს (დარწმუნებულიცაა), რომ თანამედროვესა და თანამოაზრეებსაც იმავე წრეში გაიჩენს.

ცალკეულ შესანიშნავ კრიტიკულ გამოხმაურებებს რა დალევს, თუმცა კრიტიკის არსებობისა და განვითარებისათვის ეს საკმარისი ვერ იქნება, ამინდს ვერ შექმნის. კვლავ რენსომს მოვუსმინოთ: „იმის ნაცვლად, რომ ხანდახან მოყვარულები შეეჭიდონ, ვფიქრობ, ინიციატივა ხელთ უნდა იგდონ პროფესიონალებმა. ეგებ უგემოვნო სახელი შეეუწრჩიე, მაგრამ მაქვს იდეა, რომ გვჭირდება კრიტიკის წარმოება“.

ხუთ ნაწილად დაყოფილი ამ ნერილის მეორე ნაწილში ავტორი გვიხატავს, რა მდგომარეობაა უნივერსიტეტებში ლიტერატურის სწავლებასთან დაკავშირებით. ჩვეიც ხომ არ გვეცნობა პროფესორ კრეინის სტატიაში დასმული პრობლემა (რომელსაც რენსომი გვაცნობს): „ისტორიის სწავლება გადაჭარბებულია ინგლისური ლიტერატურის სწავლებისას... დროა, ყურადღება გადავიტანოთ კრიტიკის სწავლებაზე“.

ჯონ ქროუ რენსომი სავსებით ნათლად და გასაგებად გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას: „მომავალში სტუდენტებს უფლება უნდა მიეცეთ ისწავლონ ლიტერატურა და არა ლიტერატურის შესახებ“.

წარმომიდგენია, როგორ აღშფოთდებოდნენ ინგლისური ლიტერატურის დეპარტამენტის წევრები ამის წაკითხვისას, იქნებ ქართული ლიტერატურის დეპარტამენტის წევრებსაც ემცხეთოს მსგავსი აზრი?

უნდა ვალიარო, მეც, რომელიც სავსებით ვეთანხმები ამერიკელ ავტორს, დღეს, როგორც პედაგოგი, ასე ერთბაშად და მონყვევით ხელს ვერ ავიღებ ლიტერატურის ისტორიის სწავლებაზე. რასაც ახლა ვასწავლით, ისიც ფრიად საჭიროდ და სასარგებლოდ მიმაჩნია ახალგაზრდებისათვის, მაგრამ, მართლაც, ვინ ასწავლოს კრიტიკა (წარწმობის კრიტიკულ-ესთეტიკური შეფასება)? და თუ მაინც ფილოლოგთაგან ზოგი მაინც გამოვა კრიტიკოსი და თანაც კარგი, „უნივერსიტეტებს, სადაც ისინი სწავლობდნენ, ძნელად თუ ექნებათ უფლება, წილი დაიდონ მათ სახელ-დიდებაში“.

ლიტერატურის სწავლების თანამედროვე პროცესს ავტორი მუზეუმის დათვალიერებას ადარებს, სადაც პროფესორები კურატორთა როლს ასრულებენ. ისინი მზრუნველობენ მუზეუმში თავმოყრილ შედეგებს. გადადიან ერთი წარწმობიდან მეორისკენ და სათანადო პატივს მიაგებენ მათ. მაღლიერებას გამოთქვამენ იმათ მიმართ, ვინც ჩარჩობში ჩასვს შე-



ჯონ ქროუ რენსომი

დეგრები, ჩამოკიდეს შესაბამისი სკოლებისა და ქრონოლოგიის მიხედვით და მოამზადეს საინფორმაციო ბუკლეტები...

ეს პასაჟი არ არის მოკლებული მსუბუქ იუმორს. რა თქმა უნდა, იცის ამერიკელმა პროფესორმა, რომ ისტორია, ისევე როგორც ლინგვისტიკა, აუცილებელია (დამხმარე საშუალებაა) ლიტერატურის შესასწავლად და ისიც კარგად მოესხენება, რომ ისტორიის გარეშე შეუძლებელია, ვთქვათ, ისეთი შემოქმედის გაგება, როგორც ჯეფრი ჩოსერია. ცხადია, ლიტერატურის ისტორიკოსთა მიერ განეული შრომა ფრიად შთაბეჭდავი და საჭიროა, ოღონდ — არა საკმარისი.

ლიტერატურის პროფესორთა ერთი ნაწილი თურმე მთლიანად სტუდენტებს გადააბარებს თავის საქმეს — წარწმობები თქვენ შეაფასეთო, სხვა — ცდილობს, რაც შეიძლება, მეტი ციტატა ასწავლოს (დააზუპირებინოს) შედეგებიდან, მაგრამ შეთქმულივით ყველა ერიდება ხელოვნების წარწმობის საჯარო განხილვას. არამცაღაარამც არ ნიშნავს შესწავლას, თუ მშვენიერებისაგან მარადიული სიხარულს მივიღებთ და მის წინაშე ენას ჩავიგდებთ. საჭიროა სისტემატური, მეცნიერული საჯარო განხილვები და ეს იქნება სწორედ კრიტიკაო, — გვარწმუნებს ავტორი.

უალრესად მნიშვნელოვანია ის ექვსი პუნქტი, რომელთაც აყალიბებს ამერიკელი პროფესორი იმის სათქმელად, თუ რა არ არის კრიტიკა, და კიდევ უფრო საყურადღებო კი ესეის ბოლო ნაწილია, რომელშიც რენსომი ცდილობს, განმარტოს კრიტიკოსის დანიშნულება და დასაბუთოს სისტემური კრიტიკის აუცილებლობა.

კრიტიკას არ უნდა დარჩეს შეუფასებელი არცერთი წარწმობი. სწორედ ამისთვისაა საჭირო კრიტიკოსთა სკოლა და კრიტიკის წარმოება. კარგად (თუმცა არა მარტივად) არის ახსნილი, როგორ, რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს ლექსი; რისი აღმოჩენა და რაზე მსჯელობა ევალება კრიტიკოსს. კრიტიკისაგან სიღრმესა და სირთულეს მოითხოვს ავტორი. გაცნობიერებული აქვს, რომ „მთელი დახვეწილობის მიუხედავად, ეს მაინც უხეში და ჭუჭყიანი საქმეა ლექსის ცოცხალ სინრფელესთან შედარებით. და მაინც, უამისოდ ძნელად თუ გავერკვევით პოეზიის ღირებულებასა და დასრულებული ლექსის ბუნებრივ ისტორიაში“.

დაბოლოს, ისევ სტატიის დასაწყისს რომ დავუბრუნდეთ, ვინ შეიძლება იყოს კარგი კრიტიკოსი? ვინ უნდა იკისროს კრიტიკოსის ვალდებულება? ინგლისური ლიტერატურის პროფესორებმაო, — გვარწმუნებს ჯონ ქროუ რენსომი. თქვენ რას იტყვით, ქართული ლიტერატურის პროფესორებო?

შალვა პეტრიაშვილი

„გიყვარდეს და დაეხმარა ადამიანებს“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— როდესაც სულიერადაც ხარ მარტო.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— ცოტა ხნით შემიძლია ვიცხოვრო ლონდონში, პარიზში, რომში. მუდმივ საცხოვრებლად ისევ ჩემს ქვეყანას ვარჩევდი.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— როდესაც გყავს საყვარელი და ერთგული ადამიანები, აკეთებ შენთვის საყვარელ საქმეს. ეხმარები ადამიანებს. სამშობლოში არის მშვიდობა და გაქვს უფლება და საშუალება იცხოვრო კარგად.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ჟან ვალჟანი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ერეკლე II, ნაპოლეონი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— რენუარი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ვერდი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— რაინდობა.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— მეოჯახეობა და საზოგადოებრივი აქტივობა, ორივე თანაბრად.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მძიმე?

— სიყვარული, თუ ეს არის მერე ყველაფერი თავისთავად მოდის.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— მოგზაურობა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— არ მიფიქრია ამაზე.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— სიმშვიდე და მოთმენის უნარი.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ერთგულებას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— რომელი ერთი?

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ყოველი დილა, რომელიც თენდება და არის მშვიდობა ირგვლივ — ეს არის ბედნიერება.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— როდესაც შენში უფალის ადგილს დაიკავენ ბოროტი.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— უფრო აქტიური.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ენდროსფერი.



— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— იასამანი.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— არწივი.

— თქვენი საყვარელი მწერლები?

— ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვილი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— გალაკტიონი, ანა კალანდაძე.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— კოლომბა.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— იოსებ ჟორდანიას.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამი.

— საყვარელი სახელები?

— ანა, გივი.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ლალატს, გულგრილობას, ცინიზმს, ნიჰილიზმს.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ლენინი.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— დიდგორის ბრძოლა.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— რუის-ურბნისის კრება.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— მუსიკა.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— ყველას წინაშე ვალმოხდილი.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— აფორიაქებული.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ლალატის გარდა ყველაფრის შეწყნარება შეიძლება.

— თქვენი დევიზი?

— გიყვარდეს და დაეხმარე ადამიანებს.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— შენ ხარ ღირსი რომ ვიყო შენში.

როსტომ ჩხეიძე

„არიფიონიდან“ „ცისკრამდე“

„ცისკრის“ პირველივე ნომერს რომ დაარბევდნენ, ვახტანგ ჭელიძეს „არიფიონი“ გაახსენდებოდა.

„არიფიონსაც“ ხომ შავ დღეს დააყრიდნენ და პირველი ნომრის შემდეგ საერთოდ შეწყდებოდა მისი გამოცემა. ეს ერთადერთი ნომერი გამოვიდოდა — ეგ იქნებოდა და ეგ.

„ცისკარს“ უფრო შორეული გზა ედო თურმე ბედად, მაგრამ მოსალოდნელი გახლდათ, რომ სწორედაც თავისი ამ უბედური წინამორბედის ხვედრი რგებოდა.

დრო იყო ცოტა სხვა.

ცოტა უფრო მოშველებული პოლიტიკური მარწუხები.

ცოტა უფრო გაადვილებული სუნთქვა.

ცოტა უფრო შებოჭილი ჩეკისტური კრიტიკა.

და ეს „ცოტა“ სავსებით საკმარისი აღმოჩნდებოდა ერთხანს თავის გასატანად. ერთხანს, აბა, სიკეთის ჟამი კი არ დამდგარიყო, ძნელად, მაგრამ მაინც რომ მოეგერიებინა ვახტანგ ჭელიძეს თავდამსხმელნი.

არა, ეს დამთხვევაც თუ კანონზომიერებაც რაღა იყო, „არიფიონის“ დარბევის მთავარი ორგანიზატორიც და სულსჩამდგმელიც ბესარიონ ჟღენტი რომ გახლდათ, ახლა „ცისკარზეც“ რომ ცდიდა თავის ძალას და... მრისხანებდა, ერთი იერიშით რომ ვერ აღეკვეთა მისი მოღვაწეობაც.

ამ დამთხვევას, უფრო კი კანონზომიერებას მოგვიანებით შეიტყობდა, მის თვალწინაც რომ გაიხსენებოდა „კომუნისტის“ ფურცლებზე დაბეჭდილი უსინდისო და ბოროტი რეცენზიის ავტორის ვინაობა, მიხეილ ჯავახიშვილის არქივს რომ გამოამზეურებდა მისი ქალიშვილი, მამაზე ჩინებული ბიოგრაფიული რომანისა და სხვა არაერთი ნარკვევის ავტორი ქეთევან ჯავახიშვილი, იმ საშინელი გაზეთის იმ ნომერზე მწერალს — „არიფიონის“ იმ ერთადერთი ნომრის რედაქტორს — ასეთი რამ რომ წაენერა:

— ჟღენტის წერილის დაბეჭდვა ძვირად დაუჯდება ამ ჟურნალს...

„არიფიონი“ 1928 წელს დაერბიათ და კიდევ აღეკვეთათ.

30 წელი გასულიყო იმ დროიდან „ცისკრის“ დარბევამდე.

რამდენი რამ შეცვლილიყო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში, მაგრამ ეს ცვლილებანი ბესარიონ ჟღენტის ხასიათსა და მორალზე ნაკლებ ასახულიყო და უცვლელი დარჩენილიყო: მე იგივე ვარ მარად და მარადო, — აღუქსანდრე ჭავჭავაძეს თავისი წინამორბე-ეთიკური და ეროვნული მრწამსის შენარჩუნება ეამაყებოდა, ბესო ჟღენტს კი... თუმც არანაკლები სიამაყით გაიმეორებდა, და ცინიკური ჩაქირქილებითაც...

50 წელი გავიდოდა და... სინანული მაინც არ გაუჩნდებოდა, ოდნავი, სულ ოდნავიც კი, თორემ 1975 წელს გამოცემულ „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ ფურცლებზე მაინც მოერიდებოდა ამ სტრიქონების ჩანერას:

— ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალათა უმრავლესობა მცდარად წარმოსახავდა სოციალისტური საზოგადოების განვითარების ძირითად პრინციპებს...

ასე ერთგული დარჩა ვერაგობისაო, — დართულია უბის წიგნაკის ამ ფრაგმენტში იმ ციტატის მოხმობისას, და ისიც მიდევნებულა:

— თავისივე მეგობარი სიმონ ჩიქოვანიც არ დაინდო და სიცოცხლე მოუსწრაფა.

* თავი ბიოგრაფიული რომანიდან „საგა ვახტანგური (ვახტანგ ჭელიძის ცხოვრების ქრონიკა)“

სიმონ ჩიქოვანის დატირება რომ ვერავინ დაასწრო ბესოს, ეს უკვე აღარ აღნიშნულა ამ ფრაგმენტში, თუმც ისედაც მიხვდება მკითხველი, თუკი ამ ადამიანის ფსიქოლოგიურ პორტრეტს ჩაუკვირდება, თუნდ ვახტანგ ჭელიძის ჩანაწერების მიმოფანტულ ნაწყვეტთაგან აღდგენილს. ყველაზე დიდ ჭირისუფლად სწორედ იგი დაადგებოდა ჯერ კიდევ ფუტურისტობის დროინდელ მეგობარს, თუმც ამ ჭირისუფლობას მარტოს არ დაანებებდა ირაკლი აბაშიძე, ბესოს შემავლუიანებელი ვინც გახლდათ, და ამ მხრივაც საკმაო გამოცდილებას დაავროვებდა — მისი ინტრიგების მსხვერპლთა დატირებაში ყველასთვის რომ უნდა წაესწრო.

ბესო ჟღენტი გამჭვირვალე მინიშნებით გამოჩნდებოდა ვახტანგ ჭელიძის 1982 წელს გამოქვეყნებულ მოგონებაში „ცისკრის“ პირველი რედაქცია, პირველი ავტორები და პირველი ნომერი“, რომელიც ამ რედაქციის ახალი გუნდის დაკვეთით დაინერგებოდა ჟურნალის საიუბილეოდ — დაარსების 25 წლისთავს რომ აღნიშნავდნენ.

გერონტი ქიქოძის ესეის, მიძღვნილს სულხან-საბა ორბელიანისადმი, ვახტანგ ჭელიძე, მის მხატვრულ-ესთეტიკურ ღირსებათა დახასიათებისას, მოიხსენიებდა „ნოველასავით დანერვილადაც“, და ძალდაუტანებლად გაგვიცხადებდა, თუ რამხელა მნიშვნელობას ანიჭებდა ამ გარემოებას — მემუარული თხზულება ან ესეი ნოველის ზოგიერთ ნიშანსა თუ თვისებასაც რომ ამჟღავნებდა.

და არა მარტო როგორც მკითხველი. მისი ესეებისა და ლიტერატურული პორტრეტების გაცნობისას არაერთხელ შეიძლება წამოგვცდეს: ნოველასავით იკითხებაო, — და აგერ თუნდ ეს მოგონება სულაც კლასიკური ნოველაა, ეფექტური ფინალთაც დაგვირგვინებული, თორემ სულმოუთქმელად ხომ იკითხება და იკითხება. ჩამთავრებ და... უეცრად ის სინანულიც შეიძლება გაგჩნდეს: რა იქნებოდა, ერთი ასეთი ნოველასავით მოგონება მიხეილ ჯავახიშვილის არქივსაც შემოენახა, „არიფიონის“ წინააღმდეგ მიმართულ თავდასხმებს მისებური სიმძაფრითა და ექსპრესიით რომ აღწერდო.

ისე ნეტა მიხეილი როგორღა გახედავდა თავისი ცხოვრების იმ დრამატულ ეპიზოდს, რომ დაეცლიათ?

რა სწრაფად გაურბენია წლებს, თითქოს ყველაფერი ეს გუშინ იყო, — ეს განცდა დარჩებოდა, როგორც ხშირად იციან ხოლმე თქმა, თუ მასაც ვახტანგ ჭელიძესავით ეგონებოდა, საუკუნეები გავიდაო?

არ გვიკვირს, ძალიან კარგად რომ ახსოვდა „ცისკრის“ დაარსებისა და მოღვაწეობის გაშლის ხანა, გაუხუნარი სიცხადითა და გაუნებელი სიმძაფრით რომ ცოცხლდებოდა მის ცნობიერებაში ცალკეული ფაქტები და მოვლენები, ერთხელ განცდილსა და დანახულს თითქოს კვლავ პირვანდელი სიმწვავითა და სიმკვეთრით რომ განიცდიდა, მაგრამ ეს გრძობა კი ბევრისაგან განარჩევდა, მაინც რომ არა შორდებოდა და მძაფრად ეუფლებოდა: ეს ოდესღაც, საუკუნეების წინათ მოხდა და უკვე დასრულებული ცხოვრების ერთი მონაკვეთიაო.

თავიდან „ცისკარი“ სულაც არ ერქვა.

„ჩვენი თაობა“ აღედგინათ და სახელწოდებაც ის გაემეორებინათ.

დადგენილებაშიც ასე აღინიშნებოდა და მაშინდელ გაზეთებშიც ასევე მოიხსენიებდნენ.

და როდესაც რედაქტორად დანიშნავდნენ, ჯერ სამტატო ერთეულებისათვის ჩვეულებრივი ბრძოლაც კი არ დაენყო საფინანსო ორგანოებთან, რომ მისი პირველივე საზრუნავი ის შეიქნებოდა, როგორმე ჟურნალის სახელწოდება შეცვლილიყო.

„ჩვეულებრივი ბრძოლა“ ადვილად ითქმოდა, თუმც ვარაუდით ივარაუდებ, რომ ძალიან გაეწვალებინათ, თორემ გახსენების ღირსადაც არა სცნობდა. და კიდევ გაიშიფრებოდა დღიურში, რომ შტატების გამოთხოვასა და დამტკიცებას დასჭირებოდა განუწყვეტელი წანწალი ფინანსთა სამინისტროსა და ცენტრალურ კომიტეტს შორის, ჩხუბი, თავის დამ-

ცირება, ნერვიულობა ყოველ საშტატო ერთეულსა და მათ ხელფასებზე...

და საერთოდაც, უბის წიგნაკის იმ ერთბუნო ჩანაწერში თითქოს ხელშესახებად შეიგრძნობ იმ სიძნელეებსა და დაბრკოლებებს, რასაც ახალდაარსებული ჟურნალის რედაქტორი წააწყდებოდა და რასაც არამცთუ მანამდე ვერ წარმოიდგენდა, მოგვიანებითაც უკვირდა, როგორ შეიძლებოდა ამდენი დავიდარაბა რედაქციისათვის.

შტატების გამოთხოვა გამოთხოვად და ახლა მათი დაკომპლექტება — ათასი სატელეფონო ზარი, გამოძახება, თხოვნა, შეპარვით მუქარა...

შემდეგ ბინა — რაც საბოლოოდ მაინც ვერა და ვერ მოგვარდებოდა.

შემდეგ ავეჯი — ესეც საშინელი თავსატეხი რომ გახდებოდა.

სარედაქციო კოლეგიის შედგენის პროცესსაც დიდი დავიდარაბა მოჰყვებოდა.

ჟურნალის სახელწოდების შეცვლაც არ ჩაივლიდა ნერვიულობის გარეშე.

ახალი ავტორების მოზიდვის სიძნელე კიდევ ცალკე...

და რომ იფიქრებდა, ასე თუ ისე ყველაფერი მოგვარებულაო, მთავარი განსაცდელი თურმე წინ ელოდებოდა — გამობრძმედილ გარეწართა წინააღმდეგ ბრძოლა.

ამ ფრაგმენტში საკმაოდ მწვავე გამოთქმებითაა დაწვრილი ჟურნალის თავგადასავალი მისი რედაქტორობის ჟამს, მოგონებაში თავშეკავებულად და მინიშნებებით რომ უფრო გაიშლებოდა, დიპლომატიური მანერით წარმოდგებოდა ის სურათი, რაც თვითონ ძალიან დააკლდებოდა გულს, და ავტობიოგრაფიულ რომანში რომ ივარაუდებდა მის შეტანას, არა ამ სახითვე, ცხადია, არამედ — საკმაოდ შეივსებოდა და სათქმელიც ბოლომდე გაიშიფრებოდა და გაცხადდებოდა, რასაც მოწმობს ის არაერთი ფრაგმენტი, უბის წიგნაკის ფურცლებზე რომ ჩანიშნულა და... ყველა თავთავის ადგილს ელოდა იმ შევსებულ თხრობაში, რომელიც უსათუოდ შეინარჩუნებდა ნოველის აღნაგობასა და სუნთქვას. ეგაა, პორტრეტები უფრო კანთიელად გამოიკვეთებოდა და ლიტერატურული ცხოვრების მტკადა მნიშვნელოვანი მონაკვეთი სისხლსასვლელ, მთელი თავისი დულილით წარმოდგებოდა.

არ ექაშნიკებოდა და არა სახელწოდებად „ჩვენი თაობა“.

ეს სახელი ხომ ნიშნავდა თავიდანვე შეზღუდვას ჟურნალის პროფილისაც და მოქმედების სივრცისაც. სუნთქვას უხშობს, ხელოვნურ არტახებში ჰკრავსო, — ხმამაღლაც იმეორებდა ნაფიქრს და სულაც არ ყაბულდებოდა, რომ ეს ახალგაზრდული ჟურნალი მხოლოდ ერთი თაობისათვის ყოფილიყო, მხოლოდ ახალგაზრდებისა და დამწყები მწერლებისათვის, არადა, სახელწოდება თითქოს საგანგებოდ მიუთითებდა ამას. მას კი სურდა, რომ გამოკვეთილიყო მეორე სამწერლო ჟურნალად, რომელიც მხარში ამოუდგებოდა „მნათობს“.

მოგვიანებით ამასაც დასძენდა: თითქოს გული მიგრძნობდა, რომ დაინყებოდა თაობათა შორის ხელოვნური დაპირისპირება და ამას ჟურნალის სახელწოდებაც შეუწყობდა ხელსო.

სახელი რომ შეეცვლებოდა, რა, ვითომ რაიმე შემსუბუქდებოდა — ის ხელოვნური დაპირისპირება ან არ შეიქმნებოდა და ან უკიდურესადაც არ გაღვივდებოდა?

თუმც ადამიანმა თავისი ვალი ყველა შემთხვევაში უნდა მოიხადოს — იმ წუთას თუ არა, ეგებ მომავალში მაინც წაადგეს სასიკეთოდ საქმეს, ვილაც მოეჭიდოს, ვილაცამ ამოატივტივოს... ვილაცა რაღაცას მიხვდეს...

სახელის შეცვლა, რომ არ ველოდი, ისე ადვილად მოგვარდაო, — გვამცნობს მოგონება და გვიზუსტებს, რომ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ირაკლი აბაშიძეც და კომკავშირის ცეკას პირველი მდივანი თამაზ ჯანელიძეც (თავიდანვე ეს ორი პატრონი ეყოლებოდა ჟურნალს) მოწონებით შეხვდებოდნენ რედაქტორის ამ წინადადებას, რაც მთავარია, მხარს

დაუჭერდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე მიხეილ კვესელავა და, ვიდრე სარედაქციო შტატი შეიკვროდა, გამოცხადდებოდა მეორე დადგენილება ჟურნალის სახელწოდების შეცვლის თაობაზე.

ასე დაერქმეოდა ახალ ჟურნალს „ცისკარი“.

ეს სახელი ერთი წლით ადრე უკვე გამოეყენებინა ოთარ ჩხეიძის გორის სახელმწიფო ინსტიტუტის ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრის აღმანახისათვის, მაგრამ ვახტანგ ჭელიძე ეტყობდა: ეგ სახელწოდება უნდა დამითმო. ჯერ ერთი, შესაძლოა ვეღარც გააგრძელო აღმანახის გამოცემა, მართალია პირველი ნომერი აწერია, მაგრამ მეორე ვეღარც მოჰყვეს, ან როდის იქნება, კაცმა არ იცის, ბოლოსდაბოლოს რამე სხვა მოიფიქრე, სახელის მეტი რა არის, ჩემი ჟურნალისთვის კი სწორედ ეს მჭირდებაო. — იყოს ნება შენით, — იოლად დათანხმდებოდა მეგობარი. თუმც იქ კი, სადაც ეს შეცვლა უნდა გადაწყვეტილიყო, მთლად ისე ადვილად არ უნდა მოგვარებულიყო. მაშინ უბის წიგნაკში ხომ აღარ ჩაინიშნებოდა ნერვიულობა ჟურნალის სახელის გამო.

მეორე ქართული ჟურნალისათვის — სოლომონ დოდაშვილის „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანის“ შემდგომ — აკი ეს სახელი შეერჩია გიორგი ერისთავს.

თავისთავადაც ისეთი შთამბეჭდავი გახლდათ ცისკრის ვარსკვლავის გათამაშება სათაურად, უამისოდაც მოინდომებდა ვახტანგ ჭელიძე თავისი გამოცემისათვის.

„ჩვენი თაობის“ მემკვიდრეობაზე იმთავითვე აცხადებდა უარს.

XIX საუკუნის საქართველოში გარდამტეხი ჟამის მემკვიდრეობაზე სდებდა თავს, იმ სულიერი ძაფების შენარჩუნებაზე, ურომლისოდაც ეროვნული და საზოგადოებრივი ჟურნალი ჰაერში გამოეკიდებოდა, როგორც უფესვებო, ახლა კი ეს სახელწოდება ერთდროულად მიანიშნებდა 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებზეც — აკი მათი თაოსნობით დაარსებულიყო და კარგა ხანსაც შენარჩუნებულიყო ჩვენი სულიერებისა და კულტურისათვის ეს სასიცოცხლო მოვლენა — და ილია ჭავჭავაძესა და მის თანატოლებზეც — აკი ამ ჟურნალის ფურცლებიდან გამოსულიყვენ სამწერლო და საზოგადოებრივ ასპარეზზე... და ძალდაუტანებლად ხდოდა საცნაურს ახალი „ცისკრის“ მიზანსაც და გეზსაც, გამოკვეთილ პოზიციასაც და იდუმალ სწრაფვასაც, „დათბობის“ ხანის თუნდ მოჩვენებითი ლიბერალიზმი მაინც მეტ საშუალებას რომ გიჩენდა სამოქმედოდ, ვიდრე სულ ცოტა ხნის წინათ საბჭოთა იმპერატორის სრული ზეობის ჟამი ჯერაც რომ გრძელდებოდა და დაპატიმრების კიდევ ერთი გრანდიოზული ტალღაც გადავილიყო, თორემ ხელოვნებას ხომ ნაჭეროდა და ნაჭეროდა ყულფი ყელში.

ხიდის გადაბრუნებად ნამდვილად მოჩანს მაინცდამაინც „ცისკრის“ დარქმევა XIX საუკუნის შუა ხანებთან, საუკუნისწინანდელ ეპოქასთან, თუმც იმ ნამოწყების აღდგენა-განახლება კი ვერაფრისდიდებით ვერ დაერქმევა. გიორგი ერისთავისა და ივანე კერესელიძის „ცისკარმა“ მოათავა თავისი არსებობა, შეკრა თავისი ისტორია — აღდგენა სწორედ ის გახლდათ, ჟურნალს გიორგი ერისთავისაგან ივანე კერესელიძე და ალექსანდრე ორბელიანი რომ გადაიბარებდნენ და კალთითაც ატარებდნენ.

ვახტანგ ჭელიძე სრულიად ახალ ნამოწყებას უყრიდა საფუძველს, მის შემდეგ კიდევ დიდხანს რომ გასტანდა ცვალებადი წარმატებებით და საუკუნეთა მიჯნაზე კრიზისის ჟამიც დაუდგებოდა... შექმნილიყო ახალი ჟურნალი, ახალი ისტორიით, ძველი სახელწოდების განმეორებას პირობითი და სიმბოლური მნიშვნელობა რომ დარჩენოდა, და წესითა და რიგით ასეც უნდა ეღიარებინათ მომდევნო დროის რედაქტორებს — ისინი აგრძელებდნენ, ყოველ შემთხვევაში უნდა გაეგრძელებინათ ვახტანგ ჭელიძის ნამოწყება — ათვლის წერტილი ეს და მხოლოდ ეს უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ავერ გამოჩნდებოდა „ცისკრის“ რედაქტორად დავით მალრაძე სამხედრო გადატრიალებისთანავე — 1992 წელს, „მხედრობში“ საქმიანობა რომ გაუხსნიდა გზას ამ პოსტისაკენ, და ერ-

თერთმე იმ ორიოდ ნომრიდან, რომლის გამოშვებასაც მოასწრებდა საქართველოს კულტურის მინისტრად დანიშნულების წინ, პირველ ფურცლებს დაუთმობდა ფოტოტიპურ სურათებს გიორგი ერისთავისა და ივანე კერესელიძის დროიდან. გამოცემის ისტორიის დაგეგმვას ესწრაფოდა? დიას, არსებობს ამგვარი უინიც და ცთუნებაც, რაც შეიძლება შორს გადასწიო ქრონოლოგიური საზღვარი, მაგრამ ამ ცთუნების აყოლაზე არანაკლებ — და იქნებ უფრო მეტადაც — ვახტანგ ქელიძის ღვანლის მიყრუებას ლამობდა „ერთი საათის“ რედაქტორი, მისი დაწყების გადახზვასა და რედაქტორთა რიგით წრეში გათქვევას.

მის შემდგომ ძალიანაც დაუჯდებოდათ ჭკუაში ამგვარი გადანევა ქრონოლოგიური მიჯნისა, თითქოსდა ხელოვნური დაძველება ამათ გამოცემებს რაიმე ღირსებას შემატებდა, და კვლავ და კვლავ დააცხრებოდნენ იმ ძველი „ცისკრის“ ფურცლებს ფოტოტიპური სახით განმეორებისათვის, თითქოსდა XIX საუკუნისა და XX ასწლეულის „ცისკრებს“ შორის განოლილი პაუზა... ლამის მთელ საუკუნეს არ მოიცავდეს.

რა აღდგენა, რომელი აღდგენა!..

ასე ადვილად რომ შეიძლებოდა მოღვაწეობის გადამლა!.. დროებით აღწევნ არასაქებურ მიზანს, ეგაა და ეგ, თუმც ამგვარი სწრაფვაა, ამგვარი „წვრილმანებია“, დაზიანებით რომ აზიანებს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების პროცესს და ხან სულაც წამლავს გარემოს.

ბესო ჟღენტის პორტრეტი თუ თვალნათლივ წარმოისახებოდა, მიუხედავად დაუსახელებლობისა, ზოგიერთი მინიშნება შესაძლოა მარტოდენ ავტორისათვის ყოფილიყო ცნობილი, უბის ნიგნაკი რომ არა.


იმ წლებსა და ჟურნალის ცხოვრების იმ პერიოდს არაერთი და არაერთხელ რომ გაიხსენებდა, ვახტანგი გულმტკიცენულად აღდევნებდა თვალს ამ პუბლიკაციებს თუ საჯარო გამოსვლებს, ყველაფერი ცოტა უფრო სხვაგვარად რომ წარმოჩნდებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო, თითქოს წესადაც ქცეულიყოს უკვე განვლილი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შელამაზება-„შეკეთება“. და აგერ ამას წინათაც ერთი კაცი ისეთი სიმწრით იგონებდა — მეტად მძიმე და რთული ცხოვრების გზა გამოვიარე, და ისე გამწარებით თხოულობდა მსმენელთა თანაგრძობას, თითქოს თვითონ სხვებისათვის არ დაემძიმებინოს და არ გაერთულებინოს მუშაობაცა და ცხოვრებაც.

პირველივე ნომერში რომ შემოიღებდა განყოფილებას „მწერლის არქივიდან“, რეაბილიტაციის შემდეგ პირველად გამოქვეყნდებოდა მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებები — მოთხრობა „მინის ყივილი“ და ფოტორეპროდუქცია ჩანანერისა „ჩვენი დროის ათი მცნება“, რომელიც შვილს ეძღვნებოდა, მაგრამ არსებითად წარმოადგენდა მიმართვას ახალგაზრდობისადმი. ამ მასალას ძალიან მოუხდებოდა ფოტოსურათიც — დიდი მწერალი თავის შვილთან ერთად, თანაც ისეთ ვითარებაში, თითქოს სწორედ ახლა წერდა „ახალ ათ მცნებას“. რედაქტორს თვითონ ეს შთაბეჭდილება დარჩენოდა და ეჭვი არ ეპარებოდა, მკითხველიც სწორედ ასევე აღიქვამდა. თან ისიც ძალიან ახარებდა, რომ ახალი თაობის ადამიანები პირველად ახლა იხილავდნენ მწერლის სახეს.

ეს საარქივო მასალები ძალიან გააღიზიანებდა მწერალთა ერთ ჯგუფს, რომელნიც თავგამოდებულ მტკიცებას მოჰყვებოდნენ: რეაბილიტაცია მოხდა მიხეილ ჯავახიშვილის, როგორც მოქალაქისა, და არა როგორც მწერლისო, — და რედაქციას ბრალდებდა ნაუყენებდნენ ამ „გაუმართლებელ სითამამეს“...

აღინიშნებოდა ისიც, რომ, სამწუხაროდ, ცალკეული მასალების შინაარსი ადრევე, ჟურნალის ბეჭდვის პროცესშივე გახდებოდა ცნობილი საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის (ქვემოთ უფრო გამკვეთრებულია მინიშნება: გარკვეული წრეებისათვის), რასაც საკმაო უსიამოვნებანი მოჰყვებოდა. თუმც ესეც დაერთოდა: ახლა ძნელია თქმა, როგორ და რანაირად...

ვინ იყო ის კაცი, სიმწრით რომ იგონებდა განვლილ ცხოვრებას, ან მიხეილ ჯავახიშვილის სახელის დაბრუნებით ვინ



მხატვარი ვასო იდელი (ბასიაშვილი)

გაგულისხმებულებდნენ ასე ძალიან, ანდა იმ განაფულ დამსმენთა ვინაობა მართლა სამუდამოდ დაფარული დარჩებოდა, მწერალთა კავშირის კულუარებში ვინც იძრომიანდებდნენ, სახელისუფლებო დერეფნებსა და კაბინეტებს მიაკითხავდნენ და ცენზურასაც — გავრცელებული გამოთქმისა არ იყოს — ჩააყენებდნენ საქმის კურსში?..

სერგი ჭილაიას 70 წელი რომ შეუსრულდებოდა, ტელევიზიაში, „მოამბის“ გამოშვებაში გამოიყვანდნენ, დიდი ამბით მიულოცავდა ამ თარიღის შესრულებას ჯულიეტა ვაშაყმაძე და მერე სიტყვას გადასცემდა, და იუბილარი ჩვეული რიხით დაიწყებდა:

— მე მეტად მძიმე და რთული ცხოვრება გამოვიარე...

და ვახტანგ ქელიძეს წამოუტივტივდებოდა, თუ როგორ წაუდგებოდა პირში ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე — როდესაც „ცისკრის“ საკითხის მორიგი განხილვა იყო — გივი მელაძე, იმჟამად კულტურის განყოფილების გამგე:

— შენ არ იყავი, ყოველდღე მოდიოდი და „ცისკარს“ აბეზლებდი, რედაქტორის მოხსნას მოითხოვდი...

ეს სიტყვები იმას მოჰყოლოდა, რომ როდესაც ბიუროზე სერგი ჭილაია შეიტყოდა, მონინაალმდევე ფრთა მარცხდება და ვასილ მუავანაძე „ცისკრისაკენ“ იხრებაო, ისარგებლდა და რაღაცაში ბრალს დასდებდა გივი მელაძეს. და ის კი არ მოუთმენდა და მაშინაა, რომ იყვირებდა: მე კი არა, შენ მტრობდი „ცისკარს“ და შენ აბეზლებდიო...

ახლა კი უკვე წამებულის გვირგვინის დადგმა მოენდომებინა!..

თუმც რა სერგი ჭილაია და რა სხვები, ნაკლებად ნაპოტინებოდნენ წამებულის გვირგვინს თუ რა?!

მიხეილ ჯავახიშვილისა და ტიცინ ტაბიძის რეაბილიტაციას ბოლომთ ლამის გულზე გაეხეთქა კარლო კალაძე და ალიო მირცხულავა და სულ იმას გაიძახოდნენ: მათ რეაბილი-

ტაცია მისცეს როგორც მოქალაქეებს და არა როგორც მწერლებს — მათ წიგნებს რატომღა ბეჭდავთ?..

მიხეილ ჯავახიშვილი უფრო რელიეფურად რომ წარმოჩნდებოდა, ეს იმიტომაც, მისი დაუბეჭდავი მოთხრობა რომ აღმოჩნდებოდა არქივში, თორემ რედაქტორი საგანგებოდ იზრუნებდა, რომ ტიცთან ტაბიძეზეც პირველ ნომერშივე ყოფილიყო რაიმე მასალა.

თითქოს რა, მართლაც ყოვლად უწყინარი პუბლიკაცია გახლდათ — სერგეი ესენინის პირადი წერილი გამოქვეყნდებოდა, გამოგზავნილი ტიცთანთან 1925 წლის 20 მარტს, და შალვა დემეტრაძის მიერ თავმოყრილი რამდენიმე ცნობაც ამ ბარათის კომენტარად, სადაც ხაზგასმული გახლდათ რუსი პოეტის გულწრფელი, მეგობრული ტონი, კვლავ რომ ისწრაფის საქართველოსკენ და ქართველი მეგობრებისაკენ — ტიცთან იქნება თუ პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე თუ ვალერიან გაფრინდაშვილი, და ატყობინებს გაზაფხულზე თბილისში, მისკოველთა თავმჯდომარე გამოჩენილი მსახიობის ვლადიმერ კაჩალოვის, და არანაკლებ გამოჩენილი მწერლების ბორის პოლნიაკის, ვსევოლოდ ივანოვისა და ისააკ ზაბელის (მეუღლითურთ — ლევ ტოლსტოის შვილიშვილ ს. ა. ტოლსტაიასთან ერთად) მოსალოდნელი ჩამოსვლის ამბავს. ხოლო ბარათში პაოლოს მიერ ხაზთან ერთად კეპის მოხარშვის ეპიზოდი რომ იხსენიებოდა, პუბლიკაციის ავტორი დაურთავდა, რომ ეს სურათი აღწერილი იყო ტიცთან ტაბიძის ლექსშიც „სერგეი ესენინს“.

პოეტის არქივიდან ეს ბარათი მის მეუღლეს, ნინო ტაბიძეს გადაეცა რედაქციისათვის და სხვა შემთხვევაში უფრო მკაფიოდ წარმოდებოდა ტიცთან ტაბიძე, ვიდრე სერგეი ესენინი, მაგრამ იმ დროს და იმ პირობებში სხვა გზა არ იყო, რუსი პოეტის სახელს უნდა ამოფარებოდა ქართველი პოეტი და პუბლიკაციაც მხოლოდ ასე თუ დასათაურდებოდა: „სერგეი ესენინი საქართველოში“.

ეს სიფრთხილედ დიდად ვერ წაადგებოდა რედაქციას და, აბა, წარმოიდგინეთ, მთლად სახეში რომ შეეხალათ პროლეტარული მწერლებისათვის ეს სახელიც, ვითომ მიხეილ ჯავახიშვილი არა ეპაროდა... და აღმოთქმებოდნენ, მამ რა დაემართებოდათ კარლო კალაძესა და ალიო მირცხულავას, რომელთაგანაც ამ მეორეზე ბევრი არაფერი მოგვეპოვება ვახტანგ ჭელიძის ჩანაწერებში (ლადო ასათიანის ის ეპიგრამები და ვახტანგ ჭელიძის მიერ მიღწეული კომენტარები სხვებს უფრო ეხებათ, ვიდრე ალიო მირცხულავას, თუმც ის მაინც ცნაურდება, რომ „მნათობის“ რედაქციაში, სადაც ალიოს რედაქტორი ერქვა, იგი იქ არაფრის გამკეთებელი არ გახლდათ და ყველაფერი პასუხისმგებელი მდივნის გრიგოლ აბაშიძის მხრებზე გადადიოდა), ხოლო კარლო კალაძეზე ჩინიშნული ორიოდ მტრის ხიც შესაფერის შთაბეჭდილებას შეუქმნის მკითხველს.

ერთგან ბლეზ პასკალის სენტენციას მოიხმობდა:

— მახვილსიტყვაობა ცუდი ხასიათის ნიშანია.

და დასძენდა:

— კარლო კალაძე გამახსენდა.

გაიხსენებდა 30-იანი წლების დასაწყისში მარჯანიშვილის თეატრში დადგმულ სპექტაკლსაც კარლოს პიესის მიხედვით „სახლი მტკვრის პირას“, და უწოდებდა მეტად სამარცხვინოს, რაკილა დასცინოდა და კიცხავდა ქართულ ინტელიგენციას, მის საუკეთესო წარმომადგენლებს, ვინც საბჭოთა ხელისუფლება არ სცნო. სიუჟეტი კარგად კი აღარ აგონდებოდა, მაგრამ პიესისა და სპექტაკლის აზრი ეს იყო, და თანაც მაყურებელი ადვილად სცნობდა, ვინ იყო გამოყვანილი სცენაზე, რომელი ინტელიგენტის გაკიცხვასა და ყბად აღებას ლამობდნენ. რეჟისორი და მსახიობები ცდილობდნენ პორტრეტული მსგავსებაც განეხორციელებინათ.

სხვებთან ერთად საცინლად იყო აგდებული შალვა შარაშიძეც, თავუნას ფსევდონიმით ცნობილი იუმორისტი და სატირიკოსი, ყველას და ვახტანგ ჭელიძის შეხედულებითაც:

შესანიშნავი მწერალი და მოქალაქე, დახვეწილი ინტელიგენტი, ჭეშმარიტი მამულიშვილი.

მას თვითონ არ ენახა სპექტაკლი, მაგრამ სხვები უამბობდნენ და დანვრისლებითაც. რა გასაკვირია, რომ აღმოვთქულიყო, ქართული თეატრიდან ასეთ პასკვილს არამცთუ არ მოელოდა, კომმარულ სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდა. და თავის გულისწყრომას ეპიგრამით რომ გამოხატავდა, ამ სატირულ ლექსს თეატრში გაატანდა... ვახტანგს, მაშინ ჯერ ისევე ბავშვს. მეზობლობდნენ, მისი გოგონები იცნობდნენ და მეგობრობდნენ ვახტანგთან და, აი, ახლა შიკრიკობა უნდა ეკისრა.

წლების შემდეგ ამ ეპიზოდის აღდგენას რომ შეეცდებოდა, ლექსს თავიდან ბოლომდე ველარ გაიხსენებდა და გული დანყდებოდა, ნეტა ადრე ჩამეწერა, დასაკარგი არ იყო. მოაგონდებოდა პირველი ორი სტრიქონი: თეატრისა მრცხვენია, გეფიცებით თეატრსაო, — და ფინალური სტროფი: მაგრამ ყურს არ ვათხოვებ თქვენს დაცინვას იაფსა, ლეკვმა ჩაიცუნცულა და ჩემს კარებს...

ჯერ კიდევ ის დრო იყო, როდესაც ასეთ ეპიგრამას შესაძლოა პოლიტიკური სარჩული არ გამოეკრებოდა, თორემ რამდენიმე წლის მერე აღმოვთქმების ამგვარად გამოხატვა ციხე-კატორლით დაუმთავრდებოდა შალვა შარაშიძეს, რომელსაც ჯერჯერობით იმას აკმარებდნენ, რომ მწერალთა კავშირიდან გარიცხავდნენ (და მერე ვისთან ერთად — პავლე ინგოროყვასთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, გერონტი ქიქოძესთან და ერეკლე ტატიშვილთან), როგორც „ემშაკის მათრახის“ მენშევიზმის რომანტიზმით გაჟღერებულ მწერალს, მენშევიკების აზრების აგიტატორს...

მათ რეაბილიტაცია მისცეს როგორც მოქალაქეებს და არა როგორც მწერლებსო, — ვერა და ვერ მოენელებინათ მიხეილ ჯავახიშვილისა და ტიცთან ტაბიძის სახელების ამოსვლა იატაკქვეშეთიდან.

ვახტანგსაც და სხვა მის თანამოაზრეთაც ძალზე საგულისხმო ეჩვენებოდათ ეს თავმჯდომარეებელი აღმოვთქმება და საბოლოოდ დაიბეჯითებდნენ, რომ 37-ში მათ წინააღმდეგ გაჩაღებული „ლიტერატურული“ ბრძოლა მიმართული გახლდათ მათი ფიზიკური მოსპობისათვის, ის საზიზღარი და ამაზრზენი წერილები, რომლებიც მაშინ ზედიზედ გამოქვეყნდა ყურნალ-გაზეთებში...

ყურადღებას მიაქცევდნენ იმ გარემოებას, რომ ბესო ჟღენტი, ამ წერილების უცვლელი ავტორი და ორგანიზატორი, ჭკუას იხმარდა და ახლა — რეაბილიტაციის შემდეგ — გაყურდებოდა. ესენი კი უფრო სულელები აღმოჩნდებოდნენ და თავს ველარ შეიკავებდნენ, ბოლმას ველარ მოერეოდნენ.

და გაახსენდებოდა გიორგი კაჭახიძის ნაამბობიც, თუ როგორ იხსენდნენ მწერალთა სასახლის ბაღში ალიო მირცხულავა, ვლადიმერ ჯიბუტი და კიდევ ვიღაცები და როგორი აღშფოთებით ლაპარაკობდა მირცხულავა იმაზე, რომ „ცისკრის“ პირველივე ნომერში მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა დაიბეჭდა და მისი პორტრეტიც კი მოთავსდა — ამ ტროცკისტისა და კონტრრევოლუციონერისა...

და ვახტანგ ჭელიძე ქეთევან ჯავახიშვილის ბიოგრაფიულ რომანში ამ სტრიქონებს რომ ამოიკითხავდა:

— კრიტიკის ამდენი შემოტევისა და თავდასხმის გამო ერთხანს მამას სულიერი მდგომარეობა რამდენადმე დაირღვა...

მწარედ გაელიმბოდა: რაოდენ ნაცნობია ეს ჩემთვისაც ისევე კრიტიკოსების წყალობით... თანაც სწორედ მიხეილ ჯავახიშვილის გულისათვის თავგამოდებაც აწვევინებდა ამ ყოვლად უსამართლო შემოტევებსა და თავდასხმებს...

მამ შემთხვევითი სულაც არა ყოფილა და სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა „ცისკრის“ პირველივე ნომერში „ჯაყოს ხიზნების“ შემოქმედის ასე სახიერად წარმოჩენას.

აკი არც „ცისკრისა“ და „არიფიონის“ ბედის მსგავსებაც აღმოჩნდებოდა შემთხვევითი. და არც საერთო მოძულისა და მტრის მძვინვარება.

კიდევ კარგი, რომ „იცისკრის“ ხანაში ბესო ჟღენცს დრო უკვე აღარ უწყობდა ხელს.

უბის წიგნაკის ერთი ფრაგმენტი სწორედ ამ რეალობაზე დაკვირვებაა, რომ დრო შეუშლიდა ხელს ამ ლიტერატურულ ჯალათს, საშინელება საშინელებაზე ჩაედინა და ბოლომდეც გაეშალა თავისი ბოროტება.

— და მაინც ბევრი მოახერხა, მიუხედავად იმისა, რომ მუჟანაძე ბუნებით კეთილი კაცი იყო და რაც შეიძლებოდა ზღუდავდა მის სისაძაგლეს... მაინც რამდენი ბოროტება გააკეთა. აქედანვე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რას აკეთებდა მანამდე — 37-მდე და 37-ის შემდეგ...

ვახტანგის ერთ-ერთი თანასკოლეელი საჯარო ბიბლიოთეკაში რომ მიადგებოდა ფუტურისტულ გამოცემას „H₂SO₄“ და მასაც ამცნობდა, ეს მაშინვე გაეშურებოდა ამ უცნაური ნომრის შინაარსის გასაცნობად, ჯერ იცინებდა, მერე სიბრაზე მოერეოდა და... უკვე იცოდა, რომ რამდენიმე წლის მერე ბესო ჟღენტი წინ დახვდებოდა.

იმიტაცის უნართაც რომ დაჯილდოებულყოფიყო, არაერთ ადამიანს აჯავრებდა დიდი ხელოვნებით და სიცილით ხოცავდა მსმენელთ. და ერთი საუკეთესო ნომერი მისთვის ბესო ჟღენცის პაროდული მიბაძვა აღმოჩნდებოდა. ვისაც კი მოუსმენია, ყველას გაოცებით აღუნიშნავს:

— მარტო ხმა რომ გვესმოდეს და არა ვხედავდეთ, ვინ ლაპარაკობს, ნამდვილად ბესო გვეგონებოდა.

ხშირად რომ უხდებოდა გერონტი ქიქოძესთან ერთად წვეულებებზე ყოფნა (განსაკუთრებით, ცხადია, თინათინ ქიქოძის ოჯახში), ბატონი გერონტი ყოველთვის სთხოვდა ბესოსთვის გაეჯავრებინა და გულთანადაც იცინოდა.

თან არასოდეს წყინდებოდა პროფესიული შეფასება და შექება:

— ეს მარტო გარეგნული მიმსგავსება კი არ არის, თითქოს ადამიანის ხასიათს და პიროვნებას გადმოსცემდე, თანაც სოციალური სიმახვილით.

თხოვნა არცა სჭირდებოდა ხოლმე, და სუფრას ხშირად ერთი მსახიობის თეატრად რომ გადააქცევდა, „პროგრამის“ მთავარი გმირები ბესო ჟღენტი, სერგი ჭილაია და ირაკლი აბაშიძე იყვნენ. სხვათა შორის, ირაკლის კიდევ არაერთი მწერალი აჯავრებდა დიდი ოსტატობით და ერთხელ ბატონ ვახტანგს, ელგუჯა მალრადესა და ტარიელ ჭანტურიას შორის თავისებური შეჯიბრიც კი გაიმართებოდა, რომელი უკეთ წარმოადგენდა ამ ადამიანის პაროდის, და ეს იქნებოდა იუმორის ისეთი ზეიმი, საუკეთესო პაროდისტებსაც რომ შეეხარებოდათ.

ბესო ჟღენტი ბევრს რომ სძულდა, მისი პაროდირება განსაკუთრებით ახალისებდათ და მოუთმენლად მოელოდნენ იმ წუთს სუფრაზე, როდესაც ვახტანგი იმისი ხმით ამეტყველებოდა. საამისოდ ღვინის დაღვევა სრულიადაც არა სჭირდებოდა.

სიცილით ყველა გულიანად იცინოდა, მაგრამ... ზოგიერთები მერე ერთმანეთს ასწრებდნენ პაროდის გმირისათვის შეეტყობინებინათ: ასე და ასე გაჯავრებს და მთელი სუფრა სიცილით იგუდებო.

იმას წყენით წყინდა, მაგრამ... გულში ინახავდა და შესაფერისი დროის დადგომას ელოდა.

შეხვდებოდა, გამოელაპარაკებოდა და... არაფერს აგრძნობინებდა.

ეს კვლავაც განაგრძობდა თავის იმიტატორულ სერიას და ბესოს პორტრეტს ახალ-ახალი მასალითა და ფსიქოლოგიური და სოციალური შტრიხებით ამდიდრებდა.

ერთხელაც როგორღაც სერგი ჭილაიას სახლშიც მოხვდებოდა ვახტანგი. მეზობლები აღმოჩნდებოდნენ და უნდოდა-არ უნდოდა, მოვალე იქნებოდა მისი ოჯახის კარიც შეეღო (სხვათა შორის, პატივისცემით მოიხსენიებს ჩანანერში მის ცოლ-შვილს: ძალიან კარგი ოჯახი ჰყავდაო). სულ რამდენიმე კაცი იქნებოდა სტუმრად და თამადა ბესო ჟღენცს ერგებოდა.

ის შეატყობდა, რომ ვახტანგი ღვინოს ცოტას სვამდა. ვერ წარმოედგინა, რომ საერთოდ ერიდებოდა სმას და ერთ-ორ ჭიქას მყოფინობდა. ამიტომაც გაღიზიანდებოდა: ჩემთან არ უნდა დაღვევაო. თანაც თვითონ ღვინო უკვე მოკიდებოდა და გულში ნაგროვებ წყენას აღარ დაფარავდა: დაღვი, იცოდე წვეთს არ შეგარჩენო, — და ახლა დანარჩენებს მიუტრიალდებოდა:

— ასეა, დადის, მე მაჯავრებს და ღვინოს კი არ სვამს...

„მიუბრუნებიათ ენა... თუმც, აბა, რა იქნებოდა!“

ნიკიტა ხრუშჩოვის დემოკრატიზმი მოჩვენებითი გამოდგებოდა და ეს მაშინვე გახდებოდა აშკარა?

ჯერ ეს რა იყო, სადაური რა დათმობა გამოდიოდა, და ბესო ჟღენცსა და მის ამქარს ესეც ძალიან რომ არ ეჭაშნიკებოდათ და კვლავაც სტალინისდროინდელ იდეოლოგიას მოითხოვდნენ?

და ვახტანგ ჭელიძე ამ გარემოებას რომ აღნიშნავდა, ახალ თაობებს ხელშესახებად წარმოსახავდა იმჟამინდელი ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ატმოსფეროს, რათა უფრო ღრმად და თვალნათლივ ჩანვდომოდნენ სარედაქციო ყოფას, „იცისკრისა“ და შემდგომი ხანის იმ რედაქტორთა ხვედრს, მთელი არსებით რომ ესწრაფოდნენ შემოზღუდული, შეზღუდული სივრცის გარღვევას და რაღაც სასიკეთოს გამოტაცებას დამთრგუნველი რეალობისათვის, ნიშანდობლივს კომუნისტების ამბლებულ იდეალს ამოფარებული რუსული შოვინისტური და იმპერიალისტური უნისა და ლტოლვისათვის, რაღაც სრულიად გაუგებარი სოციალისტური რეალიზმის ჩარჩოებიც რომ მოერგოთ საბჭოური იდეოლოგიისათვის და ჭეშმარიტ სამწერლო პროცესს ამ პროკურუსტის სარეცელზე უპირებდნენ საბოლოო ნახდენასა და დასაჭურისებას.

— ყოველი ცოცხალი, თავისუფალი აზრი სასტიკად იდეგნებოდა. არა თუ ხელისუფლების პოლიტიკის საწინააღმდეგო — ამაზე ხომ ლაპარაკიც კი შეუძლებელია — არამედ ყოველად უწყინარი ნეიტრალური აზრი იდეგნებოდა. რაც ხოტბას არ ასხამდა და დიდების საკმეველს არ უკმევედა პარტიას და ხელისუფლებას, უკვე ნეიტრალურ ნაწარმოებად კი არ ითვლებოდა, არამედ მტრულად, საზოგადოებისათვის მიუღებლად, ახალგაზრდობისათვის მავნედ და გზის ამბნევად.

და მკაცრად მოითხოვდა ხელისუფლება და ოფიციალური კრიტიკა პარტიულ პოზიციაზე დგომას ანუ ყველა ნაწარმოებში მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური (პარტიული) ტენდენციის გამომჟღავნებას. და თუ მაინც მოინდომებდი დაგებეჭდა ნეიტრალური ლექსი ან მოთხრობა — სიყვარულზე, ბუნებაზე, მეგობრობაზე, პირადზე, თორემ საბჭოთა კავშირის ხალხსა მეგობრობის თემა ერთი აუცილებელი მოთხოვნა გახლდათ — აუცილებელი იყო ეგრეთწოდებული „პარავოზის“ ნამძღვარება, და თუ ორ-სამ ასეთ თხრობას შეარჩევდი, „პარავოზიც“ ძლიერ უნდა ყოფილიყო — ქებადიდება პარტიის, საბჭოთა სოციალისტური სამშობლოსი, ხოტბა საბჭოთა და პარტიული მოღვაწეების... ხოლო თუ ნეიტრალურ ციკლს გამოაქვეყნებდი? ამას ერთი „პარავოზი“ რას უშველიდა.

და ვახტანგ ჭელიძე მეტი თვალსაჩინოებისათვის ურჩევდა მკითხველს, წარმოედგინათ ლიხის უღელტეხილზე მიმავალი მძიმე საბარგო ვაგონების შემადგენლობა, ზოგჯერ ორორი და სამ-სამი ორთქლმავალი რომ ება. ზოგჯერ კი ორი ორთქლმავალი წინ ება და ორიც — უკან.

— ზუსტად ასევე მოითხოვდნენ ლიტერატურაშიც, ტყუილად კი არ შეარქვეს „პარავოზი“.

ხან ესეც არა კმაროდა — შესაძლოა იმაზეც მოგდავებოდნენ და შარი მოედოთ: „პარავოზი“ კი მოგბამს, მაგრამ ამ ლექსისა თუ მოთხრობის დაბეჭდვა მაინც არ შეიძლებოდა, ეს რედაქტორის სიბეცესა და სიფხიზლის მოდუნებას მოასწავებსო.

ნეიტრალურ თემებს, საგვებით ნეიტრალურ თემებსაც არ გვანებებდნენო, — იმეორებდა და ამ მოთხოვნის ამოსავალსაც ამშველებდა: ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერიაო.

და, აბა, ახლა წარმოგვედგინა, პარტიისა და ხელისუფლების საწინააღმდეგო თუ მოუჩვენებოდათ რაიმე!.. მიკროსკოპით რომ უიკრიკებდნენ ყველაფერს, „საწინააღმდეგოსაც“ აღმოაჩენდნენ, თორემ მართლა საწინააღმდეგო როგორ გამოჩნებოდა... და ატყდებოდა განგაში და რა ატყდებოდა!.. არა და აღარ გათავდებოდა დამუშავება — ეს პრესაო, ეს პლენუმიო, ეს კონფერენციაო, ეს ყრილობაო...

რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა, თუ ვინ იდგა ხელისუფლების სათავეში — იქ, ცენტრში, თუ აქ, ჩვენს რესპუბლიკაში, 70-იან წლებში საქართველოს ხსენებაც რომ განიდევნებოდა ოფიციალური გაზეთების ფურცლებიდანაც და ტელევიზიის ეკრანიდანაც?

არავითარი, სრულიად არავითარი.

— თანაც ბესო ჟღენტისთანა კრიტიკოსები თავგამოდებით ცდილობდნენ ერთგული სამსახური გამოეჩინათ და იმათგან ხომ მოსვენება არ იყო. გარდა ოფიციალური კრიტიკისა, ხდებოდა გამოძახებები ცეკაში — ამას ავტორები და ფართო საზოგადოება ვერ ხედავდა — მკაცრი გაფრთხილებები, საყვედურები, მუქარა...

— ბესო როგორ იტყოდა? — შეუჩნდებოდა თვით გერონტი ქიქოძეც ვახტანგს და წინასწარვე ებადრებოდა სახე გულიანი სიცილის მოლოდინში.

სულის მოთქმასავით იყო პაროდირების ეს სეანსები — „მსახიობისთვისაც“ და მაყურებლისთვისაც...

ზოგიერთი მასალის შინაარსი აკი ადრევე გაცხადდებოდა გარკვეული წრეებისათვის...

და, აი, „ცისკრის“ დაარსების 25 წლისთავეზე ვახტანგ ჭელიძე წინ დაიდგა ჟურნალის პირველი ნომრის ორ დაბეჭდილ და აკინძულ ცალს, რომელნიც ერთი შეხედვით თითქოს არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, მაგრამ როდესაც კარგად დაათვალიერებდი, განსხვავება თვალშისაცემი აღმოჩნდებოდა.

ვთქვათ, პირვანდელ ვარიანტში გარეკანზე დაბეჭდილი იყო ალექსანდრე ბანძელაძის ნახატი — თბილისის უნივერსიტეტი, და ეს იმ მიზნით, რომ ყდაზევე გამოტანილიყო რაიმე ახალგაზრდული თემა.

მაგრამ... ვილაცხას ეს ნახატი ფორმალისტურად მოეჩვენებოდა.

არადა, მწარედ ელიმებოდა ვახტანგ ჭელიძეს: ნამდვილ ფორმალისტს რომ აჩვენო, იქნებ სწორედ იმიტომ დაიწუნოს, რომ უკიდურესად ნატურალისტური მოეჩვენებათ.

უკვე აკინძული ჟურნალი დაიშლებოდა, უნივერსიტეტის გამოსახულებიანი გარეკანი განადგურდებოდა და ახალი დაიბეჭდებოდა, და სწორედ ამ ახალი გარეკანით გავრცელდებოდა პირველი ნომერი.

ბოლოსდაბოლოს რა სურვილი ჰქონდა ამისთანა რედაქტორს — ყოველი ნომრის ყდაზე რაიმე თემატური ნახატი ყოფილიყო, ეგაა და ეგ, და თურმე ეს უწყინარი განზრახვაც თავიდანვე განუხორციელებელი უნდა დარჩენილიყო. პირველ ნომერში ველარ მოესწრებოდა ნახატის შეცვლა, და რაკილა პირველში არ დაიბეჭდა, მერე საერთოდ აიღებდა ხელს.

პირველ ვარიანტში იბეჭდებოდა ზურაბ კაკაბაძის წერილი „საბჭოთა ხელოვნების შეუფერხებელი განვითარებისათვის“.

მეორე ვარიანტში კი ამ სტატიას ველარსად წაანყდებოდა — ის უკვე დაბეჭდილი ტირაჟიდან ამოიხეოდა და მას ჩაენაცვლებოდა თინა კოპლატაძისა და ზურაბ ჭუმბურიძის წერილი „რუსულ-ქართულ ფრაზეოლოგიურ შესატყვისობათა დადგენისათვის“.

ამისთანა „მკრეხელური“ მაინც რა შეიძლება წერებულყო ზურაბ კაკაბაძის სტატიაში? რას იზამ, როდესაც მიკროსკოპით ჩხრეკენ და შარს გდებენ, თორემ რედაქტორისათვის ეს გახლდათ ჯანსაღი, თანამედროვე ცხოვრებით ნაკარნახევი სულისკვეთება, იმ დროისათვის აქტუალური და საჭირო-

როტო მასალა. და გულდასაწყვეტი იქნებოდა, თუ ავტორი ოდესმე თავისი წერილების წიგნში არ დააბინავებდა.

ცვლილება შეეხებოდა ნიკო ჭავჭავაძის სტატიასაც „ესთეტიკური აღზრდის ზოგიერთი საკითხის გამო“, რომელშიც შემცირდებოდა ზოგიერთი ადგილი და, სამაგიეროდ, რამდენიმე აბზაცი დაემატებოდა. და ამ შეკერქილი სახითაც მწვავე გამოხმაურებას გამოიწვევდა, მიუხედავად იმისა, რომ მის მკაცრ პათოსს ისედაც ანელებდა სათანადო ტაქტი, მაგრამ ასეთ თუ ისე, წარმოჩნდებოდა ესთეტიკური აღზრდის მანკიერი მხარეები და კრიტიკულ ცეხვში გატარდებოდა აშკარა ვულგარულ-სოციოლოგიური მიდგომა მხატვრული თხზულების ანალიზის დროს, დამამტკიცებელი მაგალითები კი ამოიკრიბებოდა სასკოლო სახელმძღვანელოებიდან. და რა გასაკვირია, ძალიანაც გაღიზიანებულიყვნენ დაუფარავ კრიტიკას მიუჩვენებელი ავტორები იმ სახელმძღვანელოებისა.

ჯვებე დუმბავასა (ნოდარ დუმბაძე) და ედიშერ ყიფიანის (ომეგა ალფაიძე) მართლაც შესანიშნავ იუმორისტულ ნოვლებთან დაკავშირებით ვახტანგ ჭელიძე აღნიშნავდა: აქ ძალიან ცოცხლად და მწვავედ იყო დახატული თითქმის დაკანონებული უბადრუკი წესი მხატვრული ნაწარმოების განხილვისა, და იქვე მოტანილი იყო თითქმის ტრაფარეტადქცეული კრიტიკული წერილის ასლი, როგორც უპრინციპობისა და სიყალბის ნიმუში, აქ, რა თქმა უნდა, ბევრი საკუთარ თავს იცნობდა და განაწყენდებოდა, ისინი დაჩვეულნი არ იყვნენ ასეთ კრიტიკასო.

ასეთ ზოგად შეფასებას ამჯობინებდა. არა, თვითონ ეს მასალებიც განზოგადებული გახლდათ და არაერთი და ორი ოფიციალური კრიტიკოსი იცნობდა საკუთარ თავს ამ ლალ იუმორს ამოფარებულ საკმაოდ ცხარე სარკაზმში, მაგრამ უპირველესად მაინც ერთი კაცის „გიგანტური“ ფიგურა ამოიხვეტიებოდა ორივე იუმორესკიდან, სალიტერატურო წრეებიც იოლად რომ მიხვდებოდნენ ავტორთა ჩანაფიქრს და ცოტაოდნავ გამოცდილ მკითხველსაც არ გამოეპარებოდა. და მაინც, ედიშერ ყიფიანი მოვალედ მიიჩნევდა თავს, კომიკური პერსონაჟის ფრაზაში, ტრიბუნაზე გადმომდგარი რომ ორატორობს და დარბაზიდან წამოსროლილ რეპლიკასაც იქვე შეაგებებს მასუხს, პირდაპირ გაემიფრა ორივე იუმორისტული ნოველის მთავარი გმირი:

— ბესო, შენ რომ ლაპარაკობდი, მე არ გიშლიდი ხელს.

ძალზე მწვავედ გაისმოდა ეს სახელი და თვით გამოუცდილ მკითხველსაც დააყენებდა სწორ კვალზე.

კარლო კალაძესა და სერგი ჭილაიას ისედაც მოეძვებოდათ ყველგან ფარული ხერხელები, აქ კი, „ცისკრის“ მომზადება-დაბეჭდვის პროცესში ეს ფარული ხერხელები არც სჭირდებოდათ, ორივე მწერალი-ფუნქციონერი „ცისკრის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ბრძანდებოდა და ოფიციალური ნებართვაც აქედან მიეპოვებინათ — ჩაუხედავად ჟურნალის სარედაქციო პორთფელშიც და თვალყური ედევნებინათ მისი მომზადების პროცესისთვისაც. და იქ ირაკლი აბაშიძესთან მიცვივდებოდნენ, იქ ბესო ჟღენტთან, იქ კიდევ სხვავან და სხვავან...

ამოცნობით ხომ ადვილად ამოიცნობი, ისეთი გამჭვირვალე შტიხებით ხარ დახატული, ამას კიდევ ვინ ჩივის, პირდაპირაც ხარ დასახელებულიო, — ყალბი თანაგრძნობით შეატყობინებდნენ ბესო ჟღენტს და ისიც სასწრაფოდ დაფაცვრდებოდა: თუ მასალებს ვერ ამოაყრევიწინებდა ზემდგომ ორგანოთა შემწეობით, ეგებ სახელი მაინც ამოუშლევინებინათ.

იმას ვერა, ამოყრას, მაგრამ ამას კი მიალენვდა, ამოშლას, და დაბეჭდილ ვარიანტში აღარსად გაჭაჭანდებდა მისი სახელი, და ის ფრაზა ასეთნაირად შეკეთდებოდა:

— კაცო, შენ რომ ლაპარაკობდი, მე არ გიშლიდი ხელს.

დიახ, „ბესოს“ ნაცვლად ზოგადი „კაცო“.

და მაინც დაიქანდა გუნებაში: ჩემზე იყოსო, — ვახტანგზე ისედაც გაგულისებული ახლა მთლად რომ გააღმასდებოდა და მტკიცედ ჩაითქვამდა, აკვანძივ ჩაესრისა ჟურნალი.

საამისოდ კი აუცილებელი გახლდათ ირაკლი აბაშიძის თანადგომა, და საგანგებოდ ეწვეოდა მწერალთა თავკაცს კარლო კალაძესთან ერთად და არანაკლებ ყალბი თანაგრძნობით ამცნობდა: რომ იცოდე, მასხრად გიგდებენ, ისეთი შეურაცხმყოფელი რამ წერია შენზეო.

ის რომ ჩაეკითხებოდათ, დაუზუსტებდნენ, შენს სამოგზაურო ნარკვევში „ინდოეთის გზებზე“ ისეთი პაროდიაა შეჭრილი შენს კარიკატურასთან ერთად, შენი თავმოყვარეობის კაცი არაფრისდიდებით არ მოითმენსო.

იმას დაჯერება არ ენდომებოდა, მაგრამ... შეფიქრიანებით კი შეფიქრიანდებოდა, ნეტა რა უნდა იყოს ამისთანაო. და ეჭვით დააკვირდებოდა გიგლა ფირცხალავას ნახატს, რომელზეც იოსებ ნონეშვილთან ერთად იყო გამოსახული, და მერამდენედ გადაიკითხავდა მის და იოსების ლექსთა პაროდიად შეთხზულ სტრიქონებს.

მას ასეთ რამეს ათქმევინებდა პაროდის დაფარული ავტორი, მარჯვედ რომ მიემსგავსებინა მისი სტილური მანერი-სათვის:

**დამიხედე, იოსება,
სად მოსულა ბენგალიას!
ინდოური არ გეგონოს,
ჩვენებური მერცხალია.**

რის პასუხადაც იოსებ ნონეშვილის პოეტური ინტონაცია და ალუზიური შეხმინებანი მის სტრიქონებთან ასეთ სტროფად უნდა აწყობილიყო:

**ვხედავ, მესმის, მის ჭიკჭიკში ეხლაც
საქართველოს სიმღერები ისმის,
ო, როგორ ჰგავს ჩემი ბინის მერცხალს!
ბიჭო, იქნებ პაპა იყოს მისი?!**

გადაიკითხავდა და... ვერაფერს იპოვნიდა, მასხრად აგდებულად რომ ეგრძნო თავი.

და ვახტანგ ჭელიძეს რომ შეხვდებოდა, გაკვირვებული ეტყოდა, ოღონდ თან თვალშიც ისე მიაჩერდებოდა, ეს შეატყობდა, ცდილობს ჩემი რეაქცია დაიჭიროსო:

— აქ შეურაცხმყოფელი არაფერი არ უნდა იყოს...

ცხადია, აღარ დაუმატებია მათი სახელი, ვისაც გაელიზიანებინა: შეურაცხმყოფელიაო.

თუ რედაქტორს მართლაც მისი მასხრად აგდება განეზრახა, მზერა უეჭველად გასცემდა და ირაკლიც დაიბეჯითებდა თავის ეჭვს... მაგრამ რაკილა სახალისო მიზნის გარდა ამას სხვა განზრახვა არ ამოძრავებდა, თამამად გაუსწორებდა მზერას და გულიანად გაიცინებდა.

იმას აშკარად ესაიამოვნებოდა და აჰყვებოდა.

თუმც, ეს იგრძნობდა, რომ პატარა ეჭვი მაინც დარჩებოდა გულში.

ის ნაქეზება რომ არა, არც ამ გამოცდის მოწყობა დასჭირდებოდა და თავიდანვე თვითონაც გულიანად იცინებდა: მეგობრული შარჟიც რა კარგია და ეს პაროდიაც რა მარჯვედ შეუდგენიათო.

ყველა-ყველა და იუმორის გრძნობა ნამდვილად არ აკლდა, თვითონაც მოსწონდა მოსწრებული სიტყვა და სხვის გონებაამხვილობასაც აფასებდა.

არც მისი ხმის იმიტატორობა აბრაზებდა, თორემ მასთანაც ექნებოდათ მიტანილი ამბავი: ვახტანგ ჭელიძემ სუფრაზე ასე და ასე გაგაჯავრაო!.. მაგრამ საყვედური არასოდეს დასცდენია.

ვერა, ვერ გადაკიდებდნენ თავგამოდებული მოქიშპენი „ცისკარსა“ და მის რედაქტორს ამ ძლიერ სახიფათო ბოზოლას ირაკლი აბაშიძესაც.

მეგობრული შარჟი და პაროდია შეხმინება საწყენი რომ იყოს, აბა, სამუდამოდ უნდა მოეკიდებინა მტრად ის

მწერლებიც, რომელთა შარჟებსაც თენგიზ გოგოლაძე მიანგდიდა მეტად ორიგინალური ფორმით: თითო-ოროლა შტრიხს რომ იკმარებდა სილუეტისა თუ განწყობილების მოსახზავად, — და ვახტანგ ჭელიძეს საამაყოდ დარჩებოდა ასეთი იშვიათი მასალის მოპოვებაც და ახალგაზრდა პროზაიკოსის შეგულიანებაც კარიკატურის ჟანრში, შემდგომ გამოფენასაც რომ მოაწყობდა და მთელ ალბომსაც რომ მოუყრიდა თავს პირველივე წარმატებით ფრთაშესხმული.

განსაკუთრებით პავლე ინგოროყვას შარჟი აღაფრთოვანებდა და ორიოდ ნაწყვეტში ჩატიულ ღრმა განცდას სულაც ნოველად მოიხსენიებდა, ამ შტრიხებზე დაკვირვება მკითხველის წარმოსახვას ძალდაუტანებლად რომ აიყოლიებდა და მიხვედრებდა, რომ ეს ნაწყვეტები გამორჩეულ პიროვნებას აირეკლავდა.

ნოდარ დუმბაძისა და ედიშერ ყიფიანის ნოველები კი მანცდამანც სიცილის გუნებაზე ვერ დააყენებდა მათ პროტოტიპს, ვინც წლების წინათ ლადო ასათიანსაც გაემასხრებინა თავის უბის წიგნაკში. იმ ჩანანერის გამოქვეყნების დროჯერ არ დამდგარიყო და ერთი ნოველის ავტორისთვისაც და მეორისთვისაც უცნობი რჩებოდა ის გონებამახვილურად შეთხზული პაროდია ცრუკრიტიკული სტილისა, მაგრამ უნებურად სწორედ იმ მანერას ეხმაურებოდნენ, რაკილა კრიტიკოსის უპრინციპობაც და სიყალბეც, მისი ყოველად გონჯი სტილიც თვითვე გინვევდა გასაპამპულელად.

ისე სხვა რა უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი მოძრავი, წელში გამოყვანილი კიდურებიანი ყუთისაგან, რომელსაც ზემოდან თვით ან ჭინჭით გატენილი თავის მაგვარი ბურთი ადგა და... ორი ჭრილიც ჰქონდა — ერთი ამ თავის კოტორზე, ხოლო მეორე იქ, სადაც ჩვეულებრივ ადამიანებს პირი აქვთ. პირველ ჭრილში ჩაადგებდი ფულს, ჰონორარის სახით, ხოლო მეორეში — სარეცენზიო ნაწარმოებს. დააჭერდი თითს ღილაკს, რომელიც მანქანას დაახლოებით „მაზოლის“ ადგილას მოზმოდა, და კიდევ დაიწყებდა კრიტიკული წერილის შედგენას.

„მოვლენების აბუნდაციაო“, ერთგან ამ სიტყვათშეთანხმებასაც რომ ამოიკითხავდით, სწორედ ეს აბუნდაცია მსჭვალავდა იმ კრიტიკული სტატიის მანერას.

ხოლო რაც შეეხება ახალი ტიპის მოზაროვნე მანქანას, რომელიც ადამიანის დაუხმარებლად ამჩნევდა ყოველგვარ ზედმეტ მოვლენას, ნივთსა თუ საქციელს და თვითონვე სპობდა ამ ზედმეტობას, როდესაც მას მწერალთა კავშირის წევრთა სიას აჩვენებდნენ, თვალისდახამხამებში გაამესამედებდა, ხოლო როდესაც ვიღაც იხუმრებდა: აბა, მოდი პრეზიდენტის სიაც ვაჩვენოთო, — ამის თქმა და მანქანის გამოთქვა ერთი იქნებოდა.

ბესო როგორ იტყოდაო? — აგულიანებდნენ ვახტანგ ჭელიძეს და... იყო ერთი სიცილი და გნასო.

აკვანშივე, აკვანშივე ჩავსრისავო — ერთ დროს კი შესწევდა ქადილის ძალა ამ მუქარის მთქმელს, მაგრამ ახლა როგორღა გაუჭრიდა ნაცადი სიტყვა?!

პირველ ნომერს ივნისი კი აწერია, მაგრამ ის უხეში ჩარევა საკმაოდ დააბრკოლებდა და უფრო დაგვიანებით ამოაღწევენებდა დღის სინათლეზე. და ზაფხულის ერთ დღეს (ვერა, ვერ მოიხსენიებდა იმ დღეს მშვენიერად!), ჟურნალის სასიგნალო ცალი ჯერ მხოლოდ ვახტანგ ჭელიძეს რომ ეკურა ხელთ და მკითხველამდე ვერ მიელენია, მწერალთა კავშირიდან შეატყობინებდნენ, რომ გაფართოებული პრეზიდენტის სხდომაზე იმ დღესვე იყო დანიშნული „ცისკრის“ პირველი ნომრის განხილვა.

რა გასაკვირია, რომ ამ მოვლენას მოულოდნელსა და უპრეცედენტოს უწოდებდეს ვახტანგ ჭელიძე — არც ხელისმომწერლებს მიუღიათ, არც საგაზეთო ჯისურებში გაუტანიათ და... როგორ გინდოდა აგეხსნა ასეთი ძნელად გასაგები აჩქარება?!

მიხვედრით კი... ავს უგრძნობდა გული.

თუმც მამინ ამას რას იფიქრებდა, რომ ამ განხილვით იწყებოდა მთელი ციკლი ასეთივე „განხილვებისა“... და ვერც

იმას იფიქრებდა, რომ მოუხდებოდა გადაკეთება უკვე საბეჭ-
დად გამზადებული მეორე და მესამე ნომრებისაც.

რედაქტორი სასწრაფოდ გაეშურებოდა მწერალთა კავ-
შირში, რათა ეთხოვა: ცოტათი გადავდოთ, ვიდრე ჟურნალი
გავრცელდებოდეს და მკითხველამდე მიაღწევდესო.

მაგრამ ამის მისვლისას მწერალთა კავშირის თავმჯდომა-
რის კაბინეტში უკვე იკრიბებოდნენ მწერლები.

— გადადება უხერხულია, — მიუგებდა ირაკლი აბაშიძე,
— მომხსენებელი უკვე მზად არის და მერე იქნებ ვეღარ მოი-
ცალოს...

ვეღარ მოიცალოს კი არა, სხვა აღარაფრისთვის აღარ მო-
იცლიდა, ოღონდაც რედაქტორის ჯავრი ამოეყარა.

ახლა იქვე წარმდგარიყო, თავმჯდომარის სიახლოვეს და...

— მორიგი გამარჯვების სიხარულით ცმუკავდა.

ერთი ფრაზით რაოდენ მარჯვედაა წარმოსახული ხელი-
სუფლებისაგან განებივრებული და ზურგგამაგრებული ადა-
მიანის პორტრეტი, კრიტიკოსობა მოგების სარფადაც რომ
უქცევია და ანგარიშსწორების ასპარეზადაც.

— ასეთი „გამარჯვებების“ სიხარული მას აქამდეც ბევრ-
ჯერ განეცადა და მომავალშიც ბევრი ელოდა.

რატომაც არა — როდესაც პასუხი აღკვეთილი აქვთ და
მარტო შენ დაგრჩენია ბურთი და მოედანი. და თუ როგორმე
მოხერხდება შეკამათება, ისიც წამიერად, რადგანაც იმხელა
ძალაა შენს მხარეზე ტოტალიტარულ სახელმწიფოში, რომ
უთანასწორო შერკინება დიდხანს ანკი როგორ გასტანს!..

ოცი წლის წინათ მიხილ ჯავახიშვილი შეგეძლო სასიკვ-
დილოდ გაგესტუმრებინა.

ახლა ამდენის უფლება აღარ გაგაჩნდა, მაგრამ დევნაში
ხომ მოაყოლებდი ამომიზნებულ პიროვნებებს და საგრძობ-
ლად რომ გაურთულებდი ცხოვრებას, ესეც გეყოფოდა თავ-
მოსანონებლად და საკუთარი ძალმოსილების დასატკობად.

ახლაც ცმუკავს და წინასწარ არ ამჟღავნებს თავის საში-
ნელ განაჩენს.

მისი მოხსენება რომ სწორედაც განაჩენი იქნებოდა და
არა განხილვა ჟურნალისა, რომელიც ჯერ კრების არცერთ
მონაწილეს არ ენახა, დიდი რამ მიხვედრა არც სჭირდება.

რა გგონიათ, მზერას კი არ აარიდებდა რედაქტორს, ვინც
გრძნობდა, რომ რისხვა დაატყდებოდა თავს, მაგრამ ისეთი
საშინელი და უღმობელი თუ იქნებოდა, ძნელი წარმოსადგენი
გახლდათ, დიახ, მზერას კი არ აარიდებდა ან კი არ გაცვლე-
ბოდა, გაუცინებდა კიდეც შინაურულად, ჯანმრთელობის ამ-
ბავსაც გამოკითხავდა.

— ესეც მისი ჩვეულება გახლდათ.

ქეთევან ჯავახიშვილი ბიოგრაფიულ რომანში თავის სახე-
ლოვან მამაზე იხსენებს, რომ როდესაც კი შემთხვევით შეხ-
ვედრია ბესო ჟღენტს ქუჩაში ან საზოგადოებაში, იმას უხერ-
ხულობისაგან აღარ სცოდნია როგორ მოქცეულიყო. გადამე-
ტებით გამხიარულდებოდა, ენამახვილობდა, იცინობდა და
სხვებსაც აცინებდა. ქეთევანს, ცხადია, ვერ აიყოლიებდა.
ქალს მიაჩნდა, რომ თავისი თავშეკავებულობითა და დუმი-
ლით გამოჰქონდა მისთვის თავისებური სასჯელი. ძალიან არ
ენალვებოდა ბესოს ასეთი „სასჯელი“? ნაძალადევი გამხიარ-
ულებაც და ენამახვილობის ფინიც უხერხულობისაგან კი არ
მოსდიოდა, როგორც მიაბიჭურად შეიძლება გეფიქრა, არა-
მედ ცინიზმით, ადამიანის აბუჩად ავდების სურვილით, საზო-
გადოებისათვის თვალში ნაცრის შეყრის ნადილით, თორემ
იმას ხომ მაინც აღარ იკადრებდა, რომ მიხილ ჯავახიშვილის
იუბილეს დღეებში (დაბადების 80 წლისთავი რომ აღინიშნე-
ბოდა), საზოგადოებრივი გამოქვეყნებინა და... სულაც მთა-
ვარი მომხსენებლობა მოეწოდებინა? ვითომც არაფერი —
თითქოსდა მისი ის სამარცხვინო სტატია, მიხილის დაპატიმ-
რებისთანავე გამოქვეყნებული, ლიტერატურული ჯალათის
ხელით შედგენილი საბრალდებო განაჩენი არ ყოფილიყო.
თუ ოდნავი მონივნების გრძნობა მაინც აუტოკედებოდა, ვინ

უშლიდა თავზე ნაცრის დაყრას და საჯაროდ უარყოფას თა-
ვისი იმ უგვანი მოქმედებისა?! ამის ნაცვლად — ასე უტიფ-
რად გამოჰქიშვა საზოგადოების წინაშე?!

როდესაც ქეთევანი ირაკლი აბაშიძეს, საიუბილეო კომი-
სიის თავმჯდომარეს, თავის რჩევას უზიარებდა, თუ ვინ ყო-
ფილიყო მთავარი მომხსენებელი, ის შეეცდებოდა ბესო ჟღენ-
ტის მომხსენებლობაზე დაეყოლიებინა წამებული მწერლის
ქალიშვილი: ვატყობ ძალიან უნდა, რომ წაიკითხოს მოხსენე-
ბა და არ ეწყინოსო.

ეს აღმოფთვებოდა და თავმჯდომარეს უარს განუცხა-
ლებდა:

— რა სინდისით გამოვა საზოგადოების წინაშე, როგორ
დადგება ტრიბუნაზე, საიდანაც მამას ხშირად ცილსა სწამებ-
და და ლაფს ასხამდა. ეს არაფრით არ შეიძლება, ეს იქნება
ჩვენი საზოგადოების შეურაცხყოფა და შესაძლოა უსიამოვნო
ამბავიც მოჰყვეს. დარბაზიდან ვინმემ რამე რომ დაუძა-
ხოს ბესოს, საღამო ჩაიშლება.

ოოო, ეს უკვე საფუძვლიანი არგუმენტი გახლდათ და
ირაკლი აბაშიძეც შეფიქრიანდებოდა და ბესო ჟღენტსაც და-
ითანხმებდა, მორიდებოდა მომხსენებლობას, თორემ... რა
სინდისით? რომ იცოდეთ, თავმომწონედ გადმოდგებოდა
ტრიბუნაზე და გაიხსენებდა... როგორ ერთგულად და თავ-
განწირვით ედგა მხარში მწერალს იმ საზარელ ჟამს.

ერთხელ ისიც რომ წამოცდებოდა ქეთევანთან თავის გასა-
მართლებლად: ბერიამ დამიბარა და დამემუქრა, ამ სტატიას
თუ არ დავწერდი, მეც მოუსავლეთის გზას გამიყენებდო, —
ასეთი „თვითღიარება“ გულუბრყვილო ადამიანსაც ვერ შეა-
დგენდა, და ქეთევანიც გაიფიქრებდა: ბესოს ვინ რას უნდა და-
მუქრებოდა, ბესოსნაირი ადამიანები ხომ ჰყარით სჭირდე-
ბოდა ხელისუფლებას უგვან საქმეთა მოსაპირკეთებლად, და-
ნაშაულთა კვერის დამკვერლებად და გამამართლებლებადო.

ახლა აქ აცმუკებულებო და... შეფარული ცინიზმით კინა-
ლამ ვახტანგ ჭელიძეც განეწყო საიმისოდ, რომ განხილვა ლი-
ტერატურულ ფარგალს არ გადასცილდებოდა... აგერ ირაკლი
აბაშიძეც დაბეჯითებით ეტყოდა: არაფერია, მეგობრული სა-
უბარი გვექნებაო...

და ასე სიცილ-სიცილითა და ტკბილი მუსაიფით დაეშვე-
ბოდნენ კიბეზე და გაემართებოდნენ სხდომათა დარბაზისა-
კენ, სადაც ჟურნალის პირველი ნომერი უნდა განეხილათ.

ასე დაიწყებოდა „ცისკრის“ ცხოვრება.

დაბადებისთანავე შავი ყორანი რომ უნდა ასდევნებოდა.

სილაღე, სიხარული, რაც ნომრის მზადების პროცესში
ასეთი ხელშეხახები გახლდათ, აკი უკვე შეიბურებოდა მოსა-
ლოდნელი ჯანლის ფთილებით, მაგრამ მონინალმდევე გუნ-
დის დაუფლობის გათვალისწინება მაინც ძნელი აღმოჩნ-
დებოდა.

მოგონება მომხიბლავი ფერებით შემოსილიყო, იმ სიხარუ-
ლის, ლალი განწყობილების სული ერთბაშად შემოჭრილიყო
თხრობაში, რომლის ფინალიც მიაწინებდა რალაც ავისმო-
მასწავებელს, კონტრასტულს იმ სიცილ-სიცილისა და ტკბი-
ლი მუსაიფისა.

თხრობა აქეთ მოეშურებოდა, ამ თითქოსდა არაფრით გა-
მორჩეული, მაგრამ უაღრესად დამუხტული ფრაზისაკენ,
რამდენიმე განცდა რომ შენასკვია ერთმანეთს:

— ასე დაიწყო „ცისკრის“ ცხოვრება.

და ეს მარჯვედ მიგნებული აკორდი აღმოჩნდებოდა ის
ნოველური ფინალი, ტრაგიკომიკურ რეალობას რომ სჩვევია,
მაგრამ გამორჩევა და შესაფერის ყალიბში მოქცევა სჭირდე-
ბა ხოლმე, რათა მემუარისტული ჩანაწერი დოკუმენტურ ნო-
ველად გარდაისახოს, ერთიერთმანეთზე აკინძულებმა კი ან
მთელი ციკლი მოიცვან ავტობიოგრაფიული წიგნისა ანდა
რომანში ჰპოვონ თავთავისი ადგილი, თუნდა ამ ჩანაწერს რაც
მოელოდა — უფრო გამოილესაც და ბოლომდე გამოფრულსაც
რომ გადაიტანდა ეპიკური თხრობის ქარგაში.

ნატა ვარადა

მერვე დღისა. შაღამიანოდ

(პოემა)

ნაწილი ჰირველი, ზარელიეფი:
„შენ ხარ კენახი“

ვაზის ყვავილების დღეობა

შვიდივე ვნებას გამოვუძებნი სახელს,
გამოვუძებნი რამეს.
დავწნავ ერთმანეთში,
ერთმანეთზე გამოვაბამ კუდიანებს.
თმას გირლანდებად შემოვიხვევ,
კეფამდე ავიჭრი, გავატან წყალს.

მერვე დღისას კი მაინც ვერ ვინამებ,
სრულყოფილებისას, ადამიანადყოფნისას.
მე თუ ეთერივით კბენარს მივანებე თავი,
ჯანდაბამდის,
ვაზის ყვავილების ახლად გამოღებულ სინედლეს,
სეტყვა და შტორმი აარიდე შინდისფერა მწვანეს.
გავიშლები ახლად,
ახლად გავიცინებ, როცა ყვითელი სისათუთით
ვაზი ყვავილში გაიხარებს.

შვიდივე დღეს მიწაში დავფლავ.
სისხლის მდინარით მოვრწყავ.
საორშაბათო მერვე დღის მიწის ბორცვები
რომ გადაიხსნას:
— ლაზარე არ გამოსვიდე!

რელიეფი. ლურჯი შაშვი

დღის ნათელ შუაღამეს, ზეცაში.
ან იდუმალ სავსე მთვარისას.
ზღვის სილურჯეში, შავი ხავერდის ლბილობში
„ამოდის, თენდება“.
ეს ცეცხლოვანი ვნებაა ვარდების.
სინათლის ანგელოზების.
არასდროს მთავრდება პორტუგალიური ფადო.
ზამთარი მწარდება ქარით,
მკაცრდება ზაფხული სიმსუბუქით.
შენი შეძლებით დგება ნათელი გაზაფხულის კვირების,
თუ შემოდგომის ხანგრძლივი ღამეებია —
ვარდების მელოდიაა ჩემი ზეციური ხმა.
ლურჯი შაშვის გაზაფხულზე სიმღერით კი
დედამინა აღორძინდება:
— ვცხოვრობ უშენო სიზმრებით, მე შენი ფრთები.

ლოცვა მკაცრებისთვის ეშმაკთა განსაღებლად

მარიამ.
ფეხშიშველს, ტანისამოსი ზედ კანივით შემოფლეთია,
სახზე კი ანაბეჭდები სამკაულებად გამოხატვია —
ესენი არიან,
მარიამ.



ვინც მეზღვაურებს შუაღამისას, რწყევითა და მუცლისგვრემით
თავგაბეზრებულთ ხვდებოდნენ ბნელ და ნავით სავსე ქუჩების
ბოლოს,
მიეცემოდნენ აღმოსავლეთს, ახლო თუ შუა ქვეყნებიდან
მინარეთების მდინარებას ჩამოყოლილ
ეგზოტიკას,
და ეძლეოდნენ მხოლოდ ბნელში, მხოლოდ ნესტში, მხოლოდ
ზღვის პირას, მეგვიპტელთა ნესით და რიგით.
ერთხელაც, როგორც ზღაპრებშია, სხვა გზას დაადგენ,
და გზა მთის მწვერვალს გაუყვან —
ტყე-ტყე, უღრანში.

შვიდი ეშმა გამოვარდა, ქოფაკნი ძაღლნი,
შვიდჯერ ვნებულნი მუხლისთაგების ყვლეფით,
გადაწყდნენ ტაძართა კარებთ.

მარიამ.
მათ მოეხურათ, ფეხთშიშველთ და სამოსგანძარცვულთ,
სამოთხის კარი. ცხვირნი. პირდაპირ.
და მათ სულელებს აღარ აქვთ შვება,
თუ გაქვს დრო და თუ გაქვს მოცდა, დაო
ამო-
თქვი
მათთვის:

მზევ. მზეო. ჰეი, აქეთ.
ბილიკი და საფარველი შენი ფრთების აღირსე
მეძავ ქალწულებს,
ვინც მამებმა სახლებიდან გამოაძევეს,
ვინც უპატრონო სახლებს ეკედლა და ეშმაკების
საბუდრებად ზრდიდნენ საშოებს.
მზევ. ჰეი, ერთო, ერთადერთო.
ცისკრის ცვარით გაუნმინდე ჭრილობები გოგონებს,
დედობა რომ არ ეღირსებათ, და შიშვლები სხვათა
შვილებს არიდებენ ბოროტის მზერას,
გადაპობილ მკერდს უხვედრებენ, მიყვებიან
სოფლის ბოლომდე. მიტოვებულ ტბების ხიდებზე
მიყვებოდნენ და მარტო რჩებოდნენ.

შვიდგზის განმინდე დილის ცვარით და ჭირხლით.
 დაე ვინც ჩანვა მიეზარა უიმედო განსასვენებელს.
 დაე ვინც დახუჭული თვალებით
 გადავიდა ბენვის ხიდზე და
 პირველივე საზვერეზე ჩავარდა.
 ნელსაცხებელთა სიგრილე აცხე, ზეთი აცხე, ხორცი დაუღბე.
 მარიამ. დები. ავ-სულები.
 ხიდო, სიცოცხლეშივე მომკვდარ მეძავთა,
 მინიერი ჯოჯოხეთისავე,
 და გამო-
 აბრწყინე საშინელ და მშვენიერ ა-სულებად.
 ერთ ცისარტყელ და შვიდფერ ცაზე.

**დედაჩემის თვალები აქვს
 პოდვის ღვთისმშობელს**

ნუ აგროვებ, მკვდარი პოეტების ფოტოებს,
 ეს რა ჰობია?!
 გარდაცვლილების გადაღებულთ მათ სიცოცხლეში
 ვინ იცის, როგორ ენატრებათ ძილი, ღვიძილი,
 სიყვარული, მერე ხელახლა ისევ სიკვდილი.
 გაზაფხულის მოსვლა მერცხლებით. დილის მზეზე
 ბელურების აჟივჟივება.
 წვიმის სუნი, მიწის სუნი, ალუბლების აყვავება,
 გზაზე, ფერდობზე,
 მდინარის ნაპირს ჩარიგებული წნორების მთქნარება,
 მიტოვებული, ნაზამთრალი ბუდეების გადამწვანება.

იქნებ მზის ჩასვლას ნატრულობს სილვია,
 რომელმაც ყვავთან ისურვა ქორწინება
 და ორი შვილი, როგორც თოვანში დარჩენილი ენძელები,
 მიატოვა.

იქნებ ფორუხზადს სურს სხვა ირანელ ქალბატონებს
 ახადოს ჩადრი

და მათი მარმარილოსფერი სხეული სამზეოზე გამოაჩინოს.
 იქნებ ენ სექსტონს აღარასდროს მოეკლა თავი,
 რადგან სილვიას სულიათვის საკმეველი ეკმია,
 რომელიმე მყუდრო კლუბში ვისკის წრუპვისას.
 აღდგომისფერში, ხახვის ფურცლებისფერში
 მომლოდინე დედისფერ საღამოს, როცა მთანმინდაზე დაისი
 გახლჩილი მზით ირწყვება,
 თეთრი სტუმრებით გარემოცულს,
 ესმა ონიანი სასტუმრო ოთახის თეთრ კარს
 შემოუხსნიდა,
 მიეცემოდა დედის გაბავშვებურ ხელებს,
 მოფერების შვებას მისცემდა.

დედაჩემს კი თვალები აქვს ბოდვის ღვთისმშობლის.
 აი, ჩემი დაგეროტიპი.

ჰაზის სატირალ

ორლობებს აწყდება
 სასხლავიან კაცთა ფეხის ჩუმი ხმა.
 „არ დავუფრთხოთ ბალებს ძილის
 ანგელოსები“.
 შუალამიანს გამოვლილ მამლების ყივილს,
 კავკასიონი ნისლის სახით აფრიალებს თეთრ ბაირალად.
 თითქოს დაზავდნენ კაცი და მიწა
 და მთები ახლა თვალს ადვენებენ,
 ველების გასწვრივ, ნასიმინდარში,
 ვენახების ფართო ზმორებას.

მდინარის პირას უქონგურო დგას ძველი ციხე,
 სათოფურებით, ბროწეულებით, წითელასკილით
 დგას, თითქოს თავად უზენაესს გასჯობრება.
 თეთრწვერა პაპებს სასხლავები მოუმარჯვიათ,
 დგანან მოხრილნი ან ვაზებთან ჩაუმუხლიათ.
 გასხლავ და უმალ ტირილს იწყებს,
 ცრემლით გადმოდის სიხარული.
 ცრემლად ამოდის და მერე ლუის, როგორც
 ბედნიერი მამალი ფუტკრების გაფრენა —
 მნიფობა,
 ქვევრში ადუღება, მაჭრობა, ტკიბილი,
 მერე ღვინით და ზედაშით დამწყალობება.
 ჩაშაქრული პაპა-კაცები,
 რომლებიც კოჭრიანი ხელებით რანდავენ,
 დაწმენდილი სისხლსავსე მაჯებით, მოუღალავათ
 ჯვარედინად, როცა ვაზს სხლავენ — მათი დუდუნიც,
 მათი ლულუნიც,
 „მრავალჟამიერ“, „შენ ბიჭო ანაგურელო“, დედის ნანაა
 ყურძნის თვალში
 მზის ჩასადგომად.
 საუკუნეებს და სეზონებს ბულს აადენენ, — რომელნიც
 მარადიულ ცრემლით სიცოცხლის ზიარებას,
 მშობიარობის დარად მიიღებენ.

სადილო, დის სიმღერა

მოდი დავდოთ ფული.
 დაო, დაიკო.
 არ დაველოდოთ თვის ბოლოს,
 არ დაველოდოთ ხელფასის დღეს.
 მოდი ავაგროვოთ ფული,
 დაო, დაიკო,
 და მამიკოს საშობაოდ ფეხსაცმელი ვუყიდოთ.
 ის უნდა იყოს შავი,
 ნამდვილი ტყავის,
 უბრალო, სადა, სოლიდური.
 როგორსაც მოიხდენს.
 გახსოვს,
 იმ ავადსახსენებელ 90-იან წლებში,
 როცა გაიყიდა ქალი კაცად და კაცი ქალად.
 სისხლი — ნავთობზე.
 მიწა — ჩალის ფასად. როგორ არ გახსოვს.
 გახსოვს,
 როცა ორსულებმა ფეხით ხეობები
 გადმოირბინეს და მუცლებში
 შვილებს მალავდნენ.
 ისე დაუტკბათ დედაშვილობა, დაუშაქრდათ მურაბევივით
 ქალებს სხეული.
 უღელტეხილზე მოულოდნელად მოვიდა თოვლი
 და დაუმარხავი მკვდრები დაფარა.
 ვინც მიწას ვერ მიაბარეს სითეთრემ შთანთქა.
 ჩვენ კი აგურის სახლში ვისხედით შუშის ლუმელთან —
 ნიგნებსა ვწვავდით.
 გასათობად, გადასარჩენად. ან გასართობად.
 დღესაც თვალებს ვერ ვუსწორებ ბუკინისტების ლარად
 გამეტებულ ვინსენტ ვან გოგის „სიცოცხლის წყურვილს“,
 შექსპირის ტრაგედიებს, რილკეს ყმანვილ ბრიგეს,
 ჩანანერებიდან,
 ავად მომზირალ უილიამ ფოლკნერის ჭკვიან დათვს.
 მოდი, დაო, დაიკო,
 დავდოთ ფული,
 არ დაველოდოთ ხელფასს,
 თვის ბოლოს.

უდარდელად გადავდოთ ფული
და მამიკოს საშობაოდ ფეხსაცმელი წავულოთ.
გახსოვს, სკოლას რომ ვამთავრებდით,
ის სამსახურში დადიოდა ძველი ფეხსაცმლით,
ძველი რა, ლანჩამძვრალით.
დადიოდა და უხერხულობისგან თვალს არიდებდა
გამველელ-გამომველელს.
ჩვენ კი მაშინ არც გვშოიდა, არც გვცვიოდა,
როცა ქვეყანა დაიქცა და გაიყიდა სისხლის ფასად
ზღვა და ხმელეთი. ჩვენ მამა გვყავდა.
პირდაღებული ფეხსაცმელი კი შუალამისას
ქოფაკივით იწყებდა ყეფას,
თითქოს ეზო-კარს მოადგაო მთელი სოფელი.
მოდო, დაო, დაიკო,
მამიკოს
საშობაოდ ფეხსაცმელი ვაჩუქოთ.

სტვირი. გადაფარვის ზონა

აჭრელებულ სერთუკით სერზე კაცი გადმოდგა,
მრავალფერი ნაჭრების ნაკუნებით შეკერილ
სერთუკიდან უეცრად ფლეიტა გამოუჩნდა.
დააკვნესა. და კვნესამ გამოყარა ქალაქის
ყველა დიდი ვირთაგვა, თაგუნიაც, თაგვებმაც
სოროს ველარ დაუდეს ვერც გული და ვერც სული,
ჯადოსნური ფლეიტის მიჰყენენ ხმას.
ჭრელმა კაცმა ვირთხები მდინარისკენ გარეკა,
მდინარეში გარეკა, ქალაქიდან გარეკა.
ჰამელნელში ვირთხისჭერიას არ მისცეს ოქრო.
არც მედალი, არც ძეგლი დადგეს მოედანზე,
არც შადრევანი. მის სახელზე არ მოიჭრა ვერცხლის მონეტა.
ნაკუნებისგან შეკერილი სერთუკის მერცხლის მსგავს ბოლოს
გამოება ვირთხიჭერია. გაუჩინარდა.
ეს არაფერი, ივანობას
წითელი ქუდით, ქალაქის ხიდზე,
მზის ჩასვლისას დგას მონადირე.
სტვირს ჩაჰბერა და სტვირის ხმაზე
ქვის სახლებიდან გოგო-ბიჭები გამოეფინნენ.
ხახვის ფურცლების ფერის თმითა,
ლილისფერი თვალებით.
თივისფერი თმითა, ტბისფერი თვალებით.
მონადირის სტვირის ხმაზე,
ბავშვებმა მთისკენ ფერხული იწყეს.
გაიხსნა წითელი კლდე.
გაუჩინარდნენ.
ქალაქში ქალი ბავშვიან ხელით.
მოთქვამს.
დედები შვილებს დაეძებნენ მდინარის ფსკერზე.
მინამ უყო პირი თუ ზეცამ,
არცერთი არ ჩანს.
მხოლოდ. ცისკრობას ორი ბიჭი მობრუნდა უკან,
ერთი ბრმა და მეორეც მუნჯი.
ხვრელისკენ, სადაც მონადირემ, წითელი ქუდით,
გაირეკა ბავშვები სტვირით,
ხელის გამვერით ახედებენ დიდებს.
მდუმარე ქუჩას,
უხმაუროს ნაბიჯის ჩქამიც არ შეაკრობს,
ამ გზით ბავშვები მთაში შევიდნენ.
ჰამელნელში ახლა ჯვრის ფორმის ლოდებია,
დედების დარდი. გამოიგონეს:
ბავშვები ისევ სამზეოში გამოვიდნენ,
ოლონდ სხვა მხარეს.
ისინი ასე თამაშობენ დამალობას,

ისინი ასე მღერიან ლამით:
— ჭიამაია, დედა, დედა მაპოვინინე,
ჭია-მარია.
მე შენ დედას გაპოვინინებ, ჭიამაია.

*„რატუმის კარზე ასეთი წარწერაა:
ქრისტეს შემდეგ 1284 წელს ჰამელნიდან მესტირემ წაიყვანა იქ-
ვე შობილი 130 ბავშვი და კოპენბერგში უგზოუკვლოდ დაკარგა.“
ძველგერმანული მითიდან...“*

ადამიანული

ქუჩებს, ქუჩების ფერად ვიტრაჟებს.
ეკლესიებს და მათ სამრეკლოებს.
მეტროს ბაქნებს და ღია სადგურებს,
ვუბრძანებ:
გზაზე ნუ შემახვედრებთ.

ვუბრძანებ: ერთურთს ნუ შეგვახვედრებთ.
ადამიანებს, ვინც გავეყარეთ
შეყვარებულებს, ანი ყოფილებს,
ცოლ-ქმრებს, სეზონებგამოცლილებს.
დედა-შვილებს და დედ-მამებს —
ვინ დავიბადეთ,
ვინც ვასაფლავეთ.

ქუჩებს, შუკებს და გადასასვლელებს.
ბაროკოს სტილის ძველ ნაგებობებს,
ხეებს, რომლებსაც აჭრიან ტოტებს,
სახლებს, რომლებსაც ანგრევენ რიხით.
ვუბრძანებ: ნუ შემახვედრებთ,
თუ დამამორეთ, ერთხელ და
უკვე.

რელიეფი. გზის ხე

გეხარა — ანგელოზს ექვსფრთოსანს, ასთვალას
ატმისფერი, ყლორტივით ხელები გაუნვლია,
მუხლებზე მლოცველისკენ.

გეხარა — გაბრიელს, ელვარე სახეზე ფერი აქვს
სიცოცხლის,
მუცელზე დაიწყებ უთეთრეს თხელ თითებს,
თავოდნავ გადახრით, თვალდახრით ილიმი,
გაშლილი ორქიდეა.

გეხარა — ცხრა თვეს თუ სისხლით გამოიზრდი,
საათში მოკლავენ მაგ სისხლის გამოცლით.
ბრონეულის სიალალთ აყვავებული ხე,
ცისკარს ახმება.

დევნა და გმობა და დასწამონ ცილები,
ეკლიან გვირგვინით ატარონ აღმა-დაღმა,
იელის ყვავილობას.

საკუთარ წამების მონმედ თვით უფალი
ჯვარზე გამოაკრან, როგორც
გამოაკრავ ჩვილს მწყემსთა ბაგაში
და მოგვთა საჩუქრებს ქვრივ-ობლებს მოახმარ.

ყაყაჩოების ველური სილამაზით,
ასეთი სიყვარულით ჩნდებიან ღმერთები

და ღმერთის დედობაც რა სიხარულია —
გეხარა, სულიწმინდით ნაყოფი გესახება,
მთავარანგელოზი ფრთებს შენსკენ გამოწვდილი,
მზერას ვერ გისწორებს —
ლურჯი მონატრებით ილიმი.

**ნაწილი მეორე, ზარელიეფი:
კუშურფოსფერი**

რალიეფი. პიეტა

ეს დღეც გადავიდა ყირამალა.
მკლავები ერთმანეთზე გადახიდე.
ქურუმმა აღსავლენი მოიხადე,
სადაც ქალწულობა სახადია.

მზის გარდა ვერც ვერავინ შეამჩნია.
სანამ მინის მიღმა, ცხენის ძუას გამოგაბამენ,
თმით გათრევენ,
შენ უკვე ცათა მიღმა გადასულხარ.

სურვილს უკანასკნელს შეუსრულებ
მამას, აბა რაა, ნაბოლარა.
მზერა მიღმიერში გადამალე,
მოხუცი უცინარი ვითომ ფშვინავს.
შენი იარაღი — ჩუმად ყოფნა,
ყველა დანარჩენი განზე დარჩა.
არცერთი ბგერა აღარ დაგცდა,
კვარცხლბეკზე თმა რომ გაიშალა,
თითქოს ბალს ატამი აუყვავდა,
პირველი მზის სხივი მოშიშვლებულ
ოქრომკერდს დაეტა
უეცრად და
სასახლის ცისარტყელა კარიც გატყდა.

ბოლოქანქარა ბიჭო-გოგიები,
მოლალურები, სამოთხის ჩიტები.
დანარჩენი გალობენ, გალობენ.
დილაა და ზღვათა და უდაბნოთა,
ქართა, ქარიშხალთა მიღმა —
კიდევ ერთი ნაბოლარა ტაძრის
მელნისფერ მარტოობას
საკმეველის კვამლით მალავს:
შენ უკვე ცათა მიღმა გადასულხარ,
ყვითელი ზამბახები
დამშრალ გუგებიდან ამოდიან.

**დაუჯდომელი წმინდა ადრიანე
და ნატალიასი**

(საშინაო საკითხავი)

*წმინდა მონაშენი ადრიანე და ნატალია (IV ს.)
ხსენება 26 აგვისტო (8 სექტემბერი)*

იკოსი:
სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ.

დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა.

მეუფეო ზეცათაო, ნუგეშისმცემელო, სულს ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ მადლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო,

საო, მოვედ და დაემკვიდრე ჩვენს შორის და წმიდა მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბინისა და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩვენნი.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შვეგინყალენ ჩვენ.

დიდება მაღალთა,
შენ ყოვლად წმინდაო მარიამ, მშობელო, ჯვარს გაკრულისა
კაცთა მიერ,
ბჭეთა შემშუსრავისა.

დიდებითა სამებისა გამომსახველისა.

წმინდაო ადრიანე და ნატალია, ევედრენით მაღლითა უფალსა, გევედრები, სულსა ჩემსა, მოუვლინო ანგელოზი მფარველი, მწე ჩემდა საჭირველსა.

რომელთაც, ახალგაზრდობაში იქორწინეთ თქვენდა
წამებისას ერთი წლით ადრე,
რომელთაც, ბითვინის ნიკომედიასი ცხოვრობდით იმპერატორ მაქსიმიანე გალერიუსის (305-311) დროს, რომელმაც იწყო ქრისტიანთა დევნა და ერთი მოენის მიერ დასმენილ იქმენ ნიკომიდიიდ მღვიმეში თავშეფარებულნი ოცდასამი ქრისტიანი. კერპთაყვანისმცემლობაზე უარის თქმისათვის საშინლად აწამეს, მაშინ აღმსარებელთა სიმტკიცით გაკვირვებულმა სამსჯავრო პალატის უფროსმა ადრიანემ მწერლებს მიმართე: „მეც ჩამწერეთ, რადგან ქრისტიანი ვარ და სიხარულით მოვკვდები ქრისტე ღმერთისთვის“.

როცა მწერლებმა იმპერატორს მოახსენეს ამის შესახებ, მან თავისთან გიხმო ერთგულ მოხელეს და გითხრა: „ნუთუ შენც შეიშალე და თავის დაღუპვა გსურს? ნადი, ამოშალე სიიდან შენი სახელი, პატიება სთხოვე ღმერთებს და მსხვერპლი შესწირე!“
წმინდა ადრიანემ კი უპასუხე: „მე კი არ შევშლილვარ, გონს მოვედი“.

მარტვილის მეუღლე, წმინდა ნატალია, რომელიც აღივსე სიხარულით, რადგან ფარული ქრისტიანი იყავ. საპრობილეში მოინახულე და გაამხნევე ადრიანე: „ნეტარ ხარ შენ, უფალო ჩემო, რამეთუ ირწმუნე ქრისტე. დიდი საუნჯე მოგიგია. ნუ დაგენანება ნურაფერი მიწიერი: სილამაზე, სიყმანვილე და სიმდიდრე — ყველაფერი მტვერი და ნაცარია, უფალს კი მხოლოდ სარწმუნოება და კეთილი საქმეები სათნოეყოფა“.

წმინდა ადრიანე და ნატალია, ევედრენით მაღლითა უფალსა, გევედრები, სულსა ჩემსა, მოუვლინო ანგელოზი მფარველი, მწე ჩემდა საჭირველსა.

ძლისპირი:
დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, ან და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევეთ თანამდებთა მათ ჩვენთა და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, ამინ.

უფალო, ყოვლისა დამბადებელო, შეგიგრძნობ ამოსუნთქვითა, სიტყვის ამოსვლისას.
ძეო, არა მიწითა შობილოო, ქალწულის საშოთ ნაყოფო, ნურცა განგშორებოდე, დიდება შენსა სინმინდესა,

სული წმინდისა ძალო, მომხედე, შემინყალე და მიფარე, დამცავ უკუნ ძალთა, ნუ განმირისხდები ჩემსა უგუნურებასა ზედა, არამედ მოიხედენ და მადლითა შემენიე.
წმინდაო ადრიანე და ნატალია, რომელნიც ცოლ-ქმარ დაგაჩინათ მაღალმა ღმერთმა,

რომელიც, სცხოვრობდით ნიკომიდიას, დაიმარხვიდით საიდუმლოს ქრისტესა, ჯვართმტვირთველისა, სულთა აღდგომის მიმნიჭებელისა, რომელიც, ურთიერთ სიყვარულით, არა უარყოფდით ჭეშმარიტ ღმერთსა, დილეგს შეპყრობილნი, რომელიც, ადიდებდით უფალს, სანამებელის ქვეშე და უერთსიყვარულის გამო მტკიცედ იდექით რწმენაზედ.

დიდება მალალთა მამა ღმერთსა, იესო ქრისტესა და სულიწმინდას, რომელნიც გაძლიერებდნენ თქვენ განსაცდელსა შინა.

ტროპარი, ხმა 1:

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ, უფალო, გვიხსენ და გვიღებინე ცოდვათა ჩვენთაგან, მეუფეო, შეგვიინდევ უსჯულოებანი ჩვენნი, წმიდაო, მოიხილე და განჰკურნენ უძლურებანი ჩვენნი სახელისა შენისათვის.

სხვა პყრობილთა თავებით წმინდა ადრიანე საპყრობილდან გაგიშვეს, რომ მეუღლისთვის სიკვდილით დასჯის დღე შეგეტყობინებინა.

ნატალიამ იფიქრე, რომ იგი მაცხოვრის უარყოფის ფასად გაათავისუფლესო; მაგრამ ქრისტეს ტარიგმა დაარწმუნე, წამებას არ გაექცევივარ, ჩემი აღსასრულის დღე მინდა გაუწყო. წმინდა ადრიანე, სასტიკად განამეს. წმინდა ნატალია, განამტკიცებდი ქმარს; ევედრებოდი, ღვთის წინაშე პირველი ლოცვა მისთვის აღველინა. მტარვალმა ბრძანა, ადრიანესა და სხვა მსჯავრდებულებისთვის გრდემლზე ხელ-ფეხი გადაემსხვრიათ. უღმრთოებს სურდათ დაენვათ მათი ცხედრები, მაგრამ საშინელი ჭეჭა-ქუხილი ატყდა და ღუმელში ცეცხლი ჩაქრა. ბევრი ჯალათი ემსხვერპლა მეხისტეხას.

ლაშქრის ერთ-ერთმა ათასისთავმა იმპერატორისგან მომხიბლავ და მდიდარ ნატალიაზე დაქორწინების ნებართვა გამოითხოვა, მაგრამ ქვრივი ბიზანტიონში გაიხიზნე და მეუღლის წმინდა ცხედარიც თან წაასვენე.

სადაც, ძილში წმინდა ადრიანე გამოეცხადე და აუწყე, რომ მალე მიიცივლებოდა. გადატანილი სატანჯველებით მოუძღურებული ქრისტეს ტარიგის სული მართლაც მალე შეგივედრა უფალმა – მეუღლის ცხედარს დააკვდი.

წმინდაო ადრიანე და ნატალია, მოხედეთ ჩემსა ცოდვათა სიმძიმესა, სულსა მტვერით დაფენილს, გვამსა ჩემსა გარყვნილებით და შვიდთა ვნებითგან შეურაცხყოფილს, მოუხმობდეთ ჩემსა მფარველსა ანგელოზსა, წმინდაო ადრიანე და ნატალია, მეოხ მეყავნთ.

კონდაკი:

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ.

დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა.

მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულსა ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ მადლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვიდრე ჩვენს შორის და წმიდა მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბინისა და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩვენნი.

დიდებათ მოსილსა და ვარდთა სურნელებით გასპეტაკებულსა დედას იესო ქრისტესი, მარიამსა, შევევედრებო მონამებრივ სულსა წმინდანთა ადრიანესი და ნატალიასი, რომელ არ უარყვიათ სიცოცხლეში უფალი და რომელნიც ისე აღესრულენ, წმინდა პირით ადიდებდნენ უფალსა, წმინდაო ნატალია და ადრიანე, მეოხ მეყავნით, გამოვაჩინო შვილი უფლისთვის; წმინდაო დედაო, სიკეთით და სიმართლით შემკულო, ველის შრომანო, შემავედრე მონამებრივ წმინდა ადრიანეს და ნატა-

ლიას სულსა, რომელთ არა ჰყოლიათ შვილები, არცა გოგო და არცა ბიჭი, რომელთაც მხოლოდ ერთმანეთის სიყვარულით და უფლის დიდებით დათმეს ამქვეყნიური შვილიერების სიხარული და შეუდგნენ მარტვილთა გზას, რომელთა წმინდანატალიამ მის ქმარს, განსაკვირველი ერთგულება უჩვენა და რომელიც გამოიტირა თავისი სიცოცხლის ფასად, წმინდაო დედაო, უძლიერეს ყრმასა შენსა შესწირეს თავიანთი სიყვარული, დიდებით აღმოყვნენ ზეციურ კიბეს და ანგელოსთა დარად დაამკვიდრე ისინი სასუფეველსა მამასა ჩვენსას, მოხედე შეჭირვებასა ჩემსასა, განმრავებულს საშუმ მომაკვდინებელ ცოდვათა ჩემდა, მექმენ შემნედ და შემინყალე მე, ვითარცა შემინყალოს ყრმამ შენმა მარჯვენით მაკურთხებელმა.

ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშვეს სულთა ჩვენთა. დიდება მამასა და ძესა და სულსა წმინდას. ამინ.

რელიეფი: ზაპი

თვალი მოვხუჭე, დაგიხუჭე თვალი. თამაშია ასეთი, დამალ-დახუჭობანა. კვიცივით გამოგედევნე, ციკანივით გრქენ, მე ასეთი მინდინარ დაჟანგული ბოქლომით, გაყვითლებულ ველებით, ალაგ-ალაგ სიმწვანით, თვალს რომ ვერ გკიდებს, ვინმე უცხო ბოროტი, ნაპირებჩამავალი, კიდებზე ნითელი, თეთრღრუბლებნარნევი, სადაც მინაა ცა და ცაზე მინა მიორნევა, ტორტმანით.

თვალი დაგიხუჭე, მოვხუჭე თვალი. გახრუკული ყანები განვიმდება ვაზებში, მნიფე, ნაყოფმოსხმული ხეების დგას რიგი, მშობიარობს მდინარე, მზე გადადის ყირაზე, გორაზე დგას საყდარი, ძველი, ძველისძველი. ტყეები უდაბური, დამალული გზირებით. ტყუილ-მართლის არევით თვალი დავხუჭე. ჰოი, ყური დამიგდე, ბებერო სამშობლო, როგორიც ხარ, ასეთი მინდა მიყვარდე. არ გაბედო, არ გაგინყრეს გამჩენი, ისე არ მოიმშოი ეგ ტიალი მუცელი, მე თმათეთრა დედ-მამას, უკბილოებს, ბავშვების გულადნაქცევს არ გავცვლი სხვა სიკეთეზე, თავში არც კი გაივლო, ჩამოთოვლილ მთა-გორებს დაგიფატრავ, გაპრდები.

სხვა გზა არ გაქვს, თვალი მოგიხუჭე რამდენზე, რამდენ ტყუილ ომზე, რამდენ ნაშომილარ უძინარ ღამეზე, შავ-ბნელ დილა-ცისკარზე, ბავშვობის ჩაშხამებულ დღე-სასწაულზე.

ჩემ დედ-მამის სიბერეზე თვალი დახუჭე.

სახელი არ გვაქვს

ო, ენავ, ჩემო, დედაო ენავ.
საბჭოთა პოეტის ლექსიდან

ო, ენავ ჩემო, ჩემო ენავ,
ჩემო სამშობლოვ,
ჩემი ხმა მინდა ამოგაცალო.
აბა, შენ იცი არ დაიზარო,
ისე გათხარე უძველესი ოქროს საბადო,
წაშალო კვალი აიეტის ასულისა და
წყალს მიეცი მისი საბედო.
მოასწორე ახალთახალი რკინის ურჩხულით,
მინისპირზე,
ინვესტიცია არ გაგაპაროს.
ო, ენავ ჩემო, ჩემო სამშობლო,
მინდა ხმა სასულედან ამოგაცალო.
აზომე მინა ჩრდილოეთის, კავკასიონის,
აზომე და მდინარეები მოამწყვდეი წყალსაცავებში,
ელექტროობით გამოშიგნე კალმახები წითელკოპლება,
ალპურ პეპლებს გააველე მუსრი,
ათასწლოვანი მუხის ხეები მორებად დააგორე
წმინდა გიორგის სასწაულმოქმედ ხატებს,
სადაც ყმანვილი კაბადოკიიდან გველეშაპს
შუბით უფატრავს მუცელს, რას მოუფიქრებ
სამარადისოდ?!

არ გამოგრჩება მალარია, ლამარიის ღვთისმშობელი,
არ გამოგრჩება ეკლესია წმინდანთა ფრესკებით,
წინაპრების საფლავები დადუმებულნი.
მათაც რომ მოუსწროს იესოს მოსვლამ,
ისინიც რომ წამოიმართონ გამორღვეულ სამარეებიდან,
და ო, ენავ ჩემო, ჩემო სამშობლოვ,
მოითხოვონ მკვდარმა სულეებმა წართმეული ხმა,
განა სადღა დაიმალები?!

მოდი, დედაშვილობას, მეტს აღარა გთხოვ:
გათხრილ ოქროს საბადოში, ქრისტემდე და ქრისტეს შემდეგ,
ნებითა ჩვენი ჩავესვენებით, შენ არ დაიზარო,
ოქროს როდი გთხოვთ, კაზრეთული ქვიშა მოგვაყარე,
ადგილობრივები დაიხმარე უცხოური ინვესტიციით,
კომპანიონი არ გაანაწყენო.

ნაწილი კი ვინც გადაგიჩა, აიძულე და
წყლით გაცსებულ მთის სოფელში ჩაანვიწე,
ჩამალე, წყალი დააგუბე და ისტორია წაშალე.
წყალმა და მინამ წაგიღოს,
ცოცხალს და მკვდარს ერთნაირად რომ გვასაფლავებ.
ჩემო უბადრუკო, ვერგამაძლარო სამშობლოვ,
აი, მოვიდე, ამოვიდე, და მოგწვევ სასულემდე.
ჩემი ხმა მინდა ამოგართვა.
უხმოდ და ჩვენს გარეშე წყალსაც კი ნაუღიხარ,
ხუთას ფაბრიკიანო გუბერნიავ.

კუმურდოსფერი, საღვთისმშობლო

სიყვარული გაქათქათებული,
ამომზეურდა უდაბნოდან, სერპატინების გადაღმა.

თავმოყრილია მეუფეს ხელით
კოლხეთის კომკების, ვანის ქვაბების,
მთისა თუ ბარის სალოცავების,
სხვათა და სხვათა რეალიები.

შენ დგახარ, უცქერ სამივე დროში
განფენილს, როგორ ქათქათებს

შენი სამშობლო საზღვარზე
მდგარი.
დგახარ და ხედავ ქუდმოხდილი თეთრი თმით პაპა,
გუმბათჩაქცეულ ტაძარს როგორ დამსგავსებია,
უფრო პირიქით.
დრო-ჟამის ამინდს (უამინდობას) თავის ხელიც შეუვლია
დაუნანებლად, თვალის.
ათასწლოვანი ქვების ვედრება ღალანებს ყვითლად,
გალანის შიგნით მოქცეული,
დამწყვდეული ნადირივით.
სასულიერო რუსი პირები კედლებს, ფრესკა შერჩენილ,
ასომთავრულს და მხედრულს ისე მიჯრით მიწყობილს,
ისე სიმტკიცით,
თვალს თვალში რომ ვერ უსწორებენ — „ჩვენ კიდეც მოვალთ,
შევისწავლით. ვნახავთ რა დარჩა“. თეთრი გიორგის რაში
ფლოქვებით ტორავს წითელ ნიადაგს.
მლოცველ ანგელოზს ქვის ხელებზე.
ქვის ფრთებზე. ქვის ბარელიეფზე —
უცქერ და ხედავ ქვა როგორ სუნთქავს.

აქ, ცოცხალია ყოველივე,
აქ, ხეები, ქვები, ფრინველნი,
ადამიანის უკვდავებას უგალობებენ.
ცაზე ყორნების გუნდი იმლება,
მოულოდნელ განვიმებას მზის გამოსვლა ცვლის,
თექვსმეტი წლის ქალწული ნინო
კაბადოკიიდან მოყვება მელოტ მთებს,
წაწვევებმოჭრილ ჯვრისმტვირთველს და
ღვთისმშობლის დამტირებელს
თითქოს ყორნისფერი თმა
ქარმა აუნენა და ღრუბლებზე ააფრიალა.

რა მუდმივია სიყვარული
ესმა ონიანის ხელებში აყვავებული,
გაქათქათებული, თვალს რომ გჭრის და
სულ თან დაგყვება.

მისიიღუ

მწვერვალთა მიღმა, ჩამოთოვლილ მელოტ მთის იქეთ
ცხოვრობენ დედის მამის ყონაღნი.
მათ იპოვეს მეცხვარე იალალზე,
მათ ჩამოგვისვენეს.
მაგრამ ჩვენ მაშინ გვასწავლიდნენ თინას ლეკურს,
იენანამ რა ჰქმნას და ასე,
ყველა, ვინც იმ მთის გაღმა ცხოვრობდა,
იყო ლეკი და იყო ყაჩაღი.
გაჩერებაზე იდგა მესეიდუ,
კუბოკრულ შალში ერთიანად გახვეული
ლეკის ქალი, რომელიც ჩუმ-ჩუმად
ყიდდა დაღესტნურ ვერცხლს, სახლის დათბილულ ფეხსაცმელს,
ჭრელ-ჭრელ მოსახვევს.
ვიდექით მის წინ, ვაბრაზებდით:
- მაჯლაჯუნა, მაჯლაჯუნა,
ნეტავ რა გაქვს გუდურაში?! უბეში რას მალავ?!
ლეკები თითისტოლა ბავშვებს იპარავენ,
ლამით ეზოში ნუ ჩადიხართ,
ცოტა ადრე შემოდით სახლში.
ესეც მითია. ახლო დროის, ჩვენი დროისა.
როცა წითელი და მცოცავი გველეშაპი
აღვივებდა სისხლს, თუნდაც თესდა.
მელოტ მთის იქეთ, კავკასიონის ქედის გადაღმა,
ბილიკის იქეთ,

სადაც წმინდა გიორგის საყდარს
 ავედრებენ პატარა შვილებს,
 ცხოვრობენ დედის მამის ყონაღნი — დაღესტნელი ლეკები,
 მკალავეები, სპილენძისა და ვერცხლის მოგვეები.
 ყველა ობლის ზღაპრული ჯავრი,
 გამოადნო თვითმკვლელობა ქალმა:
 „სპეცოპერაცია ტერაქტის მსურველთ“ —
 დაღესტნის მხრიდან ამოდის ალი,
 აული ინვის.
 ნადირობენ ერთმორწმუნე რუსები.
 როგორ არ მინდა კავკასიური ზღაპრის ბოლო
 იყოს ასეთი:
 ჩვენ გადავრჩეთ, ისინი გაქრნენ.
 ჩვენ დავმეგობრდეთ მათ სახლების გადამბუგველთან.
 ჩვენ გავყიდოთ,
 გავყიდოთ, გავყიდოთ,
 და მათ ფერფლზე გვატყვევონ თინასი,
 და ალბათ უფრო მეტად მესეიდუს ლეკური.

აღამიანთ ხსნილი. მინიტურა

დიდხანს იყავი დედაშენის სიზმრებში,
 შემდეგ მან გაიღვიძა, რომ გაეჩინე.
 ჯიბრან ხალილ ჯიბრანი

ცისკარზე, მამალთა ყვირლზე,
 ბუდეში ღუნღულა ბარტყების გამო-
 ჩეკვაა —
 ხეობას ჩაუნვეს ნისლი.
 ან ბინდი გადაეფაროს მიმწუხრზე სოფელს,
 ჩვეულებრივად.

აგისხნი!
 წვიმა წაასხეს ქარებმა,
 მე შემოვედი ზაფხულის მხესავით.
 აგისხნი —
 აასხეს უჩინარმა დედაბრებმა ვნება გასაღებს.
 შესხმაა.
 აღამიანათყოფნისა,
 ან ყოფილისა.
 ფრთათა, ენათა.

ყოველი სოფელი მოინადირე სინანულმა.
 მე სად გამიქრი ახლა, რა
 ლა ვთქვა,
 რა ამოვთქვა, ამოდ
 სიყვარულისა.
 ამოდ ამოდი, მზეო, ნათელო.
 ღვთაებრივ, ანუ.



საფარის გუმბათის ფრესკა

მერვე დღის საიდუმლო

შესაქმის აქტში შვიდი დღეა. სამყაროს ცხოველმყოფელობას
 შვიდი დღის მისტერია განაპირობებს. მერვე დღის ფიქრი ადამი-
 ანში ტრანსცენდენტურ განცდებს აღძრავს; ის უფრო ხელოვნე-
 ბის, წარმოსახვის სფეროა, მგრძნობელობის უმწვერვალესი რე-
 გისტრია; შესაძლებლობაა, რომელიც პოეტმა სიტყვაში დაუშვა.

ნატა ვარადას პოემა “მერვე დღე. უაღამიანოდ” ამ შესაძ-
 ლელობის და ტრანსცენდენტურის თანაგანცდაა, რომელიც,
 ადამიანურ განცდათა შორის ყველაზე მეტად ტკივილს ენათე-
 სავება. საერთოდაც, აქ, პოემაში (ისევე როგორც ნატას მთელ
 შემოქმედებაში) ყველაფერი ტკივილიდან, გასხვივონებად
 დაბნელებული ტკივილიდან იწყება.

პოემა, ეპიკური ჟანრის კანონისამებრ, თავისი არქიტექტო-
 ნიკითაც მძლავრია და დამხობილი ტაძრის საკურთხეველში მი-
 მოფანტულ ბარელიეფებს ჰგავს, რომელთა ზედაპირებზეც
 გარდასულ დღეთა ეპიგრამები და წარწერები ამოუკვეთავთ...

ნატა ვარადას პოემის შთავგონება, ცენტრალური თემა ყო-
 ველთვის იყო ბიბლია და მისი ალუზიები, ამ პოემაშიც მთავარი
 ხაზი (მერვე დღის მისტერიით დაწყებული) ბიბლიური კონტექ-
 სტია, როგორც ენობრივ ქსოვილში, ისე აზრსა და შეგრძნებაში
 გამოხატული.

აქ სამყაროს წესრიგი (თუ უწესრიგობა) ბიბლიური ფონია,
 კიდობნის ალუზია მორიგ საბედისწერო წარღვნამდე (მერვე
 დღეც ხომ, აზრის რომელიღაც მემწვერვალედში, წარღვნის წი-
 ნა ან შემდგომი ეტაპია, მდგომარეობაა, სადაც თავისმავლ ვნე-
 ბებმა უნდა შეაგდონ უფლის ტარიგად ჩაფიქრებული აღამიან-
 ნი); ტექსტუალურადაც პოემა ლიტურგიკული ინტონაციითაა
 გამსჭვალული, ზოგიერთი ნაწილი კი ზუსტად ისე იკითხება,
 როგორც საღვთისმსახურო წიგნის ფურცლები (“დაუჯდომელი
 წმინდა მონაშეთა ადრიანესი და ნატალიასი”).

რას გვეუბნება ბიბლია აქ, ამ პოემაში? აქაც მთავარი გმირი
 ქალია. ნაცნობიც, ფოტოდან მომზირალიც, ქუჩაში დაცემუ-
 ლიც. აქ დიდი ქალების პანთეონი გაიქვავს — სილვია პლათი,
 ენ სექსტონი, ფორუე ფაროხზადი და ესმა ონიანი. მათი ხატება
 პოეტს განსაკუთრებული შთავგონებით ავსებს და სამყაროს
 სასწორს იმხელა სიმძიმით ტვირთავს, რომელსაც, მეორე პინა-
 ზე დადებულ საჯილდაო წონად, მხოლოდ მერვე დღის მისტე-
 რია თუ შეეცდებოდა.

ქალია შესაქმის კამერტონი. ქალმა მერვე დღეს კარი უნდა გაუ-
 ლოს. დედამინამ ქალისგან უნდა აირჩიოს — იშვას თუ აღარ იშვას...

და ეს წინააღმდეგობრიობა, არჩევანის კონფლიქტი, პოემის
 თავსა და ბოლოში, განსხვავებული თემატიკით, მაგრამ თანაბა-
 რი ტრაგიზმით გამოჩნდება. დასაწყისში, საშინელი (ამ სიტყვის
 ბიბლიური ინტონაციით) ფრაზით — “ლაზარე, არ გამოხვიდე!”
 და დასასრულს კი სამშობლოს დამუნათებით — “ო, ენავ ჩემო,
 ჩემო ენავ, ჩემო სამშობლოვ, ჩემი ხმა მინდა ამოგაცალო”...

პოემის დინამიკაც თითქოს ნაწილ-ნაწილ (ან რელიეფ-რე-
 ლიეფ, როგორც ამას ავტორი გვთავაზობს) ემზადება სათქმე-
 ლის ამგვარ რეგისტრში გადასაწყვეტად. ფინალში ყველა თემა
 და იდეა ერთად იყრის თავს, ყველა სახე და ალუზია ინმინდება
 და მკაფიოდება პოეტის მძაფრი ტკივილი — სამშობლო... ეს
 არც პათეტიკაა, არც მისგან მალვა, ეს სინამდვილეა, პოეტური
 სიტყვით განცდილი. სინამდვილე, რომელიც ასე აწუხებს პო-
 ეტს და ამ საწუხარში მკითხველს იზიარებს.

ნატა ვარადა პოემით “მერვე დღე. უაღამიანოდ” სრულიად
 ახალი სიმალლიდან, ახალი პოეტური ინტონაციებით, მკაფიო
 თემებითა და ჩვეული მანერით — ბიბლიური მეტაფორებით —
 წარდგა მკითხველის წინაშე.

მკითხველმა კი, მერვე დღის საიდუმლოზე იფიქროს...

ედუარდო გალენო

სიყვარულისა და ომის დღეები და ღამეები

ურუგვაელმა მწერალმა და ჟურნალისტმა ედუარდო გალენომ მოლვანეობა დაიწყო XX საუკუნის 60-იან წლებში, სწორედ იმხანად, როდესაც მთელ სამხრეთ ამერიკაში მიმდინარეობდა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა, და სულ მალე მოიპოვა ყველაზე აქტიური, მეგრძოლი ჟურნალისტის სახელი. იყო ერთ-ერთი დამაარსებელი პერიოდული გამოცემებისა „უპოქა“ და „მარჩა“, რომლებშიც აქვეყნებდა მწვავე პუბლიცისტურ წერილებს, რეპორტაჟებსა და მხატვრულ ნაწარმოებებს.

ამ წლებში ახლო ურთიერთობა ჰქონდა ერნესტო ჩე გევარასთან, სალვადორე ალიენდესთან, პოლიტიკურ საზოგადოებასა და მწერლებთან. მას შემდეგ, რაც ურუგვაიში გაიმარჯვა სამხედრო „ხუნტამ“ და დაიწყო სასტიკი ტერორი, ინტელიგენციის — მწერლების, ჟურნალისტებისა თუ საზოგადო მოღვაწეების — დევნა-დაპატიმრება, გამკაცრდა ცენზურა, იგი იძულებული გახდა ემიგრაციაში, არგენტინაში, ნასულოიყო, სადაც ასევე თანადამაარსებელი იყო ჟურნალისა „კრიზისი“. მაგრამ მალე არგენტინაშიც მოიპოვა გამარჯვება სამხედრო ხუნტამ და იქაც დაიწყო სასტიკი რეპრესიები, უკვალოდ ქრებოდნენ ან დაპატიმრებული იყვნენ ცნობილი მწერლები — ანტონო დი ბენედეტი, უმბერტო კოსტანტინი, ხულიო კორტასასარს აკრძალული ჰქონდა ქვეყანაში დაბრუნება.

ამჯერადაც ედუარდო გალენო იძულებული გახდა ესპანეთში ნასულოიყო, სადაც დაასრულა ეს წიგნი, რომელიც მალე აუცილებელ საკითხავადაც აღიარეს, 1978 წელს ლათინოამერიკულ ლიტერატურულ კონკურსში გაიმარჯვა და „Casa de las Americas“ პრემია დაიმსახურა. წიგნი დოკუმენტურ-ცაა და მხატვრულიც, ზოგჯერ ლირიკულიც.

ავტორი წერდა: „რასაც ამ წიგნში წაიკითხავთ, ყველაფერი სინამდვილეში მოხდა“. მართლაც წიგნში ცოცხლად და შთაბეჭდილადაა წარმოდგენილი ის ფაქტები, რაც თვითონ ავტორს გადახდა ან საკუთარი თვალით ნახა. კრიტიკოსები საგანგებოდ აღნიშნავენ წიგნის დიდ მნიშვნელობას ისტორიკოსებისა და მომავალი თაობებისთვის, რაც მთავარია, ეს იყო ძვირფასი საარქივო მასალა, რომელშიც ლამის მთელი კონტინენტის მართალი, უკომპრომისო სურათი იყო წარმოდგენილი, დრამატული კოლიზიები, საერთო, დიდი სამშობლოს დიდი დროც და თვითონ გალენოს პირადი დროც, როგორც ავტორის, შემოქმედისა და მემკვიდრისა; კრიტიკოსები წერდნენ, რომ უამნივანოდ შეუძლებელია სრული წარმოდგენა შეგვექმნას ლათინური ამერიკის მწერალთა შემოქმედებაზე; ხოლო გალენო იმეორებდა „მე არ მაინტერესებს ისტორია როგორც სანთლის ფიგურების მუზეუმი, ან როგორც მასკარადი“.

ეს იყო მისი კრედი, რისი ერთგულიც დარჩა. მან ისტორიას შემოუღწია ისტორიულ პიროვნებათა საგულისხმო სახეები. გალენო სამშობლოში მხოლოდ 1984 წელს დაბრუნდა, რათა ბოლომდე შეესრულებინა თავისი მიზანი, რადგან სწამდა: „ის, ვინც არ იცის საიდან მოდის, როგორ გაიგებს, საით მიდის!“

**გუანოს აირასი, ივლისი, 1975 წელი.
აღამიანები მდინარის გაღალღმინდა**

სულ ახლახან გავიგე, რომ ყოველთვე, იმ დღეს, როცა ჩვენი ჟურნალი გამოდის, თურმე ადამიანთა ერთი ჯგუფი საგანგებოდ ნავით გადმოცურავს მდინარე ურუგვაის მის ნასაკითხად; ალბათ ოცნი იქნებიან, მათი წინამძღოლი სამოცი წლის პროფესორი ყოფილა, რომელიც კარგა ხანს საპატიმროში ჰყოლიათ გამოკეტილი. დილაადრიან გამოდიან პაისანდუდან და არგენტინის ნაპირზე გადმოსხდებიან, იყიდიან ხოლმე ჩვენი ჟურნალის „კრიზისი“ ერთ ეგზემპლარს, მერე შედიან კაფეში, ერთი რომელიმე ხმამალა კითხულობს, დანარჩენები უსმენენ, როცა კითხვა დამთავრდება, იწყებენ მსჯელობას. ასე გადის მთელი დღე. საღამოხანს, კითხვასა და სჯა-ბაას რომ მორჩებიან, ჟურნალი კაფეს პატრონს საჩუქრად დაუტოვებენ და შინ ბრუნდებიან, ჩვენს სამშობლოში, სადაც ჟურნალი აკრძალულია. „თუნდაც მარტო ამისთვის ღირს ამ ჟურნალის გამოქვეყნება“ — ვფიქრობ გულში.

სისტემა

ნახევარი მილიონი ურუგვაელი ქვეყნის საზღვრებს გარეთაა, ასევეა მილიონი პარაგვაელი, ნახევარი მილიონი ჩილეელი. ზღვებზე მიცურავენ ახალგაზრდები თავს გემები, რომლებიც გაურბიან ციხეებს, საერთო სამარეს, შიმშილს. თუ ცოცხალი ხარ, სამიშა, ფიქრი — დანაშაული. მაგრამ რამდენია, საკუთარ ქვეყანაში რომ არის დევნილი? რომელი სტატისტიკა აღრიცხავს მათ, ვისაც დუმილი და მორჩილება აქვს მისჯილი?

განა იმედის მიჩნევა დანაშაულად უარესი არ არის, ვიდრე ადამიანთა მართლ დანაშაული?

დიქტატურა — ეს ხომ მიდრეკილება, ჩვევაა სიმდაბლისკენ, სახელმწიფო მანქანა კი ერთიანად გაყრუებს, გამუხვებს, გიჩლუნგებს მოსმენის, ლაპარაკის უნარს, ისე გაბრმავებს, ველარაფერს ხედავ. რაც ისედაც აკრძალულია, რომ დანიხა.

პირველმა — სასიკვდილოდ ნაწამები ადამიანის — ამბავმა 1964 წელს, ბრაზილიაში ეროვნული სკანდალი გამოიწვია, მეათე — გაკვრით ასხენეს გაზეთებში. ორმოცდამეათე ნაწამები უკვე ჩვეულებრივი ამბავი იყო.

სისტემა ადამიანებს ასწავლის შეურიგდეს საშინელებებს ისევე, როგორც ზამთარი — სიცვივსთან შეგუებას.

დაწერილია კედელზე, ნათქვამია ქუჩაში, ნამღერია მინდვრებში

I.

ჩვენთვის კულტურა არ მთავრდებოდა წიგნების შექმნითა და კითხვით, სურათების, სიმფონიების, კინოფილმებისა თუ პიესების ნახვით, მოსმენითა თუ ყურებით; და არც ამით იწყებოდა. კულტურა ჩვენთვის ნიშნავდა ისეთი სივრცის შექმნას, სადაც ადამიანებს ექნებოდათ ურთიერთობის საშუალება. კულტურას მივაკუთვნებდით კოლექტიური ცნობიერების ყველა სიმბოლოსაც და მეხსიერებასაც, იმის მოწმობას, თუ რანი ვიყავით და რანი გავხდით, ხალხის ფანტაზიით შექმნილ წინასწარმეტყველებას, თუ რა გვიშლის ხელს, რომ გარდავიქმნეთ, ამიტომ, რომ ჟურნალი „კრიზისი“ აქვეყნებს არა მხოლოდ ლექსებს, მოთხრობებსა თუ სურათებს, არამედ იმ ცნობებსაც, თუ როგორ ასწავლიან ქვეყნის სკოლებში ერთიანად გაყალბებულ ისტორიას, ამასთან ტრანსნაციონალურ კომპანიათა მაქინაციების ამბებსაც, ავტომობილებთან ერთად იდეოლოგიითაც რომ ვაჭრობენ; ჩვენი ჟურნალი ამხელს ფასეულობათა მთელ სისტემას, რომლის თანახმადაც ლამის გაღმერთებულია ნივთები და მოძულეებული — ადამიანი, და კიდევ მანვე თამამები კონკურენციასა და მოხმარების სფეროში, რასაც იქამდე მიჰყავს ადამიანი, რომ მოიხმაროს, გამოიყენოს და დათრგუნოს მოყვასი. ამიტომ, რომ ყველაფერი გვანტერესებს — პოლიტიკური ხელისუფლების წყაროებიც, მინის

მელობელებისაც, ნავთის კარტელთა ბნელი საქმეებიცა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებანიც...

II.

ჩვენ ხალხთან საუბარი გვინდოდა, მისთვის სიტყვის თავისუფლება უნდა დაგვებრუნებინა; კულტურა ხომ ან ურთიერთობაა, ან სულ არაფერი. სულ რომ არ დავმუნჯებულყავით, ჩვენი აზრით, ახალი კულტურის შესახებ ვერაფერად ვერ ის მოგვეთხოვებოდა, რომ არ დავყრუებულყავით. ვაქცენებდით სტატიებს სინამდვილეზე, უფრო ისეთ ტექსტებს, რასაც თვით სინამდვილე გვთავაზობდა, ქუჩებში, სოფლებში, მაღაროებში აკრეფილ სიტყვებს, ცხოვრებისეულ ამბებს, ხალხურ გამოხატვებებსა თუ შაირებს.

პარანის ზემო წელის ბინადრები — ინდიელები — მღერიან თავიანთ აგონიაზე, ცივილიზაციამ ხომ ისინი ჩიხში მიიმწყვდია, მონებად გაიხადა პლანტაციებზე, ან ხოცავს, რათა მათ მიწებს დაეპატრონოს.

„შენ შეჰყურებ ნისლის წყარო-სათავეს, სადაც იბადება შთამავგონებელი სიტყვები. და იმას, რაც მე სიჩუმეში ჩავიფიქრე, შენმა შვილებმა მიჰხედონ, ხაკაირას ტომის ადამიანებმა, დიდი გულის პატრონებმა. დაე მათ ეწოდოთ ნისლის მბრძანებლები, შთამავგონებელი სიტყვის შემოქმედნი“.

პოლიტიკური პატიმრები თავიანთ წერილებში ამბობენ: „მე შენ გიამბობ თოლიებზე, რათა მათ აღარასოდეს მოგგვარონ სევდა“.

უცნობის ხელები მარ დელ პლატას კედლებზე წერენ:

„მე ვეძებ ქრისტეს და ვერ ვპოულობ.“

მე ვეძებ საკუთარ თავს და ვერსად მიმიგნია.

მაგრამ ვპოულობ მოყვასს და სამივე ერთად ვაგრძელებთ გზას“.

საკუთებიდან პოეტი იდუმალების სფეროსკენ მიიღვინა:

„ის იწვა ზღვაში. მე მივიდიოდი წყალზე და ვუხმობდი მას. ლოტრეამონ, ლოტრეამონ, ვეძახდი. და მან მიპასუხა, რომ ვუყვარვარ, რომ ახლა, აქ, ზღვაში ჩვენ დავმეგობრდებით, რადგან მინაზე ორივე ვიტანჯებოდით“.

მონტვეიდეოს გარეუბნებში მოსწავლეები ამერიკის დაპყრობის ამბებს გვიყვებიან: „მე შენ მოგიტანე ცივილიზაცია, აბა შეხედე, რა ლამაზი გემი მაქვს!“

— მე ეს არ უნდა, მე უნდა, რომ სახლი იყოს, ოჯახი, კარგი სარფა იყოს.

— მე კი გეტყობი, რომ გერჩივნა ჩემსავით ლაპარაკი გესწავლა!

— ეშმაკი ნავიყვანდეს შენ და მე თავი დამანებებდე.

ფაბრიკის მუშა მზის შემყურე ამას ჩივის: „მუშაობას რომ იწყებ, ჯერ ისევ ბნელა, როცა ამთავრებ, უკვე ჩადის. შუადღისას ხუთიოდე წუთი მაინც გვინდა, რომ მზეს ვუყუროთ ქუჩაში, თუ ფაბრიკის ეზოში — საამქროში ხომ მზის შუქს ვერ დაინახავ. შუქი კი გვაქვს ვითომ, მაგრამ მზეს ვერ ვხედავთ“.

სისტემა

ლათინური ამერიკიდან მეცნიერები ემიგრაციაში მიდიან, ლაბორატორიებსა და უნივერსიტეტს სახსრები არ გააჩნიათ; მრეწველობის საიდუმლოებები სულ საზღვარგარეთიდან შემოდის და ძალიან ძვირია, მაგრამ რატომ არ უნდა ვალიაროთ, რომ ჩვენს ქვეყანასაც საკმაო წვლილი შეაქვს ტერორის ტექნოლოგიის განვითარების საქმეში. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას ხომ დიდი დამსახურება აქვს ნამების მეთოდების დანერგვაში, ადამიანთა და იდეების ჩახშობაში, დუმილის, უსასოობისა და შიშის შეგონებაში.



კიტო, თბავრვალი, 1976 წელი. საუბრაში უნივერსიტეტში

დღეს ჩვენ ვისაუბრებთ თემაზე, რასაც კულტურულ გაუცხოებას უწოდებენ.

ამ ქვეყანაში დღეს ყველაფერი ნავთის გარშემო ტრიალებს; ბანანების ეპოქა წარსულს ჩაბარდა. გვირდებიან, ათწელიწადში ეკვადორს ვენესუელაზე არანაკლები შემოსავალი გაუჩნდება. ეს დღესდღეობით უღარიბესი ქვეყანა უკვე მილიონებს ელოდება და თავბრუ ეხვევა, თვალეები უჭრელდება; მაგრამ სკოლებზე, საავადმყოფოებსა თუ ფაბრიკებზე ფიქრი კი არ უბნევს თავგზას, ჯერ ფერად ტელევიზორზე ოცნებობს; იმის იმედიც აქვს, რომ მალე მათ მიწურებში ელექტროინფრასუნთქვის აგუგუნდება, მიყრუებულ სოფლებში კი ნავთის ლამფების მაგივრად ელექტრონათურები გაუჩახჩახებთ ჩაბნელებულ ქოხებს და ელექტრომაცივრები ხომ ექნებათ და ექნებათ. ფილოსოფიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტებზე თუ ექვსი ათასი სტუდენტი სწავლობს, ნავთობგადამამუშავებელი საქმის შესწავლის მსურველი ორი ათასი ძლივს დაითვლება. უნივერსიტეტში ვისაც როგორ უნდა, ისეთი ილუზიები შეიქმნას, მაგრამ რეალობა როგორია?

ქვეყანა სწრაფად ეთვისება და ეზიარება ცივილიზაციას, ანუ ისეთ ყოფასა და ცხოვრებას, ისეთ სამყაროს, სადაც მრეწველობა განსაზღვრავს და აკანონებს გემოვნებასაც, ფერებსაც, სურნელებსაც და, რაც მთავარია, მორალსა და იდეებს; ამ სამყაროში სიტყვა libertad ციხის სახელია, ისევე როგორც ურუგვაიში, ხოლო წამების ცენტრს აქაცა და ჩილეშიც „ლირსების კოლონიად“ ნათლავენ; გაცილებით ნარმატებით მიმდინარეობს ტვინების სტერილიზაცია, ვიდრე შობადობის გეგმებზე თვალყურის დევნება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი — სიცრუის ეს მანქანები, ტვინების კასტრაციისა და სინდისის მიძინების ეს წამალი დღითიდღე ვრცელდება და ძლიერდება, ასე და ამგვარად ინერგება დასავლური თუ ქრისტიანული დემოკრატია ძალადობასა და ტომატის სოუსთან ერთად. წერა-კითხვის ცოდნა სულაც არ არის აუცილებელი, რომ ტრანზისტორულ რადიოს უსმინო და ტელევიზორს უყურო და ასე განიცადო ყოველდღიური დამუშავება. ამ გზებითა და ხერხებით შეგავიწმინდებენ, რატომ უნდა აღიარო ძლიერი ხელისუფლება და პიროვნება ავტომობილს გაუთანაბრო.

დღეს ასევე ვისაუბრეთ ლათინურ ამერიკაში ყალბი „პროტესტის კულტურის“ იმპორტზეც. განვითარებულ ქვეყნებში ახლა მასობრივად აწარმოებენ ფეტიშებსა და ახალ-ახალ სიმბოლოებს, თუნდაც 60-იანი წლების ახალგაზრდული ამბოხების ნიშნულს, ესკაპიზმის იდეებით გაჟღერებულ ნახატებიან მაისურებს რომ გვთავაზობენ და ერთი გნისითა და ჟივილ-ხივილით იყიდება უფრო ამ წარწერის გამო „გახდი თავისუფალი!“ და აი ასე გადმოაფრქვევს ეს უზარმაზარი სამრეწველო მანქანა „მესამე სამყაროში“ მუსიკას, პლაკატებს, ვარცხნილობას, ტანსაცმელს და ამგვარად იქმნება ნარკომანიის ესთეტიკური მოდელი. ჩვენი ქვეყნები ხომ საამისოდ ნაყოფიერი ნიადაგია, მაგრამ თუ ვინმეს ამ ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევის სურვილი გაუჩნდება, limb-ის ბილეთებსაც სთავაზობენ. ახალგაზრდებს შეაგონებენ, რომ დავიწყონ ისტორია, რადგან ის ტკივილის მომგვრელია და სხვა არაფერი, ხოლო ნირვანა ყველაფერს ავინყებს; ამგვარ პარალიზებულთათვის გართობაა — დარჩეს სინამდვილე ისეთი, როგორცაა, მაგრამ სხვანაირი წარმოდგინე, აკი სხვანაირსაც გიხატავენ, გპირდებიან უმტკივნეულო სიყვარულს და სამყაროს ომის გარეშე. ამ ყველაფერსა და კიდევ სხვა ათას რამეზე კი ვისაუბრეთ დღეს...

სისტემა

განადგურების გეგმა: ბალახი ძირფესვიანად უნდა ამოგლიჯო, მთლიანად, ისე, რომ ერთი ღერიც არ დატოვო; მერე მიწას მარლი დაყარო და ასე მოკლა ბალახი, მისი ხსოვნაც კი მოკლა ერთიანად. იმისათვის, რომ გონებას, ტვინებს მთლიანად დაეუფლო, უნდა მოათვინიერო, წარსულზე მოგონება ჩაუხშო და ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა, ჩაუკლა ხსოვნაც კი იმაზე, რაც იყო, გააცამტვერო ყველაფერი, თუ რამ გაახსენებს იმას, რაც კი ოდესმე ყოფილა ამ ქვეყანაში დასამახსოვრებელი.

განა შეიძლება გიყვარდეს თავისუფლება, თუ არ გძულს გაღია? ეს ხომ იგივეა, რომ იცხოვრო და არ მოკვდე.

ჩემი სული ხარების ბრძოლის არენაა, სადაც ერთმანეთს ებრძვიან თავისუფლების წყურვილი და შიში.

ქვეყანა მე ვარ! — ბრძანებს სისტემა, ხოლო ვისაც ჰგონია, რომ სამშობლო ჩვენი საერთო სახლია, მარტო უთვის-ტომო გარეწარია.

გადატრიალების შემდეგ, სულ მალე მთავრობამ გამოსცა კანონი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ, რომლის თანახმადაც ცენზურა კრძალავდა ინფორმაციის გადაცემას პირდაპირ ქუჩიდან, ნებისმიერ თემაზე და მითუმეტეს შემთხვევითი ადამიანების, არაპროფესიონალთა აზრებს.

კერძო საკუთრების აპოთეოზი: პატრონი უნდა ჰყავდეს არა მხოლოდ მიწებს, ფაბრიკებს, სახლებსა თუ ადამიანებს, არამედ ნებისმიერ თემასა თუ აზრს. ხელისუფლების ეს მონოპოლია ადამიანებს უსჯიდა დუმისს.

ეს უკვე ნიშნავდა ჩვენი ჟურნალის დადუმებასაც. აბა რას გავანყობდით, მეტი რა ძალა გვქონდა და ეს კარგად გვესმოდა.

ომი ქუჩაში, ომი სულში

აქვს კი აზრი წერას? ამ კითხვაზე ხელი ტყვიასავით მიმძიმდება.

სიტყვებსაც საბაჟო დათვლიერებას უწყობენ, სიტყვის კოცონებს აბრიალებენ, სიტყვების სასაფლაოებს ხსნიან. გამოდის, რომ უნდა დავემშვიდობოთ ჩვენეულ ცხოვრებას და ავითვისოთ სხვათა მესხიერება, გაფერადებულ-გადაღე-

ბილი სინამდვილე, ისტორია — გამარჯვებულთა მიერ ახსნილი და განმარტებული. ეგებ წერა მარტო იმის მცდელობაა, რომ ამ უზნეობის დროს მათი ხმები მაინც გადაგვერჩინა, რომლებიც იტყოდნენ, რომ ოდესღაც ჩვენ ვიყავით აქ და ვიყავით ასეთები; ეგებ ეს ერთადერთი გზაა, რომ გადავარჩინოთ თუნდაც ყოველი ნივთის სახელი, თუ მოვლენის მიზეზი და შეეუნახოთ მათ, ვისაც ჯერ ა ვიცნობთ, რადგან ესპანელი მწერალი სალვადორ ესპრიუ რომ იტყოდა — „ვინც არ იცის, საიდან მოდის, როგორ გაიგებს, საით მიდის!“

„ამ მირჩავსია თვით ადამიანებისგან მოდიოდეს სინათლე“

I.

„ეს ლალატია“ — ვთქვი და ვაჩვენე კუბაზე გამოცემული გაზეთის ის ფურცელი, რომელზეც იგი ბენისბოლის გუნდის პიტერის სახით იყო წარმოდგენილი. მახსოვს, მან მხოლოდ გაიღიმა, მაგრამ ის კი აღარ ვიცი მიპასუხა თუ არა რამე. ჩვენი საუბარი პინგ-პონგის ბურთით დახტოდა ერთი თემიდან მეორეზე.

— მე არ ვისურვებდი, რომ ყოველი კუბელი მარტო როკ-ფელერად გახდომაზე ოცნებობდეს, — თქვა მან. სოციალიზმმა უნდა განმინდოს ადამიანი, გაათავისუფლოს ეგოიზმისგან, გააგებინოს, რომ სხვათა ხარჯზე არ შეიძლება დანინაურდე, მიახვედროს, რომ სიხარბე სიკეთეს არ დააყრის.

მერე ისიც მიაშბო, ნაციონალური ბანკის პრეზიდენტი რომ ვიყავი, ბანკნოტებს მაშინ ხუმრობით ხელს ასე ვანერდი „ჩე“; მერე დასძინა, ფული, ეს მართლაც საზიზღარი ფეტიში, რამენაირად ხომ უნდა დამემახინჯებინაო.

ჩე გვევარაზე და საერთოდ ადამიანზე მათი თვალები ყველაზე უკეთ გეტყვიან. კარგად მახსოვს მისი თვალები, მისი მზერა, ისეთი სუფთა, გეგონებოდათ ეს-ეს არის გაიღვიძაო. ასეთი თვალები, ასეთი მზერა შეიძლება მარტო იმ ადამიანებს ახასიათებთ, რომელთაც ღვთით მომადლებული რწმენა აქვთ.

II.

როცა მას ესაუბრებოდი, უნებურად იფიქრებდი, ეს კაცი კუბაზე მას მერე გამოჩნდა, რაც მთელი ლათინური ამერიკა შემოიარაო, ოღონდ არა როგორც ტურისტმა, არამედ ადარამც, ამ დროისთვის უკვე გამოვლილ-გადატანილი ჰქონდა ბოლივიის რევოლუციის ქარიშხალი და გვატემალის რევოლუციის აგონია. ცენტრალურ ამერიკაში ბანანების მტვირთავადაც მუშაობდა და მექსიკის დედაქალაქში გამვლელ-გამომვლელთ სურათებსაც უღებდა, საარსებო წყარო რომ ჰქონოდა, ხოლო როცა „გრანმის“ ბორტზე ადიოდა, ისიც იცოდა, რომ სიცოცხლეს სასწორზე აგდებდა, თუმცა ამისთვისაც მზად იყო.

ის არც კაბინეტში მუშაობისთვის იყო დაბადებული. როცა 1964 წლის შუა რიცხვებში მასთან ინტერვიუსათვის მივედი, იგი გალიაში გამომწყვდეულ ლომს ჰგავდა, მეტისმეტად დაძაბული და აფორიაქებული მეჩვენა, ეს გრძნობები ადრე თუ გვიან გამოსავალს იპოვიდა, ნიაღვარივით გადმოხეთქავდა.

იგი არ გახლდათ ჩვეულებრივი ადამიანი, რევოლუციას მას შემდეგ ჩამოსცილდა, რაც თავის ერთ მუჭა „გიჟებთან“ ერთად უკვე მოახდინა, რათა ახალი წამოეწყო. ცოცხლობდა არა გამარჯვებისთვის, არამედ ბრძოლისთვის, ადამიანთა ღირსების დასაცავად.

III.

სამი წლის მერე იყო, როცა გაზეთის პირველ გვერდს დაგხედი, ერთიანად გაქვავადი, ფოტოტელეგრაფით გადაცემულ სურათებზე სხვადასხვა კუთხიდან იყო გადაღებული მისი უსულო, გახევებული სხეული. გენერალი ბარიენტოსის დიქტატურა საქვეყნოდ იწონებდა თავს ასეთი „ნადავლით“.

დიდხანს დავცქეროდი ფოტოსურათებს, სახეზე ღიმილი შეჰყინოდა, თან თითქოს ირონიული და თანაც თბილი, ნაზი; და გამახსენდა ჩვენი შეხვედრა 1964 წელს და მისი აზრი ამ ქვეყანაზე — „სიძარბოვანი ერთის მხარეზეა, მატერიალური სიკეთე მეორეთა ხელში“, კიდევ რევოლუციისთვის — „კუბა არასდროს გახდება სოციალიზმის ვიტრინა, ის იქნება მისი ცოცხალი მაგალითი“... და საკუთარ თავზე ნათქვამი სიტყვებიც — „ბევრჯერ შევმცდარვარ, მაგრამ მაინც მგონია, რომ...“

„მან ნააგო, — გავიფიქრე მე, — ახლა უკვე ცოცხალი აღარ არის, მკვდარია, — მაგრამ გულში კი მაშინვე დავიძინე, — ის არასდროს წააგებს და არც არასდროს მოკვდება“. და ახლა, როცა ამ არგენტინელი ქრისტიანს სახეს დავცქეროდი, მინდოდა მისთვის მიმელოცა.

სამართლის ქალა

იგი ბუენოს აირესიდან ჩამოვიდა და ჯერ კიდევ უცხოვრობდა თავს ყუყუში; ერთი წლის მერე კი ძალიან შეეჩვია ქალაქს, თანაც მუშაობდა. მაგრამ ერთ ნაცსიან დღეს მანქანის საღებავის შეკეთების საფასური დაბნეულობის გამო რომ უგარანტიო ჩეკით რომ გადაიხადა, ამისთვის გაასამართლეს, დამნაშავედ ცნეს და სამსახურიდანაც დაითხოვეს. ამას ისიც მოჰყვა, რომ ნაცსობ-მეგობრები ქუჩაში დაინახავდნენ თუ არა, მეორე მხარეს გადადიოდნენ, უკვე აღარავინ ეპატივებოდა სტუმრად და აღარც ბარში სთავაზობდნენ, ერთად დავლიოთ.

ერთ გვიან საღამოს თვითონ მივიდა ადვოკატთან, სასამართლოში პროცესზე რომ იცავდა: არა, ნუ გემინიათ, არანაირი აპელაცია, ამისთვის არ მოვსულვარ, ისედაც ვიცი, რომ აქედან აღარაფერი გამოვა, დაე ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც არის. მე მარტო დასამშვიდებლად გეახელით და თან მინდოდა, თქვენთვის დღესასწაულები მომელოცა. მადლობას მოგახსენებთ ყველაფრისთვის, რაც ჩემთვის გააკეთეთ.

ადვოკატს დილაადრიან გაეღვიძა და საწოლში დაფეთებულივით წამოჯდა, მერე ცოლს მხარში ჩაავლო ხელი და შეანჯღრია.

— მან მე დღესასწაულები მომილოცა, მაგრამ მანამდე ხომ კიდევ მთელი ორი თვეა...

ადვოკატმა სწრაფად ჩაიცვა და ყოფილი კლიენტის სანახავად გაემშურა, მაგრამ შინ არ დახვდა; დილით უკვე ცნობილი გახდა, რომ მას თურმე საფთაქელში ტყვია დაეხალა.

სულ ცოტა ხნის მერე, სასამართლო პროცესი რომ დაიწყო, მსაჯულმა უცბად უცნაური ტკივილი იგრძნო მკლავში და რამდენიმე თვეში კიდევ ბოლო მოუღო კიბომ. ის პროკურორი კი, რომელმაც საქმე აღძრა მის წინააღმდეგ, ცხენის ნიხლის მსხვერპლი გახდა, მისმა შემცველმა, ასევე მოულოდნელად, ჯერ მეტყველების უნარი დაკარგა, მერე — მხედველობა, ბოლოს კი დამბლა დაეცა და სხეულის ნახევარი მთლად წაერთვა.

ეს ამბები ექტორმა მიაშობო იალაში და მე მაშინვე ჩე გევარა გამახსენდა, მის მკვლელებზე დავფიქრე.

მისი მოკვლის ბრძანება დიქტატორმა რენე ბარინტოსმა გასცა და წელიწად-ნახევარიც არ გასულა ამის შემდეგ, რომ იგი ვერტმფრენში დაინვა; დიქტატორის ბრძანება აღასრულა უფრო დაბალი ჩინის პოლკოვნიკმა სენტენიო ანაიამ, იმ ჯარისკაცთა მეთაურმა, რომელთაც ალყაში მოაქციეს ჩე და შეიპყრეს ნიანკაუასეში. რამდენიმე წლის მერე ანაია შეთქმულებას რომ მიემხრო და დიქტატორმა ეს ამბავი გაიგო, გაზაფხულის ერთ დილას სენტენიო ანაია პარიზის ქუჩაში ჩაცხრილეს. რეინჯერთა მეთაურმა ანდრე სელნიჩმა მოამზადა სიკვდილით დასჯის ცერემონია, 1972 წელს კი საკუთარმა ხელქვეითებმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს წამების პროფესიონალებმა, ცემით მოკლეს. ბრძანება აღასრულა სერჟანტმა მარიო ტერანამა, ვინც პირველი იყო, ჩეს ავტომატის ტყვია რომ დაახალა

ლა იგერის პატარა სკოლაში. ტერანი ახლა თურმე საგიჟეთშია გამომწყვდეული, პირზე დუჟი ჩამოსდის და სისულელეებს ბუტბუტებსო. პოლკოვნიკმა კანტანილიამ პირველმა ამცნო ქვეყანას ჩე გევარას სიკვდილის ამბავი და მისი გვამი ფოტოგრაფებსა და ჟურნალისტებს აჩვენა. თავად კანტანილია 1971 წელს ჰამბურგში სამი გასროლით გამოასალმეს სიცოცხლეს.

„რათა გაიხსნას ფართო გზა...“ 2

1963 წლის ზამთარში ალიენდეს ვახლი ჩილეს სამხრეთში, სადაც პირველად ვნახე თოვლი. ბევრს ვსაუბრობდით და კიდევ ვსვამდით პუნტა არენასში ზამთრის იმ გრძელ ღამეებში, ფანჯრის მიღმა კი თოვლის ფანტელები ცვიოდა. მაღაზიაშიც ერთად შევედით, რომ ჩემთვის თბილი ბაიკის ქვედა საცვალი გვეყიდა, აქ რომ „მშვიდობით, სიყვარულოს“ ეძახიან.

მომდევნო წელს ალიენდე ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელეს. მთებს რომ ჩაჟუარეთ, უზარმაზარი პლაკატი დაიხანახეთ, რომელზეც ეწერა ფრენის დროს ლარიბ ბავშვებს ყელიანი ფეხსაცმელები ეცმევათ! ქვემოთ ვილაცას ხელით მიენერა: „ალიენდეს დროს ლარიბ ბავშვები არ იქნებიან!“ ალიენდეს ეს ძალიან მოეწონა, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რა ძალა ჰქონდა შიშის მექანიზმს. სწორედ მაშინ მიაშობო, რომ თურმე ერთმა მოსამსახურე გოგომ ერთადერთი კაბა პატრონების ეზოში მიწაში როგორ ჩაფლა იმის შიშით, ვაითუ მემარცხენეებმა გაიმარჯვონ, აქაც მოვიდნენ და წამართვანო. ქვეყანა ლამის დოლარების ნიაღვარმა წაუქა. ქალაქში კი სახლებზე გაკრულ პლაკატებზე ვილაც წვეროსნები დედებს ხელიდან გლეჯდნენ ბავშვებს, რომ მოსკოვში წაეყვანათ.

1964 წლის არჩევნებში სახალხო მოძრაობის ფრონტი დამარცხდა.

დრო გადიოდა და ჩვენ მაინც ხშირად ვხვდებოდით. მონტევიდეოში მას პოლიტიკურ კრებებსა და მიტინგებზე დავყვებოდი; ერთად დავდიოდით ფეხბურთზე, ერთად ვჭამდით და ვსვამდით, ვცეკვავდით კიდევ ზოგჯერ. მას მოსწონდა ტრიბუნების აღტაცებული ყიჟინა, ლამაზი გოლები რომ ალაფრთოვანებდა, დაფდაფები რომ გრიალებდა და პეტარდები ტერციალებდა, ზევიდან კი ფერადი ქალაღების წვიმა გვეფრქევოდა, ძალიან უყვარდა ვაშლის ღვეხელი კაფე „მორინოში“, სანტია როსას კაბერნეს რომ დააყოლებდა და სიამოვნებით ენას გაანკლავებდა, თუმცა ორივემ ვიცოდით, რომ ჩილეს ღვინო ბევრად უკეთესია. ცეკვაც უყვარდა, ოღონდ გარდასული წლების ყაიდაზე, გალანტურად დაინხრებოდა და ქალიშვილს ხელზე ეამბორებოდა.

III.

იგი სულ ცოტა ხნის წინათ ვნახე, ვიდრე პრეზიდენტი გახდებოდა. ვალპარაისოს ჩირალდნებით გაჩახახებულ ქუჩაზე შევხვდით და გულთბილად გადავეხვიეთ ერთმანეთს, ხალხით სავსე იყო მთელი ის არე-მარე და მის სახელს გაჰყვინდით და იმდენი ვილაპარაკეთ, ლამის თავზე დავგათენდა. მერე ვისკის მათარაც გაჩნდა. ამ დროისათვის უკვე მოვასწარი ბოლივიამიც და კუმაზეც ყოფნა. ალიენდე არ ენდობოდა ბოლივიელ სამხედრო ნაციონალისტებს, თუმცა იცოდა, რომ ისინი მაინც დასჭირდებოდა; გამომკითხა მონტევიდეოსა და ბუენოს აირესის საერთო ნაცნობთა ამბები; თან მარწმუნებდა, სულ არა ვარ დაღლილი, და თან თვალები ეხუჭებოდა, თუმცა ლაპარაკს მაინც აგრძელებდა. მერე ფანჯარა გავადეთ, რომ სუფთა ჰაერი ჩაგვესუნთქა და ტალღების ხმა გავგვეგონა. მზის ამოსვლამდე ცოტა დრო რჩებოდა; იმ დილას ოტელში სამხედრო-საზღვაო ფლოტის უმაღლეს ოფიცრებთან საიდუმლო შეხვედრა უნდა შემდგარიყო.

რამდენიმე დღის მერე მის სახლში ხოსე ტრასტანა⁴ ერთად ვვხვდებით, რომელიც ელ გრეკოსა და ხორხე ტიმოსის⁵ სურათებიდან გადმოსულ ნამდვილ ესპანელ იდალგოს მოგაგონებდათ — ალიენდემ გვითხრა, სპილენძის საბადოების ნაციონალიზაციის პროექტს კონგრესზე ნამდვილად წინააღმდეგობას გაუწევნო. იგი პლემბისციტზეც ფიქრობდა. სახალხო ერთიანობის ლოზუნგი „სპილენძი ჩილელებისთვის“ ბურჟუაზიული სახელმწიფოებრიობის ჩვეულ ფორმებს დაარღვევდა. ამ ყველაფერზე გვესაუბრებოდა იმ ღამეს, მერე ზოგიერთი რამ უმაღლეს საზღვაო ოფიცრებთან საუბრის შესახებაც გვითხრა კონკონში; იმ დილას, მეზობელ ოთახში მეძინა.

IV.

მერე უკვე პრეზიდენტიც გახდა. ერთხელ თუ ორჯერ ჩილეში კი ვიყავი, მაგრამ მისი ნახვა ვერ გავბედე, არ მინდოდა მისთვის დრო დამეკარგვინებინა.

დადგა დიდი ცვლილებათა და პოლიტიკური მღელვარების დრო, მემარჯვენეებმა ბინძური ბრძოლა გამართეს. ყველაფერი ისე არ წარიმართა, როგორც ალიენდე ფიქრობდა. ჩილემ დაიბრუნა უფლებები სპილენძზე, რკინაზე, გვარჯილაზე, მოხდა მონოპოლიების ნაციონალიზაცია, აგრარულმა რეფორმამ ხერხემალში გადატეხა ოლიგარქია. ძლიერთა ამა ქვეყნისათა ხელიდან კი გაეშვათ სახელმწიფოებრივი ძალაუფლება, მაგრამ მაინც მათ შეინარჩუნეს იარაღი და მართლმსაჯულება, გაზეთები და რადიო, უმუშევართა რიცხვი იზრდებოდა, ვაჭრებმა ყველაფერი თვითონ შეისყიდეს და არაფერს ჰყიდდნენ, მრეწველები კი საბოტაჟებს აწყობდნენ, სპეკულანტები ბირჟაზე — არეულობებს. მემარცხენეები, რომლებიც პარლამენტში უმცირესობას შეადგენდნენ, გააფთრებთ იბრძოდნენ, მაგრამ ვერაფერს ცვლიდნენ; სამხედროები თვითნებურად მოქმედებდნენ. არ იყო საკმარისი არც რძე, არც ბოსტნეული, სათადარიგო ნაწილები, სიგარეტი, მაგრამ რიგებისა და უთანხმოებათა მიუხედავად, რვაასი ათასი მუშა-მოსამსახურე მაინც გამოვიდა სანტიაგოს ქუჩებში გადატრიალებამდე ერთი კვირით ადრე, რათა არავის ეფიქრა, თითქოს ხელისუფლებას მხარდაჭერა არ ჰქონდა. ეს ადამიანები შეუიარაღებელი იყვნენ.

V.

უკვე იწურებოდა 1974 წლის ზაფხული. ექვსი თვე გასულიყო მას შემდეგ, რაც ლა მონედას სასახლე დაბომბეს და ეს ქალი იჯდა ჩემს წინ ჟურნალის რედაქციაში, ბუენოს აირესში და ლაპარაკობდა ჩილესა და ალიენდეზე.

— შენზე მკითხა, სად არის ედუარდო. გადაეცი, ჩემთან მოვიდესო, უთხარი, რომ ვუხმობო.

— როდის მოხდა ეს?

— სამი კვირით ადრე გადატრიალებამდე. მონტევიდეოში გეძებდი და ვერ გიპოვე, სადღაც იყავი წასული. ერთხელ სახლშიც დაგირეკე და მითხრეს, ახლა ბუენოს აირესში ცხოვრობსო. მერე ვიფიქრე, რომ უკვე აზრიც აღარ ჰქონდა, მისი დანაბარების გადმოცემას.

სისტემა

ნილზიან-კაპიუშონიანი ადამიანები ერთმანეთს ჩახველების ხმაზე სცნობენ.

ისინი მთელი ერთი თვე აწამებენ ადამიანს, მერე კი მის ნეშტს ეუბნებიან: „ეს შეცდომა იყო“. თუ ადამიანს გაათავისუფლებენ, ციხიდან გამოსული გაიგებს, რომ სამუშაოც დაუკარგავს და საბუთებიც გამქრალა.

თუ სკოლის მასწავლებელს ან უნივერსიტეტის პედაგოგს საეჭვო სიტყვა წამოსცდება, ან თუ რამ უპატიებელს წაიკითხავს, შეიძლება დაუყოვნებლივ დაითხოვონ, ასე რომ, დარჩება უმუშევარი, თუკი ციხეს გადაურჩება, ან ერთი საათით მაინც დააჭერენ, ვითომ შეცდომით.

თუ საჯარო ცერემონიაზე ეროვნული ჰიმნის შესრულების დროს მეტისმეტი გრძნობით წარმოთქვამს სიტყვებს: „გეშინოდეთ ტირანებო!“ — უმაღ დაადანაშაულებენ შეიარაღებულ ძალთა თავმოყვარეობის შელახვაში, რაც კანონის ძალით ისჯება 18 თვიდან 6 წლამდე პატიმრობით; თუ კედელზე ვინმემ დაწერა „გაუმარჯოს თავისუფლებას!“ ან ქუჩაში ფურცელი დააგდო, სიცოცხლის დიდ ნაწილს ხომ ციხეში გაატარებს, თუკი წამებას გაუძლო, ხოლო თუ ვერ გაუძლო, მისი გარდაცვალების მიზეზი ასე გაფორმდება ცნობაში — ფეხი დაუცდა და სიმალიდან გადავარდა, ან თავი ჩამოიხრჩო, ანდა სულაც ასთმის შეტევის შედეგად გარდაიცვალაო. გაკვეთა, რა თქმა უნდა, არ მოხდება.

თვეში ერთხელ მაინც ახალი ციხე იხსნება, რასაც ეკონომისტები განვითარების გეგმას უწოდებენ. იმ კაზემატებზე რალა ითქმის, რასაც ვერ ვხედავთ, რომელ ოფიციალურ ცნობაში, რომელ სამხილებელ საბუთში ახსენებენ შიშის პატიმრებს, სამუშაოს დაკარგვის თუ სამუშაოს შოვნის, ლაპარაკის გამო შიშზე, მოსმენის, კითხვის გამო შიშზე ვინ რას ამბობს? დემოილის ქვეყანაში ადვილი მოსალოდნელია საკონცენტრაციო ბანაკშიც აღმოჩნდეს კაცი, თუნდაც იმის გამო, რომ თვალები მეტისმეტად უბრწყინავს. აუცილებელი სულაც არ არის მოსამსახურეს გამოუცხადო, რომ დათხოვნილია. მარტო იმის თქმაა საჭირო, რომ ნამსახურების სიაში ერთი ლაქა აღმოჩნდა და მას არსად, არასდროს მიიღებენ. ცენზურა სრულ გამარჯვებას მაშინ იზეიმებს, როცა ყოველი მოქალაქე საკუთარი სიტყვისა და საქციელის ცენზორი გახდება.

დიქტატურა ციხეებად გადააკეთებს ყაზარმებსა და კომისარიატებსაც, მიტოვებულ ვაგონებსა და გამოუსადეგარ გემებსაც. მაგრამ განა ციხედ არ გადაიქცევა ყოველი სახლი?

სისტემა

ეს გაგახსენებთ ათას ერთ ამბავს მწვალებელთა შესახებ. ვინ არიან ისინი, ვინც ადამიანებს აწამებენ? ხუთიოდე სადღისტი, ათიოდე უზნეო გარყვნილი, თხუთმეტამდე სულიერად ავადმყოფი? მწამებლები ოჯახის კეთილი მამებიც გახლავთ, ოფიცრები, სამსახურში დადიან, თავისუფალ დროს კი სხედან ტელევიზორის წინ თავიანთი შვილების გვერდით. კარგია ის, რასაც მოჰყვება შედეგი — გვასწავლის სახელმწიფო მანქანა. წამებას მოსდევს შედეგი: ის ადამიანებს ამოგლეჯს ინფორმაციას, ნებისყოფას უმსხვრევს, უნერგავს შიშს. შავი წირვის მონაწილეთა შორის იბადება და ძლიერდება ერთგვარი თანამზრახველობა. ვინც არ აწამებს, თვითონვე აწამებენ. სახელმწიფო მანქანა არ სცნობს უდანაშაულოთ და შორიდან მაყურებლებს. ვინ ამბობს უარს? ვის სურს, შეინარჩუნოს სუფთა ხელები? პირველად პატარა ჭანჭიკმა ვერ გაუძლო, გულზიდვა ვერ შეიკავა; მეორედ კბილს კბილზე აჭერს, მესამედ — უკვე ერგევა და ასრულებს თავის მოვალეობას. გადის დრო და პატარა ჭანჭიკი უკვე მთელი მანქანის ენით ლაპარაკობს: კაპიუშონი, ელექტროდი, აბაზანა, ჯაგრი-სი, გასართობი რამ. მანქანა მოითხოვს დისციპლინას. ყველაზე წესიერობიც კი თანდათან მადაზე მოდიან.

თუ მწვალებლები სულიერად ავადმყოფები არიან, რალა გვეთქმის იმ სისტემაზე, რომელიც უიმათოდ ვერ გაძლებს?

მე შექმნილი ვარ არა მხოლოდ თიხისგან, იმ დროისაგანაც, რაც ვიცხოვრე.

ჯერ კიდევ სულ პატარა ბიჭი ვიყავი და უკვე ვიცოდი, რომ სამოთხეში არ იყო მეხსიერება. ადამსა და ევას არ ჰქონდათ წარსული.

განა შეიძლება ყოველ დღეს ისე შეხვდე, თითქოს ის პირველია?

სისტემა

დიქტატურის დანაშაულები მართო ნანამებთა, მოკლულ-თა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა სიებით არ ამოინურებოდა; სახელმწიფო მანქანა გაიძულებდა და გაჩვევდა ეგოიზმსა და სიცრუეს. სოლიდარობა დანაშაულად მიიჩნეოდა; თუ გინდოდა ცოცხალი გადარჩენილიყავი, ფარისეველი და გარენარი უნდა გამხდარიყავი, ამას გვინერგავდა სახელმწიფო მანქანა. ის, ვინც ერთ დღეს პირზე კოცნით გხვდებოდა, მეორე დღეს გაგნირავდა. ყოველ გაბედულ ნაბიჯს სამაგიერო საზღაური მოჰყვებოდა; თუ რასაც ფიქრობდი, იმას ხმამაღლა იტყოდი, შენი საქმე ნასული იყო; მაშინ რისი ან ვისი გულისთვის გიღირდა სიცოცხლის შეგდება სასწორზე? განა ის, ვინც სამუშაოს დაკარგავდა, გულში არ ნატრობდა, რა იქნება ქარხნიდან სხვა მუშა დაითხოვონ და მე დამაბრუნონ? აკი მოყვასი შენი მტერია... ამას წინათ თურმე მონტევიდეოში ბავშვმა დედას უთხრა, ისეც საავადმყოფოში დამაბრუნე, რატომ გამაჩინეო.

ყოველდღე ვხედავთ და ვგრძნობთ, როგორ ცდილობენ ჩაკლან ყველაზე ძვირფასი, რაც ადამიანს სულის სიღრმეში მაინც შემორჩენია, და ეს არაფრად უღირთ. სისტემის გამარჯვება: ადამიანებს ლაპარაკისა და ემინიათ, ერთმანეთის შეხედვა თუ შეხვედრა სახიფათოა. როცა ვინმე გიყურებს და თვალს არ გაცილებს, უნებურად იფიქრებ: „ის მე დამლუპავს“. ერთი მმართველი თავის თანამშრომელს, თავის ძველ მეგობარს ეუბნება: „სხვა გზა არ მქონდა, უნდა დამესმინე, სიები მომთხოვეს, ვინმეს გვარი უნდა დამესახელებინა და... მაპატიე, თუ შეგიძლია“.

ყოველ ოცდაათ ურუგავალში ერთი ვალდებულია თვალი ადევნოს დანარჩენებს, ჩაუსაფრდეს, გამოიჭიროს და დასაჯოს. სამუშაო მხოლოდ ყაზარმებსა და კომისარიატებში მოიძებნება, თან კეთილსამიედრობის ცნობა უნდა წარადგინო, რასაც პოლიცია გასცემს. სტუდენტებს აიძულებენ ამხანაგები დაასმინონ, მოსწავლეებს კი — მასწავლებლები. არგენტინაში ტელევიზიის დიქტორი გეკითხებათ: „იცით თქვენ, ამ წუთში რას აკეთებს თქვენი შვილი?“ მაგრამ რატომ იმაზე არაფერს წერენ, როგორ უნამლავენ სულებს, ესეც ხომ მკვლევლობა!

ომი ქუჩაში, ომი სულში

სულ იმას ვცდილობ, როგორმე ჩავახშო ის ხმა საიდანაც, გულის რომელიღაც კუნჭულიდან რომ ამომძახებს ხოლმე, გირჩევნია მჭმუნვარე იერი შეინარჩუნო. მეც მგონია, რომ სიხარული დიდი დანაშაულია, მე კი ნამდვილად დამნაშავე ვარ, რადგან მაქვს ის უპირატეობა, რომ ცოცხალი ვარ და თავისუფალი. ამ დროს მახსენდება პერუში, ნანგრევებთან რომ ვიდექით, უილკას ნათქვამი: „ისინი მოვიდნენ აქ და ქვა ქვაზე არ დატოვეს; სურდათ, რომ ჩვენც გავმქრალიყავით, გადავშენებულიყავით, მაგრამ ვერ შეძლეს, ისეც ცოცხლები ვართ და მთავარი ეს არის“. მეც ამას ვფიქრობ, უილკა მართალია. რაკი ცოცხლები ვართ, ესეც პატარა გამარჯვებაა, ეს იმასაც ნიშნავს, რომ შეგვრჩა სიხარულის უნარი იმის მიუხედავად, რომ ბევრი დაკარგეთ, ბევრი დევნილია, სხვა ქვეყნებში გადახვენილი, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ სხვა ქვეყანაც არის ჩვენთვის. როცა დადგება ის საათი, საკუთარი სამშობლო რომ უნდა ავაშენოთ, ნუთუ ბუფოსა და ნეხვზე უნდა ავაგოთ? აბა რიდას მაქნისები ვიქნებით, თუ გატეხილები და დაუძღურებულები დავბრუნდებით?

სიხარულს უფრო მეტი სიმტკიცე და გამბედაობა მოეთხოვება, ვიდრე სევდასა და ნალველს. ნალველს ხომ ისედაც შევეჩვიეთ.

გვატემალა იყო პირველი ქვეყანა ლათინურ ამერიკაში, პირველი ლაბორატორია, სადაც უნდა ჩაეტარებინათ დიდ-მასშტაბიანი ნმენდის ცდა. კარგად განვრთნილი, საჭირო ცოდნითა და იარაღით აღჭურვილი ადამიანები ახორციელებდნენ ხალხის მიზანსწრაფულ განყვეტა-განადგურებას. 1967 წელი მართლაც იყო გრძელი ბართლომეს ღამე.

ესპანურიდან თარგმნა მარი ტიტვინიკა

¹ „ჩე“ — არგენტინაში გავრცელებული მიმართვაა, რომელიც შეიძლება ქართულ „კაცოს“ მიესადაგებოდეს. მისი ნამდვილი სახელია ერნესტო გევარა დე ლა სერნა (1928-1967).

² ედუარდო ფრეი მონტალეა (1911-1982) ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, ჩილეში, პრეზიდენტი 1964-1970 წლებში.

³ ხოსე ტოა — ჩილეს პოლიტიკური მოღვაწე, სალადორე ალიენდეს თანამებრძოლი, იყო ვიცე-პრეზიდენტი სახალხო ერთიანობის დროს. დაიღუპა საკონცენტრაციო ბანაკში.

⁴ ხორხე ტიმოსი (დ. 1936) — არგენტინელი მწერალი და ჟურნალისტი.

ჩვეულებრივი ექსპრეს-ინტერვიუ უჩვეულო რაპუსტით

რაცაღიარად ყუჩად ბინდდება, ბინდი შეუმჩნეველად ეფინება მწვანე ბალახს. მოლაღურების სტვენა ისმის, სულ ოდნავ, შეუმჩნეველად ირნევიან ხეთა მწვანე „მწვერვალები“. ვარდების, ოლონდ უკვე არა ნაწიმიარის (რადგან სამი დღე მშვიდად, გაბმულად წვიმდა) საწრელს ვიყნოსავ და ამ სურნელში თავჩარგული ვფიქრობ...

ახლახან დავამთავრე ექსპრეს-ინტერვიუს კითხვა. მარსელ პრუსტის ანექტას ზურაბ ხასაიას პასუხობს... პასუხობს დინჯად, სიღრმისეულად, ერთგვარი ტკბობითა და რუდუნებით, და შენც სწორედ ამგვარი განცდით კითხულობ — ტკბობითა და რუდუნებით. კითხულობ და კიდევ ერთხელ შეიგრძნობ სიღიადეს ამ სიტყვებისას: „ვის ძალუძს, მეტად განგადიდოს ან მეტი ვითხრას, ვიდრე ამ სიტყვებს — შენი მსგავსი მხოლოდ შენა ხარ!“ (შექსპირი). კიდევ უფრო მეტად გეძვირფასება ყველაზე მყუდრო და თბილი სახლი, ამქვეყნად ყველაზე მშვიდი ნავსაყუდელი — საკუთარი თავი!

საკუთარ თავს კი მოპოვება სჭირდება, რადგან მას იოლად ვერ მიაგნებ. ამისთვის ავთანდილისებური მოთმინება და სიბრძნეა საჭირო. იმ ვრცელი გზის გავლა, რომელსაც უკანდახვევა არ უხდება...

...ეს მხოლოდ დასაწყისია, უეცარი ფიქრი, კითხვის დასრულებისთანავე გაელვებული, და სულ სხვაგვარად უღრმავდება ერთი შეხედვით ჩვეულებრივ კითხვებს, უკვე მრავალჯერ ნაკითხულს და აღმოაჩენ, რომ თითქოს პირველად კითხულობ. ეს კი სწორედ იმ პასუხების დამსახურებაა, სრულიად განსხვავებულ ჭრილში რომ დაგანახვებს აქამდე კარგად ნაცნობ და თითქოს უკვე გარკვეულ საკითხს.

...მუქლურჯ ბინდბუნდში უჩინარდება კავკასიონი. ამ ბინდბუნდში უფრო მკვეთრად იგრძნობა „გაზაფხულის წვიმისგან დაპალუპით დასველებული“ (ოლონდ გუმინდლამდე) ვარდების სურნელი. ხეთა მწვანე კენწეროებს არხვეს ქარი, რომელიც „არა სჩანს“. უცნაური, გადამდები სიმშვიდე მოდის ამ სიმშვიანიდან და სილურჯიდან, ამ გამაბრუებელი სურნელიდან... ღრმა ფიქრის დრო დგება...

P.S. დღემდე არსად მომისმენია და არც წამიკითხავს, საყვარელ მწერლებში ვინმეს ჩემთვის საინტერესო და ერთ-ერთი გამორჩეული პროზაიკოსი, ჩინგიზ აითმათოვი დაესახელებინოს. გამიხარდა!

პატივისცემით

ეთარ ბერიავილი

ალექსანდრ ბლოკის წინაპარი თბილისზე

ანდრეი ბეკეტოვი

თბილისი და მისი შემოგარენი

(ბუნებისა და ადამიანების ცხოვრებიდან)

სიამოვნებით ვკითხულობდი ხოლმე „პერესტროიკის“ დროს დაფუძნებულ მშვენიერ, უხვად ილუსტრირებულ, ისტორიულ-კულტურული ხასიათის ყურნალს „Наше наследие“, რომელსაც მიხეილ გორბაჩოვის მეუღლე რაისა მაქსიმოვნა მეურვეობდა. თბილისში ყოფნისას, დაახლოებით 20 წლის წინ, გავიცანი ამ ჟურნალის რედაქტორი, რუსული პოეზიის საუკეთესო მცოდნე გიორგი ენიშერლოვი (ბლოკის ერთ-ერთი წინაპარი ენიშერლოვი იყო), როცა იგი და სხვა რუსი ლიტერატორები მთარგმნელობითი კოლეჯის თავმჯდომარემ, სამაგალითო მამულშივლილმა ოთარ ნოდიაშვილმა ბლოკისადმი მიძღვნილი სესიის ჩასატარებლად მოიწვია. შესანიშნავი საღამო ჩატარდა. მეც მომიხდა სიტყვის თქმა. ვილაპარაკე თბილისში, ოციან წლებში, გამოცემულ ბლოკის დიკციონარზე, სადაც, ლექსების გარდა, მატყვნილი იყო ალი არსენიშვილის წერილი ბლოკისადმი და პოეტის პასუხი მისთვის უცნობი, ერთი შენიშვნის მიმცემი, ახალგაზრდა ქართველი თავყვანისმცემლისადმი, თუ ჩემი ლექსები გიყვართ, მათში ჩაღვრილი შხამი დასძლიეთო. სამწუხაროდ, ის იშვიათი კრებული, რომლის არსებობა ჩვენმა სტუმრებმა არ იცოდნენ, დამეკარგა.

ახლახან, ჩემმა მეგობარმა და მეზობელმა, ლიტერატურის დიდად მოყვარულმა მარინე ჯიქიამ მათხვარა ენიშერლოვის მიერ გამოგზავნილი „Наше наследие“ (2005, №75-76), რომელშიც უნიკალური, ძვირფასი მასალებია თავმოყრილი ალექსანდრ ბლოკზე, ანდრეი ბელიზე, მარკ შაგალზე, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა გამოჩენილ მოღვაწეებზე.

განსაკუთრებულად დამაინტერესა ბლოკის ბაბუის (დედის მხრიდან) ანდრეი ნიკოლოზის ძე ბეკეტოვის პუბლიკაციამ. მას, როგორც უთვალსაჩინოეს მეცნიერს, „რუსული ბოტანიკის მამას“ უწოდებენ. იყო სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ბოლო რექტორი, დიმიტრი მენდელეევის ახლო მეგობარი, ჰქონდა აშკარად გამოკვეთილი ბელეტრისტული ნიჭი და გამორჩეულად უყვარდა თავისი შვილიშვილი საშურა, მომავალი გენიალური პოეტი, რომელსაც ბავშვობიდანვე შეაყვარა ბუნება, ამას კი უკვალოდ არ ჩაუვლია.

ახალგაზრდობისას ანდრეი ბეკეტოვი სამუშაოდ საქართველოში გაუწაღებიათ და ერთხანს თბილისის პირველ გიმნაზიაში მასწავლებლობდა. სწორედ იმ დროს (1856 წელი) განეკუთვნება ბეკეტოვის ძალზე ცოცხლად დანერგილი მოგზაურობის ყანრის ნარკვევი, თბილისსა და მის შემოგარენს რომ აგვიწერს. ნარკვევის ბოლოს მეტად ხატოვნადაა ნარმოჩენილი, როგორ ბრუნდება ავტორი თავის სამშობლოში სხვა კუთხიდან, სადაც სხვა ბუნება, ყოფა, განსხვავებული ხალხი, სულ სხვა ზნე-ჩვეულებანი იხილა. ყაზბეგი (მყინვარწვერი) თანდათან პატარავდება, თვალს ეფარება, მას იალბუზი ენაცვლება, მოგზაური მთიდან ვაკე-ზე გადის, ემშვიდობება გამკრთალებულ კავკასიონის გრეხილს და მშობლიური, ფართოდ გაშლილი სტეპებისკენ მიეშურება.

ემზარ კვიციანი

თბილისში დაახლოებით ხუთი წელი ვიცხოვრე და არც ისე დიდი ხანია, რაც იქიდან წამოვედი. ჩემი მოგონებები ცინცხალია და მრავალგვარი. მოგონებების ძირითადი ნაწილი, უნდა გითხრათ, რომ წმინდა ბოტანიკურ ინტერესებს შეიცავს. მობატუნებათ, ამიერკავკასიაში მოგზაურობა კერძო პირისთვის არც ისე იოლია. უვარგისი გზები, საკმაოდ დიდი, აუცილებელი ხარჯები, თან ბევრი ისეთი რამ, რაც უსათუოდ გჭირდება და რასაც აქ ფულით ვერ იშოვი. გარდა ამისა, უსათუოდ ბადრაციც უნდა გყავდეს. ეს ის მიზეზებია, რის გამოც ამიერკავკასიისა და კავკასიის გაცნობა, რაც არ უნდა დიდი სურვილი გქონდეს, იოლი არ არის, განსაკუთრებით მაშინ, როცა წლის უმეტესი ნაწილი ერთ ადგილას ხარ დაკავებული.

არ შეეუდგები თბილისისა და მისი შემოგარენის ღირსშესანიშნაობათა ზუსტ აღწერას. ჩემი მიზანია, მკითხველს, უბრალოდ, გავაცნო ის ადგილები, მის წინაშე წარმოვჩინო ქალაქის უფრო რელიეფური ხაზები და ისე დავახასიათო, როგორც ზოოლოგები ან ბოტანიკოსები ახასიათებენ თავისი დაკვირვების საგნებს, ხოლო განმეორებს რომ ავერიდო, სრულად და დანერვილებით კი არ აღვწერო, არამედ ვაჩვენო ის, რაც ინდივიდუალური და სახეობრივია, რაც კონკრეტულად მისთვის არის დამახასიათებელი.

დავინწყო ქალაქიდან. თბილისი ტაფობზე, თიხნარ ნიადაგზეა გაშენებული და ყოველმხრივ მთებით არის გარშემორტყმული, გარდა იმ ადგილებისა, სადაც მტკვარი ქალაქში შესვლას იწყებს და საიდანაც გამოედინება. ქართულ ყაიდაზე აგებული სახლების უმეტესობა ბანიათაა. დიდ სახლებს, ყოველი მხრით, აივნები აკრავს, გარდა იმ პატარა სახლებისა, რომელსაც განსაკუთრებით მრავლად მდინარის მარცხენა ნაპირას, ავლაბარში შეხვდები. ქალაქის წმინდა აზიური ნაწილი, ანუ იგივე ავლაბარი, ვინრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით არის დასერილი. თბილისის როგორც ჩრდილო, ისე სამხრეთ ნაპირი ვენახებს უკავია. ჩრდილოეთით ვენახები მდინარე ვერეს აყოლებით, ქალაქის დამთავრებისთანავე იწყება, სამხრეთით კი სათავე შიგ ქალაქში უდევს და მდინარე მტკვრის გასწვრივ, მისი ერთ-ერთი კუნძულის – ორთაჭალის გავლით საგუშაგოს იქით გრძელდება.

ზაფხული თბილისში ცხელი და დახუთულია. სიცხე განსაკუთრებით ივლისსა და აგვისტოში იმატებს, თუმცა მაისის ბოლოს ბალახი უკვე გაყვითლებულია. ზაფხულში თბილისი და მისი შემოგარენიც მზისგან არის გადადნევი, რაც არცთუ სასიამოვნო შესახებია. უმეტესწილად აქ მშრალი, საკმაოდ ცივი ზამთარი იცის, თუმცა თოვლი ქუჩაში ერთ დღეზე მეტს არ ჩერდება. ყველაზე დიდი სიცივე 10⁰⁰-მდე თუ მიაღწევს, ისიც რამდენიმე საათი ან რამდენიმე დღე. ზაფხული შეუმჩნევლად მოდის, შემოდგომა და ზამთარიც ასევე შეუმჩნევლად ცვლის ზაფხულს. იანვრის ბოლოს უკვე ყვავილობა იწყება, მაგრამ ეს ყვავილები სუსტი და უღიმღამოა, ზამთრის კოლორიტს იგი ვერაფერს აკლებს. ზოგჯერ თებერვალში უკვე ნუში ყვავის, თუმცა, დაედება მარტში თოვლი და ისევე ცივი ქარი დაუბერავს.

თბილისის ქუჩების უმეტესობა ფერდობებზეა განლაგებული, ამიტომაც თბილისური სახლების სახურავები ხშირად ქვაფენილს ან, უფრო სწორად, ქუჩის ტალახსა და მტვერს უთანაბრდება. თუ გინდათ თავი პირდაპირ ჯურღმულში არ ამოყოთ, გირჩევთ, მოერიდოთ ღამით ამ ქუჩებში სიარულს.

ხშირად ჩრდილოეთის ან ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი უბერავს, მტვრის კორიანტელს აყენებს და მინას ფიტავს. განსაკუთრებით მშრალი და სულისშემხუთავი სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარია. სამხრეთის და დასავლეთის ქარებს წვიმა მოსდევს, სამხრეთ-დასავლეთისას – ჭექა-ქუხილი და თავსხმა, რის შემდეგაც ქალაქში ჭუჭყიანი წყლის ნიაღვრები მიედინება.

გაზაფხულდება თუ არა, ანუ აპრილის დამდეგიდან, განსაკუთრებით სასიამოვნო ბალები და ქალაქის უახლოესი შემოგარენია. ამ დროს აქ ყველაფერი გადამწვანებულია, მაგრამ მაისი ჯერ ჩამთავრებული არ არის, რომ თბილისს უკვე ის ლაზათი აღარა აქვს, თვალისთვის ისეთი მიმზიდველი აღარ არის.

თბილისის ბალებს თავისი განსაკუთრებული კოლორიტი აქვს და არცთუ მოკლებულია მომხიბვლელობას. ბალები, უმეტეს შემთხვევაში, ტერასებად არის გან-

ლაგებულები, ხელოვნური არხებით ირწყვება და ვაზის ფოთლით არის მოჩრდილული. კადონებ-შეყენებულ ბოძებზე ასული ვაზი ჩარდახისებურ ხეივანს ქმნის და ამ ცოცხალი ჩარდახის თავზე ნუშის, ატმის, ჭერმის, ქლიავის, ალუბლის, კომშის, ბლის ხეებია ამოზიდული. ადგილ-ადგილ კაკლის უზარმაზარ ხეებს გადაუმლია ფართოდ თავისი ღონიერი ტოტები. აქ არც სხვა ხეხილის ნაკლებობაა, იქნება ეს უნაბი (Ririphsvularis), ფშატი (leagnus), ხურმა (Diospuros lotos), თუთა და სხვ. ჯერ ნუში იწყებს ყვავილობას, მერე ნუშისა და ვაშლის ოჯახის სხვა ხეები. თავიდან ბალები თეთრად არის გადაფიჭული, მერე თეთრს ატმის ღია ვარდისფერი ყვავილები გააღამაზებს, მალე თეთრსა და ვარდისფერს ფოთლების ქორფა სიმწვანე შეერევა და ყვავილები თანდათან გაუჩინარდება, მაგრამ, არ გაივლის დიდი დრო, რომ უკვე თავისი სიციხე ჩამოხვევა და მხოლოდ ვაზის ხშირი ფოთლებით ჩამობურთული ხეივანი თუ შეინარჩუნებს ცოტაოდენ სიგრილეს.

ბალები განსაკუთრებით გაზაფხულობით არის სასიამოვნო, როცა ნუშის ყვავილების სურნელი მთელ არემარეს არის მოდებული და მის სურნელს ლურჯად გადაყვავილებული იეზის სურნელი ერთვის. ლამაზია თბილისის ახლომასხლო შემოგარენიც. მინა უმეტესწილად გაზაფხულის ლურჯი და ცისფერი ყვავილებით არის დაფარული, გარემო ირგვლივ ნაზ სიმწვანეშია ჩაფლული და ყველგან უამრავი თავანკარა ნაკადული მორაკაკებს. მაგრამ მალე სიციხე ჩამოხვევა და შიშველ, უტყეო შემოგარენში თავს ვედარსად აფარებ. ვერც სადმე ბაღში მოითქვამ სულს, ვინაიდან სახლებთან ბალებს იშვიათად შეხვდები. მიუხედავად ამისა, ქალაქში საქმიანი ფუსფუსი არ წყდება. აი, მაიდანის და სომხების ბაზარი, უამრავი ვინრო შესახვევი და თათრის რიგები, რაც, ავლაბარზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ქალაქს სულ უფრო მეტად და მეტად ამსგავსებს აზიურ და რალაციტ კალკუტასა და კაიროს გახსენებს. პატარა მოედანზე გამართული თათრის ბაზარი, ანუ მაიდანის, მუდამ ხალხით არის სავსე. ამ ადგილს სოლოლაკის დაფლავილი, ქვიანი ქედებიდან თუ გადმოხედავ, რომელიც ქალაქს სამხრეთიდან ერტყმის, თვალში მხოლოდ ადამიანების, ცხენების, კამეჩების, ხარების, ვირებისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, აქლემის თავები მოგხვდებათ. მაიდანს მუდამ ოხშივრის მყრალი, სქელი ღრუბელი ადგას. ტალახი აქ თითქმის არ შრება. ვის არ ნახავთ ამ ბაზარში, თბილისის მრავალეროვანი მოსახლეობის რომელ წარმომადგენელს არ შეხვდებით – ყლალი ფერის ფაფახებსა და ნაბდებში გამოწყობილ შავ, ჭალარა, ნითელ, თეთრწვერიან თათრებს; მუდამ თავნაქინდრულ, მსუქან, სუფთა ჩოხებსა და მოსკოვურ კარტუზებში გამოწყობილ სომხებს; კოხტად გამოწყობილ, შნოიან, ომახიან ქართველებს; იარალითა და ნაბდებით მოვაჭრე, შუბლქვემო-დან ყაჩაღივით მზირალ ყაბარდოელებს; თეთრჩალმიან მოლებს; არშინიან ქუდებს, ფართო კაფტანებს, ფეხის თითებზე ნამოცმულ პატარა ფეხსაცმელსა და ჭრელ წინდებში ჩაცმულ ნითელფრჩხილებიან სპარსელებს.

შეხვდებით თულუხჩებს (წყლის მზიდველებს), ნაბდის კონუსისებრქუდიან მოჯამაგირეებს, ფაფანაკიან რაჭველ მუშებს (მებარგულებს), ნითელფეხიან, ქურთუკებსა და ლურჯ შარვლებში გამოწყობილ ბერძნებს, ხევსურებს, ხალხში ძლივს რომ მოიწვევენ ხმლითა და ფართი ხელში. აქა-იქ ზოგჯერ ევროპელის მრგვალი შლაპაც გაიღვებს. ყაბარდა!.. ყაბარდა!.. – მთელი ხმით გაჰყვირის მეეტლე. იგივეს ითხოვს მხედარიც – ცხენი თავს აქნევს, მიწას ტორებს ურტყამს, ფრუტუნებს, მოვერცხლილ ზანზალაკებს აჟღარუნებს. ნელა მოჭრიალებენ ორთვლიანი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, ნაირნაირი საზიდრები. ქართულ ურმებში, რომლის შიდა სამკუთხოვანი ბორბლები ღერძთან ერთად ტრიალებს, ორი, ოთხი, ზოგჯერ ექვსი ხარიც კია შებმული, კოფოზე ჩამოძონძილი ბიჭი ზის და ზანტ პირუტყვს სახრეს ურტყამს. ფერადზოლიანი ხალიჩით მოჩარდახულ ურმეზე უზარმაზარი რუმბი დევს, იქვეა მთელი ოჯახი ქალიან-ბავშვებიანად. აგერ, ოსებისა და ლეკების ჭრიალა, დიდრონთვლიანი, ცხენებშებმული, ბერძნების დაბალი, უმანო, თვლებზე რკინის სალტემემორტყმული ურმები. შესახვევიდან ხიდისკენ აქლემების ქარავანი გამოდის. პირველი აქლემი გამყოლ თათარს ნესტოებში გაყრილი თოკით მოჰყავს. პირუტყვი საცოდავად ბლავის, ბანჯგვლიან თავს აქეთ-იქით აქნევს, უკან სწევს და მუხლებზე ზანტად ეშვება. აგერ, ერევნიდან მომავალი მოხდენილი, მომცრო ტანის საკიდარი ცხენები, ზოგს ეყვანი ჰკიდია კისერზე, ზოგს ზანზალაკი.



ანდრე ბეკეტოვი

სავაჭრო დუქნებშიც რაღას არ შეხვდები: ხილს, ცოცხალ თევზს, ფქვილს, სანთელს, ყველს, ხეთს, დაკლულ ხოხობს, დურაჯს, ქურციკისა თუ ნიამორს. გავარჯარებულ ჰაერზე ხორცს უკვე სუნი ასდის. იქვეა ბნელ რიგებში, ანუ დახურულ გალერეაში შესასვლელი, სადაც სომხების სკოვური საქონლით, ხალიჩებით, ქჩებებითა და სხვა ამიერკავკასიური თუ სპარსული ნაწარმით გასვებული სავაჭრო დუქნებია განლაგებული.

გაივლით ერთ-ერთ ამ გალერეას და კიდევ ერთ სომხურ ბაზარში შეხვალთ. ეს არის გრძელი, ვინრო, არასწორი ქუჩა, სადაც ყველა სახლი ქართულ ყაიდაზეა აგებული, ე.ი. ბანიანია და მთლიანად ღია სავაჭრო დუქნებსა და სახელოსნოებს უკავია. იგი ერევნის მოედნიდან იწყება და თათრის მაიდანზე მეტად არის აჭრელებული. ერევნის მოედნის ცენტრში დიდი, სვეტიცხიანი სახლი – თეატრი დგას, რომელიც პალეო-როილის მსგავს ქარვასლას უერთდება. სომხების ბაზრის მეორე ბოლო აბანოს მოედანმდე გრძელდება და გოგირდოვანი მინერალური წყლის ანაორთქლით არის გაჯერებული. ნაცვლად ჩვეულებრივი წყლისა, აბანოების ყველა აუზი გოგირდის მინერალური წყლით არის სავსე. გოგირდოვანი ცხელი წყლის ოხშივარი მწვადის, ბოზბაშის, მოხარული და შამფურზე აგებული თევზის, ფლავის და კიდევ სხვა ათასი რალაცის სუნსა და ოხშივარშია არეული.

აქ, ისე, როგორც ბაზრის სხვა ადგილებსა თუ მასთან მიმდებარე იმ შესახვევებში, რომელიც ბაზარს აკრავს, უამრავი თათრული რესტორანია. ვერ იტყვი, საჭმელს ცუდად ამზადებდნენ ან უგემური იყოს, მაგრამ იმის გამო, რომ ყველაფერი საჯაროდ, ყველას თვალწინ იწყება და იხარშება, თანაც არცთუ ისე სუფთად, გირჩევთ ამ საზოგადოებრივი სამზარეულოების წინ დიდხანს არ გაჩერდეთ. აი, როგორია ჩვეულებრივ ეს დუქნები: წინა კედელი, როგორც წესი, არცერთს არა აქვს, მის მაგივრად იმ ადგილას ფართო ღია შესასვლელი და დახლია. დახლთან ან ვაჭარი დგას ან ხელოსანი. თუ ეს ვაჭარი კი არა მზარეულია, მაშინ იქვე ცეცხლიც გუზგუზებს. საჭმელი ჩვენი მეეტლეების თავდაყირა ამობრუნებული ქუდების მსგავს ქვაბებში თუხთუხებს. ეს არის ბლომა წყალში ერთად ჩაყრილი ცხვრის მსუქანი ხორცი, შიგნეულის ქონი და სხვადასხვა სურნელოვანი მწვანილი. ამ საჭმელს ჩიხირ-თმა (ჩიხირთმა) ჰქვია. ხოლო თუ ამას ყურძნის წვენი ჩაუმატებთ, მიიღებთ ბოზბაშს. ბოზბაშისა და ჩიხირთმის გარდა ტაფებზე კარტოფილი, ზოგჯერ კი რუსეთში ახლად ათვისებული კოტლეტი ინ-



ბოტანიკურ ბაღთან

ვის. რკინის ჯოხებზე წვრილ ნაჭრებად დაჭრილი ცხვრის ხორცია წამოცმული – ეს არის მწვადი, სიტყვის ვინრო გაგებით, მაგრამ შამფურზე ასევე მთელ-მთელი ფრინველი და ხორცის დიდი ნაჭრები იწვება და ესეც მწვადია, ოღონდ ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. ყველაფერ ამას ანელებს და კაზმავს მსუქანი ქართველი მამაკაცი, რომელიც საჭმლის სუნით გაჯერებული, თავისი დუქნის ხან ერთ კუთხეშია, ხან მეორე კუთხეში, ხან ბოზბაშს ხდის ქაფს, ხან ფლავისთვის ბრინჯს საწურში ყრის, ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

თათრის დუქნებში ნაცვლად ქართველისა, თათარს ან სპარსელს შეხედებით მსგავს მდგომარეობაში. ქართველს დახლზე მარინადაში ჩადებული ნაირნაირი ბალახეულობა და ჩურეკები (ქართული პურები), ხოლო თათარს თათრული პური ანუ ლავაში უწყევია.

სამზარეულოებს ხილისა და ბოსტნეულის რიგები მოსდევს. ესეც საკმაოდ საინტერესო რამ გახლავთ. ხილი და ბოსტნეული ხის დაბალ, განიერ ჯამებშია ჩანყობილი. აქ არის ყოველი კუთხიდან ჩამოტანილი ლურჯი, თეთრი, ვარდისფერი, მსხვილ და წვრილმარცვლიანი ყურძენი, ატამი, კურაგა (ჭერამი), ალუჩა (მრგვალი მწვანე ქლიავი), სხვადასხვა ჯიშის მსხალი, რომელთა შორის ყველაზე გემრიელი, ძალიან წვნიანი და სურნელოვანი გულაბია. უხვად არის სტაფილო, რომელიც ფერით უფრო ჭარხალს ჰგავს, კარტოფილი, ნითელი და თეთრი ლობიო, ნაირნაირი ფორმის ბარდა, სურნელოვანი და ცხარე მწვანილეული – ესტრაგონი (ქართულად ტარხუნა), სხვადასხვა ჯიშის აბზინდა, ქინძი (*bifora radicans*), ნიწმატი, ჯონჯოლის დამუჯავებული ყვავილი (*Staphylleae*), სალათა, ქიშმიში, ქილებით თავლი თუ ოსური ყველის მომცრო ჭუჭყიანი კვერები. იქვე ჩამოკიდებულია ქონის სანთელი, შაქარი, ნითელი წინაკა და ასანონი ზურგიელი. ზაფხულიდან შემოდგომამდე ყველგან საზამთროსა და ნესვის გორები დგას. აქაური საზამთრო არც ისე ტკბილი და გემრიელია, მაშინ როცა ერევნული ნესვი ანუ დუთმა ტკბილია, ნაზი და ხორციანი, ისეთი სასიამოვნო სურნელი აქვს, ამ მხრივ მასთან თვით საუკეთესო დასტამბოს სურნელიც ვერ მოვა.

ნოქრები მთელი ხმით გაჰყვირიან, ცალი ხელით უმონყალოდ აბრახუნებენ სასწორზე და მეორე ხელით ატამს, ყველს, არაჟანს, ქონს პირდაპირ სასწორის რკინის ან სპილენძის თეფშებზე, ხოლო თავლს იმავე ქილებით წონიან, დუქნებში გაშუქებით მზარეული კაცები და დიასახლისები ფუსფუსებენ. ცოტა მოშორებით თამბაქოს რიგებია – ხედავთ, როგორ ეწვეიან პაპიროსს და როგორ აქუცმაცებენ თამბაქოს. იქვე, დუქანში ქართველი კაცი ზის და აბრეშუმის ჭიის პარკიდან ძაფის ამოხვევაშია გართული, რისთვისაც მხოლოდ ხელებს კი არა ცალ ფეხსაც იშველიებს, რომელზეც პრიალა ძაფის გორგლის მეორე ბოლო აქვს წამოდებული.

შესახვევში თუ შეიხედავთ, დაინახავთ, როგორ კვერავენ რკინისა და ვერცხლის ნივთებს, როგორ ამზადებენ ფაფახებს და ჩუხებს (ჩოხებს), როგორ გამოგულავენ ხის მილებს. მთელი ეს ინდუსტრია არც გვიან საღამოს წყდება – ზოგი ფარნებს ანთებს, ზოგი ქონის სანთლებს ჩამიჩის ან სხვა პროდუქტის გროვაში არჭობს და ირგვლივ ერთი ხმაური და ჟივილ-ხივილი ისმის. გაუშვით ქუჩაში ისეთივე ჭრელი ბრბო, როგორც მაიდანზეა, მიუმატეთ მინისკარიანი, დიდფანჯრებიანი, ბლომად მოსკოვური საქონლით სავაჭრო დუქანი, წარმოიდგინეთ ყველაზე უარესი ქვაფენილი, სადაც ტალახი არასოდეს შრება, გაიხსენეთ სახლების ბრტყელ სახურავებზე ჯგუფ-ჯგუფად ჩამსხდარი ჩადრიანი და ქათიბიანი ქალები, ქუჩაში ერთთავად მგზავრის მომლოდინე მოწყენილი მეეტლეები, რომ თქვენ უკვე ზუსტად გაქვთ წარმოდგენილი, როგორია სომხური ბაზარი.

არაჩვეულებრივები არიან აქაური მათხოვრებიც: აი, მოდის თითქმის შიშველი, სატურნივით მრავალუამგამოვლილი ბერიკაცი, სახე ისეთივე ენერგიული აქვს, როგორც სატურნის ბრინჯაოს ქანდაკებას, ოღონდ ვერცხლის წვერს და უღვაშსაც თუ დაუმატებთ. სამოსის მაგივრად შიშველი სხეული ზოლიანი, ნითელ-ყვითელი ორხოვის ქსოვილით აქვს დაფარული.

ცხელი, ჩახუთული ზაფხულისა და ხშირად უსიამოვნო ზამთრის მიუხედავად, თბილისი მაინც ლამაზი და თვალწარმტაცია თავისი ადგილმდებარეობითა თუ შენობა-ნაგებობების მრავალფეროვნებით მუდამ ხმაურიანი მტკვარი, უსწორმასწორო, დამრევეული ფლატეები, თაღრად გამკვეთილი ვაზის ფართო ფანჩატურები, ჯორისა და აქლემის ქარავნები, ჭრელი, მობუბუნე ბაზარი და ხალხის ხალისიანი ლაპარაკი – ყველაფერი ეს აქ პირველად მოხვედრილი ადამიანის ყურადღებას იპყრობს, მაგრამ, ის, ვინც შთაბეჭდილებებს ბუნების წიაღში ეძიებს, მან თბილისიდან დაახლოებით ოციოდე ვერსით მოშორებული ადგილები უნდა მოინახულოს და სწორედ იქ იპოვის იმას, რაც თბილისში აკლდა – ჭალასავით წამოსულ ქორფა, ათასფრად გადაფერადებულ მცენარეულობას, რომლის გარეშეც არ არსებობს მრავალფეროვნება და ურომლისოდაც მკვდარი და გამოფიტულია გარემო.

სახლი, სადაც მე ვცხოვრობ, მამა-დაჯივითის მთის ძირას დგას და მისი აივნიდან მთელი თბილისი ხელისგულივით არის გადაშლილი – ჩრდილოეთით თვალი შორს სივრცეებს სწვდება, ამ მხარეს მტკვრის ხეობა ფართოვდება და რამდენიმე ტყით დაფარული მთა ჩანს. მთებს იქით თოვლიანი მწვერვალებია აღმართული, თეთრად ელავს და ქათქათებს ყაზბეგი. ტყით დაფარულ მთებს შორის უახლოესს გურამის ანუ საგურამოს მთას ეძახიან. ჩემი ბოტანიკური გული ხშირად მისიწრაფობს იქით და ხშირადაც მივილია იმ ადგილებში.

საგურამოს ტყეებს, რომელიც ახლა საგურამოლად არის შეთხლებული, იმის გამო, რომ საგურამოს მთა კავკასიის მთავარ ქედს აკრავს, არც თუ იშვიათად სწვევიან ლეკები, რომლებიც საქონელს და ხშირად ადამიანებსაც იტაცებენ. აქ არანაკლებ მძვინვარე ჯიქს, მომცრო ტანის მთის დათვისა და ტახსაც შეხვედრიან. ირმები და შვლები უფრო ხშირ ტყეებს აფარებენ თავს, თუმცა ცივილიზებული ქალაქის შიშით ახლა ცოტა უფრო შორს გადაუნაცვლებიათ.

საგურამოში ბევრჯერ ჩავსულვარ თოვითა თუ უთოფოდ, მცენარეებისთვის გამიზნული ჩანთით ხელში. იქაურობა ისეთი ლამაზია, მინდა იქ მკითხველიც შევიტყუო. ადრეულ გაზაფხულზე, ისე, როგორც თბილისის შემოგარენში, ყვავილობას პირველი აქაც *Cyclamen europaeus* (ყოჩივარდა) და *Viola odorata* (სურნელოვანი ია) იწყებს. ასევე უხვადაა აღმოსავლური ხარისძირა (*Helieboros orientalis*), მშვენიერი *Primula amaena* (ფურისულა) და თეთრყვავილა (*Celanthus nivalis*). სასიერნოდ, მთის ჰაერის ჩასაყლაპად და მცენარეების შესაგროვებლად რამდენიმე საათი ძნელად სავალ ფერდობებზე გინევს სიარული, მერე კი

თანდათან სულ უფრო ზევით და ზევით ადიხარ, სულ უფრო დაბურულ, ტანაყრილ და მსხვილზროიან ხეებს შორის.

ჩემთვის განსაკუთრებულად ღირსსახსოვარი საგურამოში ჩემი ორი ლამეული მგზავრობა იყო. იმის გამო, რომ უკვე ძალიან ცხელოდა, გადავწყვიტეთ გზას ღამით დავდგომოდით. ჯადოსნური, მზის ამოსვლისა თუ მზის ჩასვლის ჟამს ნაირ-ნაირ ფერებად აელვარებული მთა ჯერ კიდევ საღამოს გვიხმობდა. მზე რომ დასალიერისაკენ გადაიხრებოდა, იისფრად გადაიფერებოდა ღია ფერის სიმწვანე, ხოლო როცა მზე კიდევ უფრო ქვევით დაინევიდა, მიდამოს თანდათან მენამული ჩაელვრებოდა და მწუხრი ჩამონვეებოდა თუ არა, ლურჯად ჩაიბინდებოდა მთები. მთიდან წამოსული ჯანლი საგურამოს მოცისფრო ნისლში გაახვევდა და მთელი ხეობა მალე ღამის სიბნელეში ჩაიძირებოდა. გაივილიდა კიდევ რამდენიმე საათი და ღამის ბურსა და სიბნელეში ჩაფლულ საგურამოს ალიონის მკრთალი შუქი დაადგებოდა და მის მარცხნივ ნელ-ნელა აისის ალისფერ არიონში გახვეული ყაზბეგი წამოიძირებოდა.

მტკვარზე რომ გადავიდოდით, ღამის სიჩუმეს მხოლოდ მღვრიე ტალღების ხმაური არღვევდა. მალე დინების სანინალმდეგოდ გზას ზევით-ზევით ავუყვით. თხუთმეტობე ვერსი ჯერ შიშველი ბორცვებით მოარძიებულ ვაკეზე ვიარეთ და ჩაძინებული ბუნების მდუმარებაში სოფელ ავჭალამდე მივალნიეთ. ბაღებში პატარა ბუების ნაღვლიანი ხივილი ისმოდა. რაკრაკით წამოსულ ნაკადულზე გადავედით და სულის მოსათქმელად მთის ძირას შევჩერდით.

აქედან ზევითკენ ძალიან ღამაში გზა მიემართება. მართალია, ეს გზა თავიდან უძირო უფსკრულის ნაპირს მიუყვება, მაგრამ ამ გზაზე ურემი მაინც თავისუფლად გაივლის. მალე საურმე გზას მრგვალი ქვით მოფენილი ვიწრო ბილიკი ცვლის. ბილიკს რომ დავადექით, უცებ კიდევ უფრო ჩამოხნულა. გზას მარცხნივ მთის კლდოვანი ჩამონაქცევი გასდევს, მარჯვნივ ბუნებრივი მიწაყრილია, თავზე კუნელისა და რცხილის ბუჩქები გვირგვინით ადგას, რომელიც ჩვენს ზემოთ ადგილ-ადგილ თვალმუუვალი თალივით იკვრება. ბოლოს, როგორც იქნა, ხევს გაღმა ხეებს შორის მთვარემ გამოანათა, კლდეებში მოქცეული გზიდან გამოვედით და საგურამოს დაქანებულ ფერდობს შევუყვით.

ტყეში, ძირითადად, წიფლის ხეებია. მთის ანკარა ჰაერი უამრავი პანტის, მაჭალოს, ქლიავისა და სხვადასხვანაირი კუნელის მოტკბო სურნელით არის გაჟღერებული. ხშირ, ჩაბურულ რცხილნარს მაყვლის, გრაკალისა და უსურვაზის ერთმანეთში არეული ბუჩქები კიდევ უფრო გაუვალს ხდის. ნაქცეული, ხავსითა და ლიქნით ზროდაფარული ხეები გზაზე გარდიგარდმოა განოლილი, ბებერ ტოტებზე აქა-იქ ფითრია (ვისცუმ ალფუმ) ამოსული. ხეებიდან მონაბერი ნოტიო ჰაერი და ფოთლებით შეკავებული სიგრილე თბილისის მშრალი, ცხელი ჰაერისგან ძალიან განსხვავდება. მინა ღამაზად გადაპენტილი ჯადვარი-სებრნით არის დაფარული, სურნელოვანი ია ათასობით ყვავის და მთელ ჰაერში მისი სუნი ტრიალებს. ჩვენს ფეხქვეშ მრგვალი, სლიპინა ქვები ჭახაჭახით მიფრინავენ ქვევითკენ და ღამეულ მდუმარებაში მათი ხმა ექოსავით ისმის. ჩინჩხვარზე ფეხი წამდაუნუმ გიცურავს, მუხლებზე ეცემი, იეპით, ენდროსფერი ყოჩივარდებით და ლურჯი ცისთვალებით მოფენილ მინას ხელეებით ეყრდნობი, აღმართზე მაინც გაუჩერებელი მიინევ და რაც უფრო ზევით ადიხარ, წიფლის ხეები მით უფრო ტანაყრილი, მსხვილი და დიდებული შესახედავია, პანტისა და მაჭალოს ხეები კი უფრო ბებერი და ტოტებდაგრეხილი. ხმელ ტოტებს ფეხქვეშ ტკაცატკუცი გააქვს, ღამე გრილია და ნესტიანი, ირგვლივ უამრავი გამხმარი ხე დგას. კოცონი რომ ავაგიზგიზეთ, ცას ბოლქვ-ბოლქვად წამოსული ბოლი, ცეცხლის წითელი ენები და მილიონობით ნაპერწკალი შეეფრქვა, გარეული ვაშლის ბებერ, უსწორმასწორო ხეთა ხავსმოდებული, დაკორძილი ტოტები უცებ განათდა, უხვად ჩამოხურულ ფოთოლს მენამული გადაედო, კოცონის ირგვლივ ყველაფერი გაჩახახახებულა, მაგრამ



პირველი ქალთა გიმნაზია

ორიოდე ნაბიჯზე უკუნი სიბნელეა ჩამონოლილი და შავად დაბურული ტყე ჩვენს ქვემოთ წყვდიადით მოცულ უძირო უფსკრულშია ჩანთქმული. ჩვენ ახლა ამ ტყის ქოჩორა კენწეროების გასწვრივ ვსხედვართ და მთვარის სინათლევარეკილ მტკვარს დავცქერით – ქვაბულში, სადაც თბილისის შენობებია აღმართული, მდინარე ლენტივით მიიკლავება, ამ ლაბირინთს გაივლის, ერთხელ კიდევ გაკრთება და გაუჩინარდება.

ყოველის მხრით ჩვენს ლაპარაკს, ცეცხლის ტკაცატკუცსა თუ დამფრთხალი შაშვის ჭახჭახს ექო ეხმაურება. ჩიტი ვერ ხვდება, რომ მზის ამოსვლამდე ჯერ ძალიან ადრეა, აგიზგიზებული კოცონიდან ავარდნილი ალი მზის პირველი სხივები ჰგონია, ტოტიდან ხმაურით აფრთხილებული ერთს დაიჭახჭახებს და გამეფებული მდუმარებით შემკრთალი მაშინვე ჩუმდება.

ცარიელა პური გემრიელად გეახელით, დასაძინებლად დავნექით, მაგრამ, დრო რომ არ დავკარგო, ვიდრე გვძინავს, მინდა ჩემს მკითხველს ერთხელ კიდევ გავესაუბრო საგურამოს შესახებ.

სამხრეთით მთა-მთა თუ ივლი, მალე რაღაც ოთხკუთხა ნანგრევებს, შენობის ძეგლისძველ გალავანს მიადგები. გალავანი ბალახით არის დაფარული და ზედ უამრავი პატარა-პატარა ხეა ამოსული. გალავანის ხერეტილებში ქვენარმავლები იმალებიან. გალავანს რომ გასცდები, გამოჩნდება ქვით ნაგები პატარა ძველი ეკლესია, რომელსაც, როგორც ყველა ქართულ ეკლესიას, ვიწრო ფანჯრები და კონუსისებური წვეტიანი გუმბათი აქვს. ეკლესიის ჩაკეტილი ხის კარი ნელინადმი მხოლოდ ერთხელ – მაისში იხსნება. ამ დღეს აქ ზედაზნობაა და ლიტურგიის ჩასატარებლად აქაურობას მღვდელი და უამრავი მლოცველი სტუმრობს. წირვის შემდეგ ხალხი ღზინს ღია ცის ქვეშ მართავს, მთელი წელიწადი უსიერ მდუმარებაში ჩაფლული ტყე მხიარული ყიფინით და სიმღერით ივსება, მაგრამ, როგორც კი ხალხისგან დაიცლება, ზედაზენი (Зюда-Дзени) კვლავაც ყრუ და უდაბური ხდება.

ზედაზენს პირველად სწორედ იმ დღეობა დღეს ვენვიე, მაგრამ როცა მივედი, ზემი უკვე დამთავრებული, იქაურობა უკვე დაცარიელებული იყო. ნახევრად ჩამონგრეულ კედელზე უშველებელი, ნადიმდან დარჩენილ საჭმელს ჩადარაჯებული სვაგები (Vultur fulvus) იხსდნენ. ჩვენს მიახლოებაზე რამდენიმე თეთრი ორბი (Catartes Perenopterur) ჰაერში აიჭრა, ფრთები მძიმედ აიქნია და მოლურჯო შიშველი კისერი ბუმბულის არშიაში შემალა. აფრინდენ სვაგებიც, მაგრამ ჩემი მეგობრის მიერ ნასროლი ტყვია ვერცერთს ვერ მოხვდა და მხოლოდ ექო წამოენია სროლის ხმას. მახლობელი ხეებიდან დანარჩენი სვაგები და ორბებიც აფრინდნენ, ჩვენს ჩასწვრივ, ხეთა კენწეროებს ზემოთ, რამდენიმე წრე მოხაზეს, მალე ცაში ღრუბლებს შეერივნენ და შორს, ზევით, მოძრავი წერტილებით აირივნენ.

ჩამოწვა თაკარა, აუტანელი სიციხე, წყურვილი ლამის გვახრჩობდა, მაგრამ ახლომახლო წყარო არსად იყო. ცუდად ჩავმანული ეკლესიის კარს იქიდან გვესმოდა, კამარაზე ჩამოკიდებულ ფიალაში ტკაპატკუპით როგორ ცვიოდა წყლის წვეთები. ზედაზნის პატარა ხევი წყლის გაჩენას ხალხი აქ სასწაულად თვლის და ეს მართლაც სასწაულს ჰგავს.

ჩამავებული ტაძარი ნესტიან ტყესა და ტენიან ნიადაგზე ნასვრეტებიანი ლაონით არის აშენებული. მზის მცხუნვარე სხივებისგან წარმოშობილი ორთქლი ტაძრის კედლებსა და თაღებში გროვდება და ქვის ფორებში აღწევს, მაგრამ იმის გამო, რომ სიცხისგან ქვები ყოველთვის გახურებულია, ფორებში დაგროვილი წყალი ისევ თავიდან ორთქლდება. სწრაფი აორთქლებისაგან სავანი, როგორც ცნობილია, ძალიან ცივდება და ორთქლი კვლავ წყლად იქცევა, ამიტომაც ეკლესიის კედლისა და თაღის ქვები მუდამ წყლის წვეთებით არის დაფარული, რომელიც ზოგი იატაკზე და ზოგიც საგანგებოდ მისთვის დადგმულ ჯამში ცვივა.

იმის გამო, რომ დასაღვეი წყალი ვერ ვიპოვეთ, რაც შეგვეძლო სწრაფად დავეშეთ ქვევითკენ. საგურამოს მთაზე მეორედაც ისევ ღამით მომიწია ასვლა. შუა მთამდე რომ მივედით, იძულებული ვაგხდით, გაჩერებულიყავით, ვინაიდან იქვე ახლოს ცივი წყარო მოჩუხჩუხებდა და კოცონის ასანთებად ხის ხმელი ტოტებიც ბლომად იყო. მალე ჩემი ამხანაგები დასაძინებლად დანებნენ, მე კი მათი ყარაულობა გადავწყვიტე. თავიდან ცეცხლისა და ნაირნაირი ხეების ყურებით ვტყებოდით, რომლებიც ხან გამოიჭრებოდნენ წყვდიადიდან ცეცხლის უეცარ გამონათებაზე, ხან კი, როცა ბოლქვ-ბოლქვად წამოსული კვამლი ცეცხლის ალს შთანთქავდა, ისევ ღამის სიბნელეში იძირებოდნენ. ვიჯექი ასე კარგა ხანს, ღამის სევდიან მუსიკას ვუსმენდი და ის იყო, ჩამეძინა, რომ უცებ საშინელმა ყვირილმა, უფრო სწორად, ღრიალმა გამაღვიძა. ამ ხმაზე ყველანი სასწრაფოდ წამოვცვივდით და თოვებს ვეცით. ღრილის ხმა იქვე ახლოდან ისმოდა. ვიდექით თოვებით ხელში დადარაჯებული და ნადირზე წასვლას ვერცერთი ვერ ვბედავდით. ანკი ამ უმთვარო, უკუნეთ ღამეში საით უნდა წავსულიყავით, გზა საით უნდა გაგვეგონა?! რაც ძალი და ღონე გვექონდა, ყველამ ერთად ხმამაღალი ყვირილი ავტყებთ, მაგრამ ღრიალი არა და არ წყდებოდა. მერე იმ მხარეს ყველამ ერთად სულმოუთქმელად ვისროლეთ, ღრიალი რამდენჯერმე კიდევ გაჟღერდა და უცებ მიწყდა. ამ პატარა თავგადასავალმა, მართალია, ცოტა გაგვართო, მაგრამ იმას მაინც ვერ მივხვდით, ასე რომელი მხეცი ღრიალებდა. ვიცოდი, ირმები ხმამაღლა ბლავიან, მაგრამ ეს მხოლოდ წელიწადში ერთხელ – მარტში ხდება და არა ზაფხულის გაგანია სიცხეში, თან, რაც მთავარია, ასეთი ბლავილი არასოდეს მსმენოდა.

ინათა თუ არა, იმ მხარეს წავედით, საიდანაც ღრიალი ისმოდა. ვხედავთ, ხმირ, ტანაყრილ ხეებს შორის ნახევრად სახურავჩაქცეული ქოხია, სახურავის გადარჩენილი ნაწილი ბალახით არის დაფარული და ჩანაქცევში შავად რაღაც სამალავი მოჩანს, რაც შეიძლება სწორედ იმ ჯიქის სამალავი იყო.

მტკვრის მარცხნივ, მდინარის ქვემო წელში, ადგილ-ადგილ დაბალი გორაკებით დასერილი ვაკე ადგილია, რომელიც თბილისიდან ორმოც ვერსზე ეგრეთწოდებულ ყარაიას ველს უერთდება.

გაზაფხულის ბოლოს გადავწყვიტე ყარაიას ველი ფეხით შემოემელო: ჩემთან ერთად წამოვიდა ჩემი მეგობარი „კ“, ვინც ცხოვრების უმეტეს ნაწილს ძალღიობა და თოფით ხელში მთებსა, ტყეებსა და ხევსუბებში ატარებდა. თავისუფლად რომ გვევლო, გზას ღამით, ტილოს მოკლე პალტოებსა და ასეთივე მოკლე შარვლებში გამოწყობილები დავადექით, თავზე თეთრი შლაპები გვეხურა და ასეთი ჩაცმულები მთვარის შუქზე ნამდვილ მოჩვენებებს ვგავდით. ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ზუსტად ასეთი შთაბეჭდილება მოვახდინეთ თათრების პატარა ქარავანზე, რომელსაც ქალაქიდან გამოსვლისას შევხვდით. ჩვენს დანახვაზე საპალნე ძროხები გვერდზე გახტნენ და ფეხები ღამის დაიმტვრის. ასეთი ქარავნები მეტად ორიგინალური გახლავთ – ეს არის ორი-სამი ძროხა, რომლებზეც ღია ფერის ნაჭრებში გახვეული ქალები ხშირად ბავშვებთან ერთად სხედან. ძროხების უკან გამხდარ-გაძვალტყავებული აქლემი მოაბიჯებს. აქლემს ასეთივე გამხდარ-გაძვალტყავებულ ცხენზე ამხედრებული თათარი მოჰყვება, თავზე ფაფახი ახურავს, ტანზე ნაბადი აქვს მოხურული. მეორე თათარს ხელში გრძელი სახრე უჭირავს და სასაპალნე პირუტყვს მოერეკება. ორივეს ნელზე ხანჯალი უპრიალავს, მხარზე ორივეს თოფი აქვს გადაკიდებული. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ყველაფერი ეს ან აისის ვარდისფერ შუქშია გახვეული, ამ მთვარის მკრთალი ნათელი ადგას, ვინაიდან დღისით, როგორც წესი, ერიდებიან გზაში გასვლას. ამ სურათს კიდევ უფრო მეტ ორიგინალობას თათრებისთვის დამახასიათებელი სახეები ჰმატებს: ცხვრის ტყავის რუხი, ბანჯგვლიანი ქუდის ქვემოდან შავი, მოელვარე თვალები უბრწყინავთ, ხუჭუჭა უღვაშებს, რომელიც აბურძგნულ, ხშირად ნითლად შეღებილ წვერშია არეული, არწივისებური ცხვირი გადმოსდგომია, დანაოჭებული სახე ყავისფრად უღაპლაპავთ. ასეთია მოხუცი თათარი, რაც შეეხება ახალგაზრდებს, ისინი უმეტესწილად ღამაში შესახვედავები არიან, აქვთ კუპრივით შავი თმა და თოვლივით თეთრი, ქათქათა კბილები.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ალბათ ხვდებით, რომ იმ კუთხეში შევდივართ, რომელიც თათრებით არის დასახლებული. ხელისუფლებას მიაჩნია, რომ მათ აუცილებლად მკაცრად უნდა მოექცეს. იმის მოწმე, თუ როგორ ჩამოახრჩეს ერთი ახალგაზრდა თათარი, მე თვითონ ვახლავართ, თუმცა ამგვარი მძიმე მაგალითები ხელს სულაც არ უშლის და არ აკავებს ქურდობას – ყაჩაღობენ შარაგზებზე, იტაცებენ საქონელს, განსაკუთრებით ცხენებზე დახარბებულები, ცალ ხელში თოფითა და მეორეში მათრახით იპარებიან ერთმორწმუნე თანამოძმეთა ეზოებსა თუ დარბაზებში, თუმცა, ვისაც პარავენ, არც ის თაკილობს ქურდობას – იმასაც ხელში მუდამ შემართული თოფი აქვს მომარჯვებული, თოფს ხელიდან არასოდეს უშვებს. ხდება ისედაც, რომ ქურდს ტყვია წამოეწევა და თუ გარდაიცვალა, ეს ორი გვარი სამუდამოდ ერთმანეთის მოსისხლე მტერი ხდება, მაგრამ თუ დაიჭრა, უფროსების წინაშე პასუხისმგებლობის შიშით ჭრილობის საგულდაგულოდ მალავს ან ამბობს, რომ თავი თვითონ დაიზიანა შემთხვევით.

ვისაც ბევრი მოგზაურობა, ბევრი სიარული უყვარს, ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რაც შეიძლება ცოტა რამ წაიღოს და რაც შეიძლება მსუბუქად ჩაიცვას. ეს რომ ასეა, ამაში საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი. მონადირის ჩანთა, საპირისნამლე, სასაფანტე, მძიმე ჩექმები მხოლოდ პეტრბურგელი ან პარიზელი მონადირისთვის არის მოსახერხებელი, ჩვენ კი ყარაიაში პურიც არ წავვიღია, ვინაიდან ერთი ზედმეტი გირვანქაც ზოგჯერ ყველაფერს აფუჭებს.

მთელი ღამე სწრაფად, დაუზარებლად ვიარეთ, მხოლოდ ერთხელ შევჩერდით დასასვენებლად, დილით კი ჩვენს თვალწინ უკვე ყარაიას ველი იყო გადაშლილი. ხმირ, წამოყვლელებულ ბალახს სიყვითლე შეჰპარვოდა. მტკვრის პირას ალვის ხეები შავად იყო აღანძული. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ძალიან ვიყავით დაღლილები, გადავწყვიტეთ, ვიდრე დავისვენებდით. ცოტა ფრინველზე წავგენადირა, მაგრამ ძალღები ამოდ ელოდებოდნენ ნანადირევს – აქ არც ხობისი ჭაჭანება იყო, არც მწყრისა. სამაგიეროდ, რამდენიც გენებოთ, შოშია, კვირიონი და ოფოფი მართალია, ხობობი და მწყერი ვერა, მაგრამ ვნახეთ, თათარი სტევს როგორ აცლიდა აქლემს. იმის გამო, რომ პირუტყვი ამ დროს ბენვს იცვლიდა, მატყლი მხოლოდ კისერსა და გავაზელა ჰქონდა შერჩენილი. კარგად რომ გაასუფთავა და ნავთი რომ წაუსვა, მართალი გითხრათ, ნავთისგან ნახშირით გაშავებულ ამ აქლემზე უფრო უცნაური არაფერი მინახავს: გრძელი, გამხდარი კისრით, ჩამოკიდულ-ჩამოჩუხჩუი კუხებითა და მალალი ფეხებით, რაღაც მახინჯ, მითოლოგიურ გრიფს ჰგავდა. ყარაიას ველზე უამრავი ასეთი აქლემი ბალახობს. ისინი ყველაზე უხეშ ბალახსაც სიამოვნებით მიირთმევენ – დგანან და ორგოჯიანი

სიგრძის ეკლიან ნარშავას, გოქმოსა თუ *Alhagy Camelorum*-ს (ცერცვეკალას) გემრიელად ახრამუნებენ.

ტყეში ღრმად შევედით, მტკვრის პირას ერთი დიდი ხის ქვეშ მივწვივით და დავიძინეთ, რომ უცებ რალაც ხმაურმა გაგვავლიცა, თვალეში მოვიფშვინით და მივიხედ-მოვიხედეთ – ვხედავთ, ჩვენს წინ პატარა, ვერცხლით განყობილ, ლურჯ, ლამაზ ჩოხაში გამონყობილი შავულვამგადაგრებილი კაცი დგას, წელზე მდიდრული ხანჯალი აქვს შემორტყმული. შევხედეთ თუ არა, რა თქმა უნდა, მაშინვე ვიცანით – ეს ის ჯუჯა იყო, ვინც თავად ვორონცოვს ემსახურებოდა და ვისაც კარგად იცნობდნენ თბილისში. თქვენ ალბათ იკითხავთ, რა უნდოდა, რისთვის იყო აქ? რისთვის და, ყარაიაში ჯუჯას მინაც ჰქონდა და გლეხებიც ჰყავდა. ჩვენ მას როგორღაც გაგვგებინეთ, რომ გვინდოდა მისი სტუმართმოყვარეობით გვესარგებლა, რაზეც გვაგრძნობინა, რომ სიამოვნებით გაგვიმასპინძლებოდა და აგვიხსნა, სად უნდა მივსულიყავით, და საქმელი სად უნდა აგველო. ამის შემდეგ კიდევ დიდხანს ვიხეტივალეთ ტყე-ტყე. ერთფეროვანი ადგილმდებარეობა და გარეული ფრინველის სიმწირე ის-ისაა უკვე გვებზრდებოდა, რომ ერთ ბებერ მუხაზე არნივის ბუდე დავინახეთ. დედა არნივი ხეს განუწყვეტლივ დასტრიალებდა, თან ძალიან ახლოს, მაგრამ ჩვენმა ნასროლმა საფანტმა რომ ვერაფერი დააკლო, გადავწყვიტეთ არნივის ბუდის დასათვალიერებლად მუხაზე ავსულიყავით, თუმცა ხის შიშველ, სწორ შტამზე ასვლა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. სწორედ ამ ყოფაში ვიყავით, რომ თათრის მწყემსი ქალები მოგვიახლოვდნენ. ერთ-ერთი მათგანი ერთ აბაზად (ვერცხლის 20 კაპიკად) ხეზე ავიდა, კენწეროზე მოექცა და წკირებით და ჩალაბულით აგებულ ბუდეზე, რომელიც იმხელა იყო, ზედ ორი კაცი თავისუფლად დაეტიოდა, ჩამოჯდა, არნივის შეუბუმბლავი, თითქმის ინდაურისხელა ბარტყი დაუდევრად ჩამოგვიგდო და ჩიტმა სული იქავე განუტევა. ბარტყი მხარზე გადავიკიდეთ და ჯუჯას მიერ მინიშნებული თათრის ქოხის საძებრად გავწვივით. იმ ადგილიდან ქოხი კარგა შორს აღმოჩნდა. რომ მივედით, ახალი მონველილი რძე და ბლომად ლავაში მოგვცეს, მაშინვე ქოხის სახურავზე (ბანზე) ავედით და საქმელს გემრიელად შევქექით.

გავყურებდით უშველებელ, ზამთარ-ზაფხულ მინდორში მობალახე ცხვრის ფარას, ცხენებზე შემომსდარ მწყემსებს, ქოხის წინ დაყრილ ძველ ხალიჩებს, ნაბდებს, ცხვრის ტყავებსა და ტყავებზე მოკოტრიალე პატარა გოგო-ბიჭებს. დავინახეთ, საქონლის მოსაწველად ქოხიდან როგორ გამოვიდნენ ყვითლად სახედანაოჭებული თათრის ქალები, რომელთა შორის ახალგაზრდებს ჩადრებით სახე ისე ჰქონდათ შებურული, მხოლოდ თვალეებია უჩანდათ.

ყურებით გული რომ ვიჯერეთ, მზე უკვე ჩასასვლელზე იყო და წასასვლელად ავიშალეთ.

თბილისის სხვა გარემიდამოებს შორის ყარაია ყველაზე ნაკლებად არის საინტერესო – მზით გადახრუკული სტეპი, აქა-იქ გაბნეული მეჩხერი ტყეები, უნესრიგოდ გაბნეული, თუმცა ერთმანეთისაგან არცთუ დაშორებული თათრის საცხოვრისები – ყველაფერი ეს უდიდამო, მზით გამომშრალი და უცნაურია. მართალია, სტეპს ხანდახან ქურციკების ჯოგი აცოცხლებს, მაგრამ ეს ჩვენისთანებისთვის არ არის, ქურციკზე ისინი ნადირობენ, ვისაც მხედრების მთელი პოლიკის

თავმოყრა შეუძლია, სხვაგვარად კაცი მხოლოდ შემთხვევით თუ დაეფუტები ერთ ამ ანტილოპათაგანს.

მზე უკვე ჩასვლაზე იყო, თბილისში რომ დავბრუნდით. დალილი-დაქანცული ლოგინზე მივეგდე და მკვდარვით დავიძინე. დალილი კი ნამდვილად ვიყავი და მიზეზიც მქონდა, ვინაიდან 26 საათში მთელი 80 ვერსი ფეხით გავიარე.

ახლა მე თქვენ შედარებით მოშორებულ ადგილებზე მოგიყვებით.

ქალაქის დასავლეთით მთებია აღმართული. ამ მხარეს ბოლო ნაგებობა ზუსტად მთანმინდას ანუ წმინდა მთის ძირშია. ამ მიმართულებით თუ ივლით, თბილისელების საზაფხულო თავშესაფარს – კოჯორს მიადგებით.

კოჯორი შავი ზღვის დონიდან 5000 ფუტის სიმაღლეზეა, კოჯორიდან 30 ვერსის მოშორებით თეთრწყარო მდებარეობს.



ხალიჩების მალაზია

აქ ერთ-ერთი ფეხოსანი პოლიკის შტაბბინაა განლაგებული. თეთრწყაროს სამხრეთით მანგლისია და აქ უკვე მეორე პოლიკს აქვს შტაბბინა. ესეც კოჯორიდან 30 ვერსით არის დაშორებული. ეს ადგილები, განსაკუთრებით თეთრწყარო და მანგლისი, არაჩვეულებრივად ლამაზი ბუნებით არის გამორჩეული. იმის გამო, რომ აქ ძალიან კარგი ჰაერია, ზაფხულის სიცხეს ბევრი თბილისელი სწორედ აქ აფარებს თავს. ამ არემიადამოში ბევრი მივლია, თეთრწყაროსა და მანგლისში კი ვცხოვრობდი კიდევაც. მდებარეობით ეს ორი ადგილი სრულიად განსხვავებულია. თეთრწყარო მაღალ მთაზეა განლაგებული და თვალი იქიდან შორეულ სივრცეებს სწვდება. ერთ მხარეს, შორს, სადაც ლურჯად ჩაბინდული ქედი მოჩანს, თავისი უზარმაზარი, მუდმივი თოვლით დაფარული ალაგოებით. მეორე მხარეს ზოგან შიშველი, ზოგან ტყით დაფარული მწვერვალებია აღმართული. ქალაქის მთავარ ქუჩაზე კაკლის დიდრონი ხეები დგას და მცხუნვარე მზისგან ქუჩას მისი მწვანე ფოთლების უხვი ჩრდილი

იცავს. კირქვიან ნიადაგზე უამრავი ნაკადული მირაკრავებს.

მანგლისი სამაგიეროდ ჩავარდნილ ადგილას – ტაფობზეა გაშენებული. ტაფობს ყოველი მხრიდან ტყიანი მთები აკრავს და კაკლის ხეების ნაცვლად უამრავი ფიჭვის კოროშია. ნიადაგი ზოგან თიხნარია, ზოგან შავმიწა. ქვიანი ფენა თიხაფიჭვისგან შედგება. თეთრწყაროსთან შედარებით წყალი აქ ნაკლებამჭვირვალე და ცინცხალია, სამაგიეროდ ახლოს მდინარე ალგეთი მოედინება. მანგლისიც და თეთრწყაროც დაბაა, ერთმანეთის მიყოლებით ლამაზად ჩამწკრივებული პატარა, თეთრი, ქათქათა სახლებით, სადაც ჯარისკაცები თავისი ოჯახებით ცხოვრობენ, აქვთ დიდი ბალები და ჰყავთ მრავალრიცხოვანი საქონელი. აქაურ ზომიერ კლიმატს, რომელიც დაახლოებით ისეთია, როგორც სამხრეთ რუსეთში, განაპირობებს მაღალი ადგილმდებარეობა (ზღვის დონიდან იგი 5 000 ფუტზეა) და რუსი ადამიანისთვის, რომ იტყვიან, ნამდვილი სამოთხეა. რაც მთავარია, აქაურებმა არც ციებ-ცხელება იციან, არც ქოლერა და არც სხვა რამ ეპიდემიური დაავადება. სამარხილე გზები ზამთრობით უმეტესწილად ოდნავ არის შეყინული. ზაფხულობით ხშირი წვიმები აქაურ სიცხეს მოსათმენს ხდის, მცენარეებს ალალებს და დიდხანს უნარჩუნებს სიმწვანეს. ვაზი აქ, მართალია, ხარობს, მაგრამ ყურძენი და მწიფე ვაზს ვერ ასწრებს, სამაგიეროდ უხვად არის ატამი და ყურამი.

მანგლისისა და თეთრწყაროს მიმდებარე ადგილები, მართლაც რომ ძალიან ლამაზია. მე ხშირად მივლია იმ ადგილებში.

თბილისიდან მანგლისამდე რამდენიმე გზა მიდის – ყველაზე გრძელი გზა კოჯორზეა, ყველაზე მოკლე კოჯორის მარჯვნივ მიედინება და ზღვის დონიდან 4000 ფუტის სიმაღლეზეა. ეს გზები ან პირდაპირ მთანმინდის ციცაბო ფერდობიდან იღებს სათავეს, ან ცოტა უფრო მარცხნივ — სოლოლაკის ციხე-სიმაგრის ციცაბობიდან, სადაც თბილისური ზაფხულის სულის-შემსუთავი სიტყვა აღარც ისე ძლიერად იგრძნობა.

ფეხით მოსიარულე ექვს ვერსს რომ გაივლის, თავს ერთ პატარა ტყეში ამოყოფს. ვიდრე ტყეში შევა და ვინრო, ქვით მოფენილ ბილიკს დაადგება, ჯერ რცხილის (*carpinus betulus et orientalis*), თხილნარის (*Corylus avelana*), მუხის (*Quercus pedunculata, pubescens, et robus*), კუნლის ხშირი ბუჩქები უნდა გაიაროს, რომლის ყვავილების სურნელით მთელი ჰაერია გაჯერებული.

ბუჩქნარის შემდეგ ვაშლის ოჯახის შედარებით მაღალი ხეები იწყება. ხეებს შორის მარჯნისფერი იორდასალამი (*Paeonia corallini*) და ყვითელი შროშანი (*Linium monadcephum*) ყვავის. ერთ მაღლობს რომ გაივლი, კოჯორს ჩამოიტოვებ და პატარა ველზე ჩახვალ, სადაც შეგიძლია შეისვენო ერთად თავმოყრილ დუქნებთან, რომელთაგან ერთი რუსებისაა და დუქნისა და ტრაქტირის რაღაც ნაერთს წარმოადგენს. მალე ისევ გზა განვაგრძე, მომდევნო მთაზე ავედი და გზის მარცხნივ პანტის უშველებელი ხის ძირას მოვეწყე. აქედან გზა საკმაოდ ვიწრო ქედზე მიემართება, ის ხშირი ტყეები, რომლითაც ფერდობებია დაფარული, ძირითადად ვაშლის ოჯახის ხეებისგან შედგება, თუმცა შიგადაშიგ ნიფელს და რცხილასაც შეხვდები. გზას ვაგრძელებ და ლამაზ ხედებსა და სივრცეს სულ უფრო ალტაცებამი მოვყავარ. მარჯვნივ კავკასიონის ქედია ნახევარწრედ აღმართული, მწვერვალებზე ჩამონოლილი, თეთრი, გაუპრიანლებელი ვერცხლივით ხეშემი თოვლი გარკვევით იკვეთება ლაჟვარდისფერი ცის ფონზე. თოვლის საზღვარს ქვემოთ შავად მზირალ ქედს უძირო ხეობები, მთის ვიწროები და ხშირი, დაბურული ტყეები შავ ლაქებად აჩნია. მარჯვნივ კიდევ ერთი ქედია თავისი ალაგოზით, ირგვლივ ყველაფერი მწვანედ არის გადაბიზინებული. ქვევით, შენი ფეხების დასწვრივ, ხეობები და ზოგან ბალახით, ზოგან ტყით შემოსილი გორებია, ირგვლივ ყველაფერს მრავალფეროვნების შუქი ადგას.

ამ გზით თუ ივლი, კლდის ერთ იმ სამიშ ჩანაქცევს მიადგები, რომელსაც რუსები ხატოვანდ ჯანდაბის ლელეს ეძახიან და აქედან მთავარსარდლისა და მისი ამალის ყოფილ საზაფხულო სადგომთან მიხვალ.

ეს არის ტყით გარემოცული, დაოჯახებული ჯარისკაცებით დასახლებული რუსული სოფელი, თავისი ქოხებით, ძნის ზვინებით, თივის ბრჯებითა და წმინდა რუსულ ყაიდაზე აგებული სოფლის პატარა ეკლესიით, რაც განსაკუთრებული სიამოვნებით ავსებს და აღვლევს რუსი კაცის გულს.

გასცდები ამ საყუდარს, გაივლი რამოდენიმე ვერსს და კიდევ ერთ სოფელს – მანგლისის ახალშენს დაინახავ. იგი პოლკის ზამთრის სადგომის სახელით არის ცნობილი. შორს, მარცხნივ ტყეა გაჭიმული, მარჯვნივ მწვანით მოსილი გორაკებია. ნელა ადიხარ მაღლობზე და უცებ შენს ქვემოთ ფართო ქვაბული გადაიშლება თავისი ფიჭვის ტყეებით, თეთრი, პატარა სახლებითა და ლამაზი ეკლესიით. ეს მანგლისია. ფერდობი, რომლითაც მანგლისში ჩადიხარ, ხშირი ბუჩქნარით არის დაფარული. განსაკუთრებით ბევრია ასკილი. ზაფხული დადგება თუ არა, მთელი ფერდობი ასკილის ყვავილებით გადაიპენტება, ყოველის მხრიდან მისი სურნელი დის და თვალს წამდაუნუმ თეთრი და ვარდისფერი ყვავილების თაიგულებად ქცეული ბუჩქებისკენ გააგრძობს.

კიდევ უფრო წინ წარუქდები ჩემს მკითხველს. ერთხელ კახეთში ზუსტად ზაფხულის პირველ დღეებში მომიწია გამგზავრება. მიუხედავად იმისა, იქ მხოლოდ ათი დღე დავყავი, რაღაც რაღაცის ნახვა მაინც მოვასწარი. ჩემი მოგზაურობის მარშრუტი ასეთი გახლდათ: თბილისი, სიღნაღი, რომელიც თბილისიდან ას ვერსზეა, აქედან ალაზნის ველის გავლით თელავი, თელავიდან დაბა თიანეთი და თიანეთიდან მთის ზემო ნელზე გავლით ისევ თბილისი. სიღნაღამდე გზა არც ისე საინტერესოა. საზიარით

მდინარე იორი (ძველი კამბიზუსი) გადავჭვრიტ, მდინარეზე გადასვლაში ერთი თათარი გვეხმარებოდა, რომელიც ჩვენი საზიდრის ბორბლებს წყალში ფეხდაფეხ მოჰყვებოდა. ადიდებული იორი, განსაკუთრებით წვიმისა და ჭექა-ქუხილის შემდეგ, ერთ-ერთ ყველაზე ძნელად გადასასვლელ მდინარედ ითვლება (ყოველ შემთხვევაში აქ ასეა მიჩნეული) და მდინარის აქაფებული ტალღები ჩვენ საზიდარას, მართლაც, ცხენიან-მაზარებიანად თავის ნებაზე მიგაქანებდა. სიღნაღი პატარა, თვალწარმტაცი ქალაქია, იგი ზუსტად კლდის პირას არის გაშენებული. ქართული სახლები, რომელთა შორის აქა-იქ რუსული ყაიდის ნაგებობასაც დაინახავ, ყოველგვარი წესის გარეშეა მიმოფანტული. ყველგან ბალებია, ყველგან კაკლისა და ალვის ხეებია აშოლტილი და ეს ყველაფერი, სახლებიც, ხეებიცა და ბალებიც მთავორიან ადგილებშია. კლდის ძირიდან ალაზნის გაშლილი ველი იწყება, შორს მდინარის ნაპირი მოჩანს, მდინარის იქით კავკასიონის ქედია აზიდული, რომლის ძირშიაც შორეული სოფლები ჩიტის ბუდე-ბივით არის მიყუჩული. სიღნაღიდან გზა ჯერ ალაზნის ველზე გამავალ ვიწრო ხეობას მიუყვება. ხეობაში ლამაზი ნაკადული მიჩუხჩუხებს, რომლის ვარდნა ისეთი ძლიერია, რომ მასზე არანაკლებ ათი გასაოცარი, ხეთა სიმწვანეში ჩაფლული წისქვილი მუშაობს. ხეებს შორის ბრონეულის ალისფერი ყვავილები ცეცხლივით ანთია. წისქვილის პატარა ბორბლები მოძრაობაში ზოგჯერ ერთ საუენზე მეტი სიმაღლიდან თქავათაქუფით წამოსულ წყლის ნაკადს მოჰყავს. წყალი ვერცხლისფერ შეფერვად იშლება, ჰაერს აგრილებს, ულამაზეს ხეობას ხმაურით ავსებს. მალე გზა ალაზნის ქვიშრობ ნიადაგზე გაივსება და თელავამდე სწორად მიედინება. ეს გზა კარგი იქნებოდა, იმ სიპი ქვისგან რომ გაენმინდათ, რომლითაც თითქმის მთელი ალაზნის ველია მოფენილი, ანდა მოეკრწყლათ ამავე ქვით. მთელი უღელტეხილის მანძილზე კავკასიის ქედი შორიდან ყოველთვის ჩანს, მაგრამ, იმის გამო, რომ თელავი მთებს შუა, შესასვლელში მდებარეობს, ამის იქით ხეობა, ეტყობა, ვიწროვდება. ვინაიდან სიღნაღიდან თელავში პირდაპირი გზით ვერ მოვხვდით, ღამის გათენება ერთ ქართველ თავადთან მოგვინია, ვინც გულლიად, მთელი სულითა და გულით მიგვიღო. მეორე დღეს, დილით ადრე თავადის მინდვრებში გავედით და ნამდვილი ჰომეროსული სცენის მონმენი ვახვინით. თავადმა თავისი გლეხები ყანის სამკელად მოიხმო და ბატონის დაძახებაზე ყველანი მაშინვე იქ გაჩნდნენ. ყანებს შუა, მიჯნაზე, რომელიც ახლა ოქროსფერ ნამკალს გადაეყვითლებინა, უზარმაზარი კაკლის ხე იდგა. თავადი კაკლის ძირას დაჯდა და ცხენი მსახურს გადასცა. ზის დოინჯემოყრილი, ცალი ხელი ძვირფასი ხანჯლის ვადაზე უდევს და მისი ცხენი მსახურს აღვირით უჭირავს. მერე ჩოხის სახელო უკან გადაიდგო, აქეთ-იქით მზიარულად მიიხედ-მოიხედა და საკუთარ ზვრებში მონეული ყურძნისგან დაწურული მსუბუქი ღვინო ვერცხლის აზარფებით ნება-ნება შესვა. იქვე, კაკლის შორიხალის მოგრძო ორმოა გათხრილი, ორმოში ნაღვერდალი ღუდღუდებს, ნაღვერდალზე ცხვრისა და ძროხის ხორცის ბლომა მწვადი იწება. ყანაში მომუშავე გლეხებისთვის იქვე ღვინით სავსე უშველებელი ტიკია აყუდებული. გლეხები ხმამაღალი შეძახილებით და ყიჟინა-სიმღერით მინდორს არიან მოდებული, ერთმანეთს ეჯიბრებიან, სვე-სვეზე გააქვთ, ბრინჯაოსფერ სახეებზე ოფლი წურწურით ჩამოსდით და კაკლის ახლოს, რომლის მწვანე ფოთლების ჩრდილი ჩარდახივით წამოსდგომია თავადს, ძნას ძნაზე აწყობენ. მუშაობა დულს და გამდო-დულს. მხოლოდ მაშინ თუ შეწყდება, დასასვენებლად, მწვადის შთასანთქმელად და აზარფეშების ამოსაშრობად ცოტა ხნით სულს რომ მოითქვამენ. ბოლოს სტუმართმოყვარეობისთვის თავადს მაღლობა გადაუხადათ, უამრავ გამრჯე, ხალისიან ადამიანს გამოვემშვიდობეთ და საღამოს უკვე თელავში ვიყავით. თელავში, რომელიც ირგვლივ ბალებით არის გარშემორტყმული და ერთ მხარეს ტყით დაფარული მთები აკრავს, ის ღამე გავატარეთ, მეორე დღეს ქალაქის აჭრელებულ ბაზარში გავიარ-გამოვიარეთ და ცხენებზე ამხედრებული იმავე დღეს ხან ტყე-ტყე, ხანაც მთა-მთა თიანეთის გზას დავადექით. გზაში შეიარაღებუ-

ლი ხალხი მიგვაცილებდა, ვინაიდან აქაურები მეზობლად მცხოვრებ ლეკებს საშიშად მიიჩნევენ, თუმცა ულამაზესი ნივლის ხეების ყურებით რომ დავმტკბარიყავით და მთის თვითუღ წყაროსთან, რომელიც აქ ასე ბევრი, ასეთი ცივი და ასეთი ანკარაა, წუთით ჩაგვემუხლა, ხელი არავის შეუშლია. კავკასიური წყაროები და მდინარეები სამუდამოდ დარჩება ჩემს ერთ ყველაზე საუკეთესო მოგონებად. ჭეშმარიტად არ მოიძებნება სიტყვა, რომლითაც მათი მშვენიერების, დაღლილი, სიცხისაგან ქანცგანყვეტილი მგზავრისათვის მათი ფასდაუდებელი, მაცოცხლებელი ძალის აღწერას შეძლებდი. ჩემთვის ნამდვილი ნეტარება იყო, განსაკუთრებით ფეხით სიარულისას, ხარბად რომ დავენაფებოდი და ანკარა, ყინულივით ცივი წყლით წყურვილს მოვიკლავდი. მარტო ამისთვისაც კი მზად ვიყავი, თბილისიდან ფეხით მთელი ოცი ვერსი გამეველო. მერწმუნეთ, მოგზაურობის დროს ცივი წყლის დალევა მავნე სრულიადაც არ არის, მთავარია, დიდხანს არ გაჩერდე უმოძრაოდ. მე ეს პირადად ჩემზე მაქვს გამოცდილი.



დუქანთან

დაბა თიანეთი მდინარე ივრის პირას არის გაშენებული. მდინარე აქ სათავესთან ახლოსაა და უფრო სუფთა, უფრო გამჭვირვალეა, ვიდრე იმ ადგილას, სადაც ჩვენ ის ჩამოსვლისას ვადმოვლახეთ. თიანეთი საკმაოდ მაღალ ადგილას, ტყეებითა და მთებით შემოფარგლულ ვაკეზეა. კლიმატი ზომიერია, ღამეები კი საკმაოდ გრილი. ყურძენი, რაც თელავში ასე უხვად არის, აქ დამწიფებას ვერ ასწრებს. სამაგიეროდ იორი საუკეთესო კალმახით არის სავსე, არც ტყეები განიცდის ნადირისა და ფრინველის ნაკლებობას. ბაზარში წასვლა რომ გადავწყვიტეთ, ერთი ძველთაძველ გალავანში დატანებული თალის გავლა მოგვინია, სადაც უცნაური, განსაკვირვებელი სანახაობის მონმენი გავხდით – თალზე რამდენიმე მაჯაში გადაჭრილი ხელი ლურსმნებით იყო მიჭედული. როგორც შემდეგ ვავიგეთ, ეს ფშავების ან თუშების მიერ ლეკებთან ომში მოპოვებული ნაალაფევი იყო. ომებში, რომელიც მოულოდნელი თავდასხმებით იწყება, გარდა ვაჟკაცობისა და გამბედაობისა, დიდი მოხერხებულობა და ეშმაკობაც ყოფილა საჭირო. ამ კუთხის საზღვრებს ლეკებისგან ფშავეები, ხევსურები და თუშები იცავენ. იმ დროისთვის ვინმე თავადი „ჩ“ ბევრს გვიყვებოდა კლდეებსა და ჭიუხებში ლაშქრობის სიძნელეებზე და თავისი მებრძოლების გმირობაზე. მანვე აგვისხნა იმ ნახევრად დამპალი ხელის მტევნების შესახებ, რომელიც ძველთაძველ გალავანზე ვიხილეთ. ნადავლის მაგივრად მტრისთვის მარჯვენა ხელის მოჭრის ეს უცნაური ჩვევა ლეკებშიც ყოფილა. ამ ბარბაროსული ჩვეულების გამო, ქალაქის თავს, რომელიც იმჟამად თელავში ცხოვრობდა, თურმე ორივე ხელის მტევანი ჰქონდა მოჭრილი. ეს ამბავი კი აი თურმე როგორ მოხდა: ლეკები ერთ-ერთ სოფელს თავს თურმე მამნი დაესხნენ, როცა იქ მძიმედ დაჭრილი ქალაქის თავი იმყოფებოდა და თითქმის არ სუნთქავდა. რუსებისგან შევიტრობული ლეკები თურმე ჩქარობდნენ, რაც შეიძლება სწრაფად გაეძარცვათ ყველანი და სწრაფად გასცლოდნენ იქაურობას. მაგრამ ერთ-ერთს თურმე იმ უბედურის მარჯვენის მოჭრა მოსურვებია, გამშრალი ძარღვები გადაუსერავს, მაჯა გადაულუნია და ხანჯლის ერთი დარტყმით წაუცლია, თუმცა უნახავს, რომ სიჩქარეში მარჯვენა კი არა, თურმე, მარცხენა მოუჭრია, გამხეცებული მამნივე უკან მიბრუნებულა და იგივე ოპერაცია ახლა მარჯვენა ხელზე გაუმეორებია. ის საბრძოლო კაცი კი, რომელიც გონს თურმე აუტანებლმა ტკივილმა მოიყვანა, გარდაუვალ სიკვდილს რომ გადაარჩენდა, იძულებული გამხდარა, ტკივილი ხმისამოუღებლად აეტანა და თავი მოემკვდარუნებინა. ახლა ის თურმე ჯანმრთელი და საღალამათია, ის კი არა, იდაყვებით ცხენს თურმე უნაგირსაც ადგამს და ჯდება კიდევაც.

დან პირველს მთიულეთის ხეობა ეწოდება, მეორეს – დარიალის ხეობა. ამ გზით არანაკლებ ექვსჯერ მაინც ვიმგზავრე – შემოდგომაზე, ზამთარსა და ზაფხულში და მიუხედავად იმისა, გზა საკმაოდ სწრაფად გავიარეთ, ამ ადგილებმა ჩემზე ძალიან სასიამოვნო, ნარწმუნელი შთაბეჭდილება დატოვა. ნამდვილი მთიულეთი ანანურიდან იწყება, თბილისიდან ანანურამდე სამი სადგური და 75 ვერსია. თავიდან მთები არც ისე მაღალია, მაგრამ თანდათან მაღლდება და არაგვის ხეობამდე მიდის. ხეობის აქეთ-იქით ოდნავ შემალლებული ადგილები ხშირი ტყით არის დაფარული, თუმცა ზოგჯერ ბალახითა და ყვავილებით გადაჭრელებული ფერდობებიც გვხვდება. ირგვლივ ბევრი თიხაფიქალი ნაშენი სოფლებია. შორიდან სოფელი ერთ მთლიან ნაგებობას ჰგავს, ვინაიდან სახლები ერთმანეთთან ძალიან ახლოს, ერთმანეთს მიყოლებულ ტერასებად არის განლაგებული. სახლის სახურავებზე ზოგჯერ თივის ზვინები დგას, ქათმები, მამლაყინწენი და ძაღლები დასეირნობენ. სოფლის მცხოვრებლებს მინის თვითუღი გოჯი ძვირად უღირთ, იქნება ეს ვაკე თუ ფერდობი. სათესი მიწებზე, მდინარის ნაპირებიდან მოტანილი დიდრონი ქვებითა და ქვის ნამტვრევებით არის შემორავული, რაც ხეობას განსაკუთრებულ იერს აძლევს, თუმცა, მინდვრები, სამწუხაროდ, ცუდად არის დამუშავებული. სოფლის შემოგარენში უამრავი ძველი კოშკისა თუ გალავნის ნანგრევია. თვითონ ხეობა, სადაც არაგვი სწრაფად, ხმაურით მიედინება, ფართოა. გზა ფრიალო კლდეების ძირას, მდინარის ვიწრო ნაპირს მიუყვება, კლდე ზოგჯერ ზედ მგზავრის თავზეა გამოკიდებული. გზა ხან ზევით ადის, ხან ისევ ქვევით ეშვება, ისე, რომ არაგვი ხან შორს, ქვევით მიდგაფუნობს და იმ კლდოვან ჩამონატყვევებს ეცხავს, რომლის ნაპირზეც თქვენ მიდისართ, ხან თითქმის თქვენი რეკიპაჟის ბორბლებს ედგაფუნება. ხეობაში აქა-იქ თხილისა და იფნის კორომებია. მცენარეულობა აქ დიდად არ განსხვავდება დანარჩენი საქართველოს მცენარეულობისაგან. აი, ეს უკვე ქვემეთის აღმართია. არაგვი უკვე მარცხნივ ჩამოვიტოვეთ და ზევით, მთისაკენ მიუყვებით. ახვალთ თუ არა, გაიხედავთ უკან და დაინახავთ მთიულეთის ხეობას თავისი დაკლანკილი მდინარითა და აურაცხელი მთებით. ნინ, მარცხნივაც და მარჯვნივაც, ღრუბლებში გახვეული, თოვლით დაფარული მწვერვალებია. ქვემეთის მთის თხემი ოდნავ დაქანებული ვაკეა. თქვენ აქ პირველად შეხვდებით უამრავ იელს (*Arabia pontica*), რომელიც ივნიისის ბოლოსა და ივლისის დასაწყისში გადარეული ჰყავის ყვითლად და ნარინჯისფრად. ქვემეთის სადგური ზუსტად ზეკარის დასაწყისში მდებარეობს. დღისით გრილა, ღამე კი თითქმის სიცვივა. ზამთარში იელის ბუჩქებს და სოფლის ქოხებს თოვლის სქელი ფენა ადევს. ქვემეთს რომ გასცდები, გზა კლდის ნაპირ-ნაპირ მიდის. ჩახედავ ქვევით და დაინახავ, შორს, სიღრმეში არაგვი ლენტეხით როგორ მიიკლავება და ზევიდან უზარმაზარი მთები როგორ ნამოსდგომია, რომლის მოტიტვლებულ მწვერვალებზე ივ-

ლისის თვეშიაც კი თოვლი ადგილ-ადგილ ჯერ ისევ თეთრად დევს. გზის ყველაზე საინტერესო მონაკვეთი ქვეშეთის სადგურ-რიდან კობის სადგურამდეა, რომელთა შორის მანძილი სულ რა-ღაც თექვსმეტ ვერსს შეადგენს. ეს არის კავკასიონის ქედის ნამ-დვილი უღელტეხილი, რომლის ყველაზე მაღალი წერტილი ჯვრის მთაა. მისი სიმაღლე შავი ზღვის დონიდან 8000 ფუტს აღ-წევს. ივლისის თვეშიაც ზოგიერთ ადგილას აქ თოვლში გინევს სიარული. მიზეზი იმისა, რომ სადგურებში ცხენები ძალიან გამ-ხდრები და ძალაგამოლეულები არიან, საკვების სიძვირე და რთული გზაა, თუმცა კურიერები და ფელდეგერები, განსაკუთ-რებით ბოლო პერიოდში, ამ გზაზე სისტემატურად მგზავრობენ. რაც შეეხება კერძო პირებს, ისინი იძულებულნი არიან ბარგი კა-მეჩებს ან ხარებებზე ურმებს ანდონ, თვითონ კი ფეხით გაუდ-გნენ გზას. მე, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად უმშვენიერესი მცე-ნარეებითა და მომაჯადოებელი ხედებით ვიხილავ, რასაც აქ ყოველის მხრით და ყოველ ნაბიჯზე ხედავ. ივლისის დამდეგს ყველაფერი გადაშლილ-გადაყვავებულია. ამ ადგილებში ტყე უკ-ვე აღარ არის, ის ან უკან დარჩა, ან ხეობის სიღრმიდან ამოზიდულ-ლი მთების ფერდობებზეა შეფენილი. აქ ყველაზე მეტი ივლის ბუჩქებია, რომლის ყვავილების სასიამოვნო სურნელი კავკასიუ-რი დაფნის (*Daphne caucasica*) სურნელშია არეული. ფურისუ-ლას სამივე სახეობა (*Primula veris*; *Primula auricula*; *Primula far-mosa*) ჯერ ისევ მთელი სიძლიერით ჰყვავის. მწვანე ბალახებს შორის ნარგიზისფერი ფრინტა (*Anemone Narcissiflora*) ყელყე-ლაობს. ეს ყვავილი, რომელიც ალტაიშიც გვხვდება და რომელიც ასე ხატავს და უხდება ამ გორაკებს, მართლაც რომ ძალიან ლა-მაზია. ღეროზე ბუჩქად ამოზრდილი ვარდისფერი და თეთრი ყვავილები ხან ბუსუსიან ღეროზე ირწყვება და ქვევიდან ლამაზად დაკუნთებული ფართო ფოთლები აქვს შემორიგებული, ხან ფოთლები განზეა განეული და მცენარე უფრო გამართული, მოხდენილად აღერებული ჩანს. ამ ადგილებში *fritilaria lutea*-ს (ყვითელი ღვინას) და მთის მწარასაც (*centiana monmana*) შეხ-ვდებით, რომლის ღია ლურჯ ყვავილებს ისეთი მოკლე ღეროები აქვს, ყვავილი პირდაპირ მიწიდან ამოსული გეგონება. სრულიად ჩვეულებრივი მცენარე აქ გაცილებით ლამაზი და ჯიშინია, მა-გალითად, ნემსინვერას სხვადასხვა სახეობა (*Geranium songuineum*; *Geranium bepsa*) თუ ღამის ია (*Hesperis matronalis*). ჯვრის მთაზე, ტბაში, ვიპოვე ჩრდილოური დიდბაია (*Celtha palustris*), იქვე გზაზე შევხვდი უამრავ არაჩვეულებრივად მსხვილ, ხასხასაყვავილებიან კესანეს (*Myosotis palustris*). ზამ-თარში ამ გზაზე მგზავრობა ძალიან გაძნელებულია – ქარი, რომელიც თითქმის გამუდმებით ქრის, თოვლის ბურს აყენებს და ყოველგვარ კვალს შლის. მგზავრს ზოგჯერ მთელი კვირაობით უწევს ლოდინი, არადა, წინააღმდეგ შემთხვევაში ზეგვექმე სიკ-ვიდილი ემუქრება. ჯვრის მთაზე ნამომდგარმა პატარა სახლმა – ბაიდარმა არაერთი ადამიანი იხსნა ამგვარი სიკვდილისაგან. სხვათა შორის, ამის შესახებ უკვე ბევრი რამ არის ნათქვამი, და-ვუმატებ მხოლოდ რამდენიმე სიტყვას – ზამთრობით თოვლი აქ ლაპლანდიას ტოლს არ უდებს, ისე რომ, უფსკრულის პირას გა-მავალი თოვლისგან გადასწორებული გზა ფურთუნს გაგონებს და იძულებული ხარ თოვლი დიდის გაჭირვებით როგორმე გა-დახვეტო, თუმცა გაივლის ორიოდ დღე და გზა ისევ თოვლია ჩაკარგული. ასეთ ვითარებაში ამ უღელტეხილზე საშიშსა და დამლუპველს ძნელად თუ წარმოიდგენ. საქართველოს სამხედ-რო გზის მოვლა და შენახვა დიდ თანხებს მოითხოვს, თორემ, რა უნდა ქნა, წინ ხომ ვერ აღუდგები ბუნების ამ ძალას! დაუდგარი თერგი და არაგვი ყოველ წელიწადს დიდის გაჭირვებით მოკირ-წყლო გზას ანადგურებს, თანაც წელიწადში რამდენიმეჯერ თერგი ძირს უთხრის კლდეებს და ხიდის მტკიცედ ნაგებ თალებს შლის. სამწუხარო საყურებელია, მასზე განეული დიდი, სასიკე-თო შრომა როგორი უძღურია ბუნების ამ დამანგრეველი ქმედ-ების წინააღმდეგ. ზიხარ მთაში განმარტოებით მდგარი სახლის – ბაიდარის ახლოს, გაგანია ივლისის თვეში ყინულივით ცივი ქარი უბერავს და ნაბადში გახვეული, შენდაუნებურად იმ ადამიანების

მდგომარეობაზე ფიქრობ, რომლებიც იძულებულნი არიან ამ გზაზე ზამთარშიც იარონ და ადრიან გაზაფხულზეც. იქვე, რამ-დენიმე საუნიის დაშორებით ის ადგილებია, სადაც ყოველ წელი-წადს ზვავები ჩამონვება-ხოლმე. ქვევით, ღრანტეებში ჯერ ისევ თოვლი დევს, ორმოებიდან სტიქით დაღუპულ ადამიანთა ცხედრები ამოაქვთ. იქვე, შორიასლოს თოვლქვეშ ჩანამქრული ცხენებისა და ხარების ჩონჩხები ყრია. წინ შიშველი მწვერვალებით გარშემორტყმული მთის ვაკობია გაჭიმული, სადაც გამუდ-მებით ცივი, მოუთვინიერებელი ქარი დათარეშობს, გზიდან თოვლს ხვეტავს და ჰაერს თოვლის მტვრით აჯერებს. როგორი დიდებით შეიმოსებოდა იმ კაცის სახელი, ვინც თავისი ქონების ნაწილს არ დაიშურებდა და ამ ადგილას მგზავრებისთვის მყუდ-რო თავშესაფარს ააგებდა. როგორი რისხით გაიმეორებდა ბუმბე-რაზ მთათა საუკუნოვანი ექო ამ წმინდა, ქველმოქმედი კაცის სა-ხელს და თაობიდან თაობას გადასცემდა. ასეთი მიზნის განსა-ხორციელებლად ღარიბ კაცს უფლება გაქვს სიმდიდრეზე იწუხო და იწუნო. ნამოიძმართებოდა ამ ცაში აზიდულ, არასტუმარ-თმოყვარე უდაბურ ადგილას ტაძარი და ქარების ზუზუნში მისი ზარების ხმა ხსნად ჩაესმებოდა სიცივისგან გათოშილ მგზავრს. ტაძრის ახლოს ქველმოქმედი ადამიანების მთელი დასახლება განდებოდა, რათა სიცოცხლე დაღუპვას გადარჩენილი ადამი-ანების სამსახურში გაეღია. ჯვრის მთიდან ჩამოსულ მგზავრს წინ თერგი ეგებება, რომელიც ზამთრობით ყინულის სქელი საფარის ქვეშ მიედინება, ხოლო გაზაფხულზე, თოვლის დნობიდან დაწყე-ბული ყინვების დადგომამდე, გამუდმებით იცვლის კალაპოტს, წყალი ხან მატულობს, ხან იკლებს, ნაპირებს აფართოებს და ზვირთებს შავი მინით ღებავს, ზოგჯერ კი იქაც გამოჩნდება, სა-დაც გამოცდილი, ბევრის მნახველი ადამიანიც არ ელის. თერგის ხეობა ვინროა და პირქუში. კლდოვანი მთები მარადიული თოვ-ლის საზღვრებს სცილდება, ბუჩქნარი იშვიათდება და მცენარე-ულით მწირ, ქვა-ლორღითა და კლდის ჩამონატეხი უზარმაზარი ლოდებით მოფენილ ადგილებსა ხედავ. ყაზბეგს რომ გასცდე-ბი, ხეობა აქ რამდენადმე ფართოვდება და ისევ ღრუბლებამდე აზიდულ, შვეულ, დაღარულ კლდეებში გინევს მგზავრობა. მდი-ნარის აზავებული ტალღები ზათქითა და ღრიალით ასკდება ციკაბო კლდეებს და მისი ხმა საპყრობილემი გამომწყვდეული გოლიათის გოდებასავით ისმის.

თერგთან ჩასული შეამჩნევ, რომ მცენარეული საფარი აქ ერთგვარად განსხვავებულია. სხვათა შორის, კავკასიური ყა-ყაჩო (*Papaver causicum*), რომლისთვისაც მთის იქითა მხა-რეს თვალი ერთხელაც არ მოგიკრავს, უკვე უხვად გვხვდება. რაც უფრო წინ მიდის, ხეობა მით უფრო ფართოვდება, თერ-გის კალაპოტი ისეთი ვინრო აღარ არის, უშველებელი ლურჯი მთებით ჰორიზონტი არათუ ისე აღარ არის ჩამოხურული, არა-მედ ჰორიზონტის ხაზი სულ უფრო შორსა და შორს მიინევს. ხეობიდან გახვალ თუ არა, შვევით, მსუბუქად ჩაისუნთქავ მშობლიური რუსეთის სტეპის ჰაერს. არა, იმიტომ კი არა, რომ ჰაერი აქ უფრო მსუბუქია, არამედ იმიტომ, რომ შენს წინ თეთრ ზღვასა და ობში-სირტამდე შენი მშობლიური სტეპია განფენი-ლი, მშობლიური სიო უბერავს, წინ კი წვეროსანი რუსი კაზაკე-ბით დასახლებული სტანიცა გეგებება თავისი სწორი ქუჩებით, თავისი ღამაზად მოარშიებული თეთრი ქოხებითა და თვალს თეთრად ჩამოთოვლილი შორეული მთების ფონზე ბალების მკვეთრად გამოკვეთილი სიმწვანე იტაცებს. აი, ნაცვლად ყაზ-ბეგისა გამოჩნდა იალბუზი, ამკარად გამოიკვთა მაშუკი და ბემთაუ. რაც უფრო წინ მიდის, სტეპი მით უფრო გაშლილი და უკიდევანოა. მთები თანდათან ფერმკრთალდება, ღრუბ-ლის უფორმო, ნაცრისფერ მასად ქცეული შორს სივრცეში ინ-თქმება, ყაზბეგს უკანასკნელად ემშვიდობები და უკან აღარ იყურები – უკან ყაზბეგის ლანდიც აღარ ჩანს.

1856 წელი

თარგმნა
ლილი მჭადლიძე

„ნიგნების თარგმნის გარეშე წამითაც არ შემოიკლია ცხოვრება“

(მაია ჯალიაშვილს ესაუბრა მაია მირიანაშვილი)

მაია მირიანაშვილი — შესანიშნავი თანამედროვე მთარგმნელი. გერმანული ენიდან თარგმნის კლასიკურ და თანამედროვე გერმანულენოვან ლიტერატურას. „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე ხშირად იბეჭდება გამოხმაურებანი მის თარგმანებზე. იგი ახლა გერმანიაში, ქალაქ ნიდერქასელში ცხოვრობს და მუშაობს. ჰყავს გერმანელი მეუღლე, პროფესიონალი ინფორმატიკოსი. მას უკვე ნათარგმნი აქვს:

- ფრანც კაფკას მოთხრობები და წერილები (2009-2011);
- ჰერმან ჰესეს „დემიანი“ (2003-2011), „აუგუსტუსი“ (2003);
- ბესთსელერი ავტორის, თითქმის უკვე 40 ენაზე თარგმნილი — რობერტ ვალზერის „იაკობ ფონ გუნთინი“ (2008), „მარია“ (2008), „გასეირნება“ (2008), „თანამშემენე“ (2011), „და-ძმა ტანერები“ (2012);
- კარლ ზელიგის „გასეირნება რობერტ ვალზერთან ერთად“ (2007);
- ბესთსელერი ავტორის, მარტინ ვალზერის „მეყვარებული კაცი“ (გოეთეს ბოლო სიყვარულზე), ნათარგმნი უკვე 25 ენაზე (2010);
- ავსტრიელი მწერლის თომას ბერნჰარდის „სარდაფი“ და მოთხრობები (2002);
- ბესთსელერი კრისტა ვოლფის „მედეა“ (2007);
- კრისტოფ ჰაინის „უცხო მეგობარი“ (2007), „დედიკო ჩვენთან აღარა“ (2008);
- ბესთსელერი ავტორის ბერნჰარდ შლინკის „ნამკითხველი“ 2005-2012, რომელიც ასევე ფილმადაცაა გადაღებული და უკვე 40 ენაზეა ნათარგმნი. იული ცეს „არნივი და ანგელოზი“ (2005), „თამაში“ (2012), ეს ნიგნი ახლახან გადაღებულ იქნა ფილმად (თინევიჯერების პრობლემებზე);
- შვეიცარიელი მწერლის პეტერ შტამის „აგნისი“ (2006), „შეუცნობი ბუნება“ (2009);
- ავსტრიელი მწერლის გლორია კაიზერის „ანიტა გარიბალდი“ (2007);
- შვეიცარიელი მწერლის ურს ვიდმერის „დედაჩემის საყვარელი“ (2007);
- ჰაინრიხ ფაუსტელის „მარტინ ლუთერის ცხოვრება და მოღვაწეობა“ (2008);
- ავსტრიელი მწერლის ეველინე შტაინის „სასიამოვნო შეგრძნება მუცელში“ (2008);
- შვეიცარიელი მწერლის მარკუს ვერნერის ბესთსელერი „უფსკრულის პირას“ (2009);
- ელის კაუტის, მთელ ევროპაში ცნობილი საბავშვო ნიგნები „ოსტატი ედერი და მისი პუმუკელი“, „პუმუკელი ისევ ოინბაზობს“ (2009-2010), გადაღებულია ფილმადაც;
- შვეიცარიელი მწერლის პასკალ მერსიეს „ლამის მატარებელი ლისა-ბონისკენ“ (2010), რომელიც 2012 წელს გადაიღეს ფილმადაც და დიდი პოპულარობაც ხვდა წილად.
- დოროთეა და ფრიდრიხ შლეგელის „ამბავი სასწაულომოქმედი მერლინისა“ (2010), მეფე არტურის ლეგენდის მიხედვით;
- ავსტრიელი მწერლის დანიელ გლათაუერის „უებარია ჩრდილოეთის ქარის წინააღმდეგ“, „ყოველი მეშვიდე ტალღა“ (2011), ამ ნიგნის მიხედვით გადაღებულია ფილმი, სიყვარული ორისთვის. ნათარგმნი უკვე 22 ენაზე;
- ავსტრიელი მწერლის ანა მითგუჩის „როცა დაბრუნდები“ (2012), ნათარგმნი უკვე 25 ენაზე;
- ავსტრიელი მწერლის რობერტ შნაიდერის „სიკვდილის ძმა“ (2012), რომელიც უკვე 40 ენაზეა ნათარგმნი. ასევე გადაღებულია ფილმად;
- მუსიკალური დასურათებული ნიგნი — მოცარტის ბიოგრაფია ბავშვებისთვის (2012);
- შვეიცარიელი მწერლის მარტინ ზუტერის „პატარა სამყარო“ (2013), ნათარგმნი უკვე 25 ენაზე. ასევე გადაღებულია ფილმად;
- იულია ფრანკის, ბესთსელერად აღიარებული ნიგნი „შუადღის ალქაჯი“ (2013), ნათარგმნი უკვე თითქმის ყველა ენაზე;
- იზაბელ აბედის საბავშვო ნიგნი „სამყარო მოჩვენებათა სახლქვეშ“ (2013), ნათარგმნი უკვე 18 ენაზე;
- მწერლისა და რეჟისორის დორის დორიეს „სასწაულს ხელი გაუწოდე“ (2013), ნათარგმნი უკვე 19 ენაზე, ასევე გადაღებულია ფილმად;
- ახლახან ყველა ეს ნიგნი (რამდენიმე გამოცემის გარდა) დაიდო ასევე ელექტრონულ ნიგნებად, საავტორო უფლებათა ყველანაირ დაცვით, საბას ელექტრონული ბიბლიოთეკის გვერდზე;
- 2009-2013 წლებში გამოცემული ნიგნები კი ბიბლუსის ყველა მალაზიაში იყიდება.

- როდის და რატომ გადაწყვიტე თარგმნა?
- ბავშვობაში ხშირად ავადმყოფობდი, ერთი თვე რომ სკოლაში ვიყავი, ერთი თვე შინ მიწევდა ყოფნა. სწორედ შინ ყოფნისას, მარტოობის გასაფანტავად, ვინეტი ლოგინში და გერმანულად ძმები გრიმების ზღაპრებს ვკითხულობდი. ძალიან მიყვარდა და მიყვარს ეს ზღაპრები. ჩემთვის ვცდილობდი ქართულად მეთარგმნა. მაშინ აზრადაც არ მომსვლია, რომ თარგმნა ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდებოდა. ქართულადაც ვწერდი ჩემთვის ჩანახატებსა და მოთხრობებს. როცა ოჯახში დაისვა კითხვა, სად უნდა ჩამება-რებიანა, ჩემმა უფროსმა დებმა მაშინვე თქვეს, ბევრი ლაპარაკი რად გვინდა, ქართულად ასე უხერხულა წერა, გერმანული კარგად იცის, ესე იგი, უცხო ენებზე, გერმანული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზეო. და მართლაც ასე მოხდა. მეორე უკრსზე, როცა მთარგმნელობით თეორიას გვიკითხავდა ქალბატონი დალი ფანჯიკიძე, ყველა სტუდენტს უნდა გვეთარგმნა რალაც. როცა გამოცდის დღეს ჩემი თარგმანი მივუტანე, ნაწყვეტი ჰერმან ჰესეს „აუგუსტუსიდან“, ძალიან მოეწონა და მკითხა, შენით თარგმნე თუ ვინმე დაგეხმარაო? იგივე ნათარგმნი ქალბატონმა მანანა ქვეანიშვილმა, პროფესორ რეზო ყარალაშვილის ასისტენტმა, ნაიკითხა და შემდეგ ბატონ რეზოსაც ნააკითხა. ისე, რომ მე არც კი ვიცოდი, ცოტა ხნის მერე ბატონმა რეზომ ლექციაზე ჟურნალი „საუნჯე“ გამომიწოდა. რომ გადავშალე, ჩემი თარგმანი იყო გამოქვეყნებული, სიხარულისგან კინაღამ გავვიყვიდი. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ჩემი ნამუშევარი მკითხველამდე მივიღოდა. ბატონმა რეზომ მაშინვე დააფასა ჩემში ეს ნიჭი და მითხრა, შენი მოწოდება თარგმნაო და აუცილებლად უნდა თარგმნო. მომცა ჰერმან ჰესეს „დემიანი“ და მითხრა აბა, ეს თარგმნეო. სამწუხაროდ, ამის შემდეგ რეზო ყარალაშვილი მალევე გარდაიცვალა. თუმცა ჰერმან ჰესეს „დემიანი“ მე ვთარგმნე და ჯერ ჟურნალ „საუნჯეში“ დაიბეჭდა, 2009 წელს კი ნიგნადაც გამოიცა.
- ბატონი რეზოს სიტყვებმა, რომ მე უნდა აუცილებლად ვთარგმნო, მართლაც დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. იმ დღის მერე შეუჩერებლად ვთარგმნი. მე არ ვარ ადამიანი, რომელიც განუწყვეტლივ ტრიალებს საზოგადოებაში, არც ბევრი ლაპარაკი მიყვარს, გარე სამყაროდან თავშესაფარს ლამაზ ნიგნებში ვეძებ. უნიგნებოდ ერთი წამიც არ შემოიძლია ცხოვრება.
- როგორია თარგმნის პროცესი?
- ყოველი ნიგნის თარგმნისას ამ ნიგნის სამყაროში ვსახლდები, და ნიგნის გმირების განცდები და ფიქრები ჩემი ხდება. უპირველეს ყოვლისა, ჯერ ვთარგმნი შავად, ანუ ზედმიწევნით ზუსტად, სიტყვა-სიტყვით. მერე ვდებ 1-2 თვე გვერდზე და ამასობაში სხვა ნიგნს ვინწყებ, რათა სულ სხვა სამყაროში გადავერთო. ორი თვის შემდეგ უკვე ნათარგმნი ნიგნს ვუბრუნდები და ვინწყებ მის გალიტერატურებას, გამალაშინებას. ძალიან მიყვარს ორივე პროცესი. ყოველი ნიგნი რაღაც ძიებაა ჩემი ცხოვრების ნაწილი ხდება. ყოველ ნიგნს თავისი ისტორია აქვს, როგორ ან რატომ მივედი მაინც და მაინც ამ ნიგნის თარგმნამდე.

**— როგორი ტიპის მთარგმნელი ხარ? ზედმინებით მის-
დევ ტექსტს თუ თავისუფლად ექცევი?**

— ერთია ენის ცოდნა ენათმეცნიერული სიზუსტით, და მე-
ორე — ამ ენაზე დანერგილი ტექსტის გათავისება, გაცნობიერე-
ბა, ჩანვდობა და მშობლიურ ენაზე ისე გადმოცემა, რომ არც
მწერლის ნათქვამი და გააზრებული დაირღვეს და არც თარგმა-
ნის კითხვისას მომტვრიოს მკითხველმა ენა... როგორც ზემოთ
უკვე ვთქვი, ჩემი პირველი თარგმანი ყოველთვის არის სიტყვა-
სიტყვითი ანუ ძალიან ზუსტი. მაგრამ მკითხველისთვის ასეთი
სახით მიწოდება ნამდვილად დანაშაული იქნებოდა, რადგან მე-
ტწილ შემთხვევაში ირღვევა თვით ნაწარმოების სილაბაზე და
მთლიანობის შეგრძნება, ანუ როგორც გიუნტერ გრასმა თქვა:
მთარგმნელს მწერლის ნიჭი უნდა ჰქონდეს, რათა ჩემი დანერგი-
ლი მშობლიურ ენაზე ისე გადაიტანოს, მკითხველს შეაყვაროსო.

**— სათარგმნ მხატვრულ ნაწარ-
მოებს როგორ არჩევ?**

როგორც მოგახსენეთ, ყველა
ნიგნს თავისი ისტორია აქვს. ამის ჩა-
მოთვლა ძალიან შორს წავიყვანდა,
შემიძლია მხოლოდ ერთი-ორი მაგა-
ლითი მოვიყვანო.

ჰერმან ჰესეს შემოქმედებისადმი
ჩემი ინტერესი და სიყვარული დიდი
ჰესლოგისა და გერმანისტის, პრო-
ფესორ რეზო ყარალაშვილის ლექცი-
ებმა გააღვივა.

ფრანც კაფკასადმი სიყვარული —
პროფესორ ალექო კარტოზიას ლექ-
ციებმა.

მაგალითად, საქართველოშიც ბეს-
სელერად ქცეული ნიგნის, ყურბან საი-
დის „ალი და ნინოს“ ისტორია ასეთია: ჩე-
მი მეგობრის ძმა — ზაზა ბუაძე — გერ-
მანიაში იმყოფებოდა და ამ ნიგნით აღფ-
რთოვანებული მოვიდა ჩემთან და მთხო-
ვა, მხოლოდ მოკლე შინაარსი მითარგმ-
ნე, სცენარი მინდა დავწერო (ზაზა რე-
ჟისორია). მე კი შინაარსის ნაცვლად მთელი ნიგნი შემომეთარგმ-
ნა. ზაზა იმდენად აღფრთოვანდა თარგმანით, რომ მაშინვე თამარ
ლუბანიძესთან მიიტანა. ასე დაიბეჭდა ჩემი პირველი ნიგნი.

მანამდე ძირითადად ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებ-
ში ქვეყნდებოდა ჩემი თარგმანები.

— რატომ წახვედი გერმანიაში?

— ეს ცოტა რთული კითხვაა, უფრო სწორად, ამ კითხვაზე
გაცემას მოსდევს გულის გადაშლა, რასაც საზოგადოებაში
ყოველთვის ვერიდები. ისე, ქართული ანდაზა ხომ ამბობს: სა-
დაცაა ბედი შენი. იქ წავიყვანს ფეხი შენიო. და ალბათ ასე იყო
ზემოდან დანერგილი.

საქმე ისაა, რომ 1994 წელს, როცა სრულიად მოულოდნელად
მამა 59 წლისა გარდამეცვალა, ეს იყო საშინელი დარტყმა ჩემთ-
ვის და ჩვენი ოჯახისთვის. მე არანაირი ხელჩასაჭიდი არ გამაჩ-
ნდა. უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული მქონდა, მოგეხსენე-
ბათ, თუ პატრონი არ გყავს საქართველოში, სამსახურის შოვნა
მართლაც შეუძლებელია. სწორედ იმ დროს, როცა სასონარკვე-
თილებისგან აღარ ვიცოდი, რა მელონა, საით წავსულიყავი, რო-
ცა უკვე ყველანაირი იმედი დავკარგე და საშინელმა დეპრესიამ
დამრია ხელი, რადგან მთელი ოჯახი სავალალო მატერიალურ
გაჭირვებაში აღმოჩნდა, ღმერთმა გადმომხედა. ქალბატონი მა-
ნანა ქევანიშვილის თხოვნით, ქალბატონმა ნანა შენგელაიამ
(რეზო ყარალაშვილის მეუღლემ) რეკომენდაცია გამიწია ან
გარდაცვლილ ბატონ გერტ ჰუმელთან(უნივერსიტეტის საპა-
ტიო პროფესორი და საქართველოში არსებული გერმანული
ლუთერანული ეკლესიის დამმარსებელი), რომელმაც უნივერ-



მაია მირიანაშვილი

სიტეტში ბატონი რეზო მირიანაშვილი დაარსებულ „გოეთეს კაბინეტი“
სამუშაოდ მიმიწვია. ამავე დროს, განვადგობდი მთარგმნელო-
ბით საქმიანობას. „გოეთეს კაბინეტი“ არაერთი ჩემი თარგმანი
შეიქმნა. ჩემს თარგმანებს დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს
გერმანისტი, უნივერსიტეტის, გერმანული ენისა და ფაკულტე-
ტის პროფესორი ლალი ქეცბა. მოგვიანებით სწორედ მისი რჩე-
ვითა და DAAD-ის მაშინდელი წარმომადგენლის, ქალბატონი
ბარბარა ვატენდორფის (ამჟამად გოეთეს ინსტიტუტის ინფორ-
მაციისა და ბიბლიოთეკის განყოფილების ხელმძღვანელის) რე-
კომენდაციით DAAD-ის სტიპენდიით შტრალენის მთარგმნე-
ლობით კოლეგიაში მიმიწვიეს. ამ დღიდან კიდევ უფრო გაღრ-
მავდა ჩემი სიყვარული გერმანული კულტურისა და ადამიანები-
სადმი, ბოლოს ჩემი ბედიც იქ ვიპოვე.

დღემდე მაღლიერი ვარ ყველა ზე-
მოსხენებული ძვირფასი ადამიანისა
და ჩემი ცხოვრების უკანასკნელ წუ-
თამდე მაღლიერი ვიქნები, რადგან
მათ, შეიძლება ითქვას, გადამარჩინეს,
ჩემი თავი მაპოვნინეს...

**— ქართული ენიდან გერმანულ
ენაზე არ გიცდია თარგმნა?**

— ქართულიდან ჯერ არ მიცდია,
შეიძლება დადგეს დღე და ჩემი მეუღ-
ლის დახმარებით გავბეძო.

**— შენს თარგმანებში არსად ჩანს
პოეტური ტექსტები. რატომ?**

— პოეზიის თარგმნა არასოდეს მიც-
დია. ჩემი აზრით, ლექსები რომ თარგმ-
ნო, თვითონაც უნდა წერდე ლექსებს.

**— შენი საყვარელი მწერლები
ვინ არიან?**

— ჰერმან ჰესე, ფრანც კაფკა, რო-
ბერტ ვალზერი, ინგებორგ ბახმანი,
თომას ბერნჰარდი... ყველას ჩამოთვ-
ლა შორს წავიყვანს.

თანამედროვეთაგან — პასკალ
მერსიე, მარტინ ზუტერი, იული ცეი-
დორის დორიე;

საბავშვო მწერლებიდან: ელის კაუტი, იზაბელ აბედი, მი-
ხაელ ენდე, ოტფრიდ პროისლერი...

**— რას იტყვი თანამედროვე გერმანულენოვან მწერ-
ლებზე, რა თემებზე და როგორ წერენ?**

— შეიძლება ითქვას, გერმანულენოვანისთვის იმდენად მოუშუ-
შებელი ჭრილობაა მეორე მსოფლიო ომის თემა, რომ დღესაც,
თანამედროვე მწერლობაშიც კი ვკითხვლობთ ომისგან გამონ-
ვეულ ტკივილებზე, დაკარგულ ნდობაზე, გაცივებულ გრძნობებ-
ზე, დანგრეულ ოჯახებზე, ასევე ხშირია ძნელად აღსაზრდელ
თინეიჯერთა თემაც; ამ ბოლო ხანებში კი იმატა ფანტაზის ჟან-
რის ნაწარმოებებმა, თითქოს ფანტაზიაში ეძებენ ამ სამყაროს
გადაგვარების პასუხს. მეც გამიჩნდა ერთი ასეთი ნიგნის თარგ-
მნის სურვილი. ახლახან წავიკითხე მეტად საინტერესო ნიგნი,
იმდენად გამიტაცა კითხვამ, ისე გადადიქერი იმ სულ სხვა, არა-
რეალურ სამყაროში, რომ სურვილი დამებდადა ეს ნიგნი ქართველ-
ლი მოზარდებისთვის ვთარგმნო. იმედი, ქართველი მკითხველს
მალე შევთავაზებ ჩემს ახალ ნათარგმნს ფანტაზიის ჟანრში.

— რას კითხულობს გერმანელი მკითხველი?

— აქ, რა თქმა უნდა, უნდა განვასხვავოთ მკითხველთა
ორი ტიპი: ჩვეულებრივი მკითხველი და მკითხველი ლიტერა-
ტურული საზოგადოებიდან.

ყოველდღიური ცხოვრებისა და პრობლემებისგან გადალ-
ლილი მკითხველი ძირითადად გატაცებულია ფანტაზიის ან
კრიმინალური ჟანრის ნაწარმოებებით;

ლიტერატურული საზოგადოებები ყველანაირად ცდილო-
ბენ ლიტერატურისადმი სიყვარული გააღვიძონ საზოგადოე-

ბაში და აწყობენ უამრავ საინტერესო კითხვის საღამოს. თითქმის ყველა ახალგაზრდას ნიგნს ეხმაურებიან, ინვევენ მწერლებს, ხშირად ოჯახური კითხვის საღამოებიც კი იმართება. ეს მართლაც ხელს უწყობს საზოგადოებაში ლიტერატურისადმი სიყვარულის გაღვივებასა და გაღრმავებას.

— ელექტრონული ნიგნების ხანა დადგა. ამას როგორ უყურებ და შენ თუ აქვეყნებ ელექტრონულ ვერსიებს?

— როგორც უკვე მოგახსენეთ, ყველა ჩემი თარგმანის ელექტრონული ვერსია (რამდენიმეს გარდა) დევს საბას ელექტრონული ნიგნების ბიბლიოთეკის გვერდზე;

- თარგმანის გარდა რა გაინტერესებს?
- მუსიკა, ბაღში ყვავილებთან ფუსფუსი;
- რა რჩევებს მისცემ დამწყებ მთარგმნელს?

ნოშრევან არაბული

„დანახვისი“ და ცოტა რამ სხვა

ახლა სად გაქრა კედლის გაზეთები?..

კედლები ისევ დგანან; სკოლებში დგანან, კოლეჯებში დგანან და დგანან მომრავლებულ უნივერსიტეტებშიც. ინსტიტუტები თითქმის აღარ არსებობენ, ისინი — წინათ რომ ახალგაზრდობას უმაღლეს განათლებას აძლევდნენ, ახლა თუ არსებობენ, სხვანაირი, ევროამერიკული პროფილითა და სამოსელით, სულსაც რომ იქაურს უდგამენ და ვეღარ ჩაუდგამთ, ჯიუტობს ეროვნული ფესვიდან აღმოცენებული სული და ეხამუშება უცხო სამოსელი...

უნივერსიტეტებმა ხომ წალეკეს ერთი დროის საქართველო, დიდი და მცირე ქალაქები რომ „გადინადირეს“, რაიონულ ცენტრებსაც მისწვდნენ. ერთი ბენო ქვეყანა და ასობით უნივერსიტეტი!.. თუმცა რა... ხალხმრავალ ადგილებში დგომასა და მზესუმზირის კნაწუნს, ალბათ ისევ აუდიტორიაში მისჯილივით ჯდომას სჯობდა, თუკი შედიოდნენ სტუდენტები აუდიტორიებში, რასაკვირველია.

ის ინსტიტუტები, საითკენაც ახლა ჩვენ ვიყურებით, ანუ პედაგოგებს რომ ზრდიდნენ, ასე ვთქვათ — გეოგრაფიული პრინციპით იყვნენ განაწილებულნი და, სხვათა შორის, კარგადაც: თელავსა და თბილისში, გორსა და ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში. უნივერსიტეტი ერთი იყო, მისი პრესტიჟიც — შეუვალი.

ჰოდა, სადაც გასურდა, იქ შეგეძლო სწავლის გაგრძელება, ახლანდელივით ლაგოდებელს არავინ აძალბებდა, გინდა თუ არა, ქუთაისში უნდა ისწავლოო, ან — პირუკუ. თუ ხელსაყრელი არაა, თავისუფალი ბრძანდებოდე, კალთაზე არავინ ჩამოგეკონიალებდა. ყოველ შემთხვევაში, აბიტურიენტებმა მაშინ დანამდვილებით იცოდნენ, ჩარიცხვის შემთხვევაში სად და რას ისწავლიდნენ და სასწავლებლის გასრულების შემდეგაც, სამუშაო გარანტირებული ჰქონდათ. მაშასადამე, ახალგაზრდობის ბედზე სასწავლებლის დამთავრებისთანავე ზრუნავდნენ. თუკი რამ წამოგეღო სასწავლებლიდან, დამოუკიდებლად ცხოვრება არ უნდა გაგჭირვებოდა, თუ არა და, მოიხდიდი სავალდებულო სამხედრო სამსახურს და სამხედრო ბილეთით „გამაგრებული“ დიპლომი ახლა უკვე ორლესული მახვილივით ჭრიდა. დიპლომს დიდი ნონა ჰქონდა და იმ ინერციის გამოძახილი იყო 1990-იან წლებში მომრავლებული უნივერსიტეტებიც, თორემ ცოდნის მიღების დაუოკებელი წყურვილი ჩვენში, სხვებზე ვერაფერს გეტყვით, მასობრივი და საყოველთაო არასოდეს ყოფილა. ეს, ალბათ, ასეც უნდა იყოს, ის წყურვილი რჩეულთა ხვედრია.

მეჩვენება, რომ ჩვენს ეროვნულ სასწავლებლებში, საყოველთაო ეროვნული (!) გამოცდების შედეგად მოხვედრილი ახალგაზრდები შემდგომში ბაკალავრებისა და მაგისტრების კვალიფიკაციას ეჭვქვეშ აყენებენ; თუ არა (საბჭოთა სამხედრო ბილეთისა არ იყოს) რომელიმე უცხოური კოლეჯიდან (მანც) ჩამოტანილი განათლების მონმობა.

— არასოდეს დაავიწყდეს ერთგულება არც იმ მწერლისა, რომელსაც თარგმნის, და არც იმ მკითხველისა, რომლისთვისაც თარგმნის; მთარგმნელი მსახიობივითაა, უნდა შეძლოს ყველა იმ მწერალში გარდასახვა, რომლის თარგმნასაც აპირებს და შეძლოს ყოველი მისი სიტყვისა თუ ჩანაფიქრის შეცნობა.

ინტერვიუს ბოლოს მინდა მაღლობა ვუთხრა ყველა იმ დამიანს, ჩამოთვლას არ შეუდგები, ვაითუ ვინმე გამომჩრჩეს, უბრალოდ, ყველას, ვინც კი ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე შემხვედრია, გვერდში ამომდგომია, დამხმარებია, მაღლობა თქვენც და ჟურნალ „ჩვენ მწერლობასაც“, ყოველი ჩემი ნიგნის გამოსვლას ლამაზი რეცენზიებით რომ ეხმაურებით.

— დიდი მაღლობა საინტერესო საუბრისთვის, წარმატებებს გისურვებთ ამ მნიშვნელოვან საქმეში.

ეს ყველაფერი, რასაკვირველია, ერთი შეხედვით, თორემ პრობლემა უფრო ღრმა და მრავალნაწილია და ვერც მე გამოვდგები ჩვენებური განათლების სისტემის შემფასებლად თუ ექსპერტად, ხოლო თუ მანც აქა-იქ ნოსტალგიის სიომ გადაიშრიალა, არც ეგ უნდა იყოს უსაფუძვლო და გასაკვირველი.

მე, რატომღაც, კედლის გაზეთი ამეკვიპა; ლიტერატურულ გაზეთზე მოგახსენებთ, თორემ სხვანი და სხვანიც არსებობდნენ, ასე განსაჯეთ, არალეგალურად შედგენილი და გამოკრულნიც კი. პოპულარობით კი ყველას სატირულ-იუმორისტული, უხვად ილუსტრირებული გაზეთები სჯაბნიდა.

ლიტერატურული კედლის გაზეთები ადრე სკოლებშიც იყო. მხედველობაში აქაც მოსწავლეთა თვითშემოქმედება მაქვს. ეგებ ახლაც არის, მაგრამ მე ვეღარ შევხვედრვიარ? შესაძლებელია, სავსებით შესაძლებელი და ნეტამც...

იყო ასეთი გაზეთები უმაღლეს სასწავლებლებშიც. დიდ ფორმატზე ლამაზი კალიგრაფიით გადაჭკონდათ ლექსები, ჩანახატები, მინიატურები, ნოველები... რასაც კედლის გაზეთის მოკრძალებული მოცულობა აიტანდა; მაღლა — სახელწოდება, დაბლა — რედკოლეგია. აკრავდნენ დერეფნებში, გამოსაჩენ ადგილას, უმეტესად ჩარჩოსა და დამცავი შუშის გარეშე და ამიტომაც ცოტა შემალღებულად, აბეზარი მოქილიკებისაგან მაინც რომ დაცული ყოფილიყო.

ასეთ გაზეთებს გორის პედაგოგიურ ინსტიტუტშიც წერდნენ, ლიტერატურულსაც, სატირულ-იუმორისტულსაც და... სადღესასწაულოსაც. ეს უკანასკნელი რა და რატომ და როგორ იყო, არ ვიცი. სავარაუდოდ, რექტორატის ახირება უნდა ყოფილიყო. არადა შესანიშნავი ადამიანი და ლექტორი კურირებდა ქართული ენის კათედრიდან — რუსუდან ლიპარტელიანი. დაავალეს, ალბათ, და იმანაც სხვას დაავალა. ერთი სტუდენტი გოგონა იყო იმ კომუნისტურ დღესასწაულებზე გაკეთებული გაზეთების კალიგრაფიც, რედკოლეგიაც და რედაქტორიც. ალბათ მიხვდით, ეს გაზეთები ეხებოდა 23 და 25 თებერვალს, 1 და 9 მაისს, 7 ნოემბერს და სხვა, ოღონდ რის ვაივავალახით გამოდიოდა, რადგან მასალების მოძიება უჭირდათ. რუსუდან ლიპარტელიანი პირდაპირი ქალი იყო და საკუთარი პოზიციის გამოხატვას სტუდენტებთანაც არ ერიდებოდა. ერთხელაც, სინტაქსის სპეცკურსში რომ გვაქვს ლექცია, აუდიტორიაში იმ გოგონამ შემოყო თავისი მშვენიერი თავი, ჩვენ რომ გვარ-სახელის ნაცვლად „რედაქტორ-რედკოლეგიას“ ვეძახოდით. იმან შეწუხებულმა შესჩივლა ქალბატონ რუსუდანს — პარტორგმა, გაზეთი დღესასწაულამდე ერთი კვირით ადრე უნდა იყოსო. ლექტორი ლექციის მდინარეებიდან ამოვარდა, სათვალე მოიხსნა, აუდიტორიას თვალი გადაავლო, მომეჩვენა, რომ სახეზე შეურაცხყოფილის ალმურმაც გადაჰკრა და შეწუხებულ გოგონას თანაგრძნობით მიუგო: — ნეტა, ან მე რა დავაშავე, ან — შენ, ან კიდევ იმ ხალხმა, ძალად რომ ადღესასწაულებენო. ამ ერთმა წინადადება ბევრ რამეს მოჰყვინა ნათელი და სტუდენტებში გაცეცხაც გამოიწვია. ასეთი ტონით საუბარს ხომ მაშინ საზოგადოებაში, რბილად რომ ვთქვათ, ერიდებოდნენ, მით უფრო — ლექტორები ლექციაზე. თუმცა იყ-

ვინც ისეთებიც (გორის პედინსტიტუტზე მოგახსენებთ), თავს რომ ხიფათში იგდებდნენ და კონსპირაციულად მოქმედებდნენ, თანაც საკმაოდ ნარმატივითაც. ასე შემოდიოდა და ტრიალებდა სტუდენტთა ერთ ვინო ნრეში ზვიად გამსახურდიას იატაკქვეშა გამოცემები. მართალი ვიფიქრებ, დღესაც არ ვიცი დანამდვილებით იმ ლექტორის ვინაობა, ასე მკაცრად და სუფთად რომ მუშაობდა სტუდენტებში ეროვნული სულის ასაბრიალებლად.

გორის პედინსტიტუტის ფოიეში, ქართული ლიტერატურის კათედრის შესასვლელთან, ლიტერატურულ გაზეთს აკრავდნენ; „დანახვისი“ ერქვა იმ გაზეთს და მისი გამოსვლაც ვერ ხერხდებოდა მკაცრი პერიოდულობით. აღარ ვიცი, ჩვენი თაობის ინსტიტუტში მოსვლამდეც თუ არსებობდა იგი. რამდენადაც ვიცი, აღარც შემდგომში გამოსულა. თუმცა მერმედ ხომ ყველაფერი აირია, აუხირდნენ (როგორც თავად იტყოდა ხოლმე) ოთარ ჩხეიძესაც, მის ლიტერატურულ გამოცემებსაც და თვით პედაგოგიურ ინსტიტუტსაც აუხირდნენ, რომელიც, საბოლოოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტით ჩაანაცვლეს. არ ვიცი, რა მისცა ამან საქართველოს ეკონომიკას, ან რა დაკარგა პედაგოგიკამ, ერთი რამ კი ცხადია: იმ კედლებიდან კი ხანს (?) მწერლები აღარ გადმოსულან. არადა მშვენიერი მწერლები შემოკრბნენ გორის პედაგოგიური ინსტიტუტის გარშემო: ალექსანდრე ტაბატაძე, მინდია არაბული, ვანო ჩხიკვაძე, ჯემალ ინჯია, ზაურ ნაქაძე, ნუგზარ ჯანაშვილი, ტარიელ ბეგლარიშვილი, ნანა ჩხიკვაძე, მირიან იორამაშვილი (მეუფე თადეოზი), მანანა ჩიტვილი... მანანა ჩიტვილი უკანასკნელი მძლავრი გაელვება იქაური პოეტური ტრადიციისა, მერმედ კი, რაკილა იქ მოღვაწეობდა ბატონმა ოთარმაც შეწყვიტა და ჰუმანიტარული ფაკულტეტიც გაუქმდა, ლიტერატურული ცხოვრებაც, ალბათ, მთლიანად თუ არა, რამდენადმე უფერული მაინც გახდებოდა. მარტო იმის გულისთვის უნდა ახსოვდეს შთამომავლობას გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, რომ შემოქმედდა და მკვლევართა ამ მოკრძალებულ სამჭედლოში მუშაობდა გენიალური ოსტატი, მწერალი ოთარ ჩხეიძე! ოცნებას კაცი არ მოუკლავს და ბარედამ აქვე ვიტყვი: თუ მოხდა და ოდესმე აღდგა გორში ჰუმანიტარული ხასიათის სასწავლებელი, იგი უთუოდ ოთარ ჩხეიძის სახელობისა უნდა იყოს.

დავუბრუნდეთ „დანახვისს“.

კედლის გაზეთი მაინც კედლის გაზეთია და ნაბეჭდ პერიოდულ გამოცემებთან, რა თქმა უნდა, ვერ მივა, მაგრამ ახალგაზრდა შემოქმედის ჩამოყალიბებაში, თუნდაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მაინც გარკვეული ეტაპია, სტიმული ხომ მაინც არის. ეს გაზეთიც ოთარ ჩხეიძის ინიციატივა გახლდათ და ალბათ, იმიტომ მოიფიქრა, რომ შემოქმედებითად განწყობილი ახალგაზრდების ნრე შეეკრა, ნლობით ნალოლი-ავებ შემობავს ბზარი არ გაჩენიდა და ამოეფსო ის ნიცარიე-ლე, უკანასკნელ წლებში რომ იქაური ჟურნალის საგამომცემლო საქმიანობაში გაჩენილიყო. „ლიახვის“ გამოცემასთან დაკავშირებული სიძნელებები მაქვს მხედველობაში.

გორის ინსტიტუტის არცთუ აგრერივად ჯანსაღ გარემოში ოთარ ჩხეიძე გახლდათ ამ სასწავლებლის სინდისი და სინათლე. ახლა ბევრი იწერება მის შესახებ, განსაკუთრებით გარდაცვალების შემდეგ. ცხადია, რომ ადამიანური სიტობს უშურველად გამოცემი ლექტორის გარშემო ტრიალებდა არა მხოლოდ შემოქმედებითად განწყობილი სტუდენტობა, არამედ სასწავლებლისა და მთლიანად ქალაქის ლიტერატურული საზოგადოებაც. ასე განსაჯეთ — ლიტერატურის მიღმაც კი შეურყეველი ავტორიტეტით სარგებლობდა. ერთხელ, ერთ ახალგაზრდა კაცს, იქ, გორში, სტუდენტობისას, მეტად მტკივნეული პრობლემა ამოუტყვრა და მაშინ, როცა მისი მომავალი ცხოვრების ბედი სასწორზე იდო, ოთარ ჩხეიძე თავისი სტუდენტის გვერდით დადგა და მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი მდგომარეობის განმუხტვა...

ამითაც სამუდამოდ მადლიერი დატოვა ან განსვენებულმა ლექტორმა თავისი სტუდენტი!..

ისევ პირველსავე სიტყვას აღვიდეთ.

მართლაც რომ ცისკრის ვარსკვლავის ამოსვლას ჰგავდა პირველი გორული ნაბეჭდი ჟურნალი „ცისკარი“, რომელიც 1956 წელს გამოიცა. სწორედ მის გარშემო შემოკრბნენ დამწყები მწერლები და ამ საქმეს, ლიტერატურული ორგანოს გამოცემასა და მწერალთა დაოსტატებას, სათავეში თავადაც ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელმძღვანელო მწერალი — ოთარ ჩხეიძე ჩაუდგა. მან ეს არცთუ მსუბუქი ტვირთი მთელი ორმოცი წელიწადი ზიდა. ამ საქმეს ნერვების გარდა მიჰქონდა ყველა დიდი მწერლის საუკეთესო კაპიტალი — დრო! ის კი არა, ბატონი რედაქტორი იმაზეც თავად ზრუნავდა, რომ რის ვაივაგლახით გამოცემული ჟურნალის ავტორებს ჰონორარი დროზე მიეღოთ. გაცემა მიპყრობდა ხოლმე, მიყრუებულ სოფელში რაიონული ფოსტიდან რომ მაცნობებდნენ — ფულია შენზე, ჩამოდი, ხელი მოახერე და მიიღო.

პირველად გაუგებრობა მეგონა...

მერმედ „ცისკარი“ „მერანმა“ შეცვალა, ხოლო „მერანი“ — „ლიახვი“. „ლიახვი“ გორში თითქმის სამი ათეული წელიწადი გამოდიოდა. 1991 წლიდან მას „კლდეკარი“ შეენაცვლა. ამ ჟურნალის გამოსვლაც და „ნახვლა“ მეტად ხმაურიანი და დრამატული იყო, თუმცა ბატონმა ოთარმა მთელი ეს ორომტრიალი სულ რამდენიმე სტრიქონში ჩაატია და ტკივილით და-მუხტულ, უაღრესად ლაკონიურ წერილს სათაურიც მოკლე და მეტყველი მისცა — „ნაურთმევიათ...“ ამის შესახებ თქმულა და დაწერილა კიდევ და მე აქ სიტყვას აღარ გაავარძელებ.

ზემოთქმული ოთხივე დასახელების ჟურნალი ერთი რედაქტორის ხელიდან გამოდიოდა, ერთი სულისკვეთებითა და მიზნით — არ ჩამქრალიყო ქართლის გულში ლიტერატურის კოცონი და იმ კოცონს ჯანსაღი „სანჯავი“ ჰქონდა.

1968 წლიდან ლიტერატურული სიტყვის ცეცხლი, ცოტა არ იყოს, მიწელდა. მხედველობაში მაქვს ჟურნალის გამოცემის შეფერხება. ადრე თუ სამი-ოთხი წლის ინტერვალით იბეჭდებოდა, ახლა მთელი რვა წლით დაიგვიანა. ესაც ოთარ ჩხეიძის დევნა-შევიწროებასთან იქნებოდა დაკავშირებული. ჩემი სტუდენტობაც სწორედ იმ პერიოდს დაემთხვა. უჭურნალობა ბატონმა ოთარმა კედლის გაზეთით შეავსო. „დანახვისს“ გამოჩენა ნაღვერდალი-სათვის სულის შებერვას ჰგავდა. მართალია, იმართებოდა ტრადიციული ლიტერატურული ოთხშაბათობები (ამ დღეს ჰქონდა ოთარ ჩხეიძის ლექციები), შეხვედრები ცნობილ მწერლებთან, გვიბოძა ღმერთმა წყალობა, მოგვესმინა ლექციები სიმონ გაჩეჩილასთან, მიხეილ მახათაძისა, თავად ოთარ ჩხეიძისა, კოლია გუგუშვილისა, ნოდარ უთურგაიძისა და სხვათა, მაგრამ შემოქმედება ხომ სახადი არ არის — შეგყაროს, გადაიტანოს და გათავისუფლდეს. ეს ხომ მთელი ცხოვრების მანძილზე თანამდევნი საჭმუნავია, აღარც რომ გეშვება და ველარც შენ შელევინარ. და რომ აღარ გეშვება, რომ გლრღნის და გაფორიანებს, ამ დროს, ალბათ, ჟურნალი თანამოაზრეებთან გასაუბრების საშუალებაა, რა-დაც... განტვირთვის ტოლფასი, სტიმული და ხალისის გამწენი; ხალისისა და აღმაფრენის გარეშე ხომ არაფერი კეთდება, განსაკუთრებით ახალგაზრდობისას. შენს ნაფიქრსა და ნატკივარს რომ გაანდობ ვინმეს, ესეც ხომ საქმეა ხანდახან. იქნებ მწერლობაც განდობაა და მეტი არაფერი, მწერალი და მკითხველი კი — განდობილი. არა და როგორ უნდა გაენდო, თუკი ვერ იბეჭდები და რომ ვერ იბეჭდები, ხომ ორივე ზარალშია — მწერალიც და მკითხველიც. ეს კი ბატონ ოთარზე უკეთ ვინ უწყობა და ამდაც მომეგვიღებინა, ეტყობა, კედლის გაზეთი — ერთიანობისათვის, სტიმულისათვის, გაზრდისა და განდობისათვის...

ჰოდა, აღარ ვიცი, ახლა რამ გამახსენა „დანახვისი“.

მიუბრუნდება კაცი ზოგჯერ ათეული წლების უკან ნანახს, ნაგრძნობს და განცდილს...

ისე, არა მგონია, კედლის გაზეთმა ლიტერატურის ცაზე ამინდი შექმნას, მაგრამ ხანდახან, შორიდან, ცოტა სხვანაირად ჩანს ყველაფერი...

არა, ველარ ვხვდები, ეტყობა, თორემ სად უნდა გამქრალიყო კედლის გაზეთები, ან რატომ უნდა გამქრალიყო?

მით უმეტეს, რომ კედლები ისევ დგანან...

ეკა ბუჯიაშვილი

„იმ ერთი კაცის“ გმართველობის ჟამს...

თავის დროზე როსტომ ჩხეიძის წიგნი „ადათები ეშაფოტზე, ენა გილიოტინაზე“ რომ გამოქვეყნდა — 70-იანი წლების ამსახველი, თუ როგორი ვაკეშეშული ბრძოლა გაჩაღებულიყო ქართული ენისა და ეროვნული ტრადიციების წინააღმდეგ — ერთ-ერთი დიალოგისას მწერალმა აღნიშნა, რომ ეს წიგნი, არსებითად, ედუარდ შევარდნაძის დაუნერვლი მემუარები იყო, ის, რაც უნდა ეთქვა საბჭოთა ქვეყნის თავკაცს — როგორ მიიტანა სამსხვერპლოზე საკუთარი ერი თავისი კარიერისათვის — არადა, საპირისპიროს კი ყვებოდა თავის მოგონებებში.

გაივლის წლები და ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში როსტომ ჩხეიძე იმავეს იტყვის გივი სომხიშვილის რომანების შესახებ — ეს მოგონებანი ედუარდ შევარდნაძის დაუნერვლი მემუარებიან — და ასე გახსნის შეხვედრას ამ მწერალთან:

— ლიტერატურულ სამყაროში ძალიან ბევრი სპექტაკლი იდგმება ხოლმე ავანსცენაზე, ზოგი ნამდვილად ლირებული, რომელიც ათწლეულებს გაუძლებს, ზოგიც ყალბი — მალევე რომ ჩაიფერფლება, მაგრამ გარდა ავანსცენისა, არსებობს ლიტერატურული კულუარებიც, არანაკლებ საინტერესო, რადგან შეუძლია მთლიანად შეცვალოს სალიტერატურო პროცესი და ძირეულად გადააფასოს, სულაც თავდაყირა დააყენოს ის რეალობა, რომელზეც სრულიად სხვა წარმოდგენა ჰქონდა მკითხველს.

თავის დროზე გალაკტიონ ტაბიძეს ჰქონდა სურვილი, დაენერა ლიტერატურულ კულუარებზე, რაც არ დასცალდა, მაგრამ თვითონ ეს განზრახვა, თუმცა კი ჩაფერფლილი, საინტერესოა და მრავალმხრივ საგულისხმოც, თავისებური ანდერძივითაც რომ დაუტოვა თაობებს და ჩვენც, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებას, სურვილი გვიჩნდება ხოლმე, თვალი მივადევნოთ ლიტერატურულ კულუარებს და მივაკვლიოთ დამაფიქრებელ მოვლენებს, რომელთა დაკარგვაც არ ეგების.

სწორედ ამ კულუარების ფიგურაა გივი სომხიშვილიც, არაერთი წიგნის ავტორი — რომანებისა, მოთხრობებისა, ლექსებისა...

ყველადად მე უფრო პროზას მოვიწონებდი მისას, თუმცა ეს ყველაფერი სალიტერატურო კრიტიკამ გულდასამით უნდა შეაფასოს — იმ ადამიანებმა, აქ რომ იკრიბებიან და აქვე პრეტენზია, საკმაოდ საფუძვლიანიც, რომ თვალს ყურადღებით ადევნებენ, ობიექტურად წარმოაჩინენ და ბევრნილადაც განსაზღვრავენ სალიტერატურო პროცესებს დღევანდელ საქართველოში.

ამჯერად ისინი გივი სომხიშვილის ორ წიგნს შეაფასებენ: „ამომავალი შავი მზე“ და „უფლის სამსჯავრო“.

შავი მზავის მისტერია

წლების წინათ თუ ვინმე ამტკიცებდა, გივი სომხიშვილი ნამდვილი მწერალიაო, ერთ-ერთი პირველთაგანი თემურ ქორიძეც, ლიტერატურის მკვლევარი და პუბლიცისტი, ღრმად მოაზროვნე და დახვეწილი გემოვნების, ვინც გზამკვლევიც აღმოჩნდა ბატონი გივისათვის ლიტერატურაში.

— თემურ ქორიძის შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია, ელოდებიან კიდევ მწერლები მის სიტყვას, თუნდაც არა საქებარს, რადგან იგი ის ადამიანია, ვინც სწორედ პირუთვნელობითა და ობიექტურობით გამოირჩევა და თუ წიგნს უწინამძღვრებს, ლაკონიური შესავლითაც კი, ძალიან საგულის-



გივი სომხიშვილი

ხმო და ფასეულია ავტორისთვისაც, მკითხველისთვისაც და სალიტერატურო პროცესებისთვისაც, — ესეც როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა შეხვედრაზე და ვიდრე სიტყვას ნანა კუციას გადასცემდა, დასძინა, რომ ბატონ გივის მეტად დრამატული ცხოვრება ჰქონდა, ციხეშიც მოუწია ყოფნა, სრულიად უსამართლოდ, და ამანაც შეუწყო ხელი ამ წიგნების დახვედრას — სურდა გამოეთქვა თავისი დიდი ტკივილი, საკუთარ თავს ჩაღრმავებოდა და ბევრი რამ აღედგინა მხსიერებაში.

ეს თხზულებები კი არ არის მარტო ციხეზე. მართალია, ბიძგი მათ დასაწერად პირადი ტრაგედია გახდა, მაგრამ მთელ მაშინდელ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ მოვლენებსაც ასახავს, ამიტომ მხატვრული დანიშნულების გარდა დოკუმენტური მნიშვნელობაც აქვთ, რაშიც მკითხველი თვითონვე რწმუნდება ავტორის მონათხრობით, რომელიც ყველაფერთან ერთად საინტერესო მხატვრულ გარსშიცაა მოქცეული.

ნანა კუცია მიმოხილვას წიგნისა „ამომავალი შავი მზე“ ძველ ალტემასთან გადაძახილით რომ დაიწყებს და შვე მზეს ეგვიპტური მისტიკების ანარეკლადაც წარმოგვიდგენს, იტყვის, რომ გივი სომხიშვილი ბელეტრისტულ თხზულებაში პუბლიცისტურ სიმწვავესაც ჩაკირავს, უახლოესი წარსულის ტრაგიკულ რეფლექსიას წარმოგვიდგენს სულ რამდენიმე პერსონაჟით და ამ ყველაფრის საშუალებით კახეთის ვინრო არეალს სრულიად საბჭოეთის მიკრომოდელად აქცევს, მამებლობის, შიმის საზარი ატმოსფეროთი გაჟღენთილ ტოპოსად.

მისი თქმით, სულ სხვა ჟამზე, სულ სხვა მორჩილებაზე გვიამბობს გივი სომხიშვილი, უკვე დაისისაკენ მიწურული, თუმცა ჯერაც საკმაოდ ძლიერი, საბჭოეთის ბაბილონის გოდოლში ძალად ჩაშენებული საქართველოს ტრაგიკულ ყოფაზე, გასული საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე, ხანაზე, როცა საყრდენები მორყეოდა „სისხლითა და ცხედრებით“ ნასაძირკვლევ სახელმწიფო მონსტრს, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში „ახალ ბაბილონად“ რომ იწინასწარმეტყველა დოსტოვესკიმ „ძმებ კარამაზოვებში“, სხვა რომანში კი მის მომავალ ამშენებლებს პირდაპირ „ემშაკნი“ უწოდა.

— დოსტოვესკის წინასწარმეტყველებიდან ზუსტად ასი წელია გასული გივი სომხიშვილის რომანში. მნიშვნელობა არა

აქვს, მოქმედება სკოტოპრიგონიევსკი ხდება თუ წნორსა და ცივგომბორში... აქ პროკურორი ყარამანი პროკურორ პილატეს მიმგავსებია, დავინყებულა „მზიანი ღამე“ — უფალი ღმერთი, მოძულეებულა სიბრძნე, რწმენა, მინა და წიგნი.

როსტომ ჩხეიძისეული ფრაზა მოგვაგონდება: კომუნიზმის ამენება შესაძლებელი რომ ყოფილიყო, სტალინი საფიდელკასტროდ არ გახდებოდა.

შავი მზეები არ ილეოდნენ მზიანი ღამის ქვეყანაში.

სწორედ ამაზეა გივი სომხიშვილის წიგნი-გაფრთხილება, იმავე სატიკვისსაკენ რომ მიაპყრობს მკითხველის გულს-ყურს, რისკენაც ჯორჯ ორუელის „1984“, ბერჯესის „მექანიკური ფრთხილი“ თუ ფრანც კაფკას „გამოსასწორებელ კოლონიაში“.

„ღმერთმა ის რუსვე ასკეცად მისცას“

„ბედის მასხარა“ — ასე ჰქვია გივი სომხიშვილის რომანს, რომელიც იმ ხანას ასახავს, როცა ხალხი გამოფხიზლებასა და საკუთარი პოზიციის გამოხატვას იწყებს, მაგრამ მედროვენი და პარტიული ნომენკლატურა ძველებურად ახერხებენ საზოგადოების ხარჯზე გამდიდრებასა და უზრუნველად ცხოვრებას, თაღლითობას.

— სათაურიდანვე ჩანს, რომ გივი სომხიშვილისთვის მნიშვნელოვანია ბედისწერის ირონიულობის, ზოგჯერ სარკაზმის ხაზგასმაც, — აღნიშნავს ამ წიგნის მიმოხილვისას მარინა ტურავა და მის მითოსურ ანტიურაჟზეც რომ ისაუბრებს, მთავარ გმირებზეც — გაქნილ, მოხერხებულ, თაღლით კარიერისტსა და მის ანტითეზად დახატულ მათეზე, საკუთარი აზრისა და პოზიციის მქონე პარტიუმაკზე, როგორებიც არ სჭირდებოდა მაშინდელ ეპოქას, და ასეთი ადამიანების ხვედრზე საბჭოთა სინამდვილეში, დასძენს:

— სამწუხარო ისაა, რომ მსგავსი ტენდენცია დღემდე გრძელდება, რაც ამ რომანს მეტ აქტუალობასა და მნიშვნელობას ანიჭებს...

„ბედის მასხარა“ არ არის ადვილად წასაკითხი წიგნი მასში დასმული მწვავე პრობლემების გამო.

ამავდროულად, გივი სომხიშვილის მწერლური ენა არ არის რთული, მხატვრული ნიაღვრეებით აღსავსე, იგი მარტივია, მაგრამ ტევადი, გასაგები, მწერლის პოზიციის, გენეზავთ, კონცეფციის გამომხატველიც. „ბედის მასხარა“ არ არის ტექსტი, სადაც ავტორის პოზიცია მკითხველის საძიებელი ან დასაადგენია.

იგი ყველგან ჩანს.

მთელ რომანს აჩრდილივით გასდევს ედუარდ შევარდნაძის სახე, ერთ-ერთ ბოლო ეპიზოდში კი თვითონაც გამოჩნდება და კიდევ წარმოისახება მისი გაიძვერობა, პოლიტიკური სტრატეგია თუ გაქნილი ტაქტიკა.

მისი „მსახვრალი ხელი“ ყველგან იგრძნობა, ამიტომაც ამ ეპოქის უმთავრესი ფობიაც შევარდნაძის სახელს უკავშირდება — მთავარია „დასაკლავ სულადობაში“ არ მოხვდე, ეს იგივეა, რაც ომის დროს „საზარბაზნე ხორცად“ ქცევა.

მნიშვნელოვანია, რომ ავტორი თვითონ არის იმ ეპოქის შვილი, რომლის მხატვრულ გარდასახვასაც გვთავაზობს და რაც მეტი მართალი წიგნი, რეფლექსია გვექნება ჩვენს უახლოეს წარსულზე, მით მეტი ვააზრების საშუალება მოგვცემს.

იქნებ, ბოლოს და ბოლოს, ერთხელ მაინც გამოვიტანოთ სწორი დასკვნები, ვისწავლოთ საკუთარ შეცდომებზე.

შევარდნაძის მიერ ჩადენილ ცოდვა-დანაშაულებებზეა რომანი „სატანის ღიმილიც“, ნინო ვახანიას თქმით, კიდევ ერთხელ რომ გამოგვატარებს იმ ჯოჯოხეთს, იმ ცეცხლის კალოს, რომელიც უკვე უკან მოტოვებული წარსული გვგონია. რომა-

ნის კომპოზიციაზე, მთავარ გმირებზე, პერსონაჟთა ხასიათებზე საუბრისა და საინტერესო პასაჟების წამოწევის შემდეგ მომხსენებელი რამდენიმე საკითხზე გაამახვილებს ყურადღებას:

— თუ რომანის ავტორს დაუფჯერებთ, ყოველივე უმსგავსობისა და უბედურების თესლი სწორედ ედუარდ შევარდნაძემ დათესა.

არ ვიცი, რამდენად სწორია ყველაფრის ერთი კაცის, თუნდაც სახელმწიფოს მეთაურისათვის დაბრალება, თუმცა იმ „ერთ კაცზეც“ რომ ბევრი რამ არის დამოკიდებული ქვეყანაში, ესეც უდავოა.

არც მთავანაძის გაიდევლებაში ვეთანხმები ავტორს, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის პირველ პირსა და მას შორის განსხვავებას კარგად ვხედავ...

რაც განსაკუთრებით მზიბლავს და მიზიდავს ამ რომანში, ავტორის პოზიციაა. წიგნიდან თანამოაზრე მესაუბრება და ხშირად ჩემს სათქმელს ამბობს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ გადაჭარბებულიც მეჩვენება უარყოფითი ემოციის გამოხატვა (აკი ვთქვი კიდევ, გაბრაზებული კაცის დაწერილს ჰგავს-მეთქი).

რუსთველური კონცეფცია მსჭვალავს რომანს: ბოროტს რომ სძლია კეთილმან...

ოლონდ...

ოლონდ არის საკითხი, რომელშიც ავტორს ასევე ვერ დავეთანხმები: მიკვირს და გამკვირვებია, ასე საღად მოაზროვნე კაცმა როგორ შეიძლება რუსეთი მსხნელად, გადამრჩენლად, ჩვენთვის სახელმწიფოს შემქმნელად მოიაზროს და ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ნაწარმოებში უდიდესი ძალადობა, აგრესია და უსამართლობა უნებლიეთ გაამართლოს.

იმის ნიშნად, რომ ზემოხსენებულის მსგავსი პასაჟების გარდა, საერთოდ რომანი ძალიან მომწონა — და ავტორის მიმართ ჩემი პატივისცემის დასადასტურებლად — აქ კამათს არ გავმართავ და მხოლოდ ილიას სიტყვებს შეგახსენებთ, მიხაილ ლერმონტოვის პოემის თარგმანში რომ ჩაურთო პოლემიკურ პასაჟად:

**მას აქეთ, რაც კურთხევა ღვთისა
მიეცა ტანჯულს ივერიის ერს,
რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა,
ღმერთმა ის რუსსვე ასკეცად მისცეს.**

„ქიზიყის ბერძნა“

„ლაგერი იყო გამოცდა ადამიანის ზნეობრივი ძალებისა და ტუსაღთა 99-მა პროცენტმა ეს გამოცდა ვერ ჩააბარა“, — ვარლამ შალამოვის ამ ფრაზასაც — ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე წაკითხულს — ნინო ვახანია გაიხსენებს და იტყვის:

— თუ სწორად მივხვდი, გივი სომხიშვილს იმის თქმა უნდა, რომ შევარდნაძის მმართველობის ხანაც ზნეობრივ ძალთა გამოცდა იყო, რომელიც უმრავლესობამ ვერ ჩააბარა.

იქნებ ამიტომაც თემურ ქორიძეს გივი სომხიშვილის წიგნის წინასიტყვაობაში ავტორის შესახებ ასე დაუწერია:

— ცხოვრებას კაცად შერჩენილი...

ცხოვრებაც იყო და ცხოვრებაც, იმ ავადსახსენებელ ყოფას თუ შერჩებოდი კაცად, იმ ზნეობრივ გამოცდას თუ ჩააბარებდი ღირსეულად, სულ სხვა ფასი და მნიშვნელობა ჰქონდა და წლების შემდეგ ვახტანგ ბახტაძე ამ სიტყვებს რომ დაესესხება ბატონ თემურს გივი სომხიშვილზე საუბრისას, მწერლის რამდენიმე მოთხრობას სწორედ სიკეთესა და ბოროტების ბრძოლის რაკურსიდან ჩაულრმავდება, მათ გამართიანებულ კონცეფციას კი ეპოქალურ კითხვებსა და მოვლენებამდე განაზოგადებს და იტყვის:

— რატომ არ აპროტესტებდა ხალხი აბსურდულ და-პატიმრებებსა და ტოტალურ ტერორს?

შიშის გარდა, ერთ-ერთი მიზეზი არსებული სისტე-მისადმი ნდობის გამოცხადებაც იყო. თანაც არავის მი-აჩნდა თავი დამნაშავედ.

რისთვის? — იყო პირველი შეკითხვა, რაც ადამიანს თავში მოსდიოდა. ეს ყველაფერი უსიტყვო მორჩილების განმსაზღვრელი გახლდათ, ისევე როგორც ილუზორულ-რიტორიკა, რომ სტალინმა ეს ყველაფერი არ იცოდა.

რამდენად უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, მაშინ, როცა მებრძოლი ათეისტური მორალი, სინდისი და რეალობის ობიექტური შეგრძნება ღვთისმოსავ, სამართლიან და ლო-გიკურ აზროვნებას ეწინააღმდეგებოდა, არ არის საფუძ-ველს მოკლებული, რომ ტირანულმა, ტოტალიტარულმა სისტემამ თითქმის მიაღწია სიმართლისა და სამართლია-ნობის იდეის გაუქმებას საბჭოურ მენტალობაში.

იყო შემთხვევები, როდესაც ეროვნული ღირსების, შე-ურაცხყოფის, დამცირების გამო ადამიანის სინდისი ჯან-ყდებოდა ჯოჯოხეთური მონსტრიზმის წინააღმდეგ...

თუმცა ამ გზაზე იყო გამობრწყინებაც (მრავალ-თავის დაუფერებელი) — გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღმდგენელმა, აღზევებულმა ეროვნულ-გამათავისუფ-ლებელმა მოძრაობამ ქართველ ხალხთან ერთად საბო-ლოოდ დაამსხვრია ეს უღმობელი კომუნისტურ-ათეის-ტური მითი.

გივი სომხიშვილმა „იმ ერთი კაცის“ მმართველობის ჟამს თავის თავზე გამოსცადა კომუნისტური რეჟიმის უსამართლობა, დევნისა და უკანონობის სისასტიკე.

მან მოასწრო საქართველოს სუკის „სანაქებო“ ჯურ-ღმულების კარგა ხნით „მონახულება“ და იქ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე სტიოკურად დგომა...

მაცნე გაუძლო, რადგან, როგორც თავისი ერთ-ერ-თი წიგნის წინასიტყვაობაში წერს, „ძალადობას სპეტა-კი სინდისითა და ვაჟკაცური შემართებით ებრძვიან“.

სწორედ ამის გამო უწოდა ბატონ გივის „ქიზიყის ბერმუხა“ **თემურ ჩალაბაშვილმა**, ვისაც ჯერ კიდევ ჭა-ბუკობისდროინდელი მეგობრობა აკავშირებს მწერალ-თან და ლექსიც მიუძღვნა მას.

— იმ ქართული სოფლის ორლობებსა თუ მინდვ-რებში მოფუსფუსე ადამიანების სიტბოთი და სიყვარუ-ლითაა გაჯერებული გივი სომხიშვილის შემოქმედება. პირადად მე მისი მოთხრობები უფრო მხიბლავს, რად-გან მგონია, რომ აქ უფრო კარგად ჩანს მწერლის ენაც, სტილიცა და სახეც.

ციხიდან ახალგამოსულმა თავისი ჩანაწერები რომ გამოაქვეყნა, ხელიდან ხელში გადადიოდა.

მომსწრე ვარ, როგორ დევნიდა ის „ერთი კაცი“ და მისი რეჟიმი, გვერდიდან არ ვმორდებოდით მეგობრები, რომ მარტო არ დაგვეტოვებინა საბჭოთა მონსტრის პი-რისპირა.

ციხეში გაიღრმავა მწერლური მსოფლხედვა.

ხელხვაგვიან შემოქმედებას უტოვებს თაობებს და მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ როსტომს, მის თვალსა-ნიერში ეს მწერალიც რომ მოხვდა, ასეთი ლიტერატურ-ული გემოვნების კაცი რომ მიგინვეს აუდიტორიას-თან შესახვედრად, სხვა ფასი და მნიშვნელობა აქვს ავ-ტორისათვისო.

ამის გამო მადლობას „ჩვენი მწერლობის“ ლიტერა-ტურული სალონის მესვეურთ ბატონი გივიც გადაუხ-დის და თავის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოკლედ უამბობს შეკრებილებს, ოღონდ მანამდე...

ყველაზე სილული სამყარო

— მახსოვს, როგორი გამომხაურება მოჰყვა ხორხე ლუის ბორხესის ესეის „შვიდი საღამო“ (მეშვიდე საღამო, სიბრმავე. 2011, 21) — სულთ ხორცამდე შეძრულნი და ცოტათი დაზაფ-რულნიც კი დავრჩით მისი წაკითხვის შემდეგ — სადაც ბრმა მწერალი თავისი ფიზიკური მდგომარეობის განსაკუთრებულ-ბაზე საუბრობს, იმაზე, რომ თვალისჩინის გარეშე დარჩენა სხვა გრძნობებსა თუ შეგრძნებებს ამახვილებს; რომ სამყაროს აღქმა კიდევ უფრო ღრმავდება, ფაქიზდება, თითქოს რაღაც სხვა თვა-ლი იხსნება, სულისმიერი, რომელიც სრულიად განსხვავებუ-ლად დაგვანახებს მოვლენებს, იქნებ ყველა სხვა სამყაროზე უფ-რო ხილულსაც, და ამ ყველაფრის გამო მწერალი სიბრმავეს უპირატესობადაც კი წარმოგვიჩენს თვალისჩინთან შედარებით.

და აი, **ინგა მილორავა** სწორედ ამ ორიგინალური კუთხით წარმოგვიჩენს გივი სომხიშვილის რომანს „**ბრმა მეჩონგურე**“, რომელიც თვითონ მომხსენებელს უწინარესად ვასილ ბარნოვის „განყვეტილ სიმს“ გაახსენებს.

— ეს თხზულება, რომლის მთავარი გმირიც ბრმავედება და სწორედ ამის შემდეგ შეიგრძნობს სამყაროს შიგნით ჩაბრუნე-ბული მხერით, ადრეულ მოდერნიზმსაც შეიძლება მივაკუთვ-ნოთ და მას სხვა მხატვრული მიზანი აქვს — რეალურსა და ირე-ალურს შორის ურთიერთკავშირის წარმოსახვა; მაგრამ თვითონ ეს პარადიგმა — ჩაბრუნებული მხერა, როცა ადამიანი საკუთარ სამყაროს უღრმავდება და ასე იწყებს თავის შეცნობასა და და-ნახვას — ძალიან საგულისხმოა.

ამას წინათ გლობალიზაციის შესახებ საინტერესო განმარ-ტებას წავაწყდით: ამ დროს იკარგება თითოეული ეროვნული სიფ-რცისა და კულტურის თვითმყოფადობა — ანუ სამყარო აღარ არის მრგვალი, იგი ბრტყელი ხდება — რაც, უპირველეს ყოვლი-სა, იმით გამოიხატება, რომ მწერლობას აღარ აინტერესებს სო-ფელი, საუკეთესოდ რომ ინახავს იმ ყველაფერს, რაც განსა-კუთრებულია ერის ცხოვრებისათვის. აი, ამ თვალსაზრისითაც იყო ჩემთვის საგულისხმო გივი სომხიშვილის „ბრმა მეჩონგურ-ე“. როგორც უკვე ითქვა, ეს არ არის ტექსტი, დატვირთული მეტაფორული სახეებით, ამ მხრივ თხრობა ძალიან სადა, მარტი-ვი და უშუალოა, რადგან გვიამბობს იმაზე, რაც თავისი შინაარ-სით არ არის განკუთვნილი მორთვისა და მოკაზმისათვის.

ქალბატონი ინგას თქმით, სწორედ ამ უბრალოებით გვიყვება ავ-ტორი სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაზე, რაც ყველა ამბის სა-ფუძველთა საფუძველია. ბრძოლაზე, რომელშიც ხან იმარჯვებს სი-კეთე, ხან მარცხდება და მწერალიც ამ ორ პოლუსს შორის გვაგოგ-ზაულებს, რის გამოც თვითონ ტექსტიც, ასე ვთქვათ, „მრგვალია“ და ამ თვალსაზრისითაც არ არის „ბრტყელი სამყაროს“ ნაწილი.

— ომიდან დაბრუნებული ზოსიმე, ბრმა მეჩონგურე, თავის სამყაროში იხედება და შესაძლოა უკეთესადაც ხედავს იმ ზნე-ობრივ დეგრადაციას, იმ მანკიერებას, გარყვნილებას, ძალადო-ბას, რაც ხდება ირგვლივ.

ყველაზე უარესი კი ის არის, რომ ამ ყველაფერს ახსნილი აქვს ცოდვის დეფინიცია და საზოგადოებაზე ასაღებენ ჩვეუ-ლებრივ ამბად, ყოფითობის, ცხოვრების განუყოფელ ნაწილად.

ასეთ ყოფით ამბებში უდიდესი პოეტურობა შემოაქვს ბრმა ზოსიმეს სიმღერებს, პოეტური ჩანარების წყალობით თითქოს ჩონგურის ხმაც ჩაგესმის კითხვისას. საერთოდაც, ტექსტი თით-ქოს კადრიერებულია, მზა მასალა კინოფილმისთვის, სახასია-თოდ გამოკვეთილ გროტესკულ თუ სახემეცვლილ ადამიანთა პორტრეტებითაც და თავისი „გახმოვანებითაც“.

თვითონ ბატონმა გივიმ კი შეხვედრაზე ის დრო გაიხსენა, ციხიდან გამოსულს საყრდენებმორყეული რომ დახვდა იმპერი-ული რეჟიმი.

— ცუკას მდივანი გივი გუმბარიძე იყო უკვე, ედუარდ შევარ-დნაძე მოსკოვს გახლდათ, ხელისუფლებას ისეთი ძალა აღარ

ჭკონდა და „განთიადის“ მეოთხე ნომერში დავბეჭდე „ფასადს ამოფარებულ დღეთა ჩანაწერები“.

ისეთი რეზონანსი მოჰყვა...

მითხრეს, თითქოს მისი წაკითხვის შემდეგ შვილს, პაატას, ეთქვას ედუარდ შევარდნაძისათვის: ასეთი მამა არ მჭირდება.

კაცებს ჯოჯოხეთი კი დღესაც კომმარული სიზმარით მახსოვს.

საკანი იმხელა, მკლავები რომ გაგეშალა, აქეთ-იქით ხელისგულებს მიანვდენდი კედლებს.

ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა და გქონდა განცდა, რომ საფლავში იწევი და ცოცხალი იყავი.

28 თვე გავატარე ამ ჯოჯოხეთში, სადაც სხვა არაფერი დაგრჩენია, თუ არა ის, რომ შენს სულს, შენს წარსულს, ანმყოსა და მომავალს ჩაულრმავდე.

მეც ის ქართველი ვარ, საკუთარ თავზე რომ გამოსცადა საბჭოთა რეჟიმის საშინელება.

შეიძლებოდა დაბადებულიყავი იმ ეპოქაში და ისე ჩაველო ცხოვრებას, ამ ორომტრიალში არ მოხვედრილიყავი, მაგრამ თუ მოხვდებოდი, მტრისას, თელი სიმძაფრით გამოცდიდი მის სისასტიკეს.

ეს მძიმე წლები მეგობრებმა გადამატანინეს.

მათ შორის იყო თემურ ჩალაბაშვილიც...

თემურ ქორიძეც, ვინც მართლაც გზა გამიკვალა ლიტერატურულ ცხოვრებაში, კაცი, რომელმაც ეროვნულ მთავრობაში ყოფნისას მიცემული ბინა გაჭირვებულ ქალს დაუთმო, თვითონ კი დღესაც იმ ერთ პატარა ოთახში ცხოვრობს — გლდანში — წიგნებით რომ არის სავსე და ვეუბნები ხოლმე:

აი, ერთი ქართველი კაცი, ქართველი დიოგენე, რომელიც კასრში ცხოვრობს და სიყვარულს და სიბრძნეს გასცემს-მეთქი.


მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ მძიმე წლებში გვერდით მედგა.

მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ როსტომსაც, რადგან თუკი პირუთვნელობითა და ობიექტური შეფასების უნარით ვინმე გამოირჩევა, სწორედ იგი.

მე კი... განსაკუთრებული ამბიციები არასოდეს მქონია.

არც სახელი მიძებნია გამორჩეულად.

რაც გადამხდა, რაც მახსოვდა, ის დავწერე და თუ რამეში გამოადგება ჩემს ერს, ბედნიერი ვიქნები.



გია ხოფერია

სამოქირო რომანი

ეს რომანი რამდენიმე თაობას აქვს წაკითხული უკვე, სამ ათეულ წელზე მეტია ჩამოთვლილი მისი პირველი გამოცემიდან, მხოლოდ აქა-იქ დაინერა თითო-ოროლა წერილი თუ გამოხმაურება, საყურადღებო მოსაზრებებიც გამოითქვა, ნამდვილად მისადაგებული ამ რომანის სიგრძე-სიგანეს, ხაზი გაესვა მის სიტყვანოყიერებას, მხატვრული მოხაზულობის ახალ სიეფერეს, აზროვნების სითამამესა და თავისუფლებას, კიდევ სხვა სასიკეთო თუ სასარგებლო თვისებანი დაიჭირეს „მოდარაჯე“ თვალებმა, მაგრამ რაც უფრო ასაკოვანი ხდება ეს რომანი, რაც უფრო მეტჯერ წაკითხავ, უფრო და უფრო ახლებურად იბადება მისი სხეული, უმეტეს შემთხვევაში არანორმალურად რომ გამოიყურება. სწორედ ეს არანორმალურობაა მისი თანდაყოლილი „ნაკლი“, კალაპოტურობას რომ ვერ ეგუება და ყოველთვის, ადრეული მდინარისა არ იყოს, კარგა გვარისანი გულმოსულობით, გვერდით განშტოებებს იჩენს, ახალ და ახალ სამელობელოებს იმატებს, უფრო ძარღვიანი და მდიდრული შესახედაობა აქვს.

აქვე მოურიდებლად უნდა აღინიშნოს, რომ „ცდომილთა დღესასწაული“ ისეთი მკითხველისთვის არაა დაწერილი, წიგნის ხელში აღება და ორიოდე ფურცლის გადაციმციმება თვალების ნაბლეტამდე ჩვეულებად რომ აქვს, ან ვილაცის ან რალაცის მოლოდინში დროს რომ კლავს თუ ასახიჩრებს. ასეთი მკითხველს არაფერი ესაქმება ამ რომანთან. მისთვის, თანამედროვეობაში მაინც, იმდენი რამ იწერება დაწვრილებით სოციალური თუ პროფილური და სოციალური, უკეთესი იქნება საკუთარი თავის აუტიკვიარობის მიზნით „ცდომილთა დღესასწაულისკენ“ თუ არ გაიხედავს.

„ცდომილთა დღესასწაული“ ჰორიზონტალურადაც იკითხება და ვერტიკალურადაც. ორივე ამ ძირითადი მიმართულების გამზერისა და ამოვსებისათვის ავტორს, ავთანდილ ყურაშვილს, საკმაო მასალა აქვს მოზიდული, ბეჭებით, გონებით, სულითა და გულით. ეს მასალა არაა უმიზნოდ, მხოლოდ სანახაობრივად დახორავებული. იგი შინა-ათობორივი დანიშნულებით სავსებით სწორადაა გადანიშნული თითოეულ პერსონაჟზე, თითოეულ ნამცეცა კადრზეც კი და მათი ტვირთამწეობა სწორადაა გაანგარიშებული, მათი სასუნთქი ბალიში იმოდენაა მოცულობით, რამდენი ჰაერიც სჭირდება თითოეულს. ამიტომ, რომ ვერსად ნაანყდები მკვდარ პერსონაჟს, ჩამქრალ კადრს, უმეტყველო, უსულგულო სიტყვათაფრიალებას.

ეს რომანი არაა მხოლოდ ერთ დროსთან, ერთ ეპოქასთან შერწყმული. მეტიც, იგი კოსმოსურ სივრცეში გადის და ერთ მეტად დამაფიქრებელ საერთო კანონზომიერებაზე მიგვანიშნებს: თურმე გარკვეული წინააღმდეგობები, დაპირისპირებანი, დადგენილი ნორმებიდან ამოვარდნა ცდომილებს ანუ მათობებსაც ახასიათებს, რასაც კანონიერი გზიდან გადახვევა შეიძლება ეწოდოს, იქაცაა მოუწესრიგებელი წესრიგი, რასაც ჩვენ შეუიარაღებელი თვალთ ვერ ვამჩნევთ, მაგრამ ამ მოუწესრიგებლობას ნამდვილად აქვს ზეგავლენა დედამიწაზე, ჩვენს ბედნიერ სამყოფელზე. ეს საკითხის ერთი მხარეა, თუნდაც პირნიშინდად ასტრონომიული გაგებით. მაგრამ მეორეა მთავარი და არსებითი, საითკენაც რომანს მივყავართ — ის, რაც გალაქტიკაში ხდება, განსაკუთრებით რჩეული მნათობების სწორხაზოვნებისას, რაც დედამიწას წარღვნილი ნიშნებისა თუ სხვა პროცესების სახით ატყდება თავზე, ზუსტად იგივე თუ არა, დაახლოებით მსგავსი რამ მაინც ხდება და ხდებოდა დასაბამიდან იმ საზოგადოებაში, რომლის სამშობლოც დედამიწაა. ასე რომ, მთელი ქვეყნიერება, მთელი გალაქტიკა, ყოველშემთხვევაში ჩვენი მზის სამხერო საერთო პრინციპით ცხოვრობს. ესაა მუდმივი ურთიერთშეწყობა, ურთიერთგამონევა, რაც ადამიანებში უფრო ხელშესახებად ჩანს. ამიტომაც გასაკვირად არ უნდა ჩაითვალოს ის დაუმთავრებელი დრამები, ოდესღაც რომ დაიწყო, თანდათან რომ მოგვიახლოვდა და ახლა ჩვენს თვალწინ, ჩვენივე მონაწილეობით იგრძელებენ გზას.

ამ დრამებზე ანუ ადამიანის ცხოვრების ნიშნულებზე ვის არ დაუნერია, ვის არ უფიქრია, ვის არ უტყვია თავი, ამიტომაც ძნელია რაიმე ახ-


ლის შემოთავაზება, მაგრამ ახლებურად შემოთავაზება მაინც რომ შეიძლება, აგერაა ეს რომანი და ახლებურობაც. თვალი ოდნავ მაინც თუ გივარგა, მთლად დაზიანებული თუ არაა, არ გამოგეპარება ის ფაქტი, რომ „ცდომილთა დღესასწაულს“ სხვისი არც პერანგი აცვია და არც ფეხსაცმელი. კარგად მოეხსენება ავტორს, რას აკეთებს, რატომ აკეთებს და როგორ.

ისევ რომანის დროსა და სივრცეს ვუბრუნდები. ამკარაა ამ მხრივ მისი მასშტაბურობა, შეცნობა და ნაკითხვა ცხოვრების ტრადიციული კანონზომიერების, მითიური კიბეებით ჩასაფხურება შორეულ ფესვებთან, პირველ საწყისებთან (სადარუხანოდან მოყოლებული), გარკვეული მოდელის გამოგონება თუ როგორ ვყალიბდებოდით ბელადებად და ხურდა სოციალურებად, პიროვნების განდიდებად და ბრბოდ, გვიყვარდა თუ გვძულდა ერთმანეთი, სიკეთეს ვაკეთებდით თუ ბოროტებას. იქედან, იმ შორეულიდანაა ჩვენი ჭრელა-ჭრულა სადინარი ნამოსული, აბა, აქეთ, თუნდაც მეოცე საუკუნეში, ამ მხრივ ახალი არაფერი გამოგონებულია. მართალია, ავტორი ამ ბოლო ეპოქას უფრო ხელშესახებდა გვიხატავს, ძალიან ახლოს მოაქვს ჩვენთან ცხოვრების კადრები, ძალიან გეტყვენ გულს, მაგრამ ეს მაინც იმ დრამის გაგრძელებაა, რასაც ადამიანის ცხოვრება ჰქვია. ამ ნაწილის ემოციური ჩვენებით თანამედროვეობას შეახსენა მწერალმა გუშინდელი ცოდვისმედიანობიდან რომ მოდის, რომ იგი ჩვეულებრივი გაგრძელებაა ზემოთ ნახსენები დრამისა, რომ სრულიად ახალი და სუფთა თანამედროვეობა არ არსებობს...თუნდაც გასული საუკუნის 30-იანი წლების, ცოტა უფრო შემდგომი პერიოდის სისხლიანი, ბოროტად გასენილი ფრაგმენტების ჩვენებით ამკარად გამოიკვეთა ოდითგანვე დაპირისპირებული შავი და თეთრი სულის დაძაბული სურათი. და რაც მთავარია, პირუთვნელად ითქვა სიმართლე: ყოველგვარი უბედურების სათავე და წამომწყები არაერთხელ ყოფილა ხელისუფლება — ხალხის პატრონად აღიარებული, მაგრამ ხალხის სულშივე ჩამფურთხებული. მეტ-ნაკლებად ყველა დროის ხელისუფლებას სჭირდა ეს სენი, რომელიც არ იკურნება და მაინცდამაინც არავინ იკლავს თავს, გამოძვრეს ამ ქრონიკულ ბინიერებიდან. რეგოლუცია რეგოლუციას მოსდევს, გადატრიალება-გადატრიალებას, ერთი იცვლება მეორეთი, მაგრამ ის სენი კვლავ სენად რჩება.

ქვეტექსტურად ესეცაა ამ რომანის მთავარი სათქმელი — ოცდაათი თუ მეტი წლის წინათ რომ ითქვა. იშვიათად შეეძლოთ მაშინ ამის თქმა.

თქმაცა და გაკეთებაც რომ კარგია, ვინ უარობს, მაგრამ ვის დაიყენებ გვერდით, ვინ მოგეხმარება, ერთმა კაცმა თქვა ასი კაცის, ათასის თუ მთელი ქვეყნის სათქმელი, ამასაც სჭირდება თავისებური არშინ-საზომი. მწერალი რეჟისორიცაა ამავე დროს. იგი სანახაობრივადაც წარმოიდგენს ყოველი სიტყვისგან აგებულ შენობას, ყოველი პერსონაჟის გადადგმულ ნაბიჯს, მიხვრამოხვრას, სუნთქვასაც კი. ყველა როლი თვითონვე უნდა ითამაშოს, მოგესხენებათ, და ყველაშივე განსხვავებული იყოს. ჩემი აზრით, კადრების შერჩევის საკითხი დიდებულადაა გადაჭრილი ამ რომანში, უმრავლესობას ვერც შეკადრებ, პენსიაზე გაუმვა, იმდენად ნელად და სამახსოვროა მათი სცენიური მადლი. ამასთანავე, ვფიქრობ, გადატვირთვას არ იწვევს რომანში გამოყენებული ფოლკლორული ნიმუშები, კანონიკური ტექსტებიდან მოხმობილი ამონარიდები...ყველა ესენი ანუ ყველაფერი სხვადასხვა გზით მიმავალი დინებები ერთი შესაქრებისკენ — დაიბადოს რომანი ანუ მწიფე სიტყვა ანუ შესარგო ნაყოფი...

„ცდომილთა დღესასწაული“ ეგრეთ წოდებულ „ახალ ქართულ რომანს“ მიეკუთვნება, რომლის სტრუქტურული აღნაგობა ბევრად განსხვავდება წინაპრისაგან. ასეთი ტიპის რომანებში ერთბაშად იმდენი ნაირგვარობა მოიყრის თავს, ზოგჯერ



ჭირს საერთო აზრის გამოტანა. არადა, ეს ნაირგვარობა მეტი არაფერია, თუ არა სხვადასხვა კუთხიდან გაკეთებული ფოტოგადაღება და, მე მგონი, ყველაზე კარგი საშუალება საგნის ამოსაცნობად. ასევეა „ცდომილთა დღესასწაული“ — წმინდა რეალისტური ფონი გადაინაცვლებს მითოსურ, ზღაპრულ-ფანტასტიკურ სიბრტყეებში, რასაც თან სდევს გროტესკისა და დეფორმირებულ სახეთა შენიღბულობა, რაც, ბუნებრივია, თვალის ერთი გადავლებით აძნელებს სათანადო ეფექტის მიღებას, მაგრამ ვინ თქვა, ეს რომანი თვალის ზერელე ჩაცქერილობით დასამორჩილებელი რომაა?! მართალია, აქ თავმოყრილია სახეების, განწყობილებების, ხასიათების, იოლად შესაცნობისა თუ საკმაოდ საძებარის ცდები, სურათები, ვარიანტები, მაგრამ ერთი პლასტიკა მიღწეული, ერთი საკმაოდ მოზრდილი გვირაბია გაყვანილი განათებისკენ.

„ცდომილთა დღესასწაული“ სწორედ ამ კუთხითაა თანამედროვე ლიტერატურულ სამყაროში საყურადღებო ფაქტი. ამ რომანს თავისი მხატვრული გარემო და სიახლე მოაქვს როგორც ტიპაჟის, ისე ხატვისა და ძერწვის, ენობრივ-სტილურ თავისებურებათა სახით. მართალია კრიტიკოსი ვია ბენიძე, როცა ამბობს: „თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაწარმოები არც ერთ ქართულ რომანს არ ჰგავს თავისი სტრუქტურით, კომპოზიციით ან თუნდაც ენით. ამასთანავე ის ჭეშმარიტი ქართული რომანია თავისი პრობლემატიკით, კოლორიტით, სულისკვეთებით, მოქმედ გმირთა ხასიათებით და მასზე ნამდვილად ღირს ღრმა და საფუძვლიანი მსჯელობა“.

„ცდომილთა დღესასწაულის“ შესახებ თავის დროზე მართებული მოსაზრებანი გამოთქვას ავთანდილ ნიკოლეიშვილმა, ჯარჯი ფხოველმა, ელგუჯა თავბერიძემ. ამ სტრიქონების ავტორსაც აქვს ნათქვამი ორიოდე სიტყვა. საოქმო ენაზე რომ ვთქვათ, ერთხმად აღინიშნა, რომ ეს რომანი საუკეთესო მხატვრული ქმნილებაა თანამედროვე ქართულ პროზაში.

„ცდომილთა დღესასწაული“, როგორც აღვნიშნეთ, ერთი მხრივ, მოქმედება გაშლილია წმინდა რეალისტურ ფონზე, მეორე მხრივ, ზღაპრულ-ფანტასტიკური სივრცეა განფენილი, რომელშიც შერწყმულია მითოსური ელემენტები. აქა-იქ ბიბლიური ამონარიდებიც გვხვდება. ამ სხვადასხვა ხასიათის სიბრტყეთა ურთიერთმონაცვლეობა განსაზღვრავს რომანის საკმაოდ უჩვეულო სტრუქტურას. თითქოს ძნელდება ნაწარმოებში მოცემული პრობლემატიკის საერთო სათავესთან, წყარო-საწყისთან მისვლა, მისი აღმოჩენა, რაც, რა თქმა უნდა, იოლად არ მოხერხდება, რადგან ამა თუ იმ ფანტურ პლანში შენიღბული აზრის მოხელთება, მხატვრული ეპიზოდის გარღვევა, გვარიან დაკვირვებას მოითხოვს. ამით ხაზს არ ვუსვამ მწერლისეული ფრაზის ან რომელიმე ეპიზოდის „სიმძიმეს“, ბუნდოვანებას, სიუჟეტის ხელოვნურ სიმკვრივეს, უსიერ ტყეში მოქცეულივით გაულწეველობის ილუზიას რომ გავიჩენს, არამედ აქცენტი გადამაქვს რომანის დედაარსის გახსნისათვის საჭირო სწორი და შესაფერისი გზების მოძიების აუცილებლობაზე.

მკითხველისათვის არ უნდა იყოს გაუგებარი და ძნელად შესაცნობი გიორგობიანების ცხოვრების ისტორია, არც ბარბა ლიხაურის და, საერთოდ, ლიხაურების მხატვრული იერი შეგვიყვანს ჩიხში, არც პოლიექტორის ფრაგმენტული გაელვებაა თავსატეხი, მიუდგომელი იგავი. განა თუთია, ზღაპრულ-მითოსურიცა და მინიერიც, განაფული მკითხველის თვალსაწიერს გაექცევა? თუნდაც დარუხანის ციხე-კოშკის მისტიკური სურათები ან თეატრალური სივრცე-სცენები, ზოგჯერ დრამატულად პირქუშები, ამასთანავე რომანტიკულად ლალები, ვერ შემოაღწევენ გონების არეში? ამ მხრივ გასაჭირი არ დაგვადგება, მაგრამ რომანის სტრუქტურის, მისი აღნაგობის დახლენჩვის

უფლებას მაშინ მოვიპოვებთ, როცა შეგვეძლება გავიგოთ, საიდან ღირს დანყება მისი შემეცნება-გააზრებისა.

ჩემი აზრით „საიდუმლო“ გასაღების ძიება დარუხანის ციხე-კოშკიდან შეიძლება დაიწყოს. ამ კოშკთან დაკავშირებული ამბავი ყველაზე გამორჩეული ეპიზოდია რომანში თავისი ზღაპრულ-მითოსური ელფერით. სადარუხანო ცასა და მიწას შორის მდებარეობს. იგი სოფელთან (ანუ ქვეყანასთან) ერთად გაჩნდა. კოშკის მუდმივი მკვიდრია დარუხანი (უფროსი, შუათანა და უმცროსი დარუხანი ერთდროულად). იქ სამამაკაცოა, მხოლოდ დარუხანთა სამამაკაცო. სხვადასხვა თაობის დარუხანთა იდეა-ფუნქცია რომანში ამდგევარადაა გადმოცემული: „უფროსი, ანუ ბაბუა დარუხანი იმ ქვეყანაში გასაფრენად გამზადებული და ცასთან განმარტოების მოსურნე; შუათანა, ანუ მამა დარუხანი — ორივე ფეხზე მყარად მდგარი, დადგენილი შინ და გარეთ წეს-რჯულის გამრიგე, უმცროსი, ანუ მომავალი დარუხანი — სოფლის წაღმა-უკულმა ტრიალში ახლად შემოჭრილი, მამისა და ბაბუას შეუცვლელი შეგირდი, ცისა და მიწის, ამ უზარმაზარი ორი წიგნის შემაერთებელი მფეთქავი ძარღვი, სადარუხანოს მარადი იმედი; არაადამიანური პრომისათვის განწირული უცვლელი ზვარაკი...“

ყოველი უფროსი დარუხანის მთავარი საქმეა ზესკნელს ამავალი სარქველიდან გარე სამყაროზე დაკვირვება. გარდაცვლილ მამას შუათანა დარუხანი კოცონზე დანვაგდა ხოლმე და მის ფერფლს გაზაფხულზე ახლად დახსულ მიწაში აურევდა, კარგი მოსავალი რომ მოსულიყო, თვითონ კი უფროსის ადგილს იკავებდა... და ასე მეორედებოდა თაობიდან თაობამდე. სადარუხანოში ქალი მუდმივად არ ცხოვრობდა. ცხრა მთას იქედან მოტაცებულ ქალს კოშკში მანამ გააჩერებდნენ, სანამ ვაჟი არ მოეცვლებოდა იმ ქვეყანას.

ქვემოთ, სოფლად, ადამიანები სანამ გონების თვალი არ აეხილებოდათ, მანამ მოჩვენებით სამოთხეში ცხოვრობდნენ. ყოველგვარ მშვიდობიან სამყაროს სამოთხეს თუ დავარქმევთ, სადარუხანოც რა თქმა უნდა, ამ მხრივ სანიმუშოა. ცასა და მიწას შორის მდებარე ეს სამოთხე, სხვა სულისკვეთებითა და მონახაზით გამოირჩევა, ვიდრე სოფლისა. სოფელში (ქვეყანაში) შრომობდნენ, მუდამ მიწის ჩასცქეროდნენ და სწამდათ, რომ ცხოვრების სიბრძნე, განუწყვეტელი რომ შეედინებოდა მათ „ჰანანინა ჭკუის კოლოფებში“ ღელის პირზე რიყე-რიყე იკრიფებოდა, ანდა სულაც ვარსკვლავთა სხივებს ჩამოჰქონდა იმ იდუმალი სიმაღლიდან; ასეთ საკითხებზე კანტიკუნტად ფიქრობდნენ სოფლელები. სინამდვილეში სადარუხანოდან იმართებოდა ქვეყანა. იმ სადარუხანოდან, საიდანაც განუწყვეტელი უთვალთვალდნენ ზესკნელისაკენ ამავალი სარქველიდან ცდომილებს. ზეციური ოთახი წარმოადგენდა ამ სამყაროს გონებას. გონების საიდუმლოების შემნახველი, დამცავი იყო ეს ოთახი „ამ სოფელიური, იმ სოფელიური, სმარადეამო და ყოველდღიური“ გონებისა. სადარუხანოს გონებრივი მზრუნველობის შესახებ სოფელმა არაფერი იცოდა. ვინ იცის, რამდენხანს გაგრძელდებოდა ასე, რამდენი უფროსი დარუხანი ჩამოიჩონჩხა და მუჭისხელა გახდა ზესკნელისაკენ ამავალი რქის ძირთან.

სადარუხანოში გაჩნდებოდა თუ არა მემკვიდრე ვაჟი მამა დარუხანისა, ზეიმი იყო, მაგრამ ბავშვი ძუძუს რომ მიატოვებდა, დედას კომპიდან გადაუძახებდნენ ბნელეთში. ასევე დამართებდნენ ვაჟის გაჩენამდე დაბადებულ გოგონებს...

სადარუხანოს თავისი მკაცრი წესრიგი აქვს. ქალი ვერ გაზრდის მომავალ დარუხანს, გონების გამგრძელებელს, გონს საერთოდ. ქალს შეუძლია გონება დააკარგვინოს კაცს. ასე თუ მოხდა, სადარუხანოც და, მამასადამე, სამყაროსეული წესრიგიც მოიშლება.

მოსახდენი მაინც მოხდა:

ერთ-ერთი უფროსი დარუხანი შეამჩნევს, რომ ზეცაში ცდომილები ერთ ხაზზე განლაგდნენ, დაირღვა მანამდე არსებული მუდმივი წესრიგი. მსგავსი არაფერი უნახავთ ადრე.

მართლაც სასწაული მოხდა, უჩვეულო და წარმოუდგენელი. ეს იყო წარღვნის დასაწყისი. ამ წარღვნამ ერთ-ერთი შუათანა დარუხანი სოფელ-ქვეყანაში ჩამოაქცია.

დანვრილებითი გასხენება სადარუხანოსთან დაკავშირებული ყოველი დეტალისა შორს წაგვიყვანს... მოახლოვდა დარუხანის ციხე-კოშკის დასასრული. ცის კაცის სახელით თუთიას მიერ მონათლული შუათანა დარუხანი, ანუ მამა დარუხანი, სოფელში უამრავ ცვლილებებს შეიტანს. მან აუხილა თვალი ადამიანებს, გულის ნდომას ააყოლა ისინი. დაიწყო ახალი ცხოვრება, განცხრომა, დროსტარება. ამაოებათა ამაოების გააზრებამდეც კი მივიდნენ. გუშინდელი მხოლოდ მიწის მაცქერლები, ქალისთვის წელსზემოთ რომ არ შეუხედავთ ჯერ, კამათლის გაგორებას (თუ მღერას) ჰგავსო წუთისოფელი, ამბობენ უკვე. თვით წუთი სოფელის ცნებაც და მისი გააზრებაც მაშინ წარმოიშვა.

მინიერ თუთიასთან ცის კაცს ორი ვაჟი — ამბრი და უმბრი — ეყოლა. ეს ახალგაზრდები წარმოადგენენ რომანში ახალი ცივილიზაციის, ტექნიციისტური ეპოქის დამწყებ ადამიანებს, ფუძემდებლებს. ძალზედ გათამამებული და უკვე არავის დამჯერე შვილები მამამ ციხის კედლებში გამოამწყვდია, მაგრამ თვითონაც უიმედოდ დარჩენილი ნებაყოფლობით დაიტუსალებს თავს შვილების გვერდით. მას, მიწაზე ჩასვლის წინ ნამდვილი დარუხან უმცროსი უპატრონოდ რომ დატოვა, უკან დაბრუნებისას მიხრწნილი მოხუცი დახვდა, უშვილოდ გადაგებული. მიწაზე გაჩენილი შვილები კი ვერ მოერგნენ დარუხანის სამყაროს. ამან გამოიწვია სადარუხანოს კატასტროფა. მინიერ ქალთან გაჩენილი ამბრი და უმბრი სადარუხანო მემკვიდრეობისათვის არ გამოდგებოდნენ. გარკვეული დროის შემდეგ ეს ბიჭები უანგისაგან შეჭმულ ბორკილებს დაამსხვრევდნენ და დღის სინათლეზე გამოვლენ, მამაც გამოჰყავთ.

შუათანა დარუხანი ცის წიგნის ოთახში ჩაიკეტება. არავის მოუკითხია მისთვის. პირიქით მოხდა: შვილებმა დენტის ძალზედ დიდი მარაგი შეუნყვეს ციხის კედლებს და ააფეთქეს.

ამის შემდეგ კოშკის წარჩენებიდან თოვლი წამოვიდა. დაიწყო ზამთარი. მწერალი ამ ზამთარს, თოვლს, თეთრ სისხლს უწოდებს, რომლის ჩამოღვრა-ჩამოღვრა კოშკიდან თუთიას ვაჟების შეცდომის გამო მოხდა. პირველყოფილ გაზაფხულს მტერი გაუჩნდა გათეთრებული სისხლის ანუ უკუონებელი სენის, ავადმყოფობის სახით, კინალამ მთლიანად რომ მოსპო სიცოცხლე. თეთრი ანუ გახრწნილი სისხლი, საერთოდ ხრწნადობა, სიმბოლურად მიიმართება ზამთართან. სწორედ ზამთარში ხდება თესლის ხრწნადობა, რომ შემდეგ ახალი სიცოცხლე წამოვიდეს. ამიტომ ვერ დამარცხა ზამთარმა თუთია, მარადიული გაზაფხულის სიმბოლო; რა თქმა უნდა, წელიწადში ერთხელ მისი თავდასხმა ამ მშვენიერებაზე აუცილებელიც კია, რაც კვდება, მას აღორძინების უნარიც აქვს; რაც გაიხრწნება მიწის გულში, ისევ წამოიმართება. თუთია ამ შემთხვევაში სიცოცხლის მარადიული განმეორების, მარადიული დაბადების, დედობის შეუდარებელი სახეა. მისი გარდაცვალებისა და ახლებულად გამოვლინებისათვის აუცილებლად საჭიროა ზამთარი. ამიტომაც დაუკანონდა წელიწადში ერთხელ მაინც მასთან შეხვედრა თუთიას, რომ პირველი შეტაკების ტკივილი ზამთართან კვლავ განმეორებულიყო, მაგრამ ამ ტკივილს, გარდასახვისათვის საჭირო ტკივილს, აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა გაზაფხული — ყოველთვის ახლის დასაწყისი, ყველაზე მშვენიერი მშობიარობა.

იშვიათი ფერებით აღბეჭდილი დარუხანის ციხე-კოშკთან დაკავშირებული სცენები, შეიძლება ითქვას, პირველყოფილი წარსულის დასაწყისიდან დღემდე მოტანილი წარსულისვე ნახევრად მეტაფორული (ე.ი. ნაწილობრივ რეალისტური) გააზრებაა. ადამიანები ცხოვრობდნენ მიწაზე და როგორც შექმლით ისე ცხოვრობდნენ. მათი არსებობის მთავარი ფაქტორი იყო ყოველდღიური შრომა და რწმენა — ყოველგვარ რევიზიას მოკლებული აზრი, მაგრამ პოტენციურად თითოეულ ადამიანში იდო ამ ბუნებრიობის სანინალმდეგო, დამრღვევი ძალა — დარუხანის კოშკი, მძინარე გონება, რომელიც ვალდებულ

ბის შემთხვევაში, რწმენას, პირველყოფილ ბუნებრიობას ბრძანებლად გადაიქცეოდა, თანდათანობით გააუხეშებდა მას და, ბოლოს და ბოლოს, მოკლავდა, მოსპობდა კიდევ. ეს ძალა, გონების ძალა, ადამიანს კრიტიკულად მოაზროვნეს გახდიდა, სხვა თვალთ შეხედავდა იგი სამყაროს, უკმარისობისა და ახალ-ახალი აღმოჩენების აუცილებლობაც წარმოიშვებოდა. თითქოს ყველაფერი უნდა შემონახულიყო, უპირველეს ყოვლისა კი რწმენის ობიექტი, რომელსაც ადრე არ განიკითხავდა, ლებულობდა ისე, როგორც ეძლეოდა იგი. სადარუხანო ანუ გონება ამ რწმენის, პირველყოფილი სისუფთავის მტერია, ამასთანავე თავისივე ფიზიკურობის მტერი. გონება ფიზიკურია, რწმენა სულიერი. სადარუხანო ღმერთსა და ადამიანებს შორის ჩადგა. მას მხოლოდ ხილვადი სამყაროს შეგრძნება შეუძლია (ესაა ცდომილთა და ადამიანთა ქვეყანა). ის ღმერთამდე ვერ მივა, რაც უნდა ძლიერი ჭოგრიტი ჰქონდეს. დარუხანი ხედავს ცდომილთა ერთ ხაზზე განლაგებას, რასაც უბედურება, წარღვევითი პროცესები უნდა მოჰყვეს. ვარსკვლავთა ამგვარ ფორმაში ყოფნა მომხიბვლელია, თანაც ავისმოძმანავებელი (აქვე მისანიშნებელია, რომ ცდომილი გზაცდენილს, შემცდარს, თავისივე საწინდარიდან გადახრილს ნიშნავს. წარღვნა, საყოველთაო კატასტროფა მხოლოდ საკუთარ დადგენილ გარემოცვას მოწყვეტილ ცდომილებს შეუძლიათ გამოიწვიონ) ე.ი. დღე სასწაულის ანუ რაღაც მანამდე უცნობის, უწვეულოს წამომწყების. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ შუათანა დარუხანის ანუ ცის კაცის, გონიერი კაცის მშველელად ჩამოსვლა ადამიანებთან, ლალატი მამისადმი ე.ი. მწიფე გონებისადმი და პირველი კავშირი თუთიასთან, ყველა ის ცვლილება, რაც მინაზე ხდება, დასაწყისია იმ კანონზომიერებისა, ციური სამყაროს და ადამიანთა ცხოვრების პრინციპებს შორის საერთო ნათესაური პროცესებით რომ გამოიხატება.

ამასთანავე, რაც უნდა ლამაზად გამოიყურებოდეს გარეგნულად ცის კაცის ურთიერთობა ადამიანებთან (პასიური მსოფლმხედველობის მქონე ადამიანებთან), რაც უნდა პროგრესული ჩანდეს სულისა და გონების შერწყმა, მიწიერისა და ზეციერის კავშირი, რაც უნდა ცივილიზებული რეფორმები დაიწყოს ცხოვრებაში, ყველაფერი ისეთი მომავლისაკენ ნასვლაა, რომელიც პირველყოფილ წარსულს ვერ აჯობებს. გონებამ ცდომილება გამოიწვია და ადამიანები აპოკალიფსური რღვევის გზით წაიყვანა.

მართალია, თუთია, თუთიები, ათასობით, ათიათასობით, მთელი ნატურა მომხიბლავ სილამაზედ იქნა შეცნობილი კაცის მიერ, დარუხანის წყალობით მოუხშირა სოფელმა ფუფუნებას, განცხრომას. ისწავლა სოფელმა, განსჯას მიეჩვია სოფელი, გამოსცილდა სულიერი საყრდენი კაცს და ერთმანეთსაც დაერივნენ. დარუხანის მიერ შეცდომილები (ცდომილნი — ამ სიტყვის სოციალური მნიშვნელობით) ერთმანეთსათვის ამზადებდნენ წარღვნას, დღე სასწაულს. საკუთარმა შეილება (თუთიასთან თანაზიარებით შობილებმა) დინამიტი შეუდევს მამის კოშკს და ამით საბოლოოდ დაადასტურეს არაჯანსაღად მოხმარებული გონებრივი შედეგი.

არადა, დარუხანი კეთილი განწყობით მოვიდა ადამიანებთან. სურდა, ზიარებოდნენ ჭეშმარიტ ესთეტიკას. თითქოს გამოჩნდა ამის ნიშნებიც, მაგრამ იმავე დარუხანის მიერ ქალში ნაღდი ქალური ასპექტების აღმოჩენამ და რეკლამირებამ (რასაც სადარუხანოში გაურობდნენ) უკუღმა წაიყვანა სოფლის საქმე. ადამიანებმა სწორად ვერ შეაფასეს ცის კაცის სამსახური. გონების გამოღვიძებამ თავზე აურიათ და უმართავნი გახდნენ...

რომანის ერთ-ერთ თავში მწერალი ამბობს: „სიტყვები ვარსკვლავებივით არამყარები არიან. უფრო სწორად, ცდომილებივით, გარეგნულად რომ ვარსკვლავებს გვანან, მაგრამ არას დაგიდევნ ვარსკვლავების მოძრაობის საერთო კანონ-წესებს“.

სიტყვებით გამოიხატება ადამიანების აზრები. ადამიანები კი ცხოვრებას ჰქმნიან. აბსოლუტური წესრიგი, აზროვნების მკაცრი ლოგიკა არასდროს ყოფილა სწორხაზოვანი, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი არ არსებობს კაცთა ყოფაში, ყო-

ველთვის ცვლილებათა და განსხვავებულის ძიება ჩვენი არსებობის ნამდვილი სურათი. არც ზეციურ სამყაროში, ცდომილთა სამყოფელშია დაცული რაღაც განსაკუთრებული წესი, იმის იქით გადაცდომა გამორიცხული რომ იყოს. დარუხანთა მოდგმა თითქოს შეგუებულია გარესამყაროსა და ადამიანის სამყოფელს შორის რამდენადმე განონასწორებულ სინამდვილეს. ორთავე გარემოში, მართალია განსხვავებული რომანტიკაა, განსხვავებული სინამდვილე, მაგრამ ერთიცა და მეორეც ზუსტად ემორჩილება ოდითგანვე არსებულ ფარდობითობის კანონს. თურმე ყველაფერი ფარდობითია, მოჩვენებითი და მიახლოებითი. ამასთანავე, რამდენადმე მიმანიშნებელია რომანში ცდომილთა საუფლოს პრიმატი მინიერ სამყაროს მიმართ. როცა ციურ სხეულებზე დაკვირვებისას აღმოჩენილ იქნა მათი არაბუნებრივი განლაგება, სწორედ მაშინ იწყება ახალ სიმპტომთა გაჩენა დედამიწაზე, ადამიანებთან ჩამოღის ცის კაცი და მათ მშვიდ ცხოვრებაში პირველყოფილის რღვევას ახდენს. ცალკერძ ცდომილებისა და ცალკერძ კაცთა ურთიერთობების მოუწესრიგებლობა უკვე საერთო ხასიათს ლეუსტობს. ალბათ ასეც უნდა ყოფილიყო. ვერ ეგუება ზეციურ სხეულთა ბუნება ერთფეროვნებას. ადრე თუ გვიან, ან დრო და დრო, იქ ყოველთვის ხდებოდა გადახრები, დარუხანის ჭოგრიტის გამოჩენამდეც და მის მერე; დედამიწაზე კი სამოთხე (მუდმივი გაზაფხული) იყო, გამოხატული არაცნობიერი ფორმით. არის გაზაფხული, მაგრამ არ იციან, რა არის იგი; საიდან მოვიდა, ვინ ან რამ უსახსოვრა მოკვდავთა გაუცნობიერებელ საზოგადოებას ეს მშვენება. წუთისოფლის გააზრებამდე არსებული საზოგადოება რამდენადმე მყარი მთლიანობაა. მას არ აინტერესებს მიზეზი, მხოლოდ შედეგით კმაყოფილება და სინამდვილის, ხილული რეალობის აღქმა მარტოოდენ ფიზიკური თვალის განვედნამდე ხდება. დიას, ეს თვალი ფიზიკური თვალია და რა მანძილზეც ვრცელდება მისი ხედვის არე, იმდენად მუშაობს ადამიანის ჭკუა და გონება. დარუხანის თვალი კი ზესკნელისაკენ მიმართული უზარმაზარი ტელესკოპია, რომელმაც როგორც იქნა ალბეჭდა ცდომილთა არაბუნებრივი პოზა. ეს მომენტი ზედაპირულად ავლენს მწერლის ჩანაფიქრს, სწორედ აქედან იწყება ადამიანის ზედმეტი გათვითცნობიერება. ზედმეტს იმიტომ ვამბობ, რომ ამ ცოცხალი არსების თავისებური სიმშვიდე და გარემოსთან შემგუებლური ურთიერთობისასთვის საჭირო და საკმარისი ძალა და აზროვნება უკვე სახიფათო აღმავალი გზით წავიდა და ისე შორს გატოპა, დამორჩილების უნარი დაეკარგა. თვით დარუხანის „ობსერვატორიაც“ ამოატრიალა ე.წ. აღმავლობამ. ჭოგრიტი (თუნდაც ტელესკოპი დავარქვათ) ტექნიკური თვალის, უცხო, ახალი ინფორმაციების აღმეჭდავი. ამავე დროს, მას ძალუმს ამა თუ იმ სხეულის სინამდვილის წარმორჩა და ზოგ შემთხვევაში ზუსტადაც. ჭოგრიტის ფუნქცია რომანში ორიგინალურადაა გააზრებული. ის ერთ შემთხვევაში ცდომილთა სამყაროსეულ საიდუმლოებას ხდის ფარდას, მეორე შემთხვევაში კი ადამიანებს (გავისხენოთ მიხაურები) თავიანთ ნამდვილ სახეს დაანახვებს და შეინიარავს კიდევ მათ სიცოცხლეს. ჭოგრიტმა დაიწყო ადამიანთა ცნობიერებაში უცხო ინფორმაციების მოზღვავება. ეს იარაღი სამყაროში გამავალი მხოლოდ ტექნიკური კი არა, გონების თვალისაა.

დარუხანის ციხე-კოშკიდან დედამიწისეული ცხოვრების ტრანსფორმაცია ერთი შეხედვით სასიკეთოც უნდა ყოფილიყო. შუათანა დარუხანი, ანუ იმ კოშკიდან მოსული ცის კაცი ადამიანებს ესთეტიკური სიამოვნების, კეთილდღეობის, უკეთესად ცხოვრების, სილამაზისა და სიყვარულის შეგრძნების, გაგებისა და აღქმის საიმედო მოციქულად ევლინება. მას არავითარი ბოროტი განზრახვა არ უდევს გულში. მაგრამ მოვლენები მისდა დამოუკიდებლად სხვა მხრივ განვითარდა. აიხედა კაცმა ზეცისკენ, უფრო შორს წავიდა მისი თვალი და გონება. შორს წასვლამ, ბუნებრივია, ახალი გემოვნება გააჩინა, რაც თავისთავად ახალი აზროვნებაა. ადრეული მიკრო ცნობადობა, ნაკლებად აქტიური

და ნაკლებად მზარდი, ერთბაშად ახალ-ახალ სიმაღლეებს აუყვება. თუთია და თუთიები, სილამაზისა და სათნოების, განცხრომისა და ვნებათაღელვის ეკვივალენტები კაცისთვის, პირველი გუთნისდებისთვის მხოლოდ ვინაო ოჯახურ გარემოში მომწყვდეული არსებანი აღარ არიან. ისინი წუთისოფლის მოკლე გადასარბენზე თავისთავად მკაცრ ცხოვრებას რამდენადმე მოუწყენელსა და რომანტიკულს ხდიან. გონივრულად განვითარებული ადამიანის მიერ საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებულმა ცოლქმრულმა ინსტიტუტმა კიდევ უფრო მკაფიოდ გამოაჩინა ქალის ფაქიზი სამყარო, მისი იერი. რაკი ვხედავთ და ვგრძნობთ ქალის ჩვენთან თანადგომის აუცილებლობას, არ გვასვენებს ეს აზრი, ყოველთვის მისკენ მივისწრაფით თუ სიტბო, ალერსი, მოფერება გვაკლია. მაგრამ ამავე დროს, შეგვიძლია სევერიანი თეთროვანივით მოვეპყრათ ყოველ თუთიას, ან გერასიმე ჯიქურიძესავით აბუჩად ავიგდოთ ყოველი მარიამის მშვენება და ელემენტარული საურთიერთო ეტიკეტის დარღვევით გული ვატკინოთ მათ, მოვსპობთ და ნაადრევად გავაცილოთ სიცოცხლეს, რომლით ტკბობის უფლებაც ყველას თანაბრად გვაქვს.

დარუხანის ციხე-კოშკის ყოფის ამსახველი ვრცელი სიუჟეტი არ წარმოადგენს ერთუცნობიან გამოცანას. აქ ინტუიციური ნაკითხვის მრავალი შესაძლებლობა არსებობს. ამიტომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ ჩვენი მოსაზრება ზოგჯერ არც დაემთხვეს მწერლის ჩანაფიქრს. შეიძლება ისეთი დასკვნებიც გამოიტანო, საერთოდ რომ არ გაუაზრებია ავტორს, მაგრამ ამით არაფერი დაშავდება.

„ცდომილთა დღესასწაული“ ამ მხრივ დაინტერესებულ მკითხველს ფართო გასაქანს აძლევს.

მიუზღრუნდეთ ისევე სადარუხანის. ჩანს თუ არა ამ ეპიზოდში ჩვენი თანამედროვეობის პრობლემები? რა თქმა უნდა, ჩანს. ამ მოსაზრების გამაგრება რომანში არსებული ქრონოლოგიური გარემოს მკაცრი დაუფიქსირებლობის გამო მარტოოდენ არ შეიძლება. რადგან განსაზღვრული ლოკალი არ არსებობს, თითქოს შესაძლებელი იყოს ჩვენი ნებით მოვისურვოთ კონკრეტული დროის შემოხაზვა. „ცდომილთა დღესასწაული“ საყოველთაო პრობლემების, წარსულის უზარმაზარი სივრცის მხატვრული გამოვლინებაა. მისი ეფექტური გამომსახველობითი ფაქტურა ზოგადისა და კონკრეტულის, მთელისა და ნაწილის, მომხდარისა და მოსახდენის წარმოდგენაა. ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდის მეტაფორულ-სიმბოლური განტვირთვა, ერთი შეხედვით უშორეს წარსულზე აქცენტირებული, სადღეისო სატკივარსაც არცთუ მონდომებით, შენიღბულად წარმოაჩენს.

ყველა ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო პრობლემატიკა უპირატესად „უგულოდ დარჩენილი გონების“ (მწერლის სიტყვებია) მიზეზით წარმოიშვა. გონების ამოქმედებამ ადამიანები ერთმანეთს დააპირისპირა. ეს პროცესი ჭეშმარიტ მორალურ ეაჯიბრებად რომ წარმოსახულიყო, უკეთეს ბედნიერებას ვინ ინატრებდა. პირიქით კი მოხდა, ადამიანთა ინერტული უმრავლესობა მაშინ, სადარუხანის უკანასკნელი დღეების დროსაც მოიქცა სევერიანე თეთროვანის ტყვეობაში, მის უგუნურ ბრძანებებს მორჩილად რომ ასრულებდნენ. თეთროვანების ეპოქა დარუხანის კოშკის დანგრევის შემდეგ სრულყოფილად ჩამოყალიბდა და თანდათან ძლიერდებოდა. ე.წ. დიქტატორული ცხოვრების მოყვარულ თეთროვანთა გონებიდან დღესაც იმართება საზოგადოების უმრავლესობა. სევერიანეს აზროვნება ათასწლოვანი ფაქტია. ყოველთვის იყო სევერიანი, ძალაუფლების მქონე და ჭირვეული. მთელი ქვეყანა რომ დაიქცეს, მაინც უნდა შეუსრულდეს თავისი სურვილი. რომანში სევერიანი გერასიმე ჯიქურიძის არქეტიპია, თუმცა გერასიმესაც სევერიანე რომ დავარქვათ, ამით ბევრი არაფერი შეიცვლება.

დარუხანის ციხე-კოშკის გასაიდუმლოებული გარემოს გახსნამ საჭირობოტო ამბებთან ერთად, მბრძანებლის, დიქტატორის მუდმივი პლეადა შექმნა, დიდისა და პატარას, მაღალისა და დაბალის ანტიკონტრული აზროვნება და ფსიქოლოგია ჩამოაყალიბა.

სევერიანე თეთროვანის ანთროპომიზე დაკვირვებისას იქნებ ბევრი ჩვენგანისათვის კარგად ცნობილი სივრცე და მათი დამქაშები ამოტივტივდეს.

თანამედროვეობა (მომავალიც) დროის პირობითი სახელწოდებაა. მხოლოდ წარსულია მყარად გამოკვეთილი სინამდვილედარუხანის ციხე-კოშკი, ბუნებრივია, ახლაც არსებობს. ამ შენობის ყოველი ქვა-ლოდი კაცობრიობის თითოეულ დღეზე თავისებურ ზეგავლენას ახდენდა და ახდენს. დარუხანებმა კარგად იციან, როგორ გადაუქციონ ადამიანებს ცხოვრება მრავალფეროვან დრამად. და ეს გააკეთონ ისე, თითქოს თვითონ ზღაპრული გმირები არიან და, ამდენად, პასუხიც არ მოეთხოვებათ.

სადარუხანოს, ცდომილებისა და მინიერი ცხოვრების გარდასახვამ, მათ შორის მრავალი საერთო კანონის გამოხატვამ და ზოგჯერ ამ კანონთა თანხვედრამაც, მთელმა რიგმა ცვლილებებმა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ადამიანთა ცხოვრებაში აღიბეჭდება, დრამატული ელფერით შემოსა ყოფიერება, თუმცა ვერაფერი დააკლო იმ სილამაზეს, ყველაზე ძვირფას ნებისმიერი სულდგმულისათვის, რასაც სიცოცხლე ჰქვია. წუთისოფლის ორომტრიალში ათასჯერ სახეცვლილი თუთია ისევე დარუხანის კოშკისაკენ იცქირება, საიდანაც უკუნ ბნელში ცის კაცის ხელი გამოანათებს ხოლმე. ასევე ამჩნევს უკვე მოხუცებული დარუხანი თუთიას მარადიულ სულს, რომელიც თუმცა სრულყოფილად გაცნობიერებული არაა მინიერი არსებების მიერ, მაინც ცეცხლად ანთია სოფელში. დარუხანმა საბოლოოდ გაიგო, თუ რაოდენ აუცილებელია არსებობდეს მინიერ სამყოფელში ყოველი მომავლის დასაწყისად ქალი — გაზაფხული, რომ ცხოვრებას მხოლოდ ქალით, მისი განუწყვეტელი გაზაფხულობით აქვს აზრი და თავის ქვედაცეულ შვილს უხსნის, ასწავლის და ემუდარება, მანაც შეამჩნიოს, გაიაზროს სოფელში დანთებული ცეცხლის არსი, რომელსაც ქალის გამოსახულება აქვს; რომ ამ კოშკშიც, სადაც საუკუნეთა მანძილზე უცხოვრიათ ქალური ცეცხლის გარეშე, საჭიროა ავარდეს მსგავსი ალი. სხვაგვარად ნაღდი, ჭეშმარიტი გაგრძელება, განვითარება სულისა და გონებისა არ მოხდება. დარუხანმა საბოლოოდ მაინც მოახერხა შეეჩერებინა თავის კოშკში გამეფებული სიცივე, ყინვა, და ამ იმედით გადასახლდა იმიერში უკვე მილიონი წლის მოხუცი, მაგრამ სიცოცხლის შეუფასებელი ხატების გაგებასთან ერთად ქვეყანამ კარგად შეისწავლა, თუ როგორ გაეძნელებინა ადამიანს ადამიანისათვის არსებობა, როგორ გაემწარებინათ ერთმანეთისათვის სული, რომ ჯოჯოხეთიდან მოვლენილ მწამებელთუხუცესსაც გაკვირვებოდა ამიერი ყოფის ჯოჯოხეთურობა.

უამრავი წარსული მობრუნებულა დედამიწაზე და ყოველთვის უფრო განვითარებული ფორმით წარმოჩენილა ცხოვრების დრამატულობა. სადარუხანო აღარ არსებობს, ის მხოლოდ შორეული ჩრდილების სახით მოჩანს. მაგრამ მისი ადგილი დაიკავა უკვე სავსებით „პროვინციულმა“ კოშკმა, რომელშიც დარუხანა ბინადრობს. ეს დარუხანა რომანში განასახიერებს ჩვეულებრივი ტიპის აზნაურს. იგი და მისი მეუღლე ვარსკვლავისა არაფრით გვანან ოდინდელ წინაპრებს. მათი დეფორმირებული აზროვნება, საკმაოდ დაკნინებული სულიერი მისწრაფება ვერაფრით მივა იმ გრანდიოზული ღვანლის მქონე დარუხანებთან, რომლებმაც მრავალ სამყაროსეულ საიდუმლოებას ახადეს ფარდა.

რომანში სავსებით გასაგებადაა წარმოდგენილი ამ მედროვე ცოლ-ქმრის ირონიზებული სახეები. მათი ფიქრი და წუხილი, გულუბრყვილო საზრუნავი უფრო თამაშს ჰგავს, ვიდრე ცხოვრების სერიოზულად მოწყობას. ჭოგრიტი დარუხანასაც აქვს. მასაც ხშირად სთხოვდა გული გართობას ამ იარაღით და გულს კი არასდროს ეტყოდა უარს პატიოსანი აზნაური.

აქვე უპრიანი იქნება, თუ შევნიშნავთ: მწერლის მიერ გააზრებული დარუხანა უდავოდ შეიძლება ჩაითვალოს ადრეული ციხე-კოშკის პატრონთა უკვე გაშარებულ ვარიანტად. ესაა ბუნებრივი შედეგი ოდესღაც დაშვებული შეცდომისა, იმ, ჩვენთვის უკვე

ცნობილი შუათანა დარუხანის მიერ გონების საიდუმლოების მიწიერ დონემდე დაყვანამ დროთა განმავლობაში სწორედ ასე გადაგვარა და ფსკერამდე დასცა მისტიკური სამოსელით შემოზღუდული, შიშისა და მოკრძალების დამთესავი ყოვლადღიერი დარუხანი, თუ გნებავთ სადარუხანო. ადამიანებს უკვე აღარ ახსოვთ, არსებობდა თუ არა საერთოდ ასეთი სამყარო, დაივნიყეს იგი. არც დარუხანას გაეგება რაიმე მაგიური ზემოქმედების მქონე წინაპრებისა. იგი ჩვეულებრივი მოკვდავის განსახიერებაა და არაფერი აქვს საერთო გონიერების ქურუმებთან.

„ცდომილთა დღესასწაულის“ პერსონაჟთა სახეები ისევე რთული და მრავლისმეტყველია, როგორც ამ რომანში ასახული ცალკეული პრობლემა, სათქმელ-საფიქრალი. ნაწარმოების თითოეული გმირი ამ პრობლემების შუაგულში ტრიალებს და მეტად თუ ნაკლებად მოაქვს ისინი ჩვენამდე.“ რომანში იმდენი ურთიერთგადანასკველი ჯაჭვია, იმდენი მრავალფეროვნება და ნაირსახოვანი ტიპაჟია წარმოდგენილი, უთუოდ მიგიზიდავს ამ ქმნილებათა სიმდიდრე, ამასთანავე, თვალში „გეჩხირება“ ენ. წრესაზოვანი სიუჟეტები, რომელთა რგოლურ ფორმაში მოქცეულია ერთი და იგივე სათქმელი. ეს რგოლები სწორედ იმ ცდომილებს განაწინა გარეგნულად, ზეციურ გარემოს რომ ამშვენებენ, მაგრამ ამასთან დაუდგებათ ხოლმე დრო, ფიზიკურ მშვენიერებასთან ერთად საშინელებაც დაატრიალონ.

ერთი სიტყვით, თუ ძალიან დაგვიანებულად არ ჩაითვლება, ბარემ ვცადოთ რომანის სახელწოდებაში ჩადებული აზრის ამოხსნა: რაც ზეცაში, ციურ სხეულთა ცხოვრებაში ხდება, რა კანონზომიერებაც კოსმოსში სუფევს, დაახლოებით მსგავსი გადაცდომიანი მინაზეც შეინიშნება. ჩვენც ცდომილები ვართ, ჩვენი სამყოფელიც ცდომილია და რა გასაკვირი უნდა იყოს, თუ ცდომილის ბუნებრივი ზნეჩვეულება სოფლის და საერთოდ ქვეყნისა, ადამიანთა ურთიერთობაშიც აირეკლება. ეტყობა ეს პროცესი თვითრეგულირებადია და ადრე თუ გვიან ჩვენი გონება აღიქვამდა ამ სინამდვილეს, მიეჩვეოდა და ასე გაუშინაურდებოდა, ზედმეტი ფიქრით არ გავიტანჯავდით თავს.

რომანის გმირებიც ცდომილები არიან. მათი შორეული არქეტიპები „სამოთხეში“ ანუ პირველყოფილ გაუთვინცობიერებლობაში მცხოვრები ადამიანები ვერ გრძობდნენ, ვერ ხსნიდნენ ამ ცდომილებას, აზრადაც არ მოსდობოდათ ეფიქრათ, ბუნების კანონზომიერება თუ როგორ ჩაისახებოდა და შემდეგ რა ფორმით გამოვლინდებოდა მათ ცნობიერებაში. ამ პროცესის დაფიქსირება და აღმავლობა დარუხანის ციხე-კოშკიდან მოვლენილმა ცის კაცმა გამოიწვია.

ვერავითარმა წინააღმდეგობამ ვერ შეაჩერა ადამიანის ცდომილება და იგი დღემდე ათასობით გენში გადასული კვლავ ამ წესებს ემორჩილება, რაც თავისთავად მეორდება და მეორდება ზეციურ გარემოცვაში.

ბატა გიორგობიანის, რომანის მთავარი გმირი, ყმანვილობიდან მონიფულ პიროვნებამდე რთულ და ძნელბედობით აღსავსე ცხოვრების გზას გაივლის. მისი ბიოგრაფია რომანტიკულიცაა, დრამატულიცა და სიზმარეულიც. შეფასების ამ სამივე კრიტერიუმის მისადაგება ბატას მხატვრულ სახისათვის, ვფიქრობ, უფრო ნათლად წარმოადგენს მის ქმშმარიტ პორტრეტს. ერთი შეხედვით, იგი არაფრით განირჩევა სხვა ადამიანებისაგან: უყვარს გატაცებით, ხატავს, ომობს, იბრძვის, უჭირს ან უღიხის, მოკლედ, ცხოვრობს როგორადაც უხერხდება; სიკვდილისთვისაც ჩაუხედავს თვალებში, მაგრამ ბედისწერამ გადაარჩინა. ომშიც იყო ბატა. სწორედ ომმა გამოიწვია მის არსებაში მთელი რიგი ცვლილებანი. ადამიანი სუსტი ქმნილებაა, იგი ყოველგვარ ზემოქმედებას ვერ უძლებს. ბატას ისე მოუჭირა სალტე სინამდვილის, სოფლის რეალობის შეგნებამ, გაგიჟდა, ჭკუიდან გადაცდა. მართალია, რომანის ფინალში იგი კვლავ თუთიასთანაა, კვლავ სიცოცხლის აღორძინებას ხედავს მკითხველი, მაგრამ ნამდვილი ფინალი, შეკრებილი სათქმელი წუთისოფლის მარნუხებში მოქცეული ადამიანის შესახებ, ნაწარმოების პირველივე ფურცლებზეა მოცემული. თხების

მწყემსავი ბატა ისე ეშმაკურად ახამხამებს თვალებს, ძნელია მის სერიოზულობაში დარწმუნდე.

მცურავის, კლდის შავი კაცისა და ბატას ერთდროული გამოსახვა თავიდანვე მოგვანიშნებს კაცის დაბადებისთანავე მასზე ფეხდაფეხ აკიდებული მაცდუნებელი ძალების არსებობას. აქაც კიდევ ერთი წრეა შეკრული: მცურავი, კლდის კაცი და ბატა; ასეთივე წრეა: ცდომილნი, სადარუხანო და სოფელი.

რომანში ძალიან საინტერესოა და გადმოცემული ბატას პიროვნების თანდათანობითი ზრდისა და ცვალებადობის პროცესი, რაც ხშირ-ხშირად შეგვახსენებს ხოლმე სადარუხანოსა და სოფლის ურთიერთკავშირის ამბებს.

ბატას პოლიაქტორის შესახებ ნამდვილი ბავშვური შეხედულება აქვს. ბებიას ეუბნება — გავიზრდები და პოლიაქტორი გავხდები. ბებია შეიცხადებს და შეილიშვლს კანკალით უზასუხებს: ღმერთმა ნუ გავხადოს, ბებია, პოლიაქტორი! საქმე ისაა, რომ პოლიაქტორი ხალხის მიერ გააზრებულია დაკნინებულ, აბუჩად აგებული ღმერთის სახედ. რომანში პოლიაქტორის პიროვნება უდიდესი ტკივილითაა წარმოდგენილი. ის, ვინც სიბრძნის მასწავლებელი იყო ადამიანებისა, მათი უკეთესობა, მაღალი ზნეობრივი მონესრიგება სურდა, ზურგმეტყვეულ იქნა ყოვლად უმადური მრევლისაგან; ჩაქოლეს და სამუდამოდ დაივნიყეს. მხოლოდ გადმოცემით იციან ასეთი დიდებული ღმერთისა და კაცის ოდესლაც არსებობის შესახებ. რომანისეული პოლიაქტორი ქრისტე-ღმერთის მართლაც გაძარცვული, ყოვლად ღირსებაშეღაზული სახეა. ბარაბა ლიხაურის დანაშაულისათვის პასუხი პოლიაქტორს აგებინეს; ბარაბა მკვლეელი და ქურდი პიროვნება, როგორადაც ებრაელებს მოესურვათ ქრისტეს მაგიერ გამოემუშაო ციხიდან და თავისუფლება მიეცათ მისთვის, ასევეა აქაც, ამ რომანში — ნამდვილი ბიროტომოქმედი, ავაზაკი და გარენარი ბარაბა ლიხაური ხალხს უყვარს და მამა-მარჩენლად მიანჩნათ, ხოლო ის, ვინც სინმინდისა და სისადავის მქადაგებელია, მოიძულეს და სიკვდილით დასაჯეს. ბატას ყმანვილობისას ამ უკუღმართობის გაგება არ შეუძლია. მის ბავშვურ სამყაროში გაზაფხული მეფობს და ღმერთიც, ბუნებაც, ადამიანიც პირველყოფილური სინმინდით შედიან ამ სისუფთავეში. თუთიაცა და ჯუმბერაც ასეთივე სანყისებით არიან მდიდარნი.

მაგრამ ყველაფერი იცვლება; გარდუვალია ცდომილება. სოფლის, ქვეყნის უმკაცრესმა ბუნებამ ეს ახალგაზრდებიც თავის კანონთა ძალით გამოიტაცა იმ „სამოთხიდან“, რასაც ბავშვობა ჰქვია. ბატასა და თუთიას კონკრეტული ბედ-იღბალი სავსებით შესატყვისია ადრინდელ წუთისოფელში მცხოვრები სახეებთან. ადამიანებთან შუათანა დარუხანის მისვლის შემდეგ დამთავრდა კაცობრიობის ბავშვობა. დაიწყო ის აღმავალი ტრაგიკომედიები, რაზეც მეტად მყარი მხატვრული ფერებითაა საუბარი „ცდომილთა დღესასწაულში“

ბატა გიორგობიანის, თუთიას, ჯუმბერას, ლევანას, მელანოს, თიამულას, ლიხაურების და სხვათა ბევრისმთქმელი სახეები თითოეული ადამიანის სწორედ იმ ცდომილურ წრეზე ბრუნავი სინამდვილეა, რასაც ოდითგანვე ფეხვი აქვს მოკიდებული და, ალბათ, ყოველთვის ასე იქნება.

რომანში, გია ბენიძის თქმისა არ იყოს „ავტორი ქადაგებს მშვიდობის აუცილებლობას და მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, არსად ეპარება პუბლიცისტური კილო“. მშვიდობისა და საყოველთაო ბედნიერების, გადარჩენის შემოძახილი ცის კაცისაგან დაიწყო. შუათანა დარუხანს დიდი სურვილი ჰქონდა, ადამიანები გამოეყვანა უმეცრებისაგან, ეგრძნობთ და გაუთავისებინათ ქალის, ბუნების, ციურ სხეულთა, საერთოდ სამყაროსეული ესთეტიკა, მშვენიერების ხიბლით დამტკბარიყვენ და ურთიერთთანადგომით ეცხოვრათ, მაგრამ უკულმა იქნა გაგებული ესთეტიკის მოწოდება, ამოა გახდა მისი ზრუნვა და ბეჯითი მონდობება. ადამიანებმა არ უსმინეს კეთილისმსურველს და შედეგიც სავალალო მიიღეს. ბატას ნაბიჯიც, რაც უნდა იგავური ფორმით იყოს გადმოცემული რომანში, უთუოდ დარუხანისეული ნადილის თანამედროვე ვარიანტია.

ისიც ცდილობს მენყერისაგან (სადარუხანოსთან დაკავშირებული ამბებში მენყერის სინონიმა წარღვნა, უფრო გრანდიოზული და ყოვლისმომცველი მოვლენა) იხსნას სოფელი, მაგრამ ყველა თავის კარმიდამოში ჩაიკეტება, ვინრო ადამიანურ, ეგოისტურ ცდუნებებს აჰყვება და მარტოდ დარჩენილი მხსნელი, ბუნებრივია, ვერაფერს გააწყობს სტიქიასთან ბრძოლაში. მენყერი, როგორც ასეთი, ნაწარმოებში გააზრებული არაა მხოლოდ ბუნებისეულ მოვლენად. ის ადამიანში, კაცში ჩაბუდებული ბოროტებაა და უბედურების ვულკანიზე-ბულად მოქმედი ძალა. ჩვენივე წამლეკავი, ჩვენივე დამმარხველი და ამომძირკველი საშინელება სხვაგან საქებარი არაა,

ისევე ჩვენშია, ჩვენ ვინახავთ და ვატარებთ მას. ამიტომაც რომანის დედაარსი ბუნებრივისა და ადამიანურის თანხვედრას, თანახიარებას რომ უტრიალებს. არაფერია გასაკვირი! რაც გარე სამყაროში ხდება, იგივეა ჩვენშიც...

სამოძიროს პირველ შვილს ან ერთადერთს ეძახიან ჩვენში, რომელმაც გვარი უნდა გააგრძელოს, წინ წასწიოს სისხლის დინება, მთელი ოჯახი მიცქიტინებულია მასზე. "ცდომილთა დღესასწაული" ავთანდილ ყურაშვილის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი რომანია, ასე რომ, ამასაც სამოძირო ეთქმის. იქნება თუ არა მეორე და მესამე, ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ამ სამოძიროს თავისი საქმე უკვე გაკეთებული აქვს.

ელგუჯა თავბერიძე

ისევ ნილოსისფერი პერანგი...

I.

დუნა ლალის „ფსიქიატრის“ („ჩვენი მწერლობა“, 2014, №4) გასაღები შესაძლოა სულაც ის ნახატი იყოს, ნოველის მთავარი გმირი — მარვა ალ-ბასრი მთხრობელს რომ აჩვენებს, ავტორი კიდევ სიტყვებით გვეუბნება იმას, რაც ტილოზეა აღბეჭდილი.

„თევზები აუზში ვერტიკალურად დაუხატავს, დაგრეხილები, თავდაყირა მდგომნი, გაღიმებულნი. აუზის წყალი სანახევროდ ფარავს მათ სხეულს. კუდები ანეული აქვთ, დანული. ჭრელი, ნათელი ფერის თევზებია. მშვიდობიანი თანაარსებობის სიმბოლონი არიან, რაც დედამიწის ამ რეგიონში პრაქტიკულად აღარ არსებობს“.

თავდაყირა დგომასა, დაგრეხილობასა და აუზიდან სანახევროდ ამოხტომასი ბევრი რამ იგულისხმება, უპირველესი, სინამდვილიდან გაქცევა, შიშის სამყაროდან ამოხტომის ნადილი, როცა სიმბოლურად აუზის წყალი აღარ გაკმაყოფილებს, სინამდვილე ისე დახვავებულია, შენთვის ბუნებრივი უცხოდ ქცეულა და სრულიად უცხოსა და არაბუნებრივს (სხვანაირად როგორ გავიგოთ, თევზები სანახევროდ ჰაერში) ესწრაფი.

ერაყის ომგამოვლილი მარვა ერთ სიტყვასაც არ ამბობს სიკვდილით დასჯილ ოჯახის წევრებზე, იმ წამებზე, დაძმებმა უშიშროების სამსახურში რომ გადაიტანეს, ძმის სიკვდილს ახსენებს, მაგრამ არა როგორც უშუალო ამბავს, არამედ ქალის კივილის მიზეზს, ყველაც და ყველაფერს რომ გადაწონის და რომლისაც ყველას ეშინია.

„თქვენთვის ძნელი წარმოსადგენია, — ქალის კივილი, თუნდაც შორიდან ისმოდეს, ყველას ეშინია. თითქოს გაფრთხილებაა, რომ ისინიც დაკარგავენ საყვარელ ადამიანს ანუ ნათესავს. რა მდგომარეობაში ჩააგდო ნარჯისი მამის სიკვდილმა ან დედაჩემის მოთქმამ, როცა მან სუდარაში გახვეული ჩემი ძმა დაინახა“.

ომგამოვლილ ადამიანს ანუხებს შიში, მესხიერებას რომ უტრიალებს, არაფერს ავიწყებს, მაგრამ ყოველივეს გამჟღავნებაზე სულაც არაა თანახმა, ურჩევნია, შედარებით უმტკივნეულო ამბები გაიხსენოს, თუმცა მასშიც არანაკლები სიმძაფრით იხატება ადამიანთა ყოფის კომპლარი.

მარვას პასუხი სოციალური აგენტის შეკითხვაზე, ფიქრობს თუ არა მომავალზე, ასეთია:

„ვფიქრობ, მაგრამ მატყუარა სამშობლოს რა ვუყო — ჩემი დაბადების ადგილს, წინაპრების მიწას, ჩემს ფესვებს? ვხვდები, რომ საჭიროა ამას ვინმემ ანალიზი გაუკეთოს. მინდა აღვწერო, დავეწერო, გარდავექმნა და მერე ისე ამოვკვეთო, რომ

შეძლო იმ სიძულვილისა და ზიზლისგან გაქცევა, რასაც სამშობლოს და საკუთარი თავის მიმართ ვგრძნობ“.

სიყვარულია ამ ზიზლში ჩასახლებული, სიყვარული, მატყუარა სამშობლოს, დაბადების ადგილსა და წინაპრების მიწას რომ არ გათმობინებს, თორემ მათ გარეშე, უსულოდ უფრო კომფორტულად იცხოვრებ.

იცხოვრებ, ოღონდ უმწეო სამშობლოს ხატება არ მოგასვენებს.

არც მარვას ასვენებს.

ნოველის ფინალში ვგებულობთ, რომ გაუჩინარებულა. სად უნდა წასულიყო?! არსად, სამშობლოს გარდა, ან თავს მოიკლავდა (ამის მცდელობა ორჯერ ჰქონია) ანდა წავიდოდა სამშობლოში, რომლის სურნელი მოსვენებას არ აძლევდა.

„ბირიანის სურნელი, რომელშიც კარის სურნელი მძლავრობს, ფრჩხილებში შედის და ყვითელ კვალს სტოვებს, რომელიც არ ირეცხება. ეს სუნი სუნთქვას მიკრავს, როცა უნდა შევიყნოსო“.

სამშობლოს სურნელიც სუნთქვის შემოტყავია, ისიც არ ირეცხება და ეს მშვენივრად უწყის მარვა ალ-ბასრიმ, რომელიც ერთხელ მოატყუეს — შენი სახლი იწვისო. დამ სამზარეულოში დასვა და ცივი წყლით დაბანა პირი — ადამიანის ფერი არ გადაეცო, მერე ჩაი მოუდულა. უცნაური გემო აქვსო, — უთხრა მარვამ. შეშინებული ხარ და იმიტომო.

შეშინებული ბავშვი სამუდამოდ ჩასახლდა მარვას სულში. შიშის მერე ყველაფერს გემოც სხვანაირი აქვს, სამყაროს აღქმაც განსხვავებულია. ამ განსხვავებულობიდან ამოიზრდება იმავე ენაზე შესრულებული სიმღერის განსხვავებული აქცენტით გამოჩენილობა. ნარჯისი, მარვას და, ნაჯათ ასალირას სიმღერას „სიყვარულის ემისარი“ მღეროდა. „ნაჯათი ამ სიმღერით გახდა პოპულარული. ნარჯისის ვიბრატოს სამხრეთული ინტერპრეტაცია სიმღერას რეგიონალურ, სამხრეთულ იერს ანიჭებდა, უცნობი ადამიანის მიმართ გამოხატულ იდუმალ ვნებაში თავის უუფლებობას ამჟღავნებდა. ნარჯისის სამხრეთული აქცენტი სრულიად ცვლიდა ნაჯათის მეოცნებე სიმღერას. მახსოვს, როგორ მიყურებდა ნარჯისი სიმღერისას, — ეს მზერა მის ტანჯულ ცხოვრებას ასახავდა“.

ოცნება გამქრალიყო, ტანჯვა მღეროდა ნარჯისის ბაგეთაგან, ბუნებრივზე ბუნებრივია, რაც შიგნით დულს, გარეგნულად იგივე აირეკლება.

შიში ჩაუსახლდა-მეთქი, ესეც ბუნებრივია, რამეთუ სახლებიც და ადამიანებიც ჩაიხერგნენ, მისასვლელი გზა ჩაიქცა, მოიერიშე თვითმფრინავები სინათლეს ეძებდნენ, სინათლეს — სამიზნეს...

„...მასწავლეს, რომ სასონარკვეთილების დროს სუნიტი ქალები თავში ხელს არ იცემენ შიიტი ქალებივით და რომ ელევანტურობას გლოვის დროსაც კი ინარჩუნებენ ქრისტიანების ვით, რომლებიც დაკრძალვაზე დასასწრებად ვარცხნილობას იკეთებენ, ჩურჩულით უსამძიროებენ ერთმანეთს ისე, რომ გამომეტყველება არ ეცვლება“...

მარვას გამომეტყველება სულ სხვანაირი გამხდარიყო და ამითა იგი საინტერესო, საინტერესო მრავალმხრივ...

II.

დუნა ლალის „ფსიქიატრიც“ ირმა მახარაძის თარგმნილია. ავტორი ნოველისა ახალგაზრდა და სწორედ არაბულ მწერლობაზე ყურმიდებულმა ადამიანმა უნდა იცოდეს ამ ნოველის არსებობა. ბუნებრივია, ჯერ ნაიკითხოს, გაიაზროს და მერე თარგმანის მეშვეობით ქართველთათვის გაცნობაც გადწყვიტოს.

ირმა მახარაძე მართლაც რომ მაჯის შემამყვებარია არაბული ლიტერატურისა. ბუნებრივია, ყველაფერი არ თარგმნის, თარგმნის ქართულ სატკივართან ახლო, ჩვენთვისაც და იმათთვისაც მახლობელი სატკივარის მხატვრული გადაწყვეტით შესრულებულ ტექსტებს, რომელთა მოძებნა არაბული ლიტერატურის ოკეანეში სულაც არაა იოლი. ამასწინათ ირმა მახარაძის ხალიდ ალ-ხამისის „ტაქსის“ თარგმანს გამოვეხმაურე, რომლის ტექსტის თარგმნა გაგრძელდა („ჩვენი მწერლობის“ №19, 2013 წელი და №10, 2014 წელი), თუ ჩვენი გამოხმაურებაც იყო ბიძგი გაგრძელებისა, სასიამოვნოა. მიმაჩნია, „ტაქსი“ ბოლომდე უნდა გადმოქართულდეს, წიგნადაც გამოიცეს, რამეთუ მასში ქართველი მკითხველი ბევრ თავსატეხზე იპოვის პასუხს.

მაშინაც ვწერდი — საგაზეთო სტატიისა და თხზულების ზღვარზეა ხალიდ ალ-ხამისის ტექსტები-მეთქი, მათნაირს, ხშირად უფრო გროტესკულ ფერებში დახატულს, შეიძლება ნააწყდე, მაგრამ მათში პრობლემა იქნება გაშიშვლებული და არა მხატვრულად ხორცმცხსმული.

ხომ ნაცნობია ჩვენთვის „ორმოცდაათი ორმოცდაათზე“ (ქუთაისში ერთ კაცს ამის გამო „პიისიატ ნა პიისიატს“ ეძახდნენ), რაც ჩარეცხული თანხის ნახევრის უკან დაბრუნებას ნიშნავს. ტაქსის მძღოლის ამბავი: კაცმა უდაბნოში ალაღინის ლამპარი იპოვა, ხელი მოუსვა, ჯინი გამოეცხადა და: მთხვე, რაც გინდაო, — მოახსენა. გაოცებულმა და გახარებულმა, მილიონი ფუნტი სთხოვა. ჯინმა ნახევარი მილიონი მოუტანა. — მეორე ნახევარი? — ეკითხება კაცი. — ხელისუფლება ხომ ლამპრის თანამფლობელია, ჩვენთან ყველაფერი შუაზე იყოფა, ორმოცდაათი პროცენტი შენ, ორმოცდაათი კიდევ იმათო.

„ღვედური ინფექცია“ გროტესკულ ფერებში ამიშვლება ეგვიპტურ (და არამარტო ეგვიპტურ) სინამდვილეს.

მთავრობამ ჩათვალა, რომ მანქანისათვის ღვედი და კონდიციონერი დამატებითი აქსესუარი გახლდათ და მისთვის მყიდველს ცალკე უნდა გადაეხადა. ამიტომ სხვა ქვეყნებიდან მანქანის შემოყვანისას პატრონები კონდიციონერს იღებდნენ, ღვედს კიდევ აჭრიდნენ. ამის მერე მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია ღვედის არსებობა მანქანაში. ვილაც-ვილაცებმა შემოიტანეს ღვედი, გაასალეს და, მთავრობასთან ერთად, მილიონები იშოვეს. დაწესდა ჯარიმებიც უღვედო მოძრაობისათვის, ესეც შემოსავალი.

ხალიდ ალ-ხამისი უფრო ამკვეთრებს ამბავს და სულაც გროტესკულ ფერებში წარმოგვიდგენს „ღვედის ინფექციას“, რომლის არსებობაც სულაც აბსურდად ქცეულა. „ღვედი სრული სიცრუეა. მხოლოდ თვალის ასახვევად გვიკეთია. (მძღოლმა თავისი ღვედი ამოსწია, მაჩვენა, რომ დაბმული არ ჰქონდა)“. ჰოდა, ღვედი თუ დაბმული არაა, მძღოლს და — მუხრუჭების დროს, დაკავების მაგიერ, იქით უშვებს, რაღა საჭიროა?! საჭიროა იმდენად, რამდენადაც ფულის შოვნის წყაროა.

ტაქსის მძღოლის დასკვნაც ლოგიკურია.

„ჩვენ ხომ ტყუილში ვცხოვრობთ და მისი თვითონაც გვჯერა. ხელისუფლების ერთადერთი ფუნქცია კი სხვა აღარაფერია, თვალყური მიადევნოს, ამ ტყუილის ისე გვჯეროდეს“.

როგორც სჯერათ, კარგად ჩანს „ტაქსის“ ამბებში.

„ფსიქიატრის“ ავტორი ერაყელია, „ტაქსისა“ — ეგვიპტელი. ორივე ქვეყნის, საერთოდ არაბული სამყაროს სინამდვილე ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ჰგავს წარსულით, დღევანდელით, იმითაც, როგორი წარმოესახებათ სამშობლო მომავალში.



ირმა მახარაძე

იშვიათად შემხვედრია ისეთი მძღოლი, ემიგრაციაში რომ არ ყოფილიყოსო — გვეუბნება ხალიდ ალ-ხამისი. სამუშაოს საძებრად მიდიან სხვა ქვეყნებში ეგვიპტელები, მიდიან, ბრუნდებიან, დაბრუნებულები ისევ წასვლაზე ფიქრობენ. ემიგრანტთა გადმორიცხული ფულებით ივსება ქვეყნის ბიუჯეტი (იმაზე აღარაფერს ვამბობთ, ძალიან ახლობელი და ნაცნობი სინამდვილე რომაა ჩვენთვის) მიდიან, მაგრამ სამუდამოდ არა, ოჯახს, საბოლოოდ სამშობლოს რომ წაადგენ, მძიმე წლები გადაატანინონ, ამიტომ მიდიან. პერსონაჟთა მონათხრობში უმთავრესად ქვეყნის სიყვარული გამოსჭვივის, მერე საკუთარი თავისა, ოჯახისა.

რომელიმე ქვეყანა სადათის დროს ეგვიპტელებს ვაგლახად ვერაფერს გაუბედავდა, მუხარაჟი უფულო კაციო, — ამბობს ერთ-ერთი პერსონაჟი — ბერძენებმა ეგვიპტელთა გასახლება გადაწყვიტეს, მაგრამ სადათმა იგივე რომ განიზრახა, შინაგან საქმეთა მინისტრს უბრძანა — ასი ბერძენი მოეძებნათ და ქვეყნიდან გაეძევებინათ, საბერძენეთის პრემიერ-მინისტრმა უკან დაიხიაო.

სადათმა სადამსაც გააგებინა, პოლიტიკა პოლიტიკაა და მან ბაღდათში მცხოვრები ეგვიპტელები არ უნდა დააზარალოსო. სადამი დათანხმდა და ორმა ერმა, სახელმწიფოებსა და ქვეყნის მეთაურებს შორის არსებული დაძაბულობის მიუხედავად, ძველებურად გააგრძელა ურთიერთობა.

ისეთსაც (მძღოლს გულისხმობს), 50 წლის რომ იყოს, წვერგაპარსული, ელეგანტური, ბუდისტო მღვდლისა და წმინდა ბერის ჟღერადობის ხმა ჰქონდეს, ეგვიპტეში იშვიათად შეხვდებითო — გვეუბნება ავტორი და ეს იმიტომ, რომ ამ ასაკის ადამიანები ისე გატანჯულან, იმდენი ფათურაკი გადახდენიათ, ისე გაუტენია ცხოვრებას, რომ ელეგანტურობა და მჟღერი ხმა აღარ შერჩენიათ, დაგლახავებულებმა წვერი კიდევ გინდ გაიპარსონ, გინდ — არა.

ამქვეყნად ყველაფერი რალაცნაირად ლამაზია, გული უნდა გაულო, დაინახო, — ეუბნება იგივე პერსონაჟი მთხრობელს და ეგვიპტელთათვის ნილოსის საკრალურობას უბეჯითებს.

ნილოსი ეგვიპტეს მხოლოდ წყალს სასამელად და თევზს საჭმელად როდი აძლევს, „მისი ცქერა სულიერად გვასპეტაკებსო“. ნილოსზე თევზაობისას სული, ხორცი და თვალები მენმინდობს.

„ნილოსზე, როგორც გადაშლილ წიგნზე, ღვთის სიტყვას ვკითხულობ“ და მწამს, — ყველაფერი კარგად იქნებაო, მძღოლი როცა ლაპარაკობდა, მთხრობელს ეჩვენებოდა — „ხმა თითქოს მას კი არ ამოსდიოდა, არამედ პირდაპირ ღმერთი ლაღადებდა“.

ნილოსი რეალური, ნილოსი სიმბოლური...

ნილოსისფერი პერანგიც სხვა არაფერია, თუ არა ეგვიპტის თავბრუდამხვევი სიყვარული.

ისევ ნილოსისფერი პერანგი...

ნანა ღვინეფაძე

ნიპნი — პით კეპლი!..

დღეს თეატრის საერთაშორისო დღეა და ალბათ ესეც სიმბოლოურია, რომ ამ დღეს მოვიმარჯვე კალამი სათეატროდ! რადგან ჩემთვის თეატრის ფარდა მე-20 საუკუნესთან ერთად დაიხურა!.. (თუმც კრებულის გამოცემას ვაპირებ!)

ეს წინათქმასავით, როსტომ ბატონო! თორემ მიზეზი თქვენი იშვიათი წიგნია ქართული სცენის დიდოსტატზე — უშანგი ჩხეიძეზე — „გადამწვარი მზე“! უცრემლოდ ამ წიგნის წაკითხვა შეუძლებელია.

ნეტავი მოგსწრებოდით მის ერთხელ მაინც ხილვას სცენაზე — ვინც მოესწრო, ისინიც უკვე საუკუნედალეულები არიან (ალბათ!).

...ჩვენ ანუ მე მხოლოდ რადიოჩანაწერებით ვიცნობთ მას!.. სად არის ნეტავ, თუ არსებობს ისეც ის უძვირფასესი რელიკვია — ოქროს ფონდი, რომლის მეოხებითაც აკაკის ხმაც კი გვესმოდა?! ეს ჩვენს ცნობილ, ამადარ რადიოჟურნალისტს ივანე ჯაფარიძეს თუ ეცოდინება!

„ხმა ანუ უკვდავება“ დავარქვი გაზეთ „სამშობლოში“ მუშაობისას წერილს, რომელიც დაიბეჭდა სათაურით „ხმა უშანგისა!“ ეს იყო გამოძახილი ამ ლეგენდად ქცეული მსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოსი, 1974 წლის 20 მაისს კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში რომ გაიმართა.

ჩვენი ამბავი დარჩება თაობას ლეგენდად შეფიცულ ძმების!

წინასწარმეტყველური აღმოჩნდა უშანგის ეს ლექსი, რომელიც შთაგონებით წაკითხვა ტარიელ საყვარელიძემ!

— ბედნიერება გვექონდა პარტნიორები ვყოფილიყავითო — წარმოთქვამს კლავდიუსის მონოლოგის წინ აკაკი ვასაძე! ესაა მინანქრი მოსაწვევზე, რომელზეც მე-20 საუკუნის გამოჩენილი მხატვრის, დიდებული პორტრეტისტის ქეთევან მაღალაშვილისეული ნახატია — ფიქრებში ჩაძირული, ოდნავ ღიმილიანი უშანგი! იცოდა ქალბატონმა ქეთევანმა ადამიანის, მეტადრე ხელოვანის იდუმალ სულში წვდომა!..

...ისეც წარსულში ვიხედები! ...

ურიელი: „მე აქ მოვედი იმისათვის, რომ შენ ეს გსურდა!“
ივდითი: „შენ აქ მოხვედი მხოლოდ იმისთვის, რომ მე ეს მსურდა?!“

„...ადამიანი მოკვდავია... ერთადერთი, რაც შეიძლება გადარჩეს მისგან და აღადგინოს მისი ბუნება — ეს ხმაა! ხმა ძვირფასი და მარადიული!“

ასე ვიწყებდი იმ წერილს, რომელიც 75 წლის უშანგის სცენაზე „დაბრუნებას“ მიუძღვნა — პირველი, ვინც მღელვარედ ისაუბრა სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეულ არტისტზე, მისი ივდითი — ვერიკო ანჯაფარიძე იყო; მან გაიხსენა კოტე მარჯანიშვილის საიუბილეო საღამოზე უკვე ავადმყოფი უშანგის გამოსვლა თვით კოტესა და მისი თხოვნა-მუდართით, — უკანასკნელი გაეღვება სცენაზე, უკანასკნელი ურიელი და ტაშის ქარტეხილი.

...დაფნის რტოებით შემკულმა მსახიობ ქალთა მშვენიერმა კრებამ სათითაოდ წარმოთქვა უშანგი ჩხეიძის ლექსი!... ნაწყვეტი დრამიდან „გიორგი სააკაძე“ წაკითხვა ედიშერ მაღალაშვილმა.

...სიყვარულიანი სიტყვებით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს დიმიტრი ალექსიძე, აკაკი ვასაძე, დოდო ანთაძე, ბესარიონ ჟღენტი, ელენე ლოლობერიძე; მსახიობის დამ, წინო ჩხეიძემ კი წაკითხა რამდენიმე ეპიზოდი მოგონებებიდან.

— მე მიყვარს ის, რაც უშანგის უყვარდა, და ერთხელ ასე მითხრა:

— შენ იცი, ჩემთვის რა ხარ? შენ ჩემსა და თეატრს შორის დამაკავშირებელი ძაფი ხარ, სუსტი, მაგრამ მაინც დამაკავშირებელი! — გულისშემძვრელია ეს აღსარებასავით ნათქვამი ძმისა; გაიხსენა „გიორგი სააკაძის“ ორივე დადგმის პრემიერაც (1940, 1953) — ტელეფონით რომ მოუსმენია უშანგის — პირველად შალვა ლამბაშიძემ ითამაშა, მეორედ სერგო ზაქარიასძემო. — როცა წერდა, თავის თავს გულისხმობდაო! ჩაწერილიცაა ერთი მონოლოგი — დამშვიდობება დედასთან!

ქალბატონმა წინომ მართალია უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ თეატრში ძმისადმი სიყვარულმა მიიყვანა. 1936 წელს უშანგი წავიდა თეატრიდან, 10 წლის შემდეგ კი მე მივედიო...

„განიცადენი“ — გემახსოვრებათ ალბათ ბატონ შალვა დადიანის ეს მხატვრული ხერხი!

1972 წლის გიორგობისთვეში ჩვენი დროის ცნობილ კარლო კალაძეს გავესაუბრე განვიღო წელთა გასახსენებლად — ფრიად ეამა პოეტს დაბრუნება წარსულთან — კოტე მარჯანიშვილისა და უშანგი ჩხეიძის ლანდებთან, და არამარტო მათთან... 19 წლის ახალგაზრდა ვიყავიო, — მიყვებოდა მარჯანიშვილთან მუშაობის ბედნიერ ხანაზე და ლელავდა!..

ჩემი თხოვნა შეეხებოდა ძირითადად პიესას „როგორ?“. წერილიც ასე დავასათაურე: „როგორ შეიქმნა და დაიდგა „როგორ?..“ ამ პიესაში თურმე ბეგლარის როლს უშანგი ასრულებდა! აქ თურმეობით ფორმას მივმართავ, რადგან ახალგაზრდობისადმი კეთილგანწყობილ კოტე მარჯანიშვილს, ქუთაისში მეორე სახელმწიფო დრამის თეატრის შემქმნელ რეჟისორს, 1928 წელს კარლო კალაძისათვის დირექტორობაც მიუძღვია — ესეც პოეტისათვის მინიჭებული „როლი“, მაგრამ პიესის დაწერაც რომ შეუსახელებია?!

„მართალია, ბედი ადრეც ვცადეო, სათაურით „ტრაგედია ოპ!“ — ალბათ “ მისტერია ბუფის“ ზეგავლენითო“ — თითოვე განმარტა — „ჯერ კიდევ რუსთაველის თეატრში მუშაობისას“ (1924 წ.).

„ვერც შევბედეო, და მეგობრებმა მიუტანესო კოტეს!“ მონონების მიუხედავად ეს პიესა არ დადგმულა, მაგრამ ავტორს ნდობით მოკიდებია, რაც თეატრში დამკვიდრების საწინდარიც გამხდარა!

...როცა ქუთაისში თეატრი გაიხსნა, 1928 წლის 3 ნოემბერს, ტოლერის პიესით „პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ თბილისი-ქუთაისის მატარებელი ქართველი მწერლებითა და ინტელიგენციით გაივსო და ასე იყო თითქმის ყოველ წარმოდგენაზე. ...ამის თაობაზე აღმაფრენით გვიამბობდა სტუდენტებს ჩვენი უსაყვარლესი პროფესორი ბატონი დიმიტრი ჯანელიძე. „როგორ?“ მესამე პრემიერა გახლდათ — თვით კოტემ დადგა (მხატვარი ელენე ახვლედიანი, კომპოზიტორი თამარ ვახვახიშვილი).

საგულისხმო აღიარება! — წანარმოები 1905 წლის რევოლუციის მღელვარე დღეებს ასახავდა! პიესის კითხვისას დასის უმრავლესობა იჭნეულად განწყობილა, მაგრამ ახალგაზრდა ავტორის მხარეს აღმოჩენილა სამი დიდი მომხრე: კოტე მარჯანიშვილი, უშანგი ჩხეიძე და შალვა ლამბაშიძე!

„კოტე მხურვალედ იცავდა პიესას და თუმცა იმხანად თეატრს ეკონომიურად ძალზე უჭირდა, მისმა ერთუზიანობამ და ფანტაზიამ პიესა წარმოდგენად აქცია“, და განაგრძობს: „სწორედ იმ გასაჭირში მოიშველია კოტემ კინო და ლანდები! — უკვე წარმოიდგინა, როგორი იქნებოდა სცენაზე „რო-

გორ?“ რომლის მოქმედებაში კინოკადრების მეოხებით შეიჭრებოდა 905 წლის მღვდელმთავრე დღეები და რომლის სცენოგრაფიაში დეკორაცია აღარ ითამაშებდა — ნაცვლად ფარდები და ლანდების თეატრის ელემენტები!

იქნებ ეს ლადო მესხიშვილის რევოლუციური რომანტიკის აელვარებაც იყო!

...„უშანგი ჩხეიძის მიერ წრფელად განსახიერებულმა ბეგლარმა, შალვა ლამბაშიძის კობამ, სერგო ზაქარიაძის გოჩამ, აკაკი კვანტალიანის კორნელმა, ალექსანდრე ჟორჟოლიანის მუცუტმა, შალვა ჩხეიძის გოლამ, ისეთი ძალით შეასხეს ხორცი ავტორისა და რეჟისორის ჩანაფიქრს“, მიამბობდა პოეტი, „რომ 905-იანი წლების ცეცხლი და რომანტიკა მთელ დარბაზს ეუფლებოდა და ეს საგრძნობი გახდა არამარტო საქართველოში, არამედ უკრაინასა და რუსეთში გასტროლების დროსაც, როცა „ურიელის“ და „ჰოლას“ თანაბრად საიუბილეო-საჩვენებელი პროგრამის შერჩევისას „როგორიდანაც“ იყო ხოლმე ერთი მოქმედება“.

...შემდეგი წარმატება: კოტე მარჯანიშვილმა 1930 წელს განახორციელა კარლო კალაძის მეორე პიესა „ხატიჯე“. მხატვარი ოცხელი იყო, კომპოზიტორი კვლავ განუყრელი ვახვახიშვილი. აჭარაში ვითარდებოდა მოქმედება — ხატიჯე, ახალი ცხოვრების მერცხალი, პირველი ჩამოიხსნის ჩადრს და შრომის ფერხულში ჩაებმება! ხატიჯეს როლს ხათუნა ჭიჭინაძე და ირინე დონაური ასახიერებდნენო.

...მწერლის მესხიერებას განსაკუთრებით აჭარელ ქალთა სითამამე შემორჩენოდა — თეატრის წინვე იხსნიდნენ და ნვავენენ ჩადრებსო! ხოლო როგორი შეუვალი იქნებოდა უშანგის გულბათი, ამას თამარ აბაკელიას ნახატი ასახავს.

— „ბედნიერი ვარ იმით, რომ კოტე მარჯანიშვილმა ჩემი შემდგომი პიესებიც დადგა“...

ესენი გახლდათ „როგორით“ წათამამებული ახალგაზრდა შემოქმედის „ლალი“ და „სოფლის საამო საღამოები“.

რეჟისორის ძალზე საინტერესო სამომავლო ჩანაფიქრიც გავვანდო, იმერეთში რომ ჩასახვია და ახალგაზრდობისადმი რწმენის, ნდობის ნათელი მაგალითია: „ახალგაზრდობას მხოლოდ ასაკობრივი გაგება კი არა აქვს, არამედ იგი შემოქმედის ერთ-ერთი სასიხარულო თვისებათაგანია. ამიტომ კოტეს ხელოვნების სიდიადე და მარადიულობა ისიცაა, რომ ის მუდამ ახალგაზრდული სულით იყო აღსავსე, ნიადაგ სიახლეს ეძებდა, პოულობდა კიდევც და ახალი ქართული თეატრის ცისკარზე ახალგაზრდებთან ერთად აგებდა მისეულ, კლასიკურ თეატრს, რომელშიც ერთ-ერთ საუკეთესო წარმოდგენად მისი ნაოცნებარი „დონ კიხოტი“ ესახებოდა.“


ვინ უნდა ყოფილიყო მეოცნებე იდალგო? ცხადია, ისევ და ისევ უშანგი ჩხეიძე, ხოლო მისი ერთგული სანჩო პანსა კი აკაკი კვანტალიანი. კოტე უკვე განიცდიდა იმ სიამოვნებას, რასაც მოგვანიჭებდა უშანგის ეს ახალი როლი და სწამდა, რომ მას მსოფლიო რეზონანსი ექნებოდა.

...ჰამლეტი და დონ კიხოტი! თანაც იმერეთთან სურდა დაეკავშირებია დავით კაკაბაძის მხატვრობიანაო. სერვანტესის ქმნილების გაცენიურება კი მოსკოველი ესპანოლოგისთვის მიუნდვია, მაგრამ აღარ დასცალდაო ...

გალექსილი განცდიდან ესეც გაიხსენა:

**მარჯანიშვილის ის დაუდგმელი
სპექტაკლი მახსოვს ყველაზე უფრო...
(1929 წ.)**

...ამ წერილის გადაკითხვისას მეც ვღელავ — ასე ცოდნია წარსულის მდინარეში შესვლას! ახლა კი დროა ფონი მოვძებნო! — მაგრამ ვიდრე ფონს გავალ, ისიც უნდა ვთქვა, რომ რაც დონ კიხოტი გააქართულა სულნათელმა ნიკო ავალიშ-



უშანგი ჩხეიძე

ვილმა, თემა სერვანტესის ამ შედეგისა ქართველისთვის იმთავითვე იმდენად ახლობელი გახდა, რომ თავი იჩინა პოეზიაშიც, სახვით ხელოვნებაშიც, კინოხელოვნებაშიც (ალავერდი ბატონ რეზო ჩხეიძესთან), დრამატურგიაშიც!.. — ესპანელი იდალგოს კვალი საქართველოშიც რომ „გამოჩნდება“: ამჯერად ვალერიან კანდელაკის სანახაობრივად გააზრებულ კომედიას ვგულისხმობ — „დონ კიხოტი საქართველოში“ (1961 წ.) — მთვარიან ღამეში იდალგოს ღალადისით რომ იწყება: „ღამისა შუქს, შთამბერე ძალა, ესპანეთი ბორკილებშია!“ თავისუფლებას მოწყურებული ორი მეოცნებე იბერიამშიც აღმოჩნდება — ორ ზღვას შუა მდებარე საქრისტიანოში — იბერია — იბერია! და აქაც აპირებენ იშპივლონ ხმალი! ვერ მოესწრო ავტორი ამ კომედიის გაცენიურებას. არადა, სადღეისო აფორისტული ფრაზებითაც საცნაურია! — „ამ რკინის საუკუნეში იმიტომ დავიბადე, რომ ოქროს საუკუნე ალვადგინოო!“ ახელებს სანჩო თავის მბრძანებელს!

...მაჰატიეთ, დაგლაღეთ, წერამ ამიტანა ... „ჩვენი ამბავი დარჩება თაობას ლეგენდად შეფიცულ ძმების“.

...ეს ლეგენდა თქვენ განაგრძეთ, როსტომ ბატონო, და ჩინებულადაც გაასრულეთ!

**ყვარელის მთებიდან ცრემლივით ნაჟური
დურუჯი ვეფხივით მორბის!**

...აი, რა ძალა და შთაგონება გააჩნდა შემოქმედს, რომელსაც დიდხანს უნდა ეცოცხლა!

...აღარ დასცალდაო...

...მაინც საიდან მიაფრინდა ეს გააზრება დიდებულ კოტე მარჯანიშვილს — ჰამლეტი და დონ კიხოტი?! არადა, მეც რომ მეცნო ეს პარალელი? რატომ? აქ გამახსენდა ჩემი კეთილი სეხნიის ნანა ახოზაძის მიერ ჩინებულად თარგმნილი კრებული „მწერლის სული“ (ესეი, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, 2011 წ.), რომლის კითხვაც ივან ტურგენევიდან დავინყე: ჩემი საყვარელი მწერალია!

„ჰამლეტი და დონ კიხოტი“ ხელახლაც გადავიკითხე, მაგრამ აქ მხოლოდ დასაწყისიდან ჩავრთავ ერთ ნაწყვეტს, რადგან კალამი ძალზე შორს გამექცა!

ტრისტან მახაური

სანდრო შანშიაშვილის ორი პალადა

„პირველი გამოცემა შექსპირის ტრაგედიისა „ჰამლეტ“ და პირველი ნაწილი სერვანტესის „დონ კიხოტისა“ გამოჩნდნენ მე-17 ასწლეულის გარიჟრაჟზე, სწორედ ერთსა და იმავე წელს!“ ეს დამთხვევა ფრიად ნიშანდობლივად მიაჩნია დიდ მწერალს! და განაგრძობს:

„ამ ორ სახეში განსახიერდა ორი უმთავრესი, ერთმანეთის საპირისპირო თავისებურება ადამიანის ბუნებისა — ორი დაბოლოება სასწორის უღლისა, რომელზედაც იგი ირწევა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ადამიანები, საზოგადოდ, მეტად თუ ნაკლებად მიეკუთვნებიან ამ ორი ტიპიდან ერთ-ერთს, თითქმის ყოველი ჩვენგანი მიემსგავსება ან დონ კიხოტს ანდა ჰამლეტს. თუმცა ჩვენს დროში მოჭარბებულად ჰამლეტები გვხვდებიან, ვიდრე დონ კიხოტები, მაგრამ არც დონ კიხოტები გადაშენებულან!“

...ერთში თუ ტრაგიზმია, მეორეში კომიზმი — სწორედ რომ უშანგიზუა ზედგამოჭრილი (ჰამლეტის შემდეგ!) — მაგრამ ეს ხილვა გენიალურ ქართველ რეჟისორთან ერთად ჩაქრა-ჩაიფერფლა!..

„იყვნენ საუკუნის მსახიობები, უშანგი ჩხეიძე მათ რიცხვს ეკუთვნის“ — აღიარებს თვითონაც საუკუნის მსახიობი, სცენის დედოფალი ვერიკო თავის „მოგონებათა თითო ფურცელში“!

...1974 წლის 20 მაისს 75 წლის უფლისწული, განუმეორებელი ჰამლეტი, განუმეორებელი ურიელი, საქართველოს სახალხო არტისტი უშანგი ჩხეიძე „დაბრუნდა“ სცენაზე ოდენ ხმით- სწორედ ჩანაწერების მეოხებით.

„ათი წელი შენთან ერთად, ეს იყო ქართული თეატრის დიდი სიცოცხლე — შენ შეიგრძნე თეატრი, როგორც უდიდესი მოვალეობა, როგორც მაღალი მონოდება და აკი დასწვი თეატრში შენი გული და სული“ — ეს სიტყვები ყვავილებთან ერთად ჩაჰყვა საფლავში უშანგი ჩხეიძეს!

„მე აქ მოვედი იმისათვის, რომ შენ ეს გასურდა“, — ისმენდა უშანგი-ურიელის ამ სიტყვებს ივდითივით მოქნილი და ნაზი ტირიფი, ისმენდნენ ისინიც, ვისაც უნახავს და განუცდია უშანგი, ვისთვისაც მსახიობი ლეგენდაც იყო და ცხადიც იმ ცოცხალი ხმის წყალობით, რომლითაც გაასკეცდა მისი უკვდავება!

დაბოლოს — მთაწმინდაზე აღზევება დიდუბის პანთეონიდან!..

გახსნილ საფლავში ქალბატონ ნინოს არავინ ჩაუშვია — თითონ ჩასულა და: გულში ვიხუტებდიო ფეხსაცმელებს, მთელი ისლა იყოო... დაძმობა საოცარი რომ ჰქონდათ, ესეც ხომ ლეგენდაა — უბის ნიგნაკს როცა გადამლიდა, უშანგის თვალები შემომანათებდა — „ეს სურათი სულ თან მახლავსო“, იტყოდა ხოლმე...

ასი წლის თავზე, 1999 წლის შემოდგომაზე მოხდა ეს ამალღება! გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თეატრალურ ჩანართში — „სახიობა“ (1999, 16 ოქტომბერი, 10), ცრემლივით ლექსი „ამალღება“ დავებქადე; იქვე ფოტოები და ქალბატონ ვერიკოს ერთი ფურცელი უკვე წიგნად ქცეული მოგონებებიდან:

**შემოდგომის ყვაილები
წმინდა ცრემლით დაინამა,
მთაწმინდაზე კიდევ ერთმა
წმინდა სულმა დაივანა!**

სანდრო შანშიაშვილი ჭაბუკობიდანვე გამოირჩეოდა აქტიური პოლიტიკური საქმიანობით, ჩაბმული იყო ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. საგულისხმოა, რომ იგი, „როგორც არაკეთილსაიმედო პიროვნება“, 1907 წელს მეფის ჟანდარმებმა გაჩხრიკეს და სამი თვით მეტეხის ციხეში ჩასვეს. ვაჟა-ფშაველამ სწორედ მას გაანდო 1908-09 წლებში საქართველოს გათავისუფლების მისეული გეგმა და დაავალა კახეთში აჯანყების მოსაწყობად დაეგულებინა ათი საიმედო კაცი, რომლებიც სამშობლოს გულისთვის თავს განირავდნენ. იმ დროისათვის რამდენად განსახორციელებელი იყო ეს გეგმა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ დიდი მგოსანი ასეთ საიდუმლო საქმეში ენდობოდა თავის უმცროს კოლეგასა და მეგობარს სანდრო შანშიაშვილს.

1917 წელს რედაქტორობდა გაზეთ „საქართველოს“, რომელიც მეფის ცენზურამ მალე დახურა. იყო ილია ჭავჭავაძის დიდი თაყვანისმცემელი და მისი იდეების მხარდამჭერი. ილიასადმი სანდროს დამოკიდებულება კარგად ჩანს მის მეშუარეობაში, აგრეთვე სანდროს თანამედროვე ქართველ მწერალთა მოგონებებსა და პირად წერილებში, რომლებსაც ქვემოთ შევხვებით.

1926 წელს ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ (1) გამოაქვეყნა ლექსი „მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში“. ლექსს იმთავითვე მაღალი შეფასება მისცეს ქართველმა მწერლებმა და კრიტიკოსებმა. ბესარიონ ჟღენტის წერდა: „სანდრო შანშიაშვილი — საერთოდ მეტად ნაყოფიერი პოეტი გასულ წელს ლირიკაში ძუნწობს. თუმცა მისი ლექსი „მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში“ საგრძნობი მიღწევაა და დამახასიათებელია შანშიაშვილისათვის, როგორც ბუნებისა და მინის სტიქიის ამმღერებელი პოეტისათვის“ (1926 წელი ქართულ ლიტერატურაში, „ქართული მწერლობა“, 1927, 2).

ლექსი დადებითად შეაფასა სიმონ ჩიქოვანმაც („მემარცხენეობა“, №1, 1927).

გრიგოლ რობაქიძემ სანდრო შანშიაშვილისადმი გაგზავნილ პირად წერილში მოკლედ მოხაზა პოეტის პორტრეტი და იგი მუხას შეადარა: <ძვირფასო სანდრო, აი, ამ წამს ასე მყავხარ წარმოდგენილი. სუფრა გაშლილია მაღლობზე, საიდანაც მოჩანს ნისლივით განოლილი დიდი ველი ალაზნის. სუფრას მეგობრები უხხედან. შენ კახი ხარ, მასპინძელი, აგიმართავს ჯიხვი ხელში, მე მანდ არა ვარ — და შენ ჩემს სადღეგრძელოსაცა სვამ. იქნება ლექსი გადაგრაგნილი მუხის ტანით, ტოტებით, რკოებით, ფოთლებით. მე შენს ლექსს გავიგონებ შორეთში და და გეტყვი მეც — მაგრამ მოაწევეს კი ჩემი ხმა? შენი გრიგოლ რობაქიძე. 1.8.1927 წ.“ („ლიტერატურის მატიანე“, 1992).

ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ აღიარა, რომ „ს. შანშიაშვილის პოეტური ნიჭის ერთ-ერთი სრული გამოვლენაა „მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში“, რომელიც ქართული საბჭოთა პოეზიის უდაო მშვენებას წარმოადგენს“ (ანდრო მირიანაშვილი). „ეს ლექსი სანდრო შანშიაშვილის შემოქმედებაში პირველი სიდიდის ვარსკვლავივით ბრწყინავს“ (შალვა აფხაიძე).

პირველ ხანებში ქართველი ლიტერატორები მხოლოდ მოკლე შეფასებებით იფარგლებოდნენ, ლექსის იდეურ-მხატვრული ანალიზი კი მოგვიანებით სცადა ორიოდ მკვლევარმა. მათ შორისაა გიორგი ციციშვილი, რომელიც წერს: „ეს ლექსი დაწერილია დიდი პოეტური გზნებით და აღსავსეა დიდი სიმბოლიკით. მასში მუხის „დაცემის“, მისი მოჭრის სურათია ამეტყველებული, და თითქოს თვით ლექსშიც, მის მტკიცე ნაჭედობაშიც, ძნელადნასაქცევი მედგარი მუხის სიმტკიცე იგრძნობა. ნაჭედი სიტყვა, კოლორიტული სახეები, ბგერადი, ძარ-

ღვიანი ქართული, საოცრად მდიდარი ლექსიკა, ყოველგვარ ხელოვნურობას მოკლებული ბუნებრივი რითმა — ამ ლექსს ჭეშმარიტ მხატვრულ ნიმუშად აქცევს. მასში რალაც ტრაგიკული განცდა ბუდობს. იგი ძლიერი, შემმართველური, უტყუარი სულითაა გაჟღერებული და იდუმალი დრამატიზმით დანაღმული. ეს ლექსი გამოირჩევა თავისი ფერადოვნებით და ორატორული ბგერადობით. მასში ხანდახან მოისმის ტრიოლეტის ინტონაციები და ჭალარა საქართველოს გარდასული დიდების ტკივილი იგრძნობა. შემთხვევითი არ არის, რომ მუხა ძველი ციხის კედელთანაა ამოზიდული...

ჩემი აზრით, ეს ლექსი პოეტისათვის თავისებური გამომშვიდობებაა ძველ გზასა და წარსულთან ისევე, როგორც გალაკტიონის „განახლდა გული“, ი. გრიშაშვილის „გამოთხოვება ძველ თბილისთან“, ს. შანშიაშვილის „მუხის დაცემა“ ავტორის შემოქმედებითი შემობრუნების მაუწყებელია და ახალი გზის დალოცვას მოასწავებს.

მართალია, ს. შანშიაშვილის ამ ლექსში წარსულთან დამშვიდობების ტკივილებიც იგრძნობა, მაგრამ ადამიანმა, რომელიც ბუნების სილამაზეს და ქვეყნის წარსულს არა მარტო წმინდა ესთეტიკური, არამედ (და უფრო მეტად!) გამოყენებითი სარგებლიანობის თვალთ უყურებს, გადაწყვიტა — „უნდა მოვჭრა! აქ რას ვგარგებს?“ და „ნაჯახი დაჰკრეს“.

ადამიანმა, რომელიც ამ ტოტებგაბადრულ, ათასწლოვან მუხასთან მხოლოდ და მხოლოდ „ქონდრის კაცად“ მოჩანს, აჯობა მუხას, ნაჯახით დასცა იგი და ამყად ფეხი დაადგა.

დიდი სიმბოლოა და ქვეტექსტურობა: ასე ნააქცია რევოლუციამ ძველი ცხოვრების ათასწლოვანი მუხა, ასე ალგავა მის ტოტებქვეშ შეყუყუილი ოქროთი მოოჭვილი „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“. გაძვალტყავებულმა, მაგრამ ქვეყნის ჭეშმარიტმა მეუფემ მშრომელმა ადამიანმა, რომელიც ძველად მხოლოდ ქონდრის კაცად მიაჩნდათ, თავისი გმირობისა და ხერხიანობის წყალობით ფეხი დაადგა გადაჩეხილ გიგანტს“ (სანდრო შანშიაშვილი, ცხოვრება და შემოქმედება, 1962).

მკვლევარმა საბჭოთა იდეოლოგიის შუქზე განიხილა ეს პოეტური ნაწარმოები, თუმცა იქვე სრულიად საპირისპირო აზრით გამოთქვა: ბუნების საოცარი შეგრძნების უნარით სანდრო შანშიაშვილი ვაჟა-ფშაველას გზის გამგრძელებლად გვევლინებაო. ვაჟა კი, რა თქმა უნდა, იმგვარად არ გაიაზრებდა ბუნებას, როგორც ეს გიორგი ციციშვილისეული ანალიზისას ვნახეთ.

საბჭოთა საქართველოში ვულგარული სოციოლოგიის მესვეურებს სანდრო შანშიაშვილი მიაჩნდათ გლახთა პოეტად (ბ. ბუაჩიძე, ს. უელი და სხვ.). ერთი კრიტიკოსი კი ასე წერდა: „გარდა სოფლისა და გლეხობისა, ს. შანშიაშვილი უყურადღებოდ არ სტოვებს ბუნებას, მის მოვლენებს, ტყეს, მთებს და სხვ. ტყის შესახებ მას აქვს რამდენიმე ლექსი. ასეთია, მაგალითად: „მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში“, „ტყე გაჩეხილი“ და სხვ. მათში რეალურ სახებთან და განწყობილებებ-

თან ერთად არის ფანტასტიკა და ხალხური დემონოლოგია“ (შ. რადიანი, ლიტერატურული პორტრეტები, 1929).

სანდრო შანშიაშვილის შემოქმედებას კრიტიკული წერილი უძღვნა ტარიელ კვანჭილაშვილმაც. მისი აზრით, ძველისა და ახლის კონტრასტს ასახავს არა „მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში“, არამედ „ელექტრო არმაზი“. „1927 წელს დანერვილი ეს ლექსი არის ახლის მიღების, საბჭოურის უპირატესობის არა მხოლოდ აღიარება, არამედ მისი ხოტბაც. შეიძლება ითქვას, რომ ამ ლექსს ისეთივე ადგილი უკავია ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში, როგორც ი. გრიშაშვილის პოეზიაში უკავია ლექსს „გამოთხოვება ძველ თბილისთან“ (უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, ნან. I, 1984).

მართლაც შეუძლებელია არ დაეთანხმო ტარიელ კვანჭილაშვილს. ავტორიც ხომ ამასვე ამბობს „ელექტრო არმაზში“:

**ძმებო, წარსული საუკუნის რღვევის ეპოქებს
ვეტყვი: „მშვიდობით!“ და ახალთან მივალთ ალავერდს!**

ან:

**დღეს დრო იცვალა... და სულ სხვა გვაქვს გულში ზრახული!
მე რომ ვნატრობდი და ხან სიზმრად მომლანდებია.
სატრფო ზენარი — საქართველო მოსილი თალხით —
დღეს ის ატარებს წითელ მანდილს... თვალნი გზნებია.**

„მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში“ ნამდვილად არ ატარებს ამ განწყობილებას. მასშასადამე, გ. ციციშვილი ამაოდ ცდილობდა ეს ლექსი პოეტის საბჭოთა პლატფორმაზე გადასვლის დასაწყისად მიეჩნია.

შესასაშური კვალიფიციური ოსტატობითა და პროფესიული ცოდნით განიხილა შალვა აფხაიძემ ეს ნაწარმოები. მან დეტალურად გააანალიზა ლექსში გამოყენებული მხატვრული სახეები და ავტორთან გასაუბრების მეშვეობით გახსნა ლექსის ალგორითმი შინაარსი. წერილის დასაწყისში ქართველი მწერლების მოწონებას აღვნიშნავდით ამ ლექსის მიმართ, შალვა აფხაიძე კი გადმოგვცემს, რომ ლექსის გამოქვეყნებას არაერთგვაროვანი რეაქცია გამოუწვევია ქართულ ლიტერატურულ წრეებში. „ლექსი დათარიღებულია 1925 წლით, — წერს შალვა აფხაიძე, — ამ ლექსმა ქართველი მწერლების ნაწილში აურზაური გამოიწვია. როგორც მასხოვს, მას რალაც პოლიტიკური ხასიათის ბრალდებაც წაუყენეს. მწერლების ეს ნაწილი სამწერლო ასპარეზზე ახალგამოსული იყო და გადაჭარბებულ ეჭვიანობას იჩენდა. დღეს ეს ლექსი სანდრო შანშიაშვილის შემოქმედებაში პირველი სიდიდის ვარსკვლავივით ბრწყინავს. შეიძლება მას სხვადასხვა ახსნა მოუძებნოს მკითხველმა...“ (წერილები და მოგონებები).

შალვა აფხაიძე არ დასჯერდა მხოლოდ საკუთარ ანალიზს და ავტორთან გასაუბრებაც მოახერხა: „სულ რამდენიმე ხნის წინათ შეეხვედი მის ავტორს, ცნობისმოყვარეობით შევეკითხე: სანდრო, რა აზრი უდევს საფუძვლად ამ ლექსს-მეთქი. „არაფერი ისეთი, — მიპასუხა, — ლექსი დაწერე ნამდვილად მომხდარ ამბის გამო. ტყეში ვიყავი. მუხა მოვჭერი. ფეხი დავადგი. ეს იყო და ეს.“ შემატყო, რომ პასუხმა არ დამაკმაყოფილა. მართლაც რამდენი კერძო შემთხვევა ხდება ადამიანის



სანდრო შანშიაშვილი

ცხოვრებაში, თუ ის არ განაზოგადე, გარკვეული შინაარსი არ მიეცი და ისიც საზოგადოებრივი ხასიათისა, ისე რა აზრი ექნება ასეთ შემთხვევას! დაფიქრდა და მიპასუხა: „ილიას მკვლევლობა მქონდა მხედველობაში. ის იყო ჩვენი ქვეყნის დედაბოძი, მოუხრელი მუხა, რომელიც უგუნურებმა წამოაქციეს. მისი მკვლელი ხომ ქონდრის კაცი იყო, რომელმაც სიკვდილი არ აკმარა ამ აზრის გოლიათს და შემდეგ ზედ ფეხით შედეგა“.

ავტორის განმარტება უტყუარი არგუმენტია ლექსის დედაზრის გასარკვევად, თუმცა უიმისოდაც შეიძლება გონებადამხევი მკითხველსა და ლიტერატორს მუხის მხატვრულ სახეში საქართველო ამოეცნო. საქართველო და ილია ხომ მარად განუყოფელი ცნებებია (გავიხსენოთ სტრიქონები თვით ილიას პოემა „აჩრდილიდან“: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული...“). რაც შეეხება ილიას მკვლევლობის დაკავშირებას მუხის მოჭრასთან, ამ მხატვრული სახის შექმნის საფუძველს იძლეოდა ილიას მკვლევლობის შემდეგ გამოქვეყნებული ერთი უგუნური ქართველის წერილი, რომელიც ამართლებდა სოციალ-დემოკრატთა მიერ ჩადენილ ილიას მკვლევლობის ვანდალურ აქტს: „როგორც ხედავთ, მთელი ეს ბრალდება ეხება ქართველ სოციალ-დემოკრატებს. ვთქვათ, ყველა ეს მართალია, ვთქვათ, სოციალ-დემოკრატის მიერ მომზადებულ ნიადაგმა დაბადა ეს მკვლევლობა, მერე ამისთვის დასაგმობია თვით ნიადაგი? ამ ნიადაგმა დაბადა ის დიდებული მოძრაობა, ის გონებრივი და პოლიტიკური გადასხვაფერება, რომელიც ქართველ ხალხმა განიცადა და დღე მუდამ განიცდის. ამ ნიადაგზე აღმოცენდა კავკასიის რევოლიუცია, მთელი ახალი ისტორია და თქვენ გასურთ ყველა ეს უკუაგდოთ, დაგმოთ იმიტომ, რომ სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივა“ (ნ. ჟ. ბნელი ძალები, „ჩვენი გზა“, 28, 1907, 9 ოქტომბერი).

გავხსნათ ნიცილალები და ქართველ საზოგადოებას შევხსენათ, რომ წერილის ავტორია ნოე ჟორდანიას, მისი სტატია დათარიღებულია 28 სექტემბრით. მაშასადამე, ილიას მკვლევობიდან სამი კვირაც არ არის გასული და ასე შეუარაცხყოფენ საქართველოს მამის სახელსა და ღირსებას.

ამ დროს სანდრო შანშიაშვილი 19 წლის ჭაბუკია, სწავლობს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში და ლექსებს უკვე აქვეყნებს იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში. გიმნაზიის მოსწავლე პირადად შეხვედრია ილიას. ამის შესახებ ორი მოგონება არსებობს; სანდროს ქალიშვილი, ან განსვენებული ლატავრა შანშიაშვილი იგონებს: მამა „გიმნაზიაში რომ სწავლობდა, იქ მისულა ილია, მამა დაულოცია და შუბლზე უკოცნია. ეს მამისთვის დიდი რამ იყო. ილია რომ მოკლეს, პირველი ლექსი მამას მიუძღვნია“ (ინტერვიუ თეონა კენჭიაშვილთან, ინტერნეტგვერდი „არმური“).

ილიასთან შეხვედრას იგონებს თვითონ სანდროც მემუარების ნიგნში „თქვენც რომ გახსოვდეთ, ახალგაზრდებო“ (1977), მაგრამ სანდრო ასეთ ამბავს არ ყვება. იგი გვიამბობს, რომ ივანე ჯავახიშვილის მოხსენებას დაესწრო ილია ჭავჭავაძე, გიმნაზიელი სანდროც იქ იმყოფებოდა და მოხსენების დამთავრების შემდეგ დარცხვენილმა და ალელგებულმა ძლივს მოახერხა დიდ მგოსანთან გასაუბრება.

სანდრო ილიას დიდი თავყანისმცემელი და მისი იდეების ერთგული დამცველი იყო. ამაზე მეტყველებს ის, რომ უფროსი თაობის ცნობილი მწერლები მას ენდობოდნენ და საკუთარ შეხედულებებს თამამად გამოთქვამდნენ პირად საუბრებშიც და სანდროსადმი გაგზავნილ ბარათებშიც. იროდიონ ევდოშვილი 1911 წლის 23 ნოემბრით დათარიღებულ წერილში გადასახლებიდან სანდროს სწერდა: „ამ მოკლე წერილით ვერ გამოვთქვამ ყველა იმას, რაც მე მინდოდა დიდი

ხანია მეთქვა, რაც შხამის ტბად ტრიალებს ჩემს გულში და ეს ტბა კი ჩემმა ნამეგობრალბმა დაატრიალეს... კარგა ხანია, რაც ამ გველებმა სისინი დაიწყეს. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ამგვარმავე „გადამთხვეულებმა“ ილიას მოხუც, ნაჭრნახულე გულს ტყვია დაახალეს. ეს ტყვია მეც მომხედა, როგორც სამგლოვიარო სევდა... მათთან ვიყავ მე მიჯაჭვული მთელი ათი-თორმეტი წლის განმავლობაში იდეურად... და აი, ილია დამეხმარა მე თავისი სიკვდილით. იმ დღიდან კი სამუდამოთ ვიბრუნე პირი ქართველ ესდეკებიდამ (ასე ეძახდნენ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრებს — ტ. მ.) და თუ მივბრუნდები დღეს მათკენ, მივბრუნდები მხოლოდ იმისათვის, რომ მივაფურთხო მათ“ („ლიტერატურის მატრიანე“, 1992).

ის კაცი, ვინც ილიას მკვლევობას ამართლებდა, 1918-21 წლებში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა. მართალია, მან შეიცვალა იდეური პოზიცია და ბოლშევიკებს დაუპირისპირდა, მაგრამ მისი ნათქვამი ველარაფერმა ამოშალა ხალხის მეხსიერებიდან, ეს დამლა სამუდამოდ შერჩა ნოე ჟორდანიას პიროვნებას. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ქართველი ერისათვის ყველაზე დიდი ტრაგედია იყო 1924 წლის აჯანყების ჩახშობა სისხლში. სანდრო შანშიაშვილი აჯანყებულებს ეხმარებოდა. მის წისქვილს სოფელ ჯუგანში იარაღის საწყობად იყენებდნენ აჯანყებულები (ამის შესახებ წერს ოთარ ჩხეიძე „ჩემი სოფლის ეტიუდებში“). აჯანყება დამარცხდა და დაიწყო საშინელი ანგარიშსწორება. ბოლშევიკებმა სისხლის მორევები დააყენეს. და აი, მაშინ უნდა მისცემოდა სწორედ უკეთესი დრო და საბაზი ტრაგიკული ჟღერადობის ლექსის შესაქმნელად სანდროს.

ლექსი დათარიღებულია 1925 წლით, ე. ი. დაწერილია აჯანყებიდან ერთი წლის თავზე.

ავტორმა საკუთარი თვალთ იხილა, მძიმედ განიცადა მშობლიური ქვეყნის უბედურება და შექმნა შესანიშნავი ალერგორიული ხასიათის ლექსი, რომელშიც ერთდროულად რამდენიმე ამბავი იგულისხმება: ილია ჭავჭავაძის მკვლევობა, შემდეგ საქართველოს დაპყრობა და 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობა.

ქართულ ზეპირსიტყვიერებასა და მწერლობაში მუხა საქართველოს სიმბოლოა (ხალხური ლექსი „მუმლი მუხასა“, ბაჩანას „მუხა“... კიდევ ბევრი ნაწარმოები შეიძლება დავასახელოთ როგორც სანდროს ლექსზე ადრე შექმნილი, ისე მოგვიანებით დაწერილიც, ვთქვათ, მუხრან მაჭავარიანის „საბა“; „გულს ნუ გაიტყვ, მუხა კვლავაც შეიმოსება“...).

საქართველო კი გაიგივებულია ილიასთან (ზემოთ გავიხსენეთ ილიას პოეტური სტრიქონები „აჩრდილიდან“, ახლა კი დავიმოწმოთ ვაჟას სიტყვები ილიას მკვლევობასთან დაკავშირებით: „საზარელი ფაქტია, საზარელი მოქმედებაა, საშინელი აზრის პატრონი უნდა იყვნენ მკვლევობის ჩამდენნი. აშკარაა და აშკარად ვიტყვი: ილიას მკვლევებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავენ“), ხოლო აჯანყების შესახებ სანდრო გამჭვირვალედ მიუთითებს „მუხის დაცემაში“: „აჯანყება ტოტების აფრებს“, „გადმოსკდა სისხლი, როგორც ბუღას, ყელგამოლადრულს“.

აგებულების მიხედვით როგორი სახის ლექსია „მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში“? წმინდა ლირიკულია თუ არა? ამის გასარკვევად უნდა მოვიშველიოთ XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული პოეზიის ერთი მიმოხილვითი წერილის ფრაგმენტი, რომელშიც ამ ლექსზეცაა საუბარი: „ეხლა ლექსი ლირიკა (რომელსაც სიმბოლისტები სწერენ დღესაც) გაგებული როგორც ლექსალობა — კრიზისის განიცდის. ეხლა შემოდის მოთხრობითი ან მოყოლითი მანერა ლექსისა

(повествовательный). ამ მანერის ლექსები შექმნეს ს. ჩიქოვანმა „მყინვარების“ და „სიღუს“ სახით, დ. გაჩეჩილაძემ „გლეხი“ და „აბრაგი“ და ნ. ჩაჩავამ „საუბარი ნადირობისას“, „ყაჩაღები ქალაქს გასცდენ“ და სხვა. **მოთხრობითი ლექსი ეხლა სცვლის ლირიულ ლექსალობას**, რომელიც დღით დღე კვდება. თვით ძველ მწერლებსაც შეეპარათ ეს მანერა (მაგ. **სანდრო შანშიაშვილის „მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში“**) და სხვა“ (ჟურნ. „მემარცხენეობა“, №1, 1927). წერილი ხელმოწერილია ინიციალებით: „ს. ჩ.“ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი სიმონ ჩიქოვანია. მას სანდრო შანშიაშვილის ნაწარმოები თხრობითი ხასიათის ლექსად მიაჩნია, მაგრამ ამ ლექსში არის ლირიკული პასაჟებიც:

„ჩამონოლილა მღუმარება გრძნობის ამრევი...“

„ენა რომ ჰქონდეს, მუხა ამბავს გადმოაფენდა...“

**„იქნებ დასრულდა დრო დიდების — ამხოვენ მუხას?
იქნებ შეუწოთ დაშაშრული დამშეულ ბუხარს?
თქვეს: უნდა მოვჭრათ! აქ რას გვარგებს?
ნაჯახი დაჰკრეს...“**

როგორც ვხედავთ, ამ ლექსში თხრობით მანერას ლირიკული განცდებიც ერთვის. ასეთი ხასიათის ლექსი კი ბალადის ფანრს მიეკუთვნება. სანდრო შანშიაშვილის ამ ლექსს ქვესათაურად თუმცა არ აწერია „ბალადა“, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არის უდავოდ ლიტერატურული ხასიათის ბალადა.

ხალხურ ბალადებში, როგორც წესი, ძირითადად ასახულია ერთი რომელიმე კონკრეტული ეპიზოდი გმირის ტრაგიკული ცხოვრებიდან. ამგვარი ხასიათისაა რაფიელ ერისთავისა და ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული ბალადებიც. სანდრო შანშიაშვილიც ქართული ლიტერატურის კლასიკურ ტრადიციას აგრძელებს — მის ნაწარმოებშიც ჩვენი ქვეყნის ერთი ტრაგიკული ამბავია ალევორიული ხერხით გადმოცემული (ილიას მკვლელობა, გნებავეთ, ვიგულისხმობთ საქართველოს ოკუპაცია საბჭოთა რუსეთის მიერ ან 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობა. მართალია შალვა აფხაიძე, როდესაც ამბობს: „შეიძლება მას სხვადასხვა ახსენა მოუძებნოს მკითხველმა“—ო. ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები ხომ მრავალგანზომილებიანია.). „როგორც პოეტი და დრამატურგი, სანდრო შანშიაშვილი ზედმიწევნით დაძაბული, ტრაგიკულამდე ამაღლებული სიტუაციებისა და მდგომარეობების მხატვარია“ (ნოდარ ჩხეიძე, კრიტიკული წერილები, 1977).

როგორც შალვა აფხაიძე აღნიშნავს, ამ ბალადის გამოქვეყნებას ქართველ მწერალთა ნაწილში აურზაური გამოუწვევია და პოლიტიკური ხასიათის ბრალდებაც კი წაუყენებიათ მისი ავტორისათვის. მწერლების ამ ნაწილში უთუოდ პროლეტკულტელები უნდა იგულისხმებოდნენ. ისინი თავს ესხმოდნენ ქართული მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებებს და იდეოლოგიურ ზემოქმედებას ახორციელებდნენ მათზე. ერთ-ერთი თავდასხმის ობიექტად სხვა მწერალთა ნაწარმოებების გვერდით სანდრო შანშიაშვილის ერთი ლექსიც გამხდარა:

„ნუთუ რევოლუციონური მნიშვნელობის ფაქტებათ შეიძლება ჩაითვალოს მ. ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“, გრ. რობაქიძის „გველის პერანგი“, შ. დადიანის „უბედური რუსი“, ს. შანშიაშვილის „ცოლი რუსთველის“, ნ. შიუკაშვილის „ამერიკელი ძია“ და სხვა მრავალი ის წვრილმანი ფაქტები, რომლითაც უხვად ვარჯიშობენ ამ უკანასკნელ დროს ქართველი მწერლები“ (ალ. სულავა, შენიშვნები ლიტერა-

ტურულ თანამგზავრებზე, ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა“, №11-12, 1927).

მიხილ ჯავახიშვილის, გრიგოლ რობაქიძის და შალვა დადიანის აქ დასახელებული ნაწარმოებები თუ „წვრილმანი ფაქტები“ ქართული ლიტერატურისთვის, მაშინ რაღა უნდა ითქვას მედროვე მწერალთა წყაღწყალა ლექსებსა და რომანებზე? ბუნებრივია, ასეთი სახის კრიტიკოსები და დამსმენები სანდრო შანშიაშვილს არ მოასვენებდნენ და აიძულებდნენ, ეწერა საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიძღვნილი დიტირამები. და აი, ასეთი ძალდატანების შედეგია სწორედ ის, რომ ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავზე ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ (8-9) სანდრო აქვეყნებს ბალადას „დედისერთა ვაჟიკა“ (შემდეგში ამ ნაწარმოებს ეწოდა „დედისერთა ლენინთან“). ნაწარმოები მოჭრილია ქართული ხალხური საგმირო ბალადის სტრუქტურულ თარგზე, დატვირთულია ემოციური მუხტით, მაგრამ მასში მაინც არ არის ის მხატვრული სიმართლე, გულწრფელობა და დამაჯერებლობა, რაც საერთოდ ახასიათებს ხალხურ ბალადას. თუ ქართული ხალხური ბალადის გმირები საკუთარ მიწა-წყალსა და ვაჟკაცურ ღირსებას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდნენ, შანშიაშვილის ბალადის გმირი სხვა ქვეყნის სამსახურში ჩამდგარა და ლენინის კვალს გაჰყვოლია.

**ის იბრძოდა ნითლებთან, ნითელ დროშას იცავდა,
ჯარისკაცი რუსეთში ლენინს გაჰყვა მტკიცედა...**


ყველასათვის ცნობილია, რომ ქართველი ჯარისკაცები თავისი ნება-სურვილით არ მიდიოდნენ რუსის ჯარში. ასევე დაუჯერებელია ერთი ქართველი კრიტიკოსის მტკიცება, თითქოს „იმპერიალისტურ ომში ძალით წაყვანილი ქართველი ვაჟკაცი ნებით ჩამდგარა ლენინის დიადი საქმისათვის მებრძოლთა რიგებში და ხალხის კეთილდღეობისათვის თავიც გაუწირავს“ (ანდრო მირიანაშვილი). ეს ბალადა სასკოლო სახელმძღვანელოებში იყო შეტანილი და მსახიობები ხშირად კითხულობდნენ სცენაზე, მაგრამ მას ძალიან ხანმოკლე სიცოცხლე აღმოაჩნდა და საბჭოთა წყობილების დასრულებასთან ერთად ისიც დავიწყებას მიეცა.

ერთ-ერთ ინტერვიუში სანდრო შანშიაშვილი კომუნისტების თვალის ასახვევად ამბობს: „თუ მწერალს უფლება აქვს ილაპარაკოს თავის ნაწერებზე, მაშინ ვიტყვი, რომ ჩემი ლექსი „დედისერთა ლენინთან“ დღემდე მალეღვებს და ჩემს საუკეთესო ნაწარმოებად მიმაჩნია“) თქვენც რომ გახსოვდეთ, ახალგაზრდებო, 1977). იდეოლოგიურ მარწმუნებში მოქცეული ქართველი მწერალი იძულებულია დათმობაზე წავიდეს და აღიაროს, თითქოს ოქტომბრის რევოლუციის ბელადმა დააყენა ის სწორ გზაზე: „შვეიცარიაში, ციურიხში ყოფნის დროს მე მოვისმინე ლენინის ლექციები... ლენინის ლექციებმა მე თითქოს თვალები ამიხილა და ქვეყანა ახლებურად დამანახა. ამ შთაბეჭდილებების გავლენით დაწერე ლექსები „დედისერთა ლენინთან“ და „ლენინი ჯავშანოზე“.

სანდრო შანშიაშვილმა, მეოცე საუკუნის სხვა მწერალთა მსგავსად, იძულებით მიიღო საბჭოთა სინამდვილე. მისი „დედისერთა ლენინთან“ სრულიად ეწინააღმდეგება ბალადას „მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში“, რომელიც ავტორმა 1924 წლის აჯანყების წლისთავზე დაწერა. საყურადღებოა, რომ ეს ნაწარმოებები ერთმანეთის გვერდითაა დაბეჭდილი ქართული პოეზიის მე-12 ტომში (შემდგენლები: გივი გეგეჭკორი, ემზარ კვიციანიშვილი, ტარიელ ჭანტურია, ნინასიტყვაობის ავტორი თეიმურაზ დოიაშვილი, „ნაკადული“, 1982), რაც უფრო მეტად გვაგრძნობინებს იდეურ წინააღმდეგობას ამ ორ ბალადას შორის.

ნინო დოლიძე

ქართულად ამეცხველებული არაბი პოეტიკი



„ქართული აკადემიური ნიგნის“ მიერ გამოცემული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიგნის — „არაბი პოეტები V-XX სს.“ მთარგმნელი, არაბისტი ნანა ფურცელაძე ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორია. უკვე 55 წელზე მეტია პედაგოგიურ, სამეცნიერო და მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწევა. 70-მდე სამეცნიერო ნაშრომის (მათ შორის — მონოგრაფიების) ავტორს გამოქვეყნებული აქვს სტატიები საქართველოში, გერმანიაში, რუსეთსა და პოლონეთში. აღსანიშნავია ნა-

ნა ფურცელაძის მთარგმნელობითი მოღვაწეობა. მას ეკუთვნის არაბულიდან შესრულებული არაერთი მხატვრული თარგმანი, მათ შორის „ათას ერთი ღამის“ რვიდან ოთხი (I, II, V, VI) ტომი, ისლამამდელი პოეზიის კრებული „მულაჰები“, თანამედროვე არაბული ნოველები. ნანა ფურცელაძის პოეტური თარგმანები წლების განმავლობაში ქვეყნდებოდა ლიტერატურულ პერიოდიკაში. სასიხარულოა, რომ ახლა ერთ ნიგნად გამოიცა. კრებულში შესული რამდენიმე ლექსი აქამდე არც ყოფილა გამოქვეყნებული.

„არაბი პოეტები V-XX სს.“ გახლავთ თხუთმეტი არაბი ავტორის ლექსების თარგმანთა კრებული, რომელიც, ცხადია, V-XX სს-ის ყველა პოეტს არ მოიცავს, მაგრამ მკითხველს წარმოდგენას უქმნის არაბული პოეზიის განვითარების დინამიკაზე მთელი თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში. პირველი რვა ავტორი ისლამამდელ (ე.წ. ჯაჰილიის) პერიოდში (IV-VII სს-ის I ნახევარი) მოღვაწეობდა, შემდეგი ერთი — ომაიანთა (622-750), ხოლო ორი — აბასიანთა (750-1055) ეპოქაში. კრებულში შემავალი ბოლო ოთხი პოეტი XX საუკუნის „ახალ პოეზიას“ ქმნიდა.

ყოველთვის, როცა ლექსის თარგმანზე მიდგება საქმე, მახსენდება მიხეილ ქვლივიძის პატარა ლექსი:

**შეგიძლიათ, აღმინეროთ სურნელება ვარდის?
და მიხატოთ ისეთი რამ, რაც არაფერს არ ჰგავს —
ხის შრიალი, ვაშლის გემო, სიყვარულის მადლი?
მამ, მითხარით, როგორ ბედავთ პოეზიის თარგმანსა?!**

ნანა ფურცელაძემ გაბედა და ძალიან სწორადაც მოიქცა, რადგან შედეგად მივიღეთ ნიგნი, რომელიც არამარტო აღმოსავლეთმცოდნეებისთვის, არამედ ჩვენი საზოგადოებისთვის, ქართული კულტურისთვის მნიშვნელოვანი შენაძენია. მთარგმნელმა შეძლო ორიგინალიდან სწორედ იმ უხილავის, გამოუხატავისა თუ სიტყვებით უთქმელის გადმოტანა, რასაც არც კი ვიცო, რა დავარქვა — რაც ისეთივე რთული აღსანიშნავია, როგორც „სურნელება ვარდის“, და ისეთივე რთული და-

სახატი, როგორც „სიყვარულის მადლი“. ამ თარგმანებში გამოვლინდა არამარტო სხვადასხვა ეპოქის სული, არამედ ერთი ეპოქის პოეტთა განსხვავებული სტილიც. სტილი კი, მოგეხსენებათ, ურთულესი, ყველაზე ძნელად ასახსნელი მოვლენაა მხატვრულ თარგმანში.

კრებულში წარმოდგენილი ისლამამდელი პოეზიის ნიმუშები ორიგინალთან მაქსიმალური სიახლოვით გამოირჩევა. მთარგმნელს მნიშვნელობის დაზუსტების მიზნით ჩამატებულ სიტყვებზე ფრჩხილებიც კი არ მოუხსნია. VI სს-ის პოეტ შანფარას ლექსში „არაბთა ღამია“ რამდენიმე ასეთი ადგილი გვხვდება:

**დედაჩემის ვაჟიშვილებო, ნამოაყენეთ აქლემები
(გასამგზავრებლად).
მე კი სულ სხვა ოჯახისკენ მიმინევს გული.
...
მე არა ვარ წყურვილისგან (პირგამომშრალი),
აქლემებს რომ საღამოს მწყემსავს...
...
როდესაც ჩემი (აქლემის) ჩლიქს შეხვდება მინა
ქვალორლიანი,
ნაპერწკლები და (ქვის) ნასხლეტები აქეთ-იქით
იფანტებიან.
...
გალეულ (ფეხებს) რომ გავჭიმავ, მისი სახსრები
გვანან კამათლებს, ყომარბაზს რომ სწორად დაუდგამს.
...
მე კი (მზის გულს) სახეს ვუშვერდი,
რომელსაც მხოლოდ ზოლიანი ნაჭერი-ლა თუ იფარავდა.**

ცხადია, ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები ორიგინალში არ არის, მაგრამ იგულისხმება. მთარგმნელი ისლამამდელი პოეზიის თარგმნისას თავს არიდებს ინტერპრეტაციას. ეს ხაზს უსვამს მის დამოკიდებულებას ძველი პოეტური ნიმუშების მიმართ. სქოლიოებში განმარტებულია არამარტო საკუთარი თუ გეოგრაფიული სახელები, არამედ ის მყარი მეტაფორებიც, რომელთა უცოდნელადაც შეუძლებელია ძველი არაბული პოეზიის გაგება. არაბი პოეტები ქმნიდნენ თავისებურ პოეტურ ხატებს, რომელთა წვდომისა და სწორად თარგმნისთვის უნდა გესმოდეს ამ პოეზიის მეტა-ენა. მაგალითად, „თეთრი, ბასრი“ არის ხმალი, „უგზოუკვლო, თვალუწვდენელი“ — უდაბნო, „ლაქებიანი, ბალანმოკლე“ — ჯიქი... ნანა ფურცელაძის სადოქტორო დისერტაცია „სიმბოლო-ფორმულა არაბულ ლიტერატურაში“ სწორედ ამ საკითხს ეხება.

ნიგნის წინათქმამში ქ-ნი ნანა აღნიშნავს: „ამ ძეგლებში ასახულია მომთაბარე არაბთა — ბედუინთა ცხოვრების სურათები, ზნეობრივი იდეალები: სიყვარული და სიძულვილი, მტრობა, ომები, ფიქრები სიცოცხლესა და სიკვდილზე, უდაბნო, უდაბნოში სახიფათო მოგზაურობა...“

ერთი სიტყვით, ეს გახლავთ „ბედუინური პოეზია“, რომლის თარგმნაც, პირველ რიგში, პოეტური ტექსტის მეცნიერულ ინტერპრეტაციას გულისხმობს, შემდეგ კი ესთეტიკური ხიზლის შენარჩუნებას. ესაა პოეზია, რომლის კითხვისას თვალწინ გადაგვმლდება უდაბნო — „მოშიშვლებული ფარის ზურგივით“, ასევე მხოლოდ უდაბნოსთვის დამახასიათებელი „ღამე უღამესი“, მოგზაურები, რომელთა თანმხლები „შოში, შიშშილი, სიცივე და თავსხმაა“, აქლემები, რომელთაგან ზოგი ჩამორჩება, ზოგს კი „მარეკი მიაყოლებს სხვების კვალდაკვალ“, სატრფოს დალაღები — „ხშირი, როგორც დახუნძლილი პალმის კუნწულა“...

უკვე ისლამამდელ ხანაში აფიქრებდათ პოეტებს ამქვეყნიური ცხოვრების წარმავლობა:

**სად გინახავს, რომ მარადისი ყოფილიყოს ვინმე
ამქვეყნად,
ანდა მფარველს დაეფაროს დაღუპვისაგან.'**

ეს თემა განსაკუთრებული სიმძაფრით ნატირალეში იკვეთება:

შენ დაგამწუხრა, ბედისწერამ რაც უყო ვაჟკაცს. რომელ ღირსეულს არ სწევია უბედურება?!

მე ვფიცავ შენს თავს, მკითხავენმა და მჩხიბავენმა არ იციან, ღმერთი რას იზამს.²

არაბულ პოეზიაში, რა თქმა უნდა, თავიდანვე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სატრფიალო ლექსს. კრებულში შესულია გამორჩეული მეომრის ანთარას² (+614) ლექსი, რომელიც პოეტმა თავის მშვენიერ ბიძაშვილს — აბლას — უძღვნა:

შენ გამახსენდი, როცა შუბები ჩემ სხეულში წყურვილს იკლავდნენ და ჩემი სისხლი დასდიოდა ინდურს, ორლესულს.

ვისურვე ხელმა სატევრის პირს დავნაფებოდი, რადგან შენ ბაგეს მაგონებდა მახვილთა ელვა.

შუასაუკუნეებში კიდევ უფრო ღრმავდება ისლამმდელი პოეზიის თემები, ცალკე ჟანრებად ყალიბდება და ვითარდება სატრფიალო ლირიკა (დაზალი), ფილოსოფიური ლირიკა ამქვეყნიური ცხოვრების საზრისსა თუ წარმავლობაზე (ზუჰდია) და ე.წ. ღვინის პოეზია (ხამრია). ამ უკანასკნელში რელიგიის მიმართ ცინიკური დამოკიდებულებაც გამოსჭვივს. დედით (ზოგი წყაროს მიხედვით კი — მამითაც) სპარსი, VII-IX სს-ში მოღვაწე არაბულენოვანი პოეტი აბუ ნუვასი წერს:

შესცოდე მეტი ამაქვეყნად, რაც შეიძლება. რადგან შეგხვდება იმ ქვეყანას მონყალე ღმერთი.

და იქვე დასძენს:

თუკი მანიჭებს ნეტარებას ღვინის სმა ლხინში. მე დასალევად მარხვის ბოლოს ვერ ველოდები.

ჰედონიზმი აბუ-ლ-ათაჰიას (748-828) შემოქმედების პირველ ეტაპზე იჩენს თავს, თუმცა ცხოვრების მიწურულს იგი უფრო მეტად ფიქრობს სიკვდილზე:

სიკვდილი ბჭეა, სად ყოველი ჩვენგანი შევა. ნეტა ვიცოდე, იმის იქით რა სავანეა.

ღმერთს თუ აამებ, ნალკოტია მარადიული, თუ ვერ შეძელი, ჯოჯოხეთის გელის გენია.

ყველა ეპოქის ლექსების თარგმანი სიღრმით, პოეტურობითაა აღბეჭდილი. თუმცა მათ შორის განსხვავებაც თვალნათლივია. სულ სხვაა XX ს-ის პოეზია. მთარგმნელმა შეძლო ვერლიბრშიც შეენარჩუნებინა ორიგინალის შინაგანი მუსიკალურობა, რაც არცთუ იოლი ამოცანაა.

გასულ საუკუნეში მოღვაწე არაბ პოეტთან მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე ყველაზე აქტიურად სირიელი ნიზარ კაბანი (1923-1938) ითარგმნება. მისი სასიყვარულო ლირიკის არაერთი ნიმუში ქართულად სწორედ ნანა ფურცლაძემ აამეტყველა:

მასწავლა შენმა სიყვარულმა ყარბთა დარდებს, ღამე ვეება სევდად რომ აქცევს...

ნიზარ კაბანას ლექსები სხვა ქართველ მთარგმნელებსაც აქვთ გადმოტანილი, ეგვიპტელ მუჰამად აჰმად ჰამადს კი (1941) მხოლოდ ნანა ფურცლაძის წყალობით ვიცნობთ როგორც სიმბოლისტთა თავყანისმცემელს, ბოდლერის „პარიზის სპლინის“ ფრანგულიდან არაბულად მთარგმნელს, რომელიც თვითონაც განიცდის ევროპული პოეზიის გავლენას:

შეგვიწყალე, ყინვის უფალო, სიცარიელის სარკვეებზე თეთრი ფიფქებით შიშის ქმნილებებს რომ დახაზავ ზღაპრულ ხაზებად.

ახალ არაბულ პოეზიაში გამორჩეული ადგილი უჭირავთ პალესტინელებს, რომელთაგან კრებულში ორის — პოეტი ქალის დუნია ალ-ისმაილისა და მაჰმუდ დარვიშის — ლექსებია წარმოდგენილი. ალ-ისმაილი 50-იან წლებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. სიყვარულზე, პირად გრძნობებზე, ქალის თვალთ დანახულ სამყაროზე ღრმა განცდებით დაწერილ მის ლექსებს შორის პალესტინელი არაბებისთვის მტკივნეული სამშობლოს თემაც ჩნდება:

სამშობლო, რაიც დიდი ხანია მხოლოდ წიგნის ფურცლებზე ცხოვრობს,

მეგონა... ერთ დღეს გამოვიდოდა და თავის ამბოხს განაცხადებდა... და სიამაყეს, მაგრამ დღეს ვხედავ, მისი ყოფა გაგრძელდება ძალიან დიდხანს მე მოვამზადებ ახალ ოცნებებს. და მწუხარებას ნიშანდობლივ თვისებად ვაქცევ.

ეს არის შეგუება ტკივილთან, რომელსაც პალესტინის დაკარგვა ჰქვია. ეს არის ტკივილი, რომელიც მაჰმუდ დარვიშის პოეზიაში ტრაგიზმად იქცევა და მთელ მსოფლიოში გავრცელდება, ხოლო ქართულად:

მატარებელმა სწრაფად ჩაიარა. მე ჩამიარა... მე კი ისევ ველოდებოდი.

მატარებელი ცხოვრებაა, რომელიც გავიდა, მაჰმუდ დარვიში 2008 წელს ისე გარდაიცვალა, რომ ბეირუთში, პარიზში, ტუნისსა თუ იორდანიაში ცხოვრების შემდეგ კვლავ ამაოდ ელოდა სამშობლოში დაბრუნებას.

ამ ერთი კრებულისთვის თვალის გადავლებით თვალწინ წარმოვიდგება მთელი არაბული პოეზია — დაწყებული იმ ეპოქიდან, როცა ლექსს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა არაბთა ცნობიერების ჩამოყალიბებაში, დამთავრებული იმ ეპოქით, როცა ინფორმაციით გაჯერებულ სამყაროში თითქოს ლექსის ადგილი აღარც არის. თუმცა კვლავ არიან პოეტები, რომლებიც ქმნიან. და ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს მთარგმნელები, რომლებიც ეცნობიან ურთულეს ენაზე შექმნილ პოეზიას, თარგმნიან და ცდილობენ, ქართულად ამეტყველებული არაბი პოეტები სხვებისთვისაც მისაწვდომი გახადონ.

დიდი მადლობა ამისათვის ქალბატონ ნანას.

¹ ადი იბნ აბუ ზაიდი (+604) — მისი ლექსები ითვლება პესიმისტური რეფლექსიის ერთ-ერთ წყაროდ შუა საუკუნეების არაბულ პოეზიაში.

² ლაბიდი (+611) — უკანასკნელი ბედუინი პოეტი, რომელიც მოესწრო ისლამს და აღიარა კიდევც.

³ ამ პოეტის შესახებ ზეპირი გადმოცემების საფუძველზე ჯვაროსნული ომების დროს 32-ტომიანი ხალხური რომანი „ანთარას ცხოვრება“ შეიქმნა.

მთარგმნელისაგან

სტენდალი

ნაპოლეონის ცხოვრება

(წარმართვა)

შეიძლება ითქვას, რომ ნაპოლეონის სახე სტენდალის შემოქმედების განუყოფელ ნაწილად იქცა. რომანებში, ესეებსა და პირად წერილებშიც გამომდებით ახსენებს ამ დიდ პიროვნებას, რომელმაც ასე შეცვალა XIX საუკუნის ევროპის ისტორია და თითოეული ადამიანის ბედი. ამ მხრივ გამორაკლის არც სტენდალი — ანრი ბეილი წარმოადგენს. თავად მის სიტყვებს თუ გავისხენებთ, წილად ერგო ბედნიერება თავისი ცხოვრების გარკვეული წლები მის სიახლოვეს გაეტარებინა. ვერ ვიტყვი, რომ ის ყოველთვის აღფრთოვანებით იგონებდა იმ წლებს, როცა ძლევამოსილი ჯარის ინტენდანტად მსახურობდა, არც მისეული შეფასება ერთგვაროვანი. დროთა განმავლობაში იცვლებოდა შეხედულება: თუ თავიდან აღფრთოვანება ჭარბობდა და ხშირად ნაპოლეონს თავის გმირად მოიხსენებდა, დრომ განწყობა შეცვალა და შეფასებაც უფრო კრიტიკული გახდა.

სტენდალის აზრს მართლაც უდიდესი როლი ენიჭება ნაპოლეონის პიროვნების შესწავლისას. მწერალმა კარგად იცოდა ადამიანის ბუნება და გასაკვირი არ არის, რომ შეძლო ყველაგან განსხვავებულად შეფასებინა დიდი მხედართმთავრის სულიერი სამყარო. მითუმეტეს, უშუალოდ ჰქონდა მის სიახლოვეს ყოფნისა და დაკვირვების შესაძლებლობა. გარდა ამისა, კარგად იცნობდა იმპერატორის უახლოეს გარემოცვას, მოესხნებოდა მათ შეხედულებას. მოგვიანებით თავი მოუყარა ბევრის მოსაზრებას და განათავსა თავის ნაშრომში „ნაპოლეონის ცხოვრება“.

სტენდალი წლობით მონანილებოდა ნაპოლეონის სხვადასხვა ლაშქრობაში, მათ შორის იტალიასა და რუსეთში. ამ სამხედრო ოპერაციების მისეული შეფასება მეტად მნიშვნელოვანია. მართალია, ნაპოლეონის წარმატებისა თუ მარცხის შესახებ მისი თანამედროვენიც და შემდგომი ხანის ისტორიკოსებიც ბევრს წერენ. მაგრამ ძნელი სათქმელია, რამდენად ობიექტურია მათ მიერ გამოთქმული შეფასებანი, ზოგჯერ ავტორები უფრო მეტად საკუთარ მოსაზრებას ვითვალისწინებენ და არა რეალურ ფაქტებს, ან უკვე გავრცელებულ აზრს იმეორებენ. ამიტომაც განსაკუთრებით ღირებულია სტენდალისეული შეფასება, რადგან იგი უშუალოდ იყო ნაპოლეონის მოღვაწეობის თვითმხილველი. სტენდალის მეშვეობით შეგვიძლია დავინახოთ ნაპოლეონის პიროვნული და ადამიანური თვისებები, ყოფითი ჩვევები, დამოკიდებულება ირგვლივმყოფებთან, ურთიერთობა ხელქვეითებსა და თანამებრძოლებთან, ოჯახის წევრებთან, გავიაროთ ის მიზეზები, რამაც განაპირობა დიდი მხედართმთავრის წარმატება თუ მარცხი.

თავდაპირველად სტენდალი თავის შთაბეჭდილებებს ხშირად უზიარებდა გარშემომყოფთ, განსაკუთრებული ინტერესი ამ მხრივ ჯორჯ გორდონ ნოელ ბაირონმა გამოიჩინა, რომელიც სტენდალმა მილანში 1816 წელს გაიცნო და მათი ხანგრძლივი საუბრები ლა სკალას თეატრის ლოჟაში უმეტესად ნაპოლეონს ეხებოდა. ინგლისელ პოეტს ყველაფერი აინტერესებდა დიდი მხედართმთავრის შესახებ და ზოგჯერ საკუთარ თავს მას ადარებდა კიდევაც. ამბობდა, რომ მხოლოდ მათ ჰქონდათ ერთნაირი ინიციალები — ნ.ბ. (ნაპოლეონ ბონაპარტე და ნოელ ბაირონი).

1817 წელს სტენდალი იტალიიდან საფრანგეთში დაბრუნდა. ქვეყნის მდგომარეობამ ბურბონთა ხელისუფლების აღდგენის შემდეგ მას ათქმევინა: „გამონათების მერე ლაფში აღმოჩნდით“. ირგვლივ ნაპოლეონის მიმართ უარყოფითი განწყობა სუფევდა, ქვეყნდებოდა სხვადასხვა პასკვილი, რამაც დააჩქარა სტენდალის გადაწყვეტილება, დროულად განეხორციელებინა ჩანაფიქრი და 1818 წელს დაასრულა თავისი პირველი ნაშრომი ნაპოლეონის შესახებ. მაგრამ მწერალმა ნაპოლეონის სიცოცხლეშივე მისი გამოქვეყნება წაადრევედა მიიჩნია და რამდენიმე ხელნაწერი თავის ახლობლებს დაურთავა.

„ნაპოლეონის ცხოვრება“ მცირეოდენი შესწორებებით ავტორმა 1838 წელს გამოსცა. მეორე ნაშრომი ცხოვრების მიწურულს შექმნა და უწოდა „მოგონებანი ნაპოლეონზე“. ის მხოლოდ 1854 წელს გამოაქვეყნა სტენდალის ლიტერატურულმა მემკვიდრემ რომენ კოლომბმა, რომელმაც თავს უფლება მისცა ზოგი რამ შეეცვალა. მოგვიანებით მოძიებული მასალის მიხედვით შესაძლებელი გახდა ტექსტის უმეტესი ნაწილის აღდგენა. სტენდალი არ შემოიფარგლა მხოლოდ ამ ნაწარმოებებით. გარდა ამა თუ იმ რომანსა და ესეიში გამოთქმული მოსაზრებისა, ვრცლად საუბრობს ნაპოლეონის შესახებ თავის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებშიც „ანრი ბრიულოარის ცხოვრება“ და „მოგზაურის ჩანაწერები“. აგრეთვე ძალზე საინტერესოდ აღწერს მარენგოს ბრძოლის ეპიზოდებს რომანში „კარმის სავანე“.

ნაწარმოების შესავალში სტენდალი ჩვეული მოკრძალებით მიუთითებს, რომ ნაპოლეონის პორტრეტის უფრო სრულყოფილად წარმოსაჩვენად, განსაკუთრებით საომარ მოქმედებათა აღწერისას, გამოიყენა 1818 წლამდე გამოსული სხვადასხვა ავტორის მოგონებებისა თუ ისტორიულ მონოგრაფიათა ფრაგმენტები და ესეიში განათავსა ზოგიერთი ამონარიდი, რომლებიც სანდო წყაროდ მიიჩნია.

გთავაზობთ სტენდალის „ნაპოლეონის ცხოვრებიდან“ ფრაგმენტების ქართულ თარგმანს. ის წარმოადგენს ავტორის უშუალო შთაბეჭდილებათა ანარეკლს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებლობა გვქვია უკეთ წარმოვიდგინოთ ნაპოლეონის ჩვენთვის ნაცნობი თუ უცნობი სახე.

ნაპოლეონის ისტორიას ერთი პასკვილის საპასუხოდ ვწერ. უცნაურია, რომ პასკვილი შექმნილია ჩვენი საუკუნის გამოჩენილი მწერლის¹ მიერ იმ ადამიანის საწინააღმდეგოდ, ვინც მეოთხე წელია მთელი მსოფლიოს მბრძანებლებმა ტანჯვისთვის განირჩეს. უნარი არ შემწეებს აზრი ჩემი კეთილშობილი მონინააღმდეგის მსგავსად გამოვთქვა. მოხვეჭილი სახელის გარდა, მადამ დე სტალს დიდი ქონებაც ჰქონდა და საზოგადოებაშიც მიღებული იყო, თანაც ბევრი უღირსი ადამიანი განადიდა. მისი სიკვდილის შემდეგ ფრთა შეესხა ყველა მწერალს, ვინც მუდამ მზადაა მთავრობის უკეთურებას უთანაგრძნოს, როგორც უნდა იყოს მისი არსი. ქვემოთ მოთხრობილი ამბავი ისტორიას არ წარმოადგენს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მხოლოდ მოვლენათა მონაწილეებისა და მათ თანამედროვეთა ისტორიაა.

ნაპოლეონი 1769 წლის 15 აგვისტოს აიაჩოში შარლ ბონაპარტესა და ლეტიცია რამოლინის ოჯახში დაიბადა. მამა, არცთუ უნიჭო ადამიანი, პაოლის² არმიამი მსახურობდა, ხოლო მას შემდეგ რაც ფრანგებმა კორსიკა დაიპყრეს, რამდენჯერმე იყო არჩეული დეპუტატად დიდგვაროვანთა წრიდან. ოჯახი წარმოშობით ტოსკანადან გახლდათ, უფრო ზუსტად პატარა ქალაქ სან-მინიაგოდან, სადაც რამდენიმე საუკუნე ცხოვრობდნენ და ამ გვარის ზოგიერთი წარმომადგენელი კვლავაც იქ სახლობს. ნაპოლეონის ყოვლისშემძლეობის დროს მლიქვნელებმა მოიპოვეს, ანკი თავად შექმნეს საბუთები, თითქოს ისინი შუა საუკუნეებში ტრევიზოს მმართველები ყოფილიყვნენ. ეს მოსაზრება ისევე ნაკლებ შეესაბამება სინამდვილეს, როგორც მოგვიანებით ემიგრანტთა მიერ გამოგონილი ამბავი, თითქოს ის დაბალი ფენიდან იყო გამოსული. მისი და სენ-სირში³ იზრდებოდა, ეს კი ასაბუთებს, რომ ბონაპარტები ძველ არისტოკრატიულ გვარს მიეკუთვნებოდნენ.

კორსიკის მმართველი, გრაფი დე მარბეფი ლეტიცია ბონაპარტეს თავყანისმცემელი გახლდათ და მისი შუამდგომლობით ნაპოლეონი ბრიენის⁴ კოლეჟში ჩაირიცხა. ასაკით სხვებზე პატარა იყო, მათემატიკის სიყვარულითა და ლიტერატურის კითხვის დიდი სურვილით გამოირჩეოდა, თუმცა აღმზრდელებს აღიზიანებდა, როცა ჯიუტად არ სწავლობდა ლათინურს. ყოველგვარი მცდელობა, აქედლებინათ ესწავლა ლათინური ლექსები და გრამატიკის საფუძვლები, აზრს იყო მოკლებული. რის გამოც სასჯელად ერთი თუ ორ წლით მეტხანს მოუწია კოლეჟში სწავლა. ეს წლები ყველაგან გარიყულმა, მარტობაში გაატარა. ის არასდროს ერთვებოდა ამხანაგების თამაშში, არასდროს ესაუბრებოდა მათ. მეოცნებემ, ჩუმმა, მარტოსულმა, ამხანაგებს შორის სახელი თავისი მანერებით გაითქვა, როცა წარსული დროის დიდ ადამიანებს

ქცევითა და მეტყველებით ბაძავდა. კერძოდ, ცდილობდა სპარტელებით საკუთარი აზრები მოკლედ და მკაფიოდ გადმოეცა. ევროპის უბედურება ისაა, რომ ნაპოლეონი აღიზარდა სამეფო კოლეჟში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასწავლებელში, სადაც სასულიერო პირები სოფისტურ განათლებას ეტანებიან, რაც ორმოცდაათი წლით ჩამორჩება დღევანდელს. მას რომ განათლება ისეთ სასწავლებელში მიეღო, რომელიც სახელმწიფოს არ ექვემდებარება, იქნებ იუმის⁵ და მონტესკიეს⁶ ნაშრომები შეესწავლა და გაეაზრებინა, რა ძალას მატებს საზოგადოებრივი აზრი ხელისუფლებას.

ნაპოლეონმა პარიზის სამხედრო სკოლაში გააგრძელა სწავლა. იმდროინდელი გაზეთები იუწყებოდნენ, რომ მარსის მინდვრებიდან საჰაერო ბურთით ბლანშარის⁷ პირველი გაფრენის დროს, სამხედრო სკოლის ერთი მოწაფე, წინააღმდეგობის მიუხედავად, ძალით ცდილობდა გონდოლაში ჩაჯდომას. ეს ნაპოლეონი გახლდათ.

1785 წელს მან სავალდებულო გამოცდა ჩააბარა არტილერიამი მოსახვედრად. ოფიცრის ოცდათექვსმეტი ვაკანტური ადგილიდან მეთორმეტე ერგო და ლა ფერში განლაგებული პოლკის სუბლიეტენანტად დაინიშნა. სიაში მისი გვარის გასწვრივ მასწავლებელთა ასეთი შეფასებაა მიწერილი: „ეს ახალგაზრდა, წარმოშობით და ხასიათით კორსიკელი, წინ წავა, თუ სათანადო გარემოება შეექმნება.“

1791 წელს ნაპოლეონს მიენიჭა მეოთხე საარტილერიო პოლკის კაპიტნის წოდება. ზამთარში კორსიკაზე გამგზავნა, სადაც ვოლონტერთა პოლკი ჩამოაყალიბა, ნება დართეს ეხელმძღვანელა ამ პოლკისთვის, თანაც ფრანგული ჯარის კაპიტნად ითვლებოდა. აიაჩოს ეროვნულ გვარდიასთან ბრძოლის დროს მან თავი გამოიჩინა როგორც გამბედაობით, ასევე განონასწორებელი ხასიათით.

ნაპოლეონს დაევალია ნიცასა და სან-რემოს შორის სანაპირო ბატარეათა მეთვალყურეობა. ტულონის ალების შემდეგ ბატალიონის მეთაურის წოდება მიენიჭა. ერთხელ თავის ძმას ლუის თავდაცვითი ნაგებობანი დაათვალიერებინა. მისი ყურადღება იმ მონაკვეთმა მიიქცია, სადაც კარტომ⁸ თავისი უცოდინრობის გამო რესპუბლიკას დიდი და გაუმართლებელი ზიანი მიაყენა. გრძელი ბორცვები მეტყველებდნენ, რომ იქ უამრავი მეომარი იყო დამარხული. ნაპოლეონმა ძმას მიმართა: „ახალგაზრდავ, ნახეთ და დაიხსომეთ, სამხედროსთვის თავისი ხელობის საფუძვლიანად შესწავლისას ასევე საჭიროა გონიერება და სინდისი. არამზადას, რომელმაც ამ ჯარისკაცებს შეტევაზე გადასვლა უბრძანა, თავისი საქმე რომ სცოდნოდა, დახოცილთაგან უმეტესობა ცოცხალი იქნებოდა და რესპუბლიკას გამოადგებოდნენ. უცოდინრობის გამო ისინი და სხვა მრავალი გაფურჩქენის ასაკში დაიღუპნენ, მაშინ როცა შეეძლოთ დიდებისა და ბედნიერებისთვის მიეღწიათ.“

ეს სიტყვები აღლელებულმა და თითქმის ცრემლმორეულმა წარმოთქვა. უცნაურია, რომ ადამიანმა, ვისაც კაცთმოყვარეობის მსგავსი განცდა გააჩნდა, მომავალში თავის თავში დამპყრობლის ასეთი თვისებები გამოიმუშავა.

1794 წელს ნაპოლეონმა გენერალიტეტს იტალიის დაპყრობის გეგმა წარუდგინა. ბედისწერამ ინება და ეს გეგმა მანვე აღასრულა.

ნაპოლეონს ბრიგადის გენერლის წოდება მიენიჭა, მაგრამ ქცევის თვისებებებით და ნიჭით მალე იტალიური არმიის დანარჩენი გენერლები გააღიზიანა, რაც პარიზშიც გახდა ცნობილი და ის ვანდემი გადაიყვანეს, სადაც სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა.

ნაპოლეონი ვერ იტანდა სამოქალაქო ომს, რადგან საამისოდ ენერგიის ხარჯვა ბარბაროსობად მიაჩნდა. პარიზში წავიდა და რამდენიმე თვე უმუშევრად დარჩენილმა უსახსროდ გაატარა.

დაუახლოვდა ცნობილ ტალმას⁹, რომელიც ამ დროს იწყებდა თავის კარიერას და თუ შესაძლებლობა ეძლეოდა, სპექტაკლებზე დასასწრებად უფასო ბილეთებს ჩუქნიდა ნაპოლეონს.



ნაპოლეონ ბონაპარტე

ნაპოლეონი უსაზღვროდ უბედურად გრძნობდა თავს. ამ მომაბეზრებელი უსაქმურობის დროს მას მხსნელად ბარასი¹⁰ მოეგლინა, რომელმაც მისი ნიჭი ტულონის ალების დროს შეამჩნია. დირექტორიის წევრობის წყალობით ბარასმა ნაპოლეონს კონვენტის ჯარის მეთაურობა დაავალა.

პარიზში სამსახურისას ნაპოლეონმა თავი გამოიჩინა სამოქალაქო დაპირისპირების ჩაქრობისას, რისთვისაც დაინიშნა შინაგანი ჯარის დივიზიის გენერლად. ბარასმა მას გააცნო ჟოზეფინე დე ბოგარნე, რომელიც თავდავიწყებით შეუყვარდა. ეს იყო პარიზში სილამაზით და მომხიბვლელობით გამორჩეული ქალბატონი. ნაპოლეონი არ ყოფილა განებივრებული ქალების ყურადღებით. 1796 წელს ჟოზეფინეზე დაქორწინდა და მალე, გაზაფხულის პირას, ბარასისა და კარნოს¹¹ შუამდგომლობით იტალიაში მოქმედი ჯარის მთავარსარდლად დაინიშნა.

მეტად დიდ დროს მოითხოვს ნაპოლეონის წარმატებათა აღწერა მონტენოტეს, არკოლესა და რივოლის მიდამოებში. ამ უკვდავი გამარჯვებების დანვრილებითი აღწერა შესაძლებლობას მოგვცემს გავიაროთ, რამდენად ზებუნებრივი იყო ეს ყოველივე. დრო, როცა ახალგაზრდა რესპუბლიკა ძველ ცივილიზაციას ამარცხებს, დიდებული, მშვენიერი ხანაა ევროპისთვის. ეს ნაპოლეონის ცხოვრების ყველაზე წმინდა, ყველაზე ბრწყინვალე დროა. ერთ წელიწადში მცირეოდენი ჯარით, შეზღუდული მომარაგების პირობებში გერმანელთა ჯარი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან კარინთის მთის შუაგულამდე შეავიწროვა. დაქსაქსა და გაანადგურა ყველა არმია, რომელსაც ავსტრიის სამეფო ოჯახი გამუდმებით აგზავნიდა იტალიაში და ევროპის კონტინენტს მშვიდობა მოუტანა. არცერთ ძველი თუ ახალი დროის მხედართმთავარს არ მიუღწევია ასე მოკლე დროში მსგავსი წარმატებისთვის ასე მცირე საშუალებებით და ასე ძლევამოსილ მეტოქესთან დაპირისპირებისას. ერთ წელიწადში 26 წლის ახალგაზრდამ შეძლო დაეჩრდილა ალექსანდრეს, კეისრის, ჰანიბალისა თუ ფრედერიკეს¹² სახელები. და თითქოს კაცობრიობის სისხლიანი გამარჯვების შესამკობად მარსის დაფნას მან ცივილიზაციის ზეთისხილის ტოტი შეჰმატა. საუკუნეთა მანძილზე ლომბარდია კათოლიციზმისა და დესპოტიზმის ბატონობამ განანადგურა, ის ბრძოლის ველად იქცა, სადაც გერმანია საფრანგეთს უპირისპირდებოდა. გენერალმა ბონაპარტემ რომის იმპერიის ამ მშვენიერ კუთხეს სიცოცხლე აჩუქა, ერთი ამოსუნთქვით ძველი დიდებაც დაუბრუნა და იქაურობა საფრანგეთის ერთგულ მოკავშირედ გახადა. ნაპოლეონმა რესპუბლიკა შექმნა და თავისი ახალგაზრდული ხელით ახალი წესები შემოიტანა, რითაც საფრანგეთს სარგებელი მოუტანა და მთელ სამყაროს ბედნიერება არგუნა.

ყველა შემთხვევაში მან თავი მშვიდობის თავდადებულ მომხრედ წარმოაჩინა. ხოტბა დაიმსახურა, მაგრამ არასდროს

შეუქციათ იმისთვის, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის პირველ-მა გამორჩეულმა მოღვაწემ ქვეყნის გაფართოება შეაჩერა და მთელი გულით მოინდომა მშვიდობის დამყარება. უდავოა, ეს შეცდომა იყო, მაგრამ იგი მეტად მიმდობი, მეტად მგრძობი-არე გახლდათ და კაცობრიობის ინტერესებს იცავდა. აი მიზე-ზი მისი ყველაზე დიდი შეცდომებისა. შთამომავლობა, რომელსაც ჭეშმარიტება სრულად მოხსენდება, წინამორბედებს პატივს მიაგებს და არ დაიფრებს, რომ თანამედროვეთა შურ-მა დიდი ადამიანი უფულო მტარვალად გამოიყვანა.

ნაპოლეონს კამპო-ფორმიოს ზავი რომ არ დაედო, შეეძ-ლო ავსტრია გაენადგურებინა და საფრანგეთისთვის თავი-დან აეცილებინა 1805 და 1809 წლების ლაშქრობები. როგორც ჩანს, ეს დიდი ადამიანი ამ დროისთვის მხოლოდ წარმატებუ-ლი ჯარისკაცი იყო, გასაოცრად ნიჭიერი, მაგრამ პოლიტიკა-ში მყარი პრინციპები ჯერ არ ჩამოყალიბებოდა.

იზიარებდა რა სხვების ქედმაღლურ მოსაზრებას, ნაპო-ლეონს არ გააჩნდა არავითარი მიზანმიმართული გეგმა საკუ-თარი ამბიციის დასაკმაყოფილებლად. „თუმცა, როგორც ბა-ტონი დე მერფელდი¹³ ამბობდა, — შეუძლებელი იყო მასთან ათი წუთი გესაუბრათ და არ დარწმუნებულიყავით მის ფარ-თო თვალთახედვასა და განსაკუთრებულ ნიჭიერებაში.“

მელცი¹⁴ წერდა, „ის ყველაფრით გაცივებდა, თავისებური მეტყველებით, აზროვნებით, ჩვევებით. ლაპარაკისას, ისევე როგორც საომარი მოქმედებისას, გამოსავალს უცხად პოუ-ლობდა, სწორად აფასებდა მოწინააღმდეგის სუსტ მხარეს და მისკენ მიმართავდა დარტყმას. იყო საოცრად საზრიანი, თუმ-ცა მის მოსაზრებათა მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი ემყარე-ბოდა წაკითხულს, მათემატიკის გარდა სხვა მეცნიერებათა შესწავლისას დიდი წარმატებისთვის არ მიუღწევია. მის მრავალმხრივ ნიჭში განსაკუთრებით გამოირჩეოდა გასაოცარი სიმსუბუქე, რომლის მეშვეობითაც ყურადღებას მიმართავდა ამა თუ იმ საგანზე და რამდენიმე საათს მასზე იყო მიჯაჭვუ-ლი, სანამ არ მიიღებდა რაიმე გადაწყვეტილებას, რაც იმ მო-მენტს ყველაზე მეტად მიესადაგებოდა. მისი ჩანაფიქრი ფარ-თო და ამავდროულად უჩვეულო გახლდათ, გენიალურად მო-ფიქრებული, მაგრამ ზოგჯერ ალუსრულებელი. არცთუ იშვია-თად წამიერი გალიზიანების გამო მასზე უარს თვითვე ამბობ-და, ან აჩქარებისას შეუსრულებელს ხდიდა. ბუნებით ფეთქე-ბადს, მიზანსწრაფულს, მკაცრს, შეეძლო ყოფილიყო ზედმი-წევნით მომხიბვლელი, და თუ ვინმეს თავის მხარეზე გადაბი-რება სურდა, გათვლილი თავაზიანობით, დიდი ხელოვნებითა და სასიამოვნო პირფერობით მოეხიბლა გარშემომყოფნი. სა-ერთოდ თავშეკავებულს და პირქუშს მრისხანების ყამს, რა-საც ამპარტავნობაც ემატებოდა, შეეძლო ისეთი ჩანაფიქრი გაემჟღავნებინა, რისი დაფარვაც განსაკუთრებით სურდა.“

ერთადერთი ადამიანი, რომელიც ნაპოლეონს მთელი ცხოვრება უყვარდა ჟოზეფინე იყო და ქალსაც მისთვის არას-დროს უღალატა.

„ტყვიას, რომელიც მე მომკლავს, ჩემი სახელი ეწერება“ — ამ სიტყვებს ხშირად იმეორებდა. მართალი გითხრათ, ჩემ-თვის ეს გაუგებარი იყო. ამაში მხოლოდ ფატალურობის გამო-ხატულებას ვხედავ, რაც ასე ბუნებრივია იმ ადამიანისთვის, რომელიც ყოველდღიურად შეიძლება ემსხვერპლოს ზარბაზ-ნის ყუმბარას ან ზღვის ტალღებს.

სუსტი აგებულების მიუხედავად, ენერგიისა და სიმტკიცის წყალობით, ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვა შეეძლო, რაც ჯარისკაცების თვალში შესაძლებლობის ფარგლებს სცილ-დებოდა. სწორედ აქ იმალება ერთ-ერთი მიზეზი ენით აღუწერე-ლი აღფრთოვანებისა, ჯარისკაცებს შორის რომ სუფევდა.

ეგვიპტის დაპყრობის გეგმაში მეტისმეტად ააფორიაქა რო-მანტიკული აზრებით აღსავსე სული და არაჩვეულებრივ თავ-გადასავლად წარმოსახა. „გახსოვდეთ, ამ პირამიდების სი-მაღლიდან თქვენ ოცდაათი საუკუნე დაგცქერით.“ ასე მიმარ-თა მან თავის ჯარისკაცებს.

თავდასხმისთვის, ისევე როგორც ევროპაში წარმოებული ყველა ომის გასამართლებლად, კანონიერი მიზეზის მოძიება ძნელი იყო. ფრანგებს მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდათ თურქეთის სულთანთან, რომელიც ეგვიპტის ნომინალურ მბრძანებლად ითვლებოდა. ბევრი კი, ქვეყნის ნამდვილი ბა-ტონ-პატრონები, ველურები იყვნენ და წარმოადგენა არ ჰქონ-დათ საერთაშორისო სამართალზე, ამიტომაც მას ვერაფრით დაარღვევდნენ. თანაც მსგავს მოსაზრებას არ შეეძლო დიდი გავლენა მოეხდინა ახალგაზრდა მხედართმთავრის გადაწყვე-ტილებაზე, რომელიც შეიძლება მიიჩნეოდა კიდევაც, რომ ეგ-ვიპტეში ცივილიზაციის შეტანით მათთვის სიკეთე მიჰქონდა.

ეგვიპტეში ნაპოლეონმა ომი ისეთივე ნესებით წარმართა, რო-გორც იტალიაში, მხოლოდ უფრო დაუნდობლად და უფრო აღმო-სავლურ ყაიდაზე. აქ ისეთივე ამპარტავან და მრისხანე ხალხთან მოუწია შერკინება, რომელთაც მხოლოდ არისტოკრატია აკლდა, რომაელებს რომ გატოლებოდნენ. ნაპოლეონი მათ მზაკვრობას მათივე ხერხის გამოყენებით სასტიკად სჯიდა. კაიროს მოსახლე-ობა გარნიზონს აუჯახყდა. ნაპოლეონი არ დასჯერდა, რომ სიკე-დილით დასაჯა ყველა, ვინც კი იარაღს ატარებდა, მათი სასული-ერო პირები დაადანაშაულა, რომ ისინი მოსახლეობას აგულია-ნებდნენ, დააჭერინა ორასი და ყველა დახვრიტა.

ეგვიპტესთან დაკავშირებით ნაპოლეონს ყოველთვის უყენებენ ბრალდებებს უმძიმეს დანაშაულში, განსაკუთრე-ბით მაჰმადიანობის ყალბად მიღების გამო.

იაფეს მოვლენების შესახებ ნაპოლეონი ყველაზე გულახ-დილად მილორდ ებრინგტონს ესაუბრა, როგორც ყველაზე გა-ნათლებულ და სანდო მოგზაურს, ვინც ის ელბაზე ინახულა. „ვერც კი წარმოიდგენთ, რა წარმატებას მივაღწიე ეგვიპტეში იმით, რომ დავარწმუნე, თითქოს მათი სარწმუნოება მივიღე“.

ეგვიპტიდან საფრანგეთში დაბრუნებისას ნაპოლეონმა არ იცოდა, რა ელოდა და სანამ ლიონში აღფრთოვანებულ შეხვედ-რას მოუწყობდნენ, მანამდე ვერც გაეგო, როგორ აღნიშნავდნენ მის თავდადებას — ტახტით თუ ემაფოტით. როგორც კი დირექ-ტორიამ ნაპოლეონის დაბრუნების ამბავი შეიტყო, პოლიციის მინისტრ ფუშეს¹⁵ მისი დაპატიმრება უბრძანა. სახელგანთქმულ-მა მოლაღატემ უპასუხა: „ეს ის ადამიანი არ არის, რომ თავი და-მაჭერიონოს, მე კი ის არ ვიქნები, ვინც მას დაიჭერს.“

მოულოდნელად, ბონაპარტე სურვილით და პირადი მონ-ვევით, 1799 წლის 18 ბრიუმერს (19 ნოემბერი) სენ-კლუში სხდომაზე თავი მოუყარეს უხუცესთა საბჭოს იმ წევრებს, რომლებსაც იგი ენდობოდა.

ნაპოლეონი უხუცესთა საბჭოს წინაშე წარსდგა და სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც არაერთგზის შეაწყვეტინეს შეძახი-ლებითა და ყვირილით კონსტიტუციის ერთგულმა დეპუტა-ტებმა, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ვისაც სურდა ხელი შეე-შალა იმ მოსაზრების წარმატებისთვის, რაც მათ არ ეკუთვნო-დათ. ამ გადამწყვეტ წუთებში ხუთასთა საბჭოში კიდევ უფრო უარესი სცენა გათამაშდა. ყველა ერთხმად ყვიროდა: „არ გვინდა დიქტატორი, ძირს დიქტატორი“.

გენერალი ბონაპარტე დარბაზში ოთხი გრენადერის თან-ხლებით შევიდა. დეპუტატებს შორის გაისმა შეძახილი: „რას ნიშნავს ყოველივე? აქ არ არის იარაღის და ჯარისკაცების ადგილი!“ დანარჩენებმა უფრო საღად შეაფასეს საფრთხე, გენერალს გარს შემოერტყნენ, ქეჩოში სწვდნენ, შეაჯანჯღა-რეს, თან ყვიროდნენ: „გამოვაცხადოთ კანონგარეშე! ძირს დიქტატორი!“

სცენის დასასრული ნაკლებად დამაჯერებელია. თითქოს ამ სიტყვების გაგონებისას ბონაპარტე გაფითრდა და თავის დასაცავად ხმა ვერ ამოიღო. გენერალი ლეფებვი¹⁶ მის და-სახმარებლად მივიდა და დარბაზიდან გაიყვანა. ამბობენ, ნა-პოლეონი მიხვდა რა, რომ საქმე წააგო, ცხენზე შეჯდა და პა-რიზისკენ გაემართა. ჯერ ხიდიც არ გაველო, როცა მიურატი¹⁷ წამოენია და შემდეგი სიტყვებით მიმართა: „წახვიდეთ — ნიშ-ნავს ყველაფერი დაკარგოთ“. ამ სიტყვებმა ნაპოლეონი გამო-

აფხიზლა, დაბრუნდა სენ-კლუში, მთავარ ქუჩაზე ჯარისკაცებს იარაღისკენ მოუწოდა და მიურატის თაოსნობით გრენადერები სენატიში გააგზავნა.

ათიოდე მშობარა ქურდაბაცაცასა და გამცემის ხელისუფლება სამხედრო დესპოტიზმში შეცვალა. რომ არა ეს დესპოტიზმი, საფრანგეთში 1800 წელსვე დატრიალდებოდა 1814 წლის მოვლენები, ან ტერორის დღეები დაბრუნდებოდა.

იმჟამად კი ნაპოლეონმა „ფეხი უზანგში გაუყარა“,¹⁸ როგორც იტალიური ლაშქრობის დროს ამბობდა ხოლმე. უნდა აღინიშნოს, რომ არცერთ მხედართმთავარს, არცერთ მონარქს არ ღირსება ასეთი დიდებული წელი, როგორც იყო მისთვის და საფრანგეთისთვის XVIII საუკუნის ბოლო წელიწადი.

გენერალ ბონაპარტეს მეტისმეტად ცუდად ესმოდა ქვეყნის მართვის ხელოვნება. სამხედრო სულისკვეთებით იყო გამსჭვალული და საკითხის განხილვისას მორჩილებას ითხოვდა. ძველი რომაული იდეების გავლენით, ადამიანის პირად ცხოვრებას არაფრად აგდებდა.

მას რომ განმანათლებლური იდეა მეტად გაეზარებინა, საზოგადოებრივი აზრის ძალა რომ სცოდნოდა, დარწმუნებული ვარ, ბუნება იმძლავრებდა და მასში დესპოტი აღარ აღმოცენდებოდა. ერთ ადამიანს არ ძალუძს ყველა ნიჭი შეითვისოს. ის კი იმდენად გასაოცარი მხედართმთავარი გახლდათ, რომ დიდი პოლიტიკოსი და კანონმდებელი ვეღარ იქნებოდა.

კონსტიტუცია, რომელიც მან საფრანგეთს შესთავაზა, შედგენილი იყო იმ გაანგარიშებით და მხოლოდ იმაზე გათვლილი, რომ ეს მშვენიერი ქვეყანა შეუმჩნევლად კვლავ აბსოლუტურ მონარქიად ექცია, და არა იმაზე, რომ დაეგვირგვინებინა მისი სწრაფვა თავისუფლებისკენ.

ნაპოლეონი თავის ოცნებებში მხოლოდ სამეფო გვირგვინს ხედავდა. ეს გაქუცული სათამაშო თვალს უბრმავებდა. შეეძლო რესპუბლიკა ჩამოეყალიბებინა, ან მართვის ორპალატიანი სისტემა მაინც შეექმნა. ნაცვლად ამისა, მთელი ფიქრი იქით მიმართ, რომ ახალი სამეფო დინასტიისთვის ჩაეყარა საფუძველი.

დიქტატორის პირველი ღონისძიებანი დიდებული, გონივრული და სასარგებლო გახლდათ. ყველა გრძნობდა მტკიცე ხელისუფლების აუცილებლობას და ასეთი მმართველობა შეიქმნა. ყველა აღმოფთვებული იყო წინა ხელისუფლების თავაშვებულობითა და გამყიდველობით. პირველმა კონსულმა ძარცვა აკრძალა და ყოველმხრივ ცდილობდა მართლმსაჯულება უკეთესად წარემართა. ყველას ანუხებდა მრავალი პარტიის არსებობა, რაც საფრანგეთის ერთიანობას ხელს უშლიდა და ასუსტებდა. ნაპოლეონმა ყველა პარტიის ნიჭიერი წარმომადგენელი ჩააბა სახელმწიფოს მართვაში. თითოეულ ადამიანს რეაქციონერების დაბრუნებისა ეშინოდა. ბონაპარტემ რკინის ხელით აღკვეთა გაბატონების ყოველგვარი იმედობა. ნაპოლეონის მთავრობა ერთნაირად ეხმარებოდა ყველას, ვინც კანონს ემორჩილებოდა, და დაუნდობლად უსწორდებოდა მათ, ვინც მის დარღვევას ბედავდა. წარსულის გავლენით კათოლიციზმს კვლავ დევნიდნენ, ნაპოლეონმა რელიგიაზე ზრუნვა თავად ითავა და სამღვდლოება ეკლესიაში დააბრუნა. საფრანგეთს ერთსულოვნად სურდა მშვიდობა — ნაპოლეონმა მტრებს მშვიდობა შესთავაზა.

ნაპოლეონს უკვე აღარ ჰყავდა მონინალმდებელი ახალი დროის დიდი ადამიანები შორის. მან დიდების მწვერვალს მიაღწია და თუ მოინდომებდა სამშობლოსთვის თავისუფლების მინიჭებას, წინ აღარაფერი დაუდგებოდა.

მას განსაკუთრებით იმის გამო ადიდებდნენ, რომ ეკლესიას მშვიდობა დაუბრუნა. ნაპოლეონი ყოველთვის თანაგრძნობას იჩენდა ფრანგ პროტესტანტთა მიმართ. მისი მმართველობის წლებში თუკი ვინმე გაბედავდა ადამიანის ამ ძირითადი უფლების ხელყოფას, მას გიჟად მიიჩნევდნენ.

ნაპოლეონმა მოანესრიგა მართლმსაჯულება და უფრო სამართლიანი გახადა. იგი მუშაობდა თავის ყველაზე კეთილშობილურ ქმნილებაზე — ნაპოლეონის კოდექსზე. მამ ასე, ერთა-

დერთი მაგალითი ისტორიაში! — არსებულ კანონებში გაუგებრობისა და არეულ-დარეულობის აღმოფხვრას საფრანგეთი თავის ყველაზე დიდ მხედართმთავარს უნდა უმადლოდეს.

თუ ნაპოლეონის მმართველობის სისტემას მის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებს შევადარებთ, სურათი მკვეთრად იცვლება. იმპერატორთან ყველაფერი ნათელია, ყველაფერი საკეთილდღეოდაა მომართული, ყველაფერს მიზანი აქვს. დაწესებულებებში პირიქით — სრული განუკითხაობა, მენვერილმანეობა, სიყალბე სუფევს.

მისი პოლიტიკის შეცდომა ორიოდ სიტყვით შეიძლება აიხსნას: მას ყოველთვის ეშინოდა ხალხის და არასდროს გააჩნდა გარკვეული გეგმა.

სენატი არა მხოლოდ არ იყო კანონთა შემსრულებელი, არამედ მუდმივად იცვლებოდა მისი შემადგენლობა და უფრო მეტად ემონებოდა ნაპოლეონს, რომელსაც არ სურდა, რომ რომელიმე პოლიტიკურ ორგანოს საზოგადოებრივ აზრზე მოეხდინა ზემოქმედება. საჭირო იყო, რომ ძალზე ჭკვიანი ადამიანები მომავალი თაობების სიმტკიცეზე წარმოთქმული ფრაზებით მიმხვდარიყვნენ, რომ არაფერი გახლდათ ნაპოლეონის ხელისუფლებაზე უფრო მტკიცე და არაფერი ძლიერდებოდა მის დიდებაზე მეტად. ერთხელ, იმ წლებში მან თქვა: „ფრანგებს თავისუფლება არ ედარდებათ, არც ესმით და არ უყვართ. მათი ერთადერთი ვნება პატივმოყვარეობაა და ერთადერთი პოლიტიკური უფლება, რასაც უფროთხილდებიან, პოლიტიკური თანასწორობა, რაც შესაძლებლობას მისცემს თითოეულს ნებისმიერი ადგილი დაიკავოს“.

არასდროს ფრანგი ხალხი ასე ზუსტად არავის შეუფასებია.

ორგვლივ თავმოყრილი მლიქვნელები დიდხანს არწმუნებდნენ, რომ დინასტიის გასაგრძელებლად აუცილებელი იყო შეერჩია მეუღლე ევროპის სამეფო ოჯახიდან, რომელიც ვაჟს აჩუქებდა. შენბრუნში ყოფნისას წარმოიშვა აზრი ერცჰერცოგინიაზე¹⁹ მისი დაქორწინებისა. ნაპოლეონს ეს მოსაზრება მეტად ეამა. 1810 წლის 2 აპრილს მან მიიღო კეისრების შთამომავლის ხელი. ამ დღეს, თავისი ცხოვრების უბედნიერეს დღეს, ნაპოლეონი ნერონივით მოღუშული იყო. არ საიმოვნებდა კარდინალთა წინააღმდეგობა და პარიზელთა მწარე გამონათქვამები. 1811 წლის 20 მარტს ვაჟი ნაპოლეონ-ფრანსუა-შარლ-ჟოზეფი შეეძინა, რაც ქვეყანას ზარბაზნის ოცდაერთი გასროლით ეუწყა. პარიზელთა აღფრთოვანება ზღვარს გასცდა, ეშინოდათ გულგრილობა არ გამოეჩინათ და ქუჩაში თავშეუკავებლად უკრავდნენ ტაშს. ამ მოვლენამ ნაპოლეონს სამუდამოდ დაუმკვიდრა ხალხის სიყვარული. სოფლებში უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ალაპარაკდნენ იმპერატორის ბედნიერ ვარსკვლავზე. იგი ბედისწერას იყო ატანილი.

ნაპოლეონმა უარი თქვა იმაზე, რაც ადრე იყო, რევოლუციის შვილობაზე, ფიქრობდა მომავალში დინასტია ჩამოეყალიბებინა და, სხვათა მსგავსად, ხალხის თანადგომა უარყო — მან სწორი არჩევანი გააკეთა, როცა ევროპის ყველაზე სახელგანთქმული სამეფო ოჯახის მხარდაჭერა მოიპოვა. რაოდენ სხვაგვარად წარიმართებოდა ყოველივე, რუსეთს რომ დანათესავებოდა.

ჩვენ აქ წარმოვაჩინეთ ნაპოლეონის ის თვისებანი, რომელთა უტყუარობაშიც ეჭვი არ გვეპარება და სანდო წყაროებიდან მომდინარეობს. ჩვენ პირადად მოგვინია რამდენიმე წლის გატარება მის კარზე.

ეს ადამიანი დაჯილდოებული იყო საოცარი უნარით და მეტისმეტად საშიში პატივმოყვარეობით, გამორჩეული თავისი ნიჭიერებით, მათ შორის, ვისაც კი იულიუს კეისრის შემდეგ უცხოვრია, და ჩვენი აზრით, მასაც გადააჭარბა. ნაპოლეონი უფრო იმისთვის შეიქმნა, რომ მედგრად და ღირსეულად გადაეტანა უბედურება, ვიდრე თავი გაენებივრებინა და ტკბობას აჰყოლოდა. თუ მის ვნებებს არ ემორჩილებოდნენ, მრისხანება უკიდურესობას აღწევდა, და მაინც, მეგობრულ დამოკიდებულებას უფრო ხშირად ამჟღავნებდა, ნყენას მალევე ივინყებდა. მას ზოგიერთი ის მანკიერება გააჩნდა, რაც

აუცილებელია დამპყრობლისთვის, თუმცა სისხლისღვრა და ადამიანის ბედ-იღბალი ნაკლებად ადარდებდა.

ერთი ნუთით შევიხედოთ ტიულერის სასახლეში, სადაც ევროპის ბედი წყდებოდა.

ესპანეთის ომმა ნაპოლეონის ყოვლისშემძლეობის დასასრულის დასაწყისი და ამავე დროს მისი ზეობის ჩასვენება გვამცნო. კეთილდღეობამ იგი ნელ-ნელა შეცვალა და ხასიათი გაუფუჭა. შეცდომა მოუვიდა, როცა მეტისმეტად ტკებოდა საკუთარი წარმატებით და არასაკმარისად სძულდა მეზობელი ქვეყნების მეფეები. პირფერობის მორევეში ჩაეფლო. თავი დაირწმუნა, რომ მისთვის არ არსებობდა გადაულახავი წამოწყება. აღარ შეეძლო წინააღმდეგობის ატანა: მალე უმცირეს შეპასუხებას თავხედობად და თანაც სისულელედ მიიჩნევდა. და რადგან გაუაზრებლად ირჩევდა ხელქვეითებს, წარმატებას მხოლოდ მაშინ აღწევდა, როცა თვითონ პირადად ხელმძღვანელობდა რაიმე წამოწყებას. მალე მინისტრები მხოლოდ მისი ჩინაფიქრის ყურმოჭრილ შემსრულებლებად იქცნენ. ბევრმა ინჭიერმა ადამიანმა უარი თქვა თანამდებობაზე, ჩუმრუმად დასცილნდა და თავს იკატუნებდა თითქოს აზროვნება აღარ შეეძლო. ჩვენ საუკუნეში ჭეშმარიტ მოაზროვნეს არ შეუძლია ლიბერალური თვალთახედვა შეინარჩუნოს. ნაპოლეონი ამის მაგალითია და ეს მისი ყველაზე მძიმე დანაშაულია.

მმართველობის შესახებ

იმპერატორს თორმეტი მინისტრი ჰყავდა და სახელმწიფო საბჭოს ორმოცზე მეტი წევრი, რომლებიც მას საქმიან მოხსენებებს წარუდგენდნენ იმ განკარგულებათა საპასუხოდ, რასაც ის ავალბდა. მინისტრებსა და განსაკუთრებულ უწყებათა ხელმძღვანელებს ემორჩილებოდა ასოცი პრეფექტი. თითოეული მინისტრი კვირაში ოთხჯერ ან ხუთჯერ წარუდგენდა დეკრეტთა სამოციდან ოთხმოცამდე პროექტს. თითოეული პროექტი დაწერილებით აისახებოდა მოხსენებაში, რომელსაც მინისტრი უკითხავდა იმპერატორს. ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებზე იმპერატორი თავის თანხმობას ხელნაწერის არეზე აღნიშნავდა.

იმპერატორის ხელმოწერილ ყველა დეკრეტს მინისტრები გადასცემდნენ ჰერცოგ ბასანოს,²⁰ რომელიც ორიგინალს თავად იტოვებდა, მათ კი თავის ხელმოწერილ ასლებს უბრუნებდა.

რაც შეეხება თანამდებობებზე დანიშვნას, აქ ნაპოლეონი საერთო წესით მოქმედებდა, რაც ადამიანის მოდგმის სიძულვილს ემყარებოდა. თითქოს ის საკუთარ თავს ეუბნებოდა: „როცა ლაპარაკია იმ ადამიანებზე, ვისაც პირადად არ ვიცნობ, მე ისინი ნაკლებად მომატყუებენ, თუ მათი მუნდირის მიხედვით ვიმსჯელებ, საშუალება მომეცემა საკუთარი აზრი შემექმნას, ვიდრე მინისტრების რჩევას დავეყრდნო.“ უაზრო დანიშვნები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ცამეტნახევარი წლის უწყვეტმა წარმატებამ ალექსანდრე დიდი თითქმის სიგაჟემდე მიიყვანა. წარმატებამ, რომელიც ზუსტად ამდენივე ხანს გაგრძელდა, ნაპოლეონიც მსგავს მდგომარეობაში ჩააყენა. განსხვავება ისაა, რომ საბედნიეროდ მაკედონელი გმირი დროულად გარდაიცვალა. რა განუზომელ დიდებას მოიპოვებდა ნაპოლეონი — დამპყრობი, ზარბაზნის ტყვიას მოსკოვთან ბრძოლის საღამოს რომ განეგმირა!

რამი მდგომარეობდა მართვის საიმპერატორო სისტემის უპირატესობა, რომელსაც ახლა სინანულით იხსენებენ საფრანგეთშიც, ასევე ბელგიაში, პიემონტეში, რომსა და ფლორენციაში?

ის გამოიხატა საერთო მდგომარეობასა და ძირითად დეკრეტებში, რომელიც ნაკარნახევი იყო მოაზროვნე და ნათელი გონებით. ამ ქვეყნების მართვის სისტემაში მთლიანად იყო აღმოფხვრილი ყოველგვარი ბოროტი ზრახვა, რაც ორი-სამი საუკუნის მანძილზე უკანონობას ჩვეულმა არისტოკრატებმა და ხელისუფლებამ დაამკვიდრა. ზოგადი წესები, რითიც

ფრანგული ადმინისტრაცია ხელმძღვანელობდა, ორ რამეს იცავდა: შრომასა და საკუთრებას. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რათა ხალხში გაეღვიძებინათ ახალი სისტემის გულითადი სიყვარული.

ნაპოლეონის უდიდეს უბედურებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ტახტზე ყოფნისას მან ლუი XIV-ს სამი შეცდომა გაიმეორა.

იგი ბავშვივით მოხიბლა საკარო ცხოვრების ბრწყინვალეობამ. მინისტრებად ნიშნავდა ბრიყვებს, თუმცა ლუი XIV-სავით არ აცხადებდა, რომ მათ აღზრდაზე ზრუნავდა. და რამდენადაც უაზრო უნდა ყოფილიყო მათ მიერ წარმოდგენილი მოხსენებანი, ყოველ შემთხვევაში მიიჩნევდა, რომ თავად შეეძლო ყველა საკითხში გარკვევა. ერთი სიტყვით, ლუი XIV-ს ჭკვიანი ადამიანებისა ეშინოდა, ნაპოლეონს კი ისინი არ უყვარდა. დარწმუნებული იყო, რომ საფრანგეთში იაკობინელებზე უფრო ძლიერი პარტია არასდროს შეიქმნებოდა.

თავიდან მოიშორა ლუსინი²¹ და კარნო, გამორჩეული ადამიანები, რომლებსაც გააჩნდათ ის თვისებანი, რაც მას არ ჰქონდა. ნაპოლეონს უყვარდა, ან თავის გვერდზე ითმენდა დიუროკს,²² გრაფ ნეშატელს,²³ გრაფ მონტესკიუს²⁴ და სხვებს, ნესიერ და პატივსაცემ ადამიანებს, რომლებსაც ქილიკისთვის განწყობილი საზოგადოება ყოველთვის ბრიყვებად მიიჩნევდა.

როცა ნაპოლეონი უკიდურესად გახრწნა კარის მოწამლულმა ჰაერმა და მისმა პატივმოყვარეობამ ავადმყოფური სახე მიიღო, მან ტალიერანი²⁵ და ფუშეც მოიშორა, მათ ნაცვლად კი ყველაზე გონებაზე ზღუდული მლიქვნელები (სავარი²⁶ და ჰერცოგი ბასანო) დანიშნა.

ერთ-ერთ მინისტრს, გრაფ დე სესაკს²⁷ „ბებერ დედაკაცად“ მოიხსენიებდა, მაგრამ არ ათავისუფლებდა. „ლუი XV ხომ არ ვარ, მინისტრები ყოველ ნახევარ წელიწადში ვიცვალა.“ ასეთი შესავლის შემდეგ კი ჩამოთვლიდა ყველა იმ ნაკლს, რაც მათ ახასიათებდათ. ეგონა, რომ ყველაფერი იცოდა და არაფერი გამოეპარებოდა და მხოლოდ მდივნები ესაჭიროებოდა, ვინც მის აზრებს გამოამზეურებდნენ. ეს შეიძლება სამართლიანი ყოფილიყო რესპუბლიკის მეთაურისთვის, როცა სახელმწიფო სარგებელს იღებს თუნდაც ჩვეულებრივი მოქალაქის შესაძლებლობიდან, მაგრამ არა დესპოტური მმართველებისას, რომელიც ვერ ეგუება ვერავითარ წარმომადგენლობას, ვერავითარ ურყევ კანონს.

უკვე ორასი წელია საფრანგეთში მინისტრად იწოდება ადამიანი, ვინც დღეში ოთხას ოფიციალურ დოკუმენტს აწერს ხელს და წვეულებებს მართავს. რა უაზრო არსებობაა!

ნაპოლეონის დროს ეს საბრალონი მუშაობით წელში წყდებოდნენ, თანაც ისეთით, რომელშიც გონება არ მონაწილეობდა, ანუ ყველაზე უაზრო საქმიანობას ეწეოდნენ. იმპერატორის საამებლად აუცილებელი იყო ეპასუხა კითხვაზე, რომელიც მას იმ წუთში აინტერესებდა. მაგალითად, დედასხვილები ყველა სამხედრო ჰოსპიტალის ინვენტარის ღირებულება. მინისტრი, რომელიც დაუფიქრებლად ვერ გასცემდა პასუხს მსგავს შეკითხვაზე და თანაც ისე, თითქოს მთელი დღე მხოლოდ ამაზე ფიქრობდა, ჰერცოგ ოტრანტზე ნიჭიერიც რომ ყოფილიყო, მინასთან იქნებოდა გასწორებული.

როცა ნაპოლეონმა გაიგო, რომ კრეტე, მისი საუკეთესო შინაგან საქმეთა მინისტრი, სასიკვდილო სარეცელს მიეჯაჭვა, განაცხადა „ასეც უნდა იყოს, ადამიანი, რომელსაც მე მინისტრად ვნიშნავ, ოთხი წლის თავზე ვეღარც უნდა მოსაქმოს. მის ოჯახს კი სამუდამოდ მიეგება პატივი და სიმდიდრეც არ მოაკლდება“.

ერთ მინისტრს ქალაქებზე ჩაეძინა მაშინ, როცა ნაპოლეონი ელაპარაკებოდა, მხოლოდ თხუთმეტი წუთის შემდეგ გაელვინა, თუმცა ძილშიც აგრძელებდა იმპერატორისთვის პასუხის გაცემას. ის ნაპოლეონის ერთ-ერთი საუკეთესო მინისტრი იყო.

მინისტრებს ძალ-ღონე ერთ თვეში ან ექვს კვირაში ეწურებოდათ. თუ რომელიმე შეატყობდა, რომ პატრონი აღარ

წყალობდა, ჯაფას აორმაგებდა, ფერს კარგავდა და ჰერცოგ ბასანოს წინაშე პირმოთხოვას არ იშურებდა. და პატრონის კეთილგანწყობაც უმალ შემოუბრუნდებოდა. მათ ცოლებს საღამოებზე კვლავ ინვედენენ. ასეთი ცხოვრება მინისტრებს კლავდა. და მინიც, სიხარულით მთვრალეებს მოსაწყენად არ ეცალათ. თვეები დღეებივით მიქროდნენ.

თუ იმპერატორი კმაყოფილი იყო თავისი მინისტრებით, მათ ათი ათას ლივრ ნლიურ დოტაციას უნიშნავდა. ერთხელ, დარწმუნდა რა, რომ ჰერცოგ მასას²⁸ გამო დიდი შეცდომა მოუვიდა, ნაპოლეონმა წითელ მანტიამი გახვეული ჰერცოგი ტახტზე მიაგდო და რამდენიმე მუშტი უთავაზა. მეორე დღეს შერცხვა თავისი საქციელისა და სამოცი ათასი ფრანკი გაუგზავნა. მომისმენია, რომ მისი ერთ-ერთი გამორჩეული გენერალი (გრაფი კურიალი)²⁹ ამტკიცებდა, იმპერატორისგან მიღებული სილა შეურაცხყოფა კი არ არის, არამედ მხოლოდ საფრანგეთის მეთაურის უკმაყოფილების გამოხატველიაო.

სახელმწიფო საბჭოს შესახებ

სახელმწიფო საბჭოს სხდომებზე ნაპოლეონი მთელი თავისი ბრწყინვალეობით წარმოჩნდებოდა ხოლმე. ძნელი წარმოსადგენია უფრო მახვილგონიერი ადამიანი. ის უკლებლივ ყველას აოცებდა ისეთ საკითხების ცოდნითაც კი, რაც ასე შორს იყო მისი სამხედრო საქმიანობიდან. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის განხილვისას. თავისი ფასაოცარი, უკიდვრად და ბრწყინვალე გონების წყალობით ყველა მნიშვნელოვან საკითხს ან სრულიად ახალი კუთხით წარმოაჩენდა, ან მის ნაკლებად თვალსაჩინო მხარეს აღმოაჩენდა. აზრებს ცოცხალი, სხარტი ფორმით გამოხატავდა, მათთვის პოულობდა მომხიბვლელ და ზუსტ გამოთქმებს. რასაც კიდევ უფრო მეტ გამომსახველობას მატებდა მისი უცნაურად მუდერი, არცთუ სწორი მეტყველება, რადგან ვერც ფრანგულად და არც იტალიურად კარგად ვერ ლაპარაკობდა.

თავისი პირდაპირობისა და კეთილგანწყობის წყალობით ადამიანთა მოწონებას შეეძლო. ერთხელ პაპთან რაღაც საკითხზე შეუთანხმებლობისას განაცხადა: „დაიხ, თქვენთვის ადვილია ამის თქმა, მაგრამ თუკი პაპი მეტყვის: „ამაღამ მე მთავარანგელოზი გაბრიელი გამომეცხადება და ამას და ამას ამცნობს“, „მოვალე ვიქნები დაგიჯეროთ“

გაურბოდა რა სალონურ შესხვედრებს, ნაპოლეონს დროდადრო, განსაკუთრებით ღამე, ხალხთან ლაპარაკის სურვილი მაინც ჰქონდა. მის გონებას საკვები ესაჭიროებოდა. საუბრისას ახალი იდეები უჩნდებოდა, რაც განმარტოებისას აზრად არ მოუვიდოდა. ამ მიდრეკილების დასაკმაყოფილებლად იმ ადამიანსაც ცდიდა, ვისაც ესაუბრებოდა. უფრო ზუსტად, მეორე დღეს პოლიტიკოსი იმას იხსენებდა, რაც წინა საღამოს მოაზროვნემ მოისმინა. ერთხელ, ღამის ორ საათზე ერთ თავის ახლობელ სამხედროს ჰკითხა: „რა მოხდება საფრანგეთში ჩემ შემდეგ?“ — „თქვენო უდიდებულესობავ, თქვენი შემცველელი, რომელსაც სამართლიანად შეეშინდება თქვენმა ბრწყინვალეობამ არ დაჩრდილოს, ეცდება თქვენი მმართველობის უსუსტი მხარეები წარმოაჩინოს. იმ 15 ან 20 მილიონის ირგვლივ ატყვავს ხმაურს, სამხედრო მომარაგების მინისტრს, ლოდევს³⁰ საბრალო ვაჭრებისთვის გადახდის ნებას რომ არ აძლევთ და ა.შ. და ა.შ.“ ღრმად დაფიქრებულმა იმპერატორმა გულითადად და თავაზიანად, მარტივად და თანაც ფილოსოფიურად წამოიწყო საკითხის განხილვა

ორი თვის შემდეგ მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე ერთ-ერთი მომმარაგებლის საჩივარს იხილავდნენ. ლაპარაკი წამოიწყო სამხედრომ, რომელსაც იმპერატორი ადრე ესაუბრა. „ოჰ, შეანყევინა იმპერატორმა, მე კარგად ვიცი, რომ თქვენ მომმარაგებელთა მხარეზე ხართ,“ რაც სრულიად არ შეესაბამებოდა სინამდვილეს.

საპარო ცხოვრების შესახებ

ადამიანების ან ცალკეულ პიროვნებათა მიერ ზოგადად შეთვისებული ჩვევების აღმოფხვრა არც კანონს, არც რაიმე სახის სიბხლეს არ ძალუძს. ტერორის დასასრულს ფრანგები მთელი გრძნობით კვლავ მიეცნენ სალონური ცხოვრების ნეტარებას. ბარასის სალონში ბონაპარტემ პირველად იგემა ის დახვეწილი, მომწესხველი სიამოვნება, რაც შეიძლება მაღალმა საზოგადოებამ მოგვევაროს. მაგრამ იმ მონას ჰგავდა, ათენის ბაზარზე ოქროს მონეტებით დატვირთული რომ მივა, წვრილი ფულის გარეშე. ნაპოლეონი მეტად გონიერი იყო, ჰქონდა ძალზე ამალღებული და მიზანმიმართული წარმოსახვა იმისთვის, რომ სალონებში წარმატებისთვის მიეღწია. თანაც საზოგადოებაში მაშინ გამოჩნდა, როცა ოცდაექვსი წელი შეუსრულდა და მისი უდრეკი ხასიათი უკვე ჩამოყალიბებული იყო.

პირველ ხანებში, ეგვიპტიდან დაბრუნების შემდეგ, ტიულერის სასახლე ჯარის დროებით სადგომს უფრო წააგავდა. ისეთივე სისადავე, უშუალობა, არაფერი გადაჭარბებული. მხოლოდ ქალბატონი ბონაპარტე დროდადრო, თითქოს შეპარვით, აცოცხლებდა წარსულ დიდებას. ჟოზეფინეს და მისი ქალიშვილის ჰორტენზიას საზოგადოება ნელ-ნელა არბილებდა პირველი კონსულის რკინის ხასიათს. ნაპოლეონი მოხიბლა ბატონ ტალეირანის თავაზიანობამ, საზოგადოებაში მოქცევის მისუღმა ჩვევამ. დახვეწილი მანერების წყალობით ბატონ ტალეირანს თავი სრულიად თავისუფლად ეჭირა.

ბონაპარტემ ორი რამ გაიაზრა: პირველ რიგში ის, რომ თუ მონარქობა სურდა, აუცილებელი იყო სამეფო კარის შექმნა, რათა მოეხიბლა დამყოლი ფრანგი ხალხი, რომლებზედაც სიტყვა „სამეფო კარი“ განუმეორებელ ზემოქმედებას ახდენს. მეორე, იგი სამხედროთა ხელში იყო, პრეტორიანელთა პირველივე შეთქმულებისთანავე ტახტიდან გადააგდებდნენ და სიცოცხლესაც მოუსწრაფებდნენ. ამაღ, რომელიც შედგებოდა ობერ-პროფმარშლების, კამერაგერების, კავალერის-ტების, მინისტრებისა და სეფექტებისგან, გვარდიის გენერლებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ისინიც ხომ ფრანგები იყვნენ და თანდაყოლილ მოწინებებს გრძნობდნენ იმ ყოველივეს მიმართ, რასაც სამეფო კარი ეწოდებოდა.

მაგრამ დესპოტი ეჭვიანი იყო. მის მინისტრ ფუშეს მარშლების ცოლებს შორისაც კი ჰყავდა ჯაშუშები. იმპერატორს ხუთი სახის პოლიცია ემორჩილებოდა.

ერთმა გენერალმა, ჩემმა მეგობარმა, გადაწყვიტა სადილად ოცი კაცი მიეწვია. იგი პალე-რუაიალში ვერისთან სადილის შესაკვეთად გაემართა. ვერიმ მოუსმინა და გააფრთხილა: „გენერალო, თქვენ რა თქმა უნდა იცით, რომ მოვალე ვარ წვეულების შესახებ პოლიციას ვაცნობო, რათა სადილის მათი აგენტი დაესწროს.“ გენერალს გაუკვირდა და უფრო კი გაბრაზდა. საღამოს იმპერატორთან სხდომაზე ჰერცოგ ოტრანტს შეხვდა და უთხრა: „ეშმაკმა დალაზვროს! გაუგონარი ამბავია, არ შემიძლია თქვენი აგენტის გარეშე ოცი კაცი მოვიწვიო!“ მინისტრმა ბოდიში მოიხადა, მაგრამ წესის დარღვევა არც უფიქრია. ბოლოს ფუშემ გონიერება გამოიჩინა და აღშფოთებულ გენერალს მიმართა: „მაჩვენეთ მოწვეულთა სია.“ ფუშეს ჯერ სიის შესაქმნელი არ ჰქონდა ნაკითხული, გაელიმა, გენერალს სია დაუბრუნა და განუცხადა: „უცხო პირის მოწვევა აუცილებელი არ არის.“ ოცივე სტუმარი მაღალჩინოსანი გახლდათ.

იმპერატორს განსაკუთრებით აღიზიანებდა ხალხის აზრი, უფრო მეტად კი მაღალი საზოგადოების ამპარტავნობა. ქილიკის მოყვარული ადამიანები, ვისაც სხვისი დაცინვა სიამოვნებას ჰგვრიდა და, ოღონდ კარგად ეხუმრა, თავის კეთილდღეობასაც კი არაფრად აგდებდა, თვიდან თვემდე ახალ, მწარე გამონათქვამებს ავრცელებდნენ, რაც ნაპოლეონს მეტად აბრაზებდა. ზოგჯერ გამბედაობა იქამდე მიდიოდა, რომ სასიმღერო კუპლებსაც ჰქმნიდნენ. მაშინ იგი მთელი კვირა მოღუშული დადიოდა და ღვარძლს ხუთივე პო-

ლიციაზე ანთხევდა. მისი უხასიათობა იმიტაც აიხსნება, რომ სამეფო კარის არსებობა მასში სასიამოვნო განცდას იწვევდა.

ნაპოლეონის მეორე ქორწინებამ მისი ხასიათის კიდევ ერთი სისუსტე გამოამჟღავნა. სიამეს ჰგვრიდა ის აზრი, რომ არტილერიის ლეიტენანტმა ცოლად შეირთო მარია-ტერეზიას შვილიშვილი. საკარო ცხოვრების ამო ფუფუნება და ცერემონია ისე ხიბლავდა, თითქოს პრინცად დაბადებულიყოს. ის სიგიჟის იმ ზღვარს მიუახლოვდა, რომ დაივიწყა თავისი უპირველესი — რევოლუციის შვილის დანიშნულება. ვიურტემბერგის მეფე ფრიდრიხმა,³¹ თანაც მეფედ შობილმა, ერთ-ერთი შეხვედრისას უთხრა კიდევაც: „მე ვერ ვხედავ თქვენ კარზე ისტორიულ სახეებს. თქვენ ადგილზე, ბრძანებას გავცემდი ყველა დაეხვრიტათ, ან ჩემ მისაღებში მოვიწვევდი.“ ეს ერთადერთი მნიშვნელოვანი რჩევა აღმოჩნდა, რაც ნაპოლეონმა დიდი გულსყურით შეისმინა.

ასმა ყველაზე სახელოვანმა ოჯახმა დაუყოვნებლივ მიმართო თხოვნით ბატონ ტალიერანს, მათთვის მაღალი თანამდებობები ებოძებინათ. გაკვირვებულმა იმპერატორმა შენიშნა: „როცა მინდოდა ჩემ ჯარში ახალგაზრდა დიდგვაროვნები მომეზიდა, მსურველები ვერ აღმოვაჩინე.“

ახალგაზრდობის წლებში უსახსრო და სწავლის სურვილით შეპყრობილი ნაპოლეონი ქალების მიმართ არცთუ გულგრილი იყო. შეუხედავს, პატარა ტანისას და უფერულს გამბედაობა არ ჰყოფინდა წარმატებაზე ეოცნება. ჩემი ვარაუდით, ქალებს ერიდებოდა, დაცინვისა ეშინოდა. და ამ ადამიანმა, რომელმაც არ იცოდა რა იყო შიში, თავისი დიდების წლებში ქალებს სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ მუდამ და თანაც ცინიკურად გამოსატყავს მათ მიმართ სიძულვილს, რასაც ალბათ არ იზამდა, მართლაც რომ ჰქონოდა მსგავსი განწყობა.

ნაპოლეონს ქალები იმიტომაც სძულდა, რომ სიგიჟემდე ეშინოდა დაცინვის, რაც მათ ასე ეხერხებოდა. როცა ერთ წვეულებაზე მადამ დე სტალს შეხვდა, რომლის გადაბირებაც თავის მხარეზე არაფრად უღირდა, უხეშად განაცხადა, მხოლოდ საკუთარ შვილებზე მზრუნველი ქალები მხიბლავენო. ამბობენ, იმპერატორმა მიზნად დაისახა და კამერდინერ კონსტანტის დახმარებით თავისი კარის ყველა ქალი დაიმორჩილა კიდევაც.

სამუშაო მაგიდასთან მჯდომი იმპერატორი, იარაღით აღჭურვილი, ხელს აწერს დეკრეტებს. შემოდის ქალბატონი. კაცი ყურადღებას არ აქცევს, აგრძელებს თავის საქმიანობას და ქალს ლოგინსკენ მიუთითებს. ცოტა ხანში სტუმარს შანდლით გზას უნათებს და კვლავ ქალაქის კითხვას და ჩასწორებას უბრუნდება. ყველაზე მნიშვნელოვან პაემანსაც სამ წუთზე მეტს არ უთმობდა. ზოგჯერ მისი მამლუქი შირმის უკანაც კი იდგა.

იმპერატორის მსგავსი საქციელით აღშფოთებული იყვნენ პარიზელი ბარონები. ის ორ-სამ წუთში თავიდან იმორებად სტუმარს, თანაც ისე, რომ ზოგჯერ ხმალსაც კი არ იხსნიდა და კვლავ თავის დეკრეტებს უბრუნდებოდა. მსხვერპლად ეწირებოდა იმის შიშს, რომ სისუსტე არ გამოემჟღავნებინა.

ვერ იტანდა ქალებს. მისი ერთ-ერთი მინისტრის ცოლმა ერთხელ შესცოდა. მან სისასტიკე გამოიჩინა და ქმარს ეს ამბავი მოახსენა. საწყალი ცოლს აღმერთებდა და გულწასული დაეცა: „თქვენ კი, მარე, ხომ არ გგონიათ, რომ რქები არ გადავით, წინა ოთხშაბათს თქვენმა ცოლმა გენერალ პირთან გილალატათ.“

ძნელია უფრო უხამსი რამ წარმოიდგინოთ, შეიძლება ითქვას სულელურიც კი, ვიდრე კითხვები, რომელსაც ის პარიზის მუნიციპალურ საღამოებზე ქალებს უსვამდა. ეს მომხიბვლელი მამაკაცი პირქუშად, მოწყენილი ხმით ეკითხებოდა: „რა გქვიათ? რას საქმიანობს თქვენი ქმარი? რამდენი შვილი გყავთ?“ თუ ქალისთვის განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა სურდა, მეოთხე კითხვასაც უსვამდა: „რამდენი ვაჟი გყავთ?“

კართან დაახლოებული ქალბატონებისთვის უდიდეს პატივს წარმოადგენდა იმპერატორის მეუღლის საღამოზე მიწვევა.

იმპერატორს იშვიათად გაუმართლა: ბედის ვარსკვლავმა შეახვედრა ისეთ ადამიანს, რომელიც თითქოს შექნილი იყო სა-

კარო ცხოვრების წარსამართად. ეს იყო გრაფი დე ნარბონი,³² ლუი XV-ს ვაჟი. იმპერატორმა ვერ გაიაზრა ეთქვა მისთვის: „აი ხუთი მილიონი, ერთ ნელინადს შეგიძლიათ შეუზღუდავად ხარჯოთ, შემქმენით სასიამოვნო საკარო ცხოვრება,“ რისთვისაც ამ მომხიბვლელი კაცის ყოფნაც კი საკმარისი იქნებოდა. თუნდაც იმპერატორს გრაფისთვის უნდა დაევალებინა რამდენიმე სასიამოვნო, მაღალი საზოგადოებისთვის მისაღები ფრაზა შეერჩია მისთვის. პოლიციის მინისტრი ნებისმიერს მაშინვე სრულყოფილების ნიმუშად გამოაცხადებდა. ამის ნაცვლად, თითქოს ჯიბრზე, იმპერატორმა კარზე მოიწვია ყველაზე მოსაწყენი ადამიანები, ვინც კი მოიძია. ძნელი იყო უფრო უფერული საზოგადოების ხილვა, ვიდრე ამ შტამელგერებისა და კამერგერების თავყრილობა. მას თავშეკავების უნარი არ გააჩნდა, რაც ასე აუცილებელია თავაზიანობის გამოსახატავად.

იმპერატორს შესანიშნავი გემოვნება ჰქონდა და მოითხოვდა, რომ ფული, რომელსაც ასე გულუხვად არიგებდა ხელფასისა თუ ჯილდოს სახით, ხელგაშლილად დახარჯულიყო. ტიულერიისა და სენ-კლუს სასახლეებში გამართული დღესასწაულები მართლაც შესანიშნავი იყო. მხოლოდ არასაკმარისი გახლდათ ხალხი, ვისაც გართობა სურდა. მათ არ შეეძლოთ თავისუფლად მოქცეულიყვნენ და მხიარულებას მისცემოდნენ. ერთი პატივმოყვარეობას შეებოჭა, მეორენი შიშს, ზოგი კი წინსვლის იმედს არ კარგავდა.

კარისკაცები თავის სიმდაბლეს თავაზიანობით აღარც ნილბავდნენ, რაც ასე მიღებული იყო ლუი XV-ს კარზე.

სენატის კანცლერმა გრაფმა ლაპლასმა თავის ცოლს უსაყვედურა, რომ იგი არასათანადოდ ჩაცმული აპირებდა იმპერატორის მეუღლის მეჯლისზე წასვლას. საბრალო ქალმა, ისედაც საკმარისად კეკლუცმა, სასწრაფოდ შეიძინა ულამაზესი კაბა, იმდენად ლამაზი, რომ საუბედუროდ იმპერატორის ყურადღება მიიპყრო, რომელიც დარბაზში შესვლისთანავე პირდაპირ მისკენ გაეშურა და ორასი სტუმრის თანდასწრებით ასე მიმართა: „ეს რა გაცვიათ, ქალბატონო ლაპლას! თქვენ ხომ უკვე ბებერი ხართ! ასეთი კაბა ახალგაზრდა ქალს შეეფერება, თქვენი ასაკისთვის კი მიუღებელია.“

ბატონმა ლაპლასმა ყველას გასაგონად ცოლს განუცხადა: „რა უაზრობაა, ქალბატონო, ახალგაზრდა გოგონასავით რომ გამოეწყეთ! რატომ არ გინდათ მეგუთო, რომ ბერდებით. ახალგაზრდა ხომ აღარა ხართ! იმპერატორი მართალია!“

ჯარის შესახებ

ჯარის მუდმივი შემოვლის დროს ნაპოლეონი აწარმოებდა ჯარისკაცთა გამოკითხვას და პოლკის მოსაზრების გათვალისწინებით არჩევდა მეთაურს, რასაც დიდი წარმატება მოჰქონდა. სამაგიეროდ, ყოვლად უფარგისი იყო გრაფ ნეშატელის მიერ განხორციელებული დანიშვნები, რადგანაც იგი იმ ადამიანთა წინსვლას უშლიდა ხელს, ვინც გონიერებასა და სამშობლოს გულითად სიყვარულს ოდნავ მაინც ამჟღავნებდნენ.

თავისი ხარისხით ფრანგულ ჯარში ბრწყინვალენი იყვნენ უნტერ-ოფიცრები და ჯარისკაცები. რადგან სამხედრო სამსახურში მაღალი თანამდებობისთვის დიდი თანხის გადახდა იყო საჭირო, წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები უნებლეთ ჯარისკაცებად მიდიოდნენ. სამხედრო სკოლაში სწავლის წყალობით ისინი კითხულობდნენ „ემილს“³³ და იულიუს კეისრის „გალიის ომის ჩანაწერებს“. ვერ ნახავდით სუბ-ლეიტენანტს, რომელიც თუკი შემთხვევით ტყვიას გადაურჩებოდა, არ ფიქრობდა, იმპერიის მარშალი გახვდებო. ეს ნეტარი ოცნება მანამდე გრძელდებოდა, სანამ ბრიგადის გენერლის ნოდებას მოიპოვებდნენ. მაშინ ვიცე-კონეტაბლის მისაღებში სამხედროები ხვდებოდნენ, რომ წარმატებას მხოლოდ ინტრიგების გზით თუ მიაღწევდნენ, ან თუ ზედი გაუწმიებდათ და დიდი ადამიანის თვალწინ გმირობას ჩაიდენდნენ.

ომის დროს ან რომელიმე ბრიგადის წარმატების შემთხვევაში იმპერატორი დათვალა იერებას ანუ ანუ. თუ ესკადრონის რომელიმე მეთაური ბრძოლისას ილუპებოდა, იგი ხმამაღლა კითხულობდა „ვინ არის ყველაზე მამაცი კაპიტანი?“ ერთუზი-აზმით ატაცებულნი, გამარჯვებითა და დიდი მხედართმთავრის ხილვით აღტკინებული ადამიანები გულწრფელად ლაპარაკობდნენ და მათი პასუხები სიმართლეს შეესაბამებოდა.

ასეთ წუთებში, არცთუ იშვიათად მიხახავს, როგორ ტიროდნენ ჯარისკაცები დიდი ადამიანის სიყვარულით.

როცა პოსპიტლებს ათვალა იერება, ამპუტაციისგან დაღუპილი ან სიკვდილის პირას მყოფი ოფიცრები, რომელთა სასთუმალთან ქინძისთავებით იყო მიმაგრებული საპატიო ლეგიონის წითელი ჯვრები, ზოგჯერ ბედავდნენ ეთხოვათ დაეჯილდოებინათ რკინის გვირგვინის ორდენით. მაგრამ იგი ყოველთვის არ უსრულებდა ამ თხოვნას. ეს უმაღლესი სამხედრო ჯილდო გახლდათ.

გმირობის კულტი, მოვლენების გაუთვალისწინებლობა, დიდებისკენ საყოველთაო სწრაფვა, როცა ადამიანები დაჯილდოების შემდეგ სიხარულით კვდებოდნენ, ყოველივე ეს სამხედროების ინტრიგებისგან იცავდა.

არმიის სულისკვეთება თანდათან იცვლებოდა. მკაცრი, რესპუბლიკური, ჰეროიკული, როგორც მარენგოს ბრძოლისას იყო, თანდათან ეგოისტური და მონარქიული გახდა. მას შემდეგ, რაც მუნდირთა მოკაზმულობა გამდიდრდა და ორდენთა რაოდენობამაც იმატა, მათ ქვეშ აძვრებული გულები ნელ-ნელა გაცივდნენ.

განათლება, დისციპლინა, გამბედაობა, მზადყოფნა ყოველნაირად იკლებდა. არმიამ ერთიანობა დაკარგა.

იმპერატორმა ხორცი შეასხა რუსეთთან ომის იდეას. ეს აზრი საფრანგეთში ჯერ კიდევ ლუი XV-ს დროიდან იყო პოპულარული, რომლის უნებისყოფობის გამო პოლონეთი ორად გაიყო. იმის გამო, რომ საფრანგეთში მოსახლეობის რაოდენობა არ მატულობდა, მეზობელ ქვეყნებში კი პირიქით, იზრდებოდა, მას პირველობის მოპოვება ესაჭიროებოდა, რომ სხვა ერებს არ ჩამორჩენოდა. რუსეთთან წარმატებული ომი ყველა მონარქს სურდა, რათა მისთვის ევროპის შუაგულში შეჭრის საშუალება არ მიეცათ. განა ბუნებრივი არ იყო ასეთი შემთხვევით ესარგებლათ, როცა საფრანგეთს დიდებული მხედართმთავარი მართავდა, და თავისი ხელოვნებით აენაზღაურებინა ქვეყნის არამომგებიანი ადგილმდებარეობა.

1812 წლის 24 ივნისს ნაპოლეონის მეთაურობით ოთხასიათასიანმა ჯარმა კოენოს მახლობლად ნემანი გადალახა. კამპანიის დაწყება ორი პოლიტიკური მარცხით აღინიშნა. თურქებმა, ბრიყვმა და ამავე დროს წესიერმა ხალხმა, რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმეს, შედეგმა კი სალად შეაფასეს მდგომარეობა და საფრანგეთს დაუპირისპირდნენ.

მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლის შემდეგ ნაპოლეონს შესაძლებლობა მიეცა ჯარი გამოეზამთრებინა და პოლონეთი გაემთლიანებინა, რაც ამ ომის მიზანიც იყო, და რასაც თითქმის უბრძოლველად მიაღწია. მაგრამ პატივმოყვარეობისა და ესპანეთთან მარცხის გასაბათილებლად მოსკოვის აღება გადაწყვიტა. ამ გაუფრთხილებელ ნაბიჯს არ ექნებოდა ცუდი დასასრული, კრემლში რომ სამ კვირაზე მეტხანს არ გაჩერებულიყვნენ. მაგრამ აქ თავი იჩინა მისი პოლიტიკური ნიჭის სისუსტემ. ეს გახდა მიზეზი, რომ ჯარი დაკარგა.

ნაპოლეონი თავის თავს ეუბნებოდა: „თუ რუსეთში წარმატებას მივაღწევ, მოსოფლის მბრძანებელი გავხდები.“ მან დამარცხება იწვინა არა ადამიანებისგან, არამედ საკუთარი ამპარტავნობისა და კლიმატური პირობებისგან — ევროპა სხვა-ნაირად ამოქმედდა. პატარა ხელმწიფეებს აღარ ეშინოდათ, დიდმა მონარქებმა ყოყმანი შეწყვიტეს. ყველამ რუსეთს მიაპყრო მზერა, ის გადაულახავი წინააღმდეგობის ადგილად იქცა.

როცა ნაპოლეონმა ვარშავაში თქვა: „დიდებიდან სასაცილომდე ერთი ნაბიჯია“, კარგად ესმოდა, რომ ისტორიამ თავისი საუკუნოვანი დინება შეცვალა. მაგრამ ამ სიტყვებს მან-

ვე დააყოლა: „წარმატება რუსებს გაათამამებს, მე მათ ორჯერ ან სამჯერ ელბასა და ოდერს შორის შეეგბრძოლები და ნახევარ წელიწადში ნემანზე ვიქნები.“

ისეთი პირი უჩანდა, რომ იმპერია ინგროდა და მისი ყოველი ნაწილი ერთმანეთს ეხეთქებოდა. დიდი უბედურების მიუხედავად იმპერატორს თავის გადასარჩენად კიდევ ჰქონდა ათასნაირი შესაძლებლობა. მაგრამ ეს აღარ იყო ის ადამიანი, ვინც ეგვიპტეში და მარენგოზე გაიმარჯვა. ნიჭიერება სიჯიუტემ შეცვალა. ნაპოლეონს სიბრძნე არ ეყო უარი ეთქვა დიად ჩანაფიქრზე, რომლის განხორციელება მასაც და მინისტრებსაც შესაძლებლად მიაჩნდათ.

1814 წლის იანვარში ევროპის ყველაზე უფრო ენერგიული ხალხი, თუ მათ ერად წარმოვიდგენთ, მკვდარ სხეულად იქცა.

დაბოლოს, თვითნებობის უკიდურესმა გამოვლინებამ და არათანმიმდევრობამ ბოლო მოუღო საფრანგეთს, რაც სიციყეს უფრო ჰგავდა. მომავალი თაობებისთვის დაუჯერებელი იქნება, რაც მამინ ხდებოდა. იმ წუთებში, როცა იმპერატორს ყველაზე მეტად სჭირდებოდა ხალხის მხარდაჭერა, იგი კანონმდებლებს შეეჭიდა. ბრალი დასდო უპატიოსნეს ადამიანებს, რომ ისინი უცხოელ სახელმწიფოებს მიეყიდნენ და საკანონმდებლო კორპუსის სესია შეაჩერა.

აი რა დამართა დესპოტიზმმა გენიოსთა შორის უდიდესს, ვისაც საუკუნეების მანძილზე უცხოვრია.

დემოკრატია თუ დესპოტიზმი — მმართველობის პირველი ფორმებია, რაც ადამიანებს ელოდებათ პირველყოფილი მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ. ის ცივილიზაციის პირველ საფეხურზე გვხვდება. ყველგან ამ თავდაპირველი მთავრობის შემცველად არისტოკრატია მოგვევლინა, რაც უნდა უწოდონ და რამდენი პირიც არ უნდა მართავდეს მას. ამრიგად 1789 წლამდე ფრანგული სახელმწიფო წარმოადგენდა სხვა არაფერს, თუ არ კლერიკალურ და სამხედრო არისტოკრატის, რომელიც შედგებოდა მოსამართლის მანტიასა და სამხედრო მუნდირში გამოწყობილი ადამიანებისგან. ეს ცივილიზაციის მეორე საფეხურია. წარმომადგენლობითი მმართველობა, რომელსაც ხელმძღვანელობს ერთი ან რამდენიმე პირი, ახალი, უფრო სწორად, უახლესი წარმონაქმნია, რომელიც ამზადებს და განამტკიცებს ცივილიზაციის მესამე საფეხურს. ეს ამაღლებული წარმონაქმნი — გვიანდელია, მაგრამ ამავე დროს გარდაუვალი, რაც მონტესკიეს შემდგომ ეპოქაში აღმოცენდა.

ნაპოლეონი საუკეთესოა, რაც ცივილიზაციის მეორე საფეხურზე შეიქმნა. ამიტომ უკიდურესად სასაცილოა, როცა მეფეებს, სურთ რა ამ საფეხურზე გაჩერება, თავის საშინელ მნიგნობრებს უბრძანებენ დიდი ადამიანის მასხრად აგდებას. ნაპოლეონს სრულიად არ გააჩნდა ცივილიზაციის მესამე საფეხურის გააზრების უნარი. სად უნდა ესწავლა ეს? რა თქმა უნდა ბრინჯი ვერ ისწავლიდა. ფილოსოფიური შინაარსის ნიგნები და ინგლისურიდან თარგმნილი ავტორები სამეფო კოლეჯებში არ დაიშვებოდა. სწავლის დასრულების შემდეგ კი კითხვისთვის დრო არ რჩებოდა. იმ დროიდან მას მხოლოდ ადამიანთა შესასწავლად ეცალა.

მამ ასე, ნაპოლეონი XIX საუკუნის ტირანია. უწოდო ადამიანს ტირანი, ეს იგივეა, აღიარო მისი უდიდესი ნიჭი.

საინტერესოა თვალის მივადევნოთ ნაპოლეონის სულში ტირანული სულისკვეთების ბრძოლას ღრმა გონიერებასთან, რამაც მისი სიდიადე წარმოშვა და დიდებისკენ ბუნებრივი სწრაფვა სიძულვილმა შეცვალა, მასთან მიახლოებისთანავე რომ დაიბადა. წესიერ ადამიანებს შევახსენებ იმ სიძულვილს, რასაც ის ლიბერალიზმის მიმართ განიცდიდა. ეს სიძულვილი გაცოფებამდე მივიდოდა, რომ არა საკუთარი სიძლიერის შეგრძნება.

დიდი ადამიანის გენიალურობისა და ტირანული სულის ბრძოლა კიდევ უფრო ნათლად ასი დღის განმავლობაში გამოჟღავნდა. მან ბენჟამენ კონსტანი³⁴ და სისმონდი³⁵ იხმო. მათ მოჩვენებითი სიამოვნებით მოუსმინა, მაგრამ მალე ისევე რენიო დე სენ-ჟან დ'ანჟელისა³⁶ და ჰერცოგ ბასანოს მდაბიურ

რჩევათა გავლენის ქვეშ მოექცა. ეს ადამიანები ამტკიცებენ რაოდენ გარყვნა ის ტირანიამ. მარენგოს დროს იგი მათ თავიდან მოიშორებდა.

ვატერლოოზე მეტად უფრო ამ ორმა ადამიანმა დააჩქარა მისი დაღუპვა. ნურავინ იტყვის, რომ მას კეთილ რჩევას ვერავინ მისცემდა. ნიჭიერ ადამიანებს, ვისაც ის თავიდან იშორებდა, მისი მოკავშირენი თავის მრჩეველებად ინვესტირებდნენ.

წმინდა ელენეს კუნძულზე ყოფნისას თავის გასამართლებლად საკუთარი ოჯახის წევრთა განსაკუთრებულ უნიათობას უჩიოდა. ნიჭიერი ადამიანები ყოველთვის მოიძებნებიან, მთავარია მათზე მოთხოვნილება წარმოიშვას. ნაპოლეონის ოჯახის არარაობა — უსუსური გამართლებაა: ნიჭიერი ადამიანები მას იმიტომ არ ეხვია, რომ თავად არ მოინდომა მათთან ყოფნა. მარტო რენიეს გვერდით ყოფნა იყო საკმარისი სხვების დასაფრთხობად.

აქ წარმოვაჩინეთ ნაპოლეონის ის თვისებანი, რაც სინამდვილედ მივიჩნით და ყველაზე პირნათელ მონმეებს დავეყრდენით. თავად ჩვენ მის კარზე რამდენიმე წლის გატარება მოგვიწია.

ეს ადამიანი დაჯილდოებულია არაჩვეულებრივი ნიჭითა და საშუალო პატივმოყვარეობით, ყველაზე გასაოცარი ტალანტით, ვისაც კი იულიუს კეისრის შემდეგ უცხოვრია, რომელსაც, ჩემი აზრით, გადაუსწრო კიდევაც. მე მგონი, იგი იმისთვის შეიქმნა, რომ უბედურება ეწვინა, ვიდრე კეთილდღეობით დამტკბარიყო და თრობას აჰყოლოდა. მრისხანებისას, როცა მის ვნებებს არ ექვემდებარებოდნენ, გაცოფებამდე მიდიოდა, მაგრამ მასში მეგობრობის უნარი ჭარბობდა ხანგრძლივ სიძულვილს. ჰქონდა ზოგიერთი ნაკლოვანება, რაც აუცილებელია დამპყრობლისთვის, თუმცა სისხლისღვრა მიზნად არ ექცა კეისრების, ალექსანდრეებისა და ფრიდრიხების მსგავსად, ვის გვერდზედაც მას დააყენებენ და ვისი სახელებიც თანდათან გაუფერულდება. ნაპოლეონმა ბევრი ბრძოლა წარმართა, რომლებშიც უამრავი სისხლი დაიღვარა, მაგრამ ესპანეთის გარდა მისი წამონყებელი არცერთი არა ყოფილა. მან თითქმის შეძლო ევროპის ერთ ვეებერთელა მონარქიად გაერთიანება. ეს ჩანაფიქრი, თუკი ასეთი არსებობდა, ერთადერთი გამართლებაა, რომ ნაპოლეონმა დაპყრობილ ქვეყნებში გადატრიალება არ განახორციელა და საფრანგეთს საყრდენი არ შეუქმნა. მომდევნო თაობები იტყვიან, იმპერიის გაფართოებით მან თავიდან აიცილა საფრანგეთზე მეზობლების თავდასხმაო. „გარემოება მაიძულებს ვიბრძოლო, ამბობდა იგი. — შესაძლებლობა მომეცა გავაფართოვო ჩემი იმპერია და მეც ვსარგებლობ.“ სულის სიდიადითა და ბედის მორჩილებით, რაც მან უბედურების ფაშს გამოამყვანა, ცოტა ვინმე თუ გაუტოლდება და ამიტომაც მისი მჯობნი არავინაა. ბატონი უორდონი ხშირად აღნიშნავს მის კეთილშობილებას და შეგვიძლია დავუმატოთ, რომ ამაში არაფერია მოჩვენებითი. წმინდა ელენეს კუნძულზე მისი ყოფა ბუნებრივია. შეიძლება ეს ისაა, რაც ჩვენ დღევანდელ ყველაზე მეტად პლუტარქეს გმირებს გვაგონებს. როდესაც ერთი პიროვნება წმინდა ელენეს კუნძულზე ეწვია და გაკვირვება გამოთქვა მისი ამაღლებული სიმშვიდის გამო, ასე წყნარად რომ ითმენდა თავისი ბედისწერის ცვლილებას, მან უპასუხა: „საქმე ისაა, რომ ყველა ჩემზე მეტადაა გაკვირვებული. მე ადამიანებზე არცთუ კარგი აზრისა ვარ და არასდროს მხიბლავდა წარმატება. თუმცა დიდად ვერც გამოვიყენე, ჩემ ძმებს თავისი სამეფო ღირსებიდან მეტი ერგოთ, ვიდრე მე. მათ ამასთან დაკავშირებული სიამტკბილობა ირგუნეს, მე კი მხოლოდ ჯაფა ვინვნიე“.

1. იგულისხმება ფრანგი მწერლის ჟერმენ დე სტალის (1766-1817) ნაშრომი „ფიქრები საფრანგეთის რევოლუციის დასაბამიდან 1815 წლის 8 ივლისამდე“ (გამოქვეყნდა 1818 წელს ავტორის გარდაცვალების შემდეგ), მიმართულია ნაპოლეონის დასაქინებლად.

2. პაოლი პასკუალი (1725-1807) — კორსიკელი პატრიოტი, კორსიკის მმართველი 1755-69 წლებში.

3. იგულისხმება ნაპოლეონის უფროსი და მარია-ანა (ელიზა), იგი სწავლობდა სენ-სირში სენ-ლუის სამეფო სკოლაში, რომელიც ლუი XIV-ს განკარგულებით მადამ დე მენტენონმა 1684 წელს დააარსა.

4. ბრიენის სამხედრო სკოლა, სადაც ნაპოლეონი 1779-84 წლებში სწავლობდა.

5. დევიდ იუმი (1711-1776) — ინგლისელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი, ისტორიკოსი.

6. შარლ ლუი დე მონტესკიე (1689-1755) — ფრანგი პოლიტიკოსი, ფილოსოფოსი, მწერალი.

7. ბლანშარი (1753-1809) — ფრანგი აერონავტი, 1785 წელს საპაერო ბურთით გადალახა ლა მანში.

8. ჟან-ფრანსუა კარტო (1751-1813) — ფრანგი გენერალი.

9. ფრანსუა-ჟოზეფ ტალმა (1763-1826) — ცნობილი ფრანგი მსახიობი.

10. პოლ-ფრანსუა ვიკონტ დე ბარასი (1755-1829) — ფრანგი პოლიტიკოსი, დირექტორიის წევრი 1795- 1799 წლებში.

11. ლაზარ ნიკოლა კარნო (1753-1823) — სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, ნაპოლეონის თანამებრძოლი, ცნობილი ფიზიკოსი და მათემატიკოსი

12. იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელი (ძვ.წ.356-323), იულიუს კეისარი (ძვ.წ.100-44), ჰანიბალი (ძვ.წ.247-183), ფრიდრიხ დიდი (1712-1786).

13. მაქსიმილიან ფონ მერფელდი (1764-1815) — ავსტრიელი დიპლომატი და სამხედრო მოღვაწე.

14. ფრანჩესკო მელცი დ'ერილი (1753-1816) — იტალიის ვიცე-პრეზიდენტი 1802-1805 წლებში, ავტორი ნიენისა „ნაპოლეონ I“.

15. ჟოზეფ ფუშე (1759-1820) — პოლიციის მინისტრი დირექტორიისა და იმპერიის დროს, ნაპოლეონმა მას მიანიჭა პერცოვოტრანტის წოდება.

16. ფრანსუა ჟოზეფ ლეფეზერი (1755-1820) — საფრანგეთის რევოლუციის მონაწილე, იმპერიის მარშალი.

17. ჟოაჰიმ მიურატი (1767-1815) — იმპერიის მარშალი, ნაპოლეონის დის კაროლინეს მეუღლე.

18. ნაპოლეონის საყვარელი გამოთქმა ბრძოლის დაწყების წინ.

19. მარი-ლუიზე ავსტრიელი (1791-1817) — ავსტრიის იმპერატორის ფრიდრიხ I-ის ასული.

20. მარე, ჰერცოგი ბასანო (1763-1839) — სახელმწიფო მდივანი, საგარეო საქმეთა მინისტრი 1811-1813 წლებში.

21. ლუსიენ ბონაპარტე (1775-1840) — ნაპოლეონის ძმა.

22. ჰერცოგი მიშელ დიუროვი (1772-1813) — გენერალი, რომელსაც ზედმეტ სახელად „ნაპოლეონის აჩრდილი“ უწოდეს.

23. გრაფი ლუი-ალექსანდრ ნეშატელი (1753-1815) — ნაპოლეონის ჯარის გენერალი, საფრანგეთის მარშალი.

24. რაიმონ ფილიპ დე მონტესკიუ (1784-1867) — ფრანგი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე.

25. შარლ მორის დე ტალეირან-პერიგორი (1754-1838) — სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, ნაპოლეონის დროინდელი მინისტრი, მთავრობის ხელმძღვანელი.

26. ჟან-მარი რენე სავარი (1774-1833) — პოლიციის მინისტრი 1810 წლიდან, შეცვალა ფუშე.

27. ჟან-ჟერარ დე სესაკი (1752-1841) — ადმინისტრაციის მინისტრი, საფრანგეთის პერი.

28. ჰერცოგი დე მასა, იუსტიციის მინისტრი. იგულისხმება კლოდ ამბუაზ რენიე, ნაპოლეონის მინისტრი 1802-1813 წლებში.

29. ფილიპ-ჟან-ბატისტ გრაფი კურიალი (1774-1829) — ნაპოლეონის ჯარის გენერალი.

30. ლოდევე — ქალაქი საფრანგეთში.

31. ფრიდრიხ-ვილჰელმი, მრისხანედ წოდებული (1754-1816) — ვიურტემბერგის მეფე.

32. გრაფი ლუი-მარი ნარბონ-ლარა (1755-1813) — გენერალი, ლუი XV-ს უკანონო ვაჟი, მადამ დე სტალის მეგობარი და მისი ორი ვაჟივილის მამა.

33. ჟან-ჟაკ რუსოს დიდაქტიკური რომანი „ემილი, ანუ აღზრდის შესახებ“.

34. ბენჟამენ კონსტანი (1767-1830) — შვეიცარული წარმოშობის ფრანგი მწერალი, მადამ დე სტალის მეგობარი და თანამოაზრე.

35. ჟან-შარლ სისმონდი (1773-1842) — შვეიცარიელი ისტორიკოსი და ესეისტი.

36. მიშელ-ლუი რენიო სენ-დ'ანჟელი (1760-1819) — პოლიტიკოსი, ადვოკატი, ჟურნალისტი, საფრანგეთის აკადემიის წევრი.

ფრანგულიდან თარგმნა
მანანა ჯაოჰვილა

ვივი გამრეკელი

„კარლსენის ერა“ — სადამდე?!

(გასაოცარი ზღაპარი)

როცა 23 წლის მაგნუს კარლსენმა არც ისე დიდი ხნის წინათ, თავისზე ორჯერ უფროს ვიშვანათან ანანდს სძლია და თანაც, პირდაპირ ვთქვათ, გამანადგურებელი ანგარიშით — 6,5 : 3,5, ჭადრაკის ექსპერტებმა ამით დაინწყეს ახალი „კარლსენის ერა“. საყოველთაო აზრით, კარლსენის ძლევამოსილება კარგა ხანს უნდა გაგრძელდებოდა. რამდენიმე წელს? თუმცა ვინ იტყვის. ერთმა ინგლისელმა კომენტატორმა სულაც მოკლედ და გასაგებად მოჭრა: „მანუსი კარგად თამაშობდა, ვიში ცუდად. ყველაფერი გასაგებია — ჩვენც ამით დავამთავროთ ლაპარაკი“.

ის, რომ ჭაბუკი ნორვეგიელი დღესდღეობით უძლეველია, ამაში ეჭვი თითქოს არავის ეპარებოდა. გავიდა სულ ცოტა ხანიც და, ახალმა ჩემპიონმა ითამაშა ციურისში, ფრიად ძლიერი შემადგენლობის ტურნიში, თუმცა თქვენ თვითონ დარწმუნდით: შევიცარიამი თამაშობდნენ, მის გარდა (კარლსენის რეიტინგი იყო 2872), დიდად ნიჭიერი იტალიელი ფაბიანო კარუანა (2782), იმ დროისათვის მსოფლიოში რეიტინგით მეორე (2812) ლევონ არონიანი, ამერიკისათვის უძლიერესი დიდოსტატი, ნახევრად იაპონელი ხაკიმირო ნაკამურა (2789), უკვე მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ანანდი (მონაწილეთა შორის ყველაზე უარესი რეიტინგით 2773) და კიდევ ერთი ყოფილი პრეტენდენტი ბორის გელფანდი (ისრაელი, 2777).

ციურისის ტურნირი მაინც ერთგვარად უცნაური იყო: უცნაური იმიტომ, რომ მეტოქეები სამ-სამჯერ ხვდებოდნენ ერთმანეთს (ადრე ეს არასოდეს მომხდარა): ერთხელ — ნორმალურ სატურნირო პარტიაში, ერთხელ სწრაფში და ერთხელაც ელვისებურში. ჩათვლა კი, ცხადია, საერთო იყო. კარლსენი აქაც საესტაბლიშმენტის დამაჯერებლად გამოიყურებოდა. მან 10 ქულით პირველი ადგილი დაიკავა, თუმცა ესაა, ნაკლიც ჰქონდა — კარუანასთან ნორმალური პარტია კი მოიგო, თუმცა სწრაფიც წააგო და ელვისებურიც. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იტალიელს ადრეც დაუმარცხებია კარლსენი, ეს ორი მოგება, რომ იტყვიან, რალაცას ნიშნავდა. 9-9 ქულით მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს კარუანამ და არონიანმა. კვლავ მარცხიანად ითამაშა ანანდმა, რომელიც 5 ქულით მხოლოდ მეხუთე იყო. თუმცა ორივე ნორმალური პარტია ყაიმით დაასრულა კარლსენთან. ესეც, გავიმეოროთ, რალაცას ნიშნავდა.

შემდეგ კი დაიწყო, რაც დაინწყობა სენსაციის ვუნდოლო? თუ გნებავთ, უდიდესი მოულოდნელობა — ასეც შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, რაც პრეტენდენტთა ტურნირში მოხდა, ამის ახსნა ძალიან ძნელია.

ჯერ ორიოდე სიტყვა პრეტენდენტთა ტურნირზე ვთქვათ, სადაც რვა მონაწილე უნდა ყოფილიყო — ორ წრედ. ასეთი დებულება ადრეც მოქმედებდა და, როგორც აღნიშნეს, გაამართლა კიდევ. ბევრი ექსპერტი ფიქრობდა, რომ ანანდი ამ შეჯიბრებაში, ამდენი მძიმე მარცხის შემდეგ, არ ითამაშებდა

და ადგილს რომელიმე ახალგაზრდას დაუთმოდა. ნურას უკაცრავად, ასე არ მოხდა. ანანდმა თამაში გადანწყვიტა — რისი იმედით? ამას სულ მალე ვნახავთ.

ანანდის გარდა ასპარეზობაში მონაწილეობდნენ: ლევ არონიანი, ვლასტიმირ ტოპალოვი, ვლადიმირ კრამნიკი, პეტრე სვიდლერი, სერგეი კარიაკინი, შაჰრიარ მამედიაროვი და დმიტრი ანდრეიკინი. თითოეულის შესაძლებლობებზე იმდენმა სპეციალისტმა ილაპარაკა, რომ კარგა ხანს შეჩერება მოგვიხდება — ვინ ვის ანიჭებდა უპირატესობას, მაგრამ ერთი საერთო აზრიც გამოითქვა: ასეთ მეტოქეებთან და თანაც მასზე ახალგაზრდებთან არაფრის



ვიშვანათან ანანდი

იმედი არ უნდა ჰქონოდა ანანდს, რომელსაც ერთხმად „დაუთმეს“ ბოლო — მერვე ადგილი. ისე კი რამდენადმე გამოჰყვეს სამი მონაწილე: არონიანი, კრამნიკი და ტოპალოვი. უპირველეს ყოვლისა, გაიხსენეს არონიანის ბრწყინვალე წარმატება ვეიკან-ზეეში, სადაც სომეხმა მოჭადრაკემ 11 შესაძლებლიდან 8 ქულით დაიკავა პირველი ადგილი, გაასწრო კარიაკინს და ახალ დიდ ტალანტს იანიშ გირის (რომელიც ახლა ჰოლანდიის სახელით გამოდის და ჩვენს სოფიკო გურამიშვილზე აპირებს დანიშვნას). არონიანის თამაში ვეიკან-ზეეში იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ ავსტრალიელმა დიდოსტატმა იენ როჯერსმა (წერილი ხომ ასე დაასათაურა „არონიანის დომინაცია“) მას დიდი თამასუქებიც მისცა: „31 წლის არონიანი ახლა ნოემბრის მატჩის წინ მსოფლიო პირველობაზე მაგნუს კარლსენის წინააღმდეგ აშკარა ფავორიტია“. მართალია, თვით არონიანი გაცილებით უფრო თავშეკავებული იყო: „მე ჭადრაკში ე.წ. სპორტული ფორმისა არაფერი მჯერა. კარგად თამაშობ, როცა მე-

ტოქე ამის საშუალებას გაძლევს. თუ რა შედეგს მიაღწევ, ამის გამოცნობა სრულიად შეუძლებელია. კარლსენთან მატჩში მოგებაზე ვითამაშებ. ისე კი ჩემი ძალების რწმენა ყოველთვის მქონდა“. პატივცემულ მკითხველს ვთხოვ, რომ ცოტა მოიცადოს!

ახლა ვნახოთ, რა განაცხადეს შეჯიბრების წინ მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ვლადიმირ კრამნიკზე: „კრამნიკი ძალზე არათანაბრად თამაშობს. ბრწყინვალე ლონდონს ტალის მემორიალზე სრული ჩავარდნა მოჰყვა, შემდეგ მსოფლიოს თასის დიდებულად მოგება. ეტყობა, ძველ დონეზე თამაში უკვე აღარ შეუძლია. იგი ძალზე გამოცდილი, განსწავლულია, მაგრამ გამოცდილი და განსწავლული ადამიანებიც ზოგჯერ ცდებიან. გარდა ამისა, კარგა ხანია ტურნირებში მონაწილეობა აღარ მიუღია, ეს კი მის წარმატებას ეჭვქვეშ აყენებს“.

ბევრი ქომაგი აღმოაჩნდა ტოპალოვსაც. „ამბობდნენ, რომ იგი დიდად არის დამოკიდებული კომპიუტრზე, თითქოს თამაში დროს იყენებს კიდევ მას (თუ როგორ იყენებს, ეს ყოველთვის ყველასათვის გაუგებარი იყო. ამიტომ ბრალდებები მოუხსნეს). მისი მთავარი იარაღი ენერგეტიკაა, შეტევა, უდიდესი კონცენტრაცია. არ გვიანდა ვთქვათ, რომ 2005 წლის ფორმა აღიდგინა, როცა პრეტენდენტთა ტურნირი მოიგო. ამასთან, ყოველთვის სახიფათო ტყვიად რჩება, რომელიც შეიძლება მოგვხვდეს. და მაინც, ვფიქრობთ, რომ პრეტენდენტთა ტურნირში გამარჯვების შანსები არა აქვს. ერთ მდინარეს მეორეჯერ ვერ გადაცურავ“.

ერთი სიტყვით, კრამნიკსა და ტოპალოვს საბოლოოდ მაინც „უარი“ უთხრეს, არონიანს კი პრეტენდენტთა ადრინდელ შეჯიბრებაში მარცხიც შეახსენეს: როცა გადამწყვეტი მომენტი დგება, შეიძლება ნერვებმა უმტყუნოსო.

რაც შეეხება პეტრე სვიდლერსა და სერგეი კარიაკინს, რომლებიც ადრე პრეტენდენტთა ტურნირებში არ თამაშობდნენ, მათ შესაძლებლობებს საკმაოდ მაღალი შეფასება მისცეს.

„სვიდლერი ყოველთვის მეორე და მესამე ხომ არ იქნება. კარინაკინს კი ყოველთვის შეიძლება დაენყოს ახალი აღმავლობა“.

უარყოფითად შეფასდა ანდრეიკინისა და მამედიარავის შესაძლებლობანი: ახლა მათთვის მთავარია სათანადო გამოცდილების მიღება, თუმცა არც ნარმატებები უნდა გამოვირიცხოთო.

ორიოდე დასკვნა: პრეტენდენტთა ტურნირის 7 მონაწილეს მეტ-ნაკლები შესაძლებლობანი მისცეს. დარჩა მხოლოდ ერთი! ახლა კი თავი დავანებოთ წინასწარ შეფასებებს და ვილაპარაკოთ მხოლოდ იმ ერთზე, რომელიც დამარცხებისათვის იყო განწინრული. დიახ, ჩვენ გვინდა სწორედ იმ ვიშვანათან ანანდზე ვისაუბროთ, რომელსაც ასპარეზობაზე უარი უნდა ეთქვა, და თუ მაინც ითამაშებდა, ვაი იმ თამაშს, მაინც ბოლო ადგილისათვის იყო განწინრული.

ჩვენს მკითხველს, ცხადია, ბევრი შეჯიბრებისათვის უდევნება თვალი და ბევრი წიგნიც წაუკითხავს, მაგრამ ის, რაც ქალაქ ხანტი-მანსისკში (რუსეთი) მოხდა, სრულიად უჩვეულოა, პირდაპირ ვთქვათ, მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მრავალწლიანი შეჯიბრებისათვის, აქ აღარ ვისარგებლებთ გულშემატკივართა უდავო მოთმინებით და ახლავთ გეტყვით, რომ ყველაფერი პირიქით მოხდა! ის, ვისაც ბოლო ადგილს უქადდნენ, დიდი უპირატესობით პირველზე გამოვიდა. სხვა ამნაირი შედეგის დასახელება, პირდაპირ ვთქვათ, გაგვიჭირდება.

ის, რომ ხანტი-მანსისკის შეჯიბრების ყველა მონაწილე წინასწარ განსხვავებული, ინდივიდუალური პროგრამით ემზადებოდა, ეს ცხადია. ხანტი-მანსისკი კანარის კუნძულები არ გახლავთ. მარტის თვეში აქ 35 გრადუსი ყინვაც არ არის უცხო. ეს შეიძლება რუსი მონაწილეებისათვის არ არის დიდი პრობლემა — ყურებთან ქუდას დაიხურავენ და მორჩა. ინდოეთში გაზრდილ კაცს კი ეს ტემპერატურაც უნდა გაეთვალისწინებინა. სხვა როგორ მოემზადა ანანდი? ამას ვინ გვეტყვის, სეკუნდანტებიც ხმას არ ამოიღებენ. ცხრილი შეისწავლეთ და თქვენ თვითონ იფიქრეთო.

ცხრილიდან კი მართლაც უცნაური ამბები ამოვიკითხეთ. თითქოსდა მარტო ერთი კაცი ითამაშებდა, დანარჩენები კი მხოლოდ კვერს უკრავდნენ. განა სადმე გავგონილა, რომ ამოდენა ტურნირის ბედი მხოლოდ ერთს, ისიც პირველ ტურში გათამაშებულ პარტიას გადაენწყვიტოს (მართალია, ამის თქმის უფლება ჩვენ მხოლოდ შეჯიბრების საბოლოო შედეგებმა მოგვცა!).

ჩვენც ავდგეთ და მივყვით ამ გასაოცარი შეჯიბრების მსვლელობას. პირველ ტურში ანანდი თეთრებით რეიტინგით პირველს (რომელსაც თვითონ დიდად ჩამორჩებოდა) და ლა-

მის ოფიციალურად მსოფლიო ჩემპიონობის უდავო პრეტენდენტ არონიანს ხვდებოდა. ანანდმა თავის საყვარელ ესპანურ პარტიას მიმართა. ჯერ პაიკი მოიგო, შემდეგ კი მეტოქეს უკანვე დაუბრუნა. მდგომარეობა გამარტივდა. თითქოს ყაიმიც არ იყო შორს. არონიანის მხედარი მეტად გაბედულად, როგორც გამოირკვა, შევიდა თეთრების ბანაკში და მახეში გაება. სხვა მონაწილეები დაზავებულნი რომ თანახმა იყვნენ, ძირითადად ამ შეხვედრას ადევნებდნენ თვალს. ესეც ჩამოწერილი აუტსაიდერის ყოვლად დამაჯერებელი გამარჯვება, რომელმაც შეჯიბრებას სულ სხვა ეშვი მიიანიჭა. მონაწილეებს, უნდოდათ თუ არა, თავიდანვე გეგმები უნდა შეეცვალებოდა, მას შემდეგ, რაც მეორე ტურში ტოპალოვთან ყაიმის მერე მესამეში ანანდმა მძიმე მარცხი აგემა მამედიაროვს და შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერი გახდა — 2,5 ქულა სამიდან. მომდევნო ტურებში კი თვალნათლივ არა გამოირკვა: ინდოელი ანდამატი სხვებს ყველაფერში სჯობდა: გნებავთ დებიუტში, გნებავთ შუა თამაშში და გნებავთ ენდშილში. ერთი სიტყვით, მისი თამაში, როგორც უნდა გავიკვირდეს, უზადო იყო. კარლსენთან უიმედოდ წაგებულ მატჩს კი არა ჰგავდა. იქ შეიძლებოდა გვეთქვა: როცა ორნი ერთ საქმეს აკეთებენ, არ ნიშნავს, რომ ერთნაირად გააკეთებენო. აქ ეს უკვე ანანდს შეეძლო ეთქვა ყველა დანარჩენ მონაწილეს!

მეოთხე-მეშვიდე ტურებში ანანდმა ზედიზედ 5 პარტია გაასრულა ყაიმით. სხვები კი ხან სად შეფერხდნენ და ხან სად. ერთი სიტყვით, დიდად ჩამორჩნენ და ყველაფერი თითქმის გათავებული იყო. ანანდს კი უდიდესი აღმავლობა ოდნავადაც არ გაუწედა და მეტი დამაჯერებლობისათვის ტოპალოვიც მიაყიდა. ეს უკვე 6 ქულა იყო ცხრილიდან. დანარჩენი 5 პარტია ცაყიმი დაამთავრა, ისე, რომ არსად ოდნავადაც არა ჰქონია უარესი პოზიცია. მეტოქეები კი ცდილობდნენ, მაგრამ მათ გასაქანს ვინ აძლევდა.

14 პარტიიდან 3 მოგება და 11 ყაიმი — 8,5 ქულა, გასაგებია, ნაუგებლად. ეს პირდაპირ გაუგონარი შედეგია პრეტენდენტთა შეჯიბრებისათვის, თანაც მეტოქეები ისე შორს არიან, რომ ჭოგრიტიანაც კი ვერ გხედავენ (2,5 ქულით უკან დარჩნენ).

ერთი სიტყვით, ეს გასაოცარი სიზმარი დამთავრდა. ნოემბრამდე, კარლსენ-ანანდის მატჩამდე, დიდი არაფერი მოხდება. თუმცა კომენტატორები, როგორც ყოველთვის, დეტალურად გაარჩევენ ხანტი-მანსისკის პერიპეტეებს. მათ, სჯობს, საერთოდ არ მოუხსმინოთ. ის კი ვთქვათ, „ანანდი ძალიან კარგად ითამაშებდა, სხვები ცუდადო“, და დაველოდოთ ნოემბერს.

კაფე „დივანმა“ ნატა ვარადასა და გიორგი ხატიაშვილის დუბლიკატი კრებულის განხილვას უმასპინძლა. გამოცემლობა „საუნჯის“ მიერ გამოცემული წიგნი ორი პოეტის ნამუშევრებს ორიგინალურ კრებულში უყრის თავს. ერთ ნაწილს ნატა ვარადას „ამებური სიმღერები“ იკავებს, რომელიც 2012-13 წლებში შექმნილ ლექსებს უყრის თავს და ორიგინალური თემებით, განგებ დარღვეული რიტმით, ფოლკლორული ალუზიებით გამოირჩევა. კრებულს გზამკვლევადა, რომელიც მედინი დროის პულსაციას წარმოადგენს, **ჟანრი და ლუიზა ლოდეშვილების** წინასიტყვაობა ერთვის, რედაქტორი **ნინა ნოზაძეა**. ნატა ვარადასთვის „ამებური სიმღერები“ მესამე წიგნია.

დუბლიკატი წიგნის მეორე ნახევარი დებიუტანტი პოეტის, **გიორგი ხატიაშვილის „ოპერეტას“** ეთმობა, სოციოლოგ **გიორგი ხარიბეგაშვილის** წინასიტყვაობით, ამ მონაკვეთს ჟანრი და ლუიზა ლოდეშვილები რედაქტორობენ. წიგნი გაფორმებულია მხატვარ-ილუსტრატორ **თეო ლეჟავას** ნამუშევრებით.

სალამოს **გიორგი ხარიბეგაშვილი** გაუძღვა. ვიდრე **ნინა ნოზაძე** შეკრებილთ ჟანრი და **ლუიზა ლოდეშვილების** მიერ გამოგზავნილ მიძღვნას ნაუკითხავდა, აღნიშნა, რომ ეს წიგნი მისი გრძობების გამოხატულებაა, საიდუმლოებით მოცული პოეზია.

პოეტმა და მკვლევარმა, **არქიმანდრიტმა მამა ადამმა** (ახალაძე) საგანგებოდ მომზადებული მოხსენების ნაკითხვამდე ბრძანა, რომ პოეზიაზე უცნაური არაფერია და ევგენი რეინი და ანა ახმატოვა არა, შესაძლოა იოსიფ ბროდსკი დაგვეკარგაო. მისი თქმით,

ნატა ვარადას ლექსები ნეტარ ფიქრთა აღმძვრელია: „ლექსები მცენარეებია — ხეები, ბუჩქები, ბალახები და მიყვარს იმით, რაც მათ მოისხეს, რითაც მორთვენ, გადაყვავილდნენ და დაიხუნძლნენ. და ეს ფოთლები, კვირტები, ნაყოფები იმისთანა რამის მატარებელია თავისთავში, რაც ამათ შემოქმედზე დაგაფიქრებს...“

პროზაიკოსმა **ციცინო გრატიაშვილმა** საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა ნატას პოეზიას: „ლექსების ეს კრებული ზუსტად იმ ტკივილების ჩამონათვალია, რაც გადავიტანეთ, — ტკივილების კრილოსანია. ტკივილებისა კი არა, თითქოს ნატა ვარადა რაღაც წარმართულ ცეკვას ასრულებდეს (ცეცხლის პირას, ცეცხლის, რომელიც ყველაფერს ფერფლავს, გარდა ტკივილებისა“. სოციოლოგ **გიორგი ხარიბეგაშვილის** აზრით, გიორგი ხატიაშვილის პოეზია ლოგიკის და აზროვნების სამყაროა: „ეს მითოსურ დროში გადავდებული, ილუზორული სამყაროს ხელახალი ნაკითხვაა... მისი პოეზია ის რიტუალია, რომელიც მკითხველს საკრალურ დროში გადაისვრის და ავტორთან ერთად შემოქმედდა აქცევს“.

ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა **შალვა არტი**, სალამოზე სიტყვით გამოვიდნენ: გრაფიკოსი **ლაშა სინაძე**, მხატვარი **თეო ლეჟავა**, **ალექსანდრე ახალკაცი**. ავტორებმა მსმენელს კრებულში შესული ლექსები ნაუკითხეს. გიორგი ხატიაშვილმა აღმოჩენისა და თანადგომისათვის მაძლობა გადაუხადა ნატა ვარადას. დასასრულ **მარიამ გოგიბერიძემ** ულამაზესი „**ავე მარია**“ შეუსრულა მეკრებილთ.

არამედ განაყენეს

თხუთმეტი საუკუნე გვაშორებს შუშანიკის წამებას, მაგრამ როდესაც ხელში აიღებ თხუთმეტი საუკუნის წინათ დაწერილ მოთხრობას, ცრემლითა და სისხლით რომ გაჟღერებულია, დროთა სიშორეს გააქარწყლებს დროთა კავშირი და გატაცებით კითხულობ ადამიანის უკვდავების ამბავს. ამ მოთხრობის მთავარ გმირს უკვდავების მოსახვეჭად არც ტაძარი აუგია, არც წიგნი შეუთხზავს, არც ახალი სარწმუნოება გაუფრცხვლებია და არც ომი მოუგია, მაგრამ რომელ მათგანს ჩამოუვარდება ის სულიერი სიმტკიცე და თავგანწირვა, როდესაც უმწეო მოკვდავი სალი კლდესავით წინ აღუდგება მისი მეობისა და ზნეობის დამთრგუნველ ძალას. თვითმხილველმა მწერალმა ქალაქში აღბეჭდა შუშანიკის ამაყი უარი და ანდერძივით დაუტოვა შთამომავლობას — არცთუ იოლად მისაბადი ნიმუში გამორჩეული გმირობისა.

შუშანიკმა უნდა იტვირთოს მძიმე უღელი ურჩობისა და მსუბუქად ატაროს. ყველას სწყურია სიცოცხლე, მხოლოდ შუშანიკს ხვდა წილად წყურვილი სიკვდილისა. განწირულის გადარჩენა არავის ძალუძს. ყველა უძლურია ვარსკენ პიტიახშის წინაშე. მთელი ცურტავი დამსგავსებია საპყრობილეს. ურჩებს ხელ-ფეხს უბორკავენ, ხოლო ქედმობრილებს სული აქვთ შებორკილი და ისინიც, არსებობით, საპყრობილეში იმყოფებიან.

მაგრამ თავად ვარსკენიც უძლურია შუშანიკის წინაშე. შუშანიკმა თავად წამოჭრა ალტერნატივა — უღირსი სიცოცხლე ან ღირსეული სიკვდილი, თავადვე დაწერა საკუთარი განაჩენი და ვარსკენი მხოლოდ ხელს აწერს. შუშანიკის წამება ექვსი საათი როდი გასტანს, მთელი ექვსი წელიწადი უნდა იაროს სიკვდილის ზღურბლამდე და წმინდანად გადაქცეული ადამიანი აღტაცებულია თავისი უნუგეშო ხვედრით. შებორკილს უკვირს იაკობ ხუცესის ცრემლი და თავზარდაცემულ ხუცესს კი უკვირს მისი სიხარული ბორკილთა და მატლების გამო. თვითგვემის ექსტაზში შეჭრილი დედოფალი ტკბება სულიერი გამარჯვებით. იგი ბრწყინვალედ ასრულებს არჩეულ როლს, მაგრამ სიცოცხლის აღსასრულს ისევ აფართხალდება უმწეო ქალი წმინდანის სხეულში და გვესმის მისი გოდება დაკარგულ ბედნიერებაზე. განგებამ მალე მიუსაჯა სიკვდილი ვარსკენს, მაგრამ შუშანიკის შურისძიება უფრო სასტიკი გამოდგა. მისმა წამებამ ვარსკენსაც მიუსაჯა უკვდავება.

უკანასკნელ გზაზე შუშანიკს ხმამაღალი ტირილით მიაცილებდა „სიმრავლე ურიცხვი“ ქალთა და კაცთა, და იგი, მაცხოვრის დარად, მოუწოდებდა მოტირალთ: ჩემზე ნუ სტირითო. ამაყი იყო და ბედნიერი — საძულველ ადამიანთან ცხოვრებას ამჯობინა ექვსწლიანი ტანჯვა-წამება, რომელსაც მხოლოდ სიკვდილი დაასრულებდა. წილად ირგუნა მწარე ხვედრი ტუსაღისა, სასახლეში ფუფუნებით ცხოვრების ნაცვლად ინდომა თვითგვემა ბელსა და ნესტიან საკანში, ქმრის ალერსის ნაცვლად — სხეულზე დახვეული მატლი, საყვარელი შვილების ნაცვლად — ბორკილები.

შუშანიკი ჯიუტად მიეღობის წმინდანის შარავანდედს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ქალი სძლევს წმინდანს და სიკვ-

დილის წინ მწარედ აღმოხდება ვარსკენის მისამართით: „მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უწყამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთვლნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყვაილი ჩემი დააჭნო, შევნიერება სიკეთისა ჩემისა დააბნელა და დიდებაი ჩემი დაამდაბლა“.

ეს ტრაგიკული მოთქმა თამამად გაუტოლდება ცნობილ ბიბლიურ პასაჟებს. ჩვენს წინაშეა ქალი, რომელიც მისტირის თითქმის ჩამქრალ სიცოცხლეს, თავის დედოფლურ წარსულს და საპყრობილეში შელახულ სილამაზეს. შუშანიკის მოთქმა უკვე ქალის მოთქმაა და არა — წმინდანისა. სარგის ცაიშვილი შენიშნავდა: „მას თითქმის აღარაფერი აქვს საერთო ე.წ. აგიოგრაფიის ლიტერატურულ გმირთან, რომლის უპირველესი თვისებაა ტანჯვისადმი ინდიფერენტობი და სიკვდილთან მიახლოების ნეტარი განცდა“.

კვდება ქალი, რომელმაც საძულველ ადამიანთან ცხოვრებას ამჯობინა სიკვდილი...

როგორც ცნობილია, იაკობ ხუცესი თავისი თხზულების დასაწყისში მოგვითხრობს, რომ ვარსკენ პიტიახშმა სასანელთა სამეფო კარზე არა მარტო რჯული შეიცვალა, არამედ „ცოლსა ითხოვდა სპარსთა მეფისაგან“ და თავისი „ბუნებითი“ ცოლისა და შვილების გამაზდენებასაც შეჰპირდა. „მაშინ განიხარა მეფემან და ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისა“.

ქართველი მკვლევარები აღნიშნავენ, რომ შუშანიკის სახეში ბუნებრივად ერწყმის ერთმანეთს საზოგადოებრივი და პირადი ტრაგედია, რომ ვარსკენ-შუშანიკის კონფლიქტს ამწვავებდა ვარსკენის მიერ მაზდეანური წესით მეორე ცოლის მოყვანა, რაც ამდაბლებდა შუშანიკის ადამიანურ ღირსებას და მისი თვითგვემა შეურაცხყოფილი ქალის პროტესტია ქმრის წინააღმდეგ, რომელმაც თავის სარწმუნოებასთან ერთად უღალატა კანონიერ ცოლს, მეორე მეუღლე მოიყვანა და შუშანიკთან ცოლ-ქმრული ურთიერთობის გაგრძელებასაც აპირებდა.

მაგრამ არსებობს ერთი წინააღმდეგობა — სპარსთა მეფის ასული, მეორე ცოლი ვარსკენისა, შემდგომში აღარ ჩანს იაკობ ხუცესის მოთხრობის ფურცლებზე. ამ გარემოებამ ეჭვქვეშ დააყენა ვარსკენის მიერ მეორე ცოლის შერთვის ფაქტი.

იაკობ ხუცესის და შუშანიკის პირველი შეხვედრისას ხუცესი მოუწოდებს „დიდსა ღვანლსა“ განმზადებულ დედოფალს: მხნე იყავ, მოთმინე და სულგრძელიო. „ჩემდა მარტოისა არიან ჭირნი ესე“, — შესჩივის შუშანიკი თავის მოძღვარს. „ჭირი შენი ჭირი ჩვენი არს და სიხარული შენი სიხარული ჩვენი არს“, — ანუგეშებს ხუცესი. მერე კი აფრთხილებს, რომ „მწარე გონების“ ვარსკენი დიდ ტანჯვაში ჩააგდებს მას. იაკობმა წინასწარ განჭვრიტა შუშანიკის მომავალი და ამიტომაც მოუწოდებს მხნეობას, მოთმინებასა და სულგრძელობას. შუშანიკის პასუხი ასეთია: „უმჯობეს არს ჩემდა ხელთა მისთაგან სიკვდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრებაი და წარწყმედაი სულისა ჩემისა. რამეთუ მასმის მე პავლეს მოციქულისაგან: „არა დამონებულ არს ძმაი, გინა დაი, არამედ განწყენენ“. და ხუცესი უდასტურებს: „ეგრეთ არს“.

ამგვარად, შუშანიკის სიტყვით, ცოლი თუ ქმარი დამონებულ არ არიან და მინიჭებულ აქვთ უფლება მეუღლესთან



მხატვარი ალექსანდრე სლოვინსკი

გაყრისა. ეს დებულება აშკარად ეწინააღმდეგება ქრისტიანული რჯულის მცნებას ქორწინების შესახებ. აგერ, იმავე პავლე მოციქულის ეპისტოლეში ვკითხულობთ: „ხოლო ქორწინებულთა მათ ვამცნებ არა მე, არამედ უფალი: „ცოლი ქმრისაგან ნუ განეშორებიან“ (პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ — 7, 10).

ცოტა არ იყოს, უცნაურია, რომ ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებული შუშანიკი არღვევს ქრისტიანული მოძღვრების ნორმებს და, რაც მთავარია, თავისი სიმართლის დასამტკიცებლად იმონებს პავლე მოციქულის სიტყვებს, ხოლო იაკობ ხუცესი უდასტურებს, მართალი ხარო.

ეგებ ვარსკენის გამაზდენება აბათილებს ქრისტიანული ქორწინების ურღვევობის პრინციპს? თუკი ვარსკენმა „ღმერთი ჭეშმარიტი“ უარყო, ეგებ ეს გარემოება აძლევდა შუშანიკს გაყრის უფლებას? მაგრამ იმავე პავლე მოციქულის ეპისტოლეში ხაზგასმულია: „ხოლო სხვათა მათ ვეტყვი მე, არა უფალი: უკეთუ ძმასა ვისმე ესვას ცოლი ურწმუნო და მას ჯერ-უჩნდეს ყოფა მის თანა, ნუ დაუტყვევებ ცოლსა მას, და დედაკაცსა თუ ესვას ქმარი ურწმუნო და მას ჯერ-უჩნდეს ყოფა მის თანა, ნუ დაუტყვევებ ქმარსა მას“ (პირველი კორინთელთა მიმართ; 7, 12-13). როგორც ვხედავთ, პავლე მოციქული გმობს ცოლ-ქმრის გაყრას ისეთ უკიდურეს შემთხვევაშიც კი, როდესაც ცოლ-ქმარს შორის სარწმუნოებრივი განსხვავება არსებობს, ვინაიდან, მისი მტკიცებით „განინმინდების ქმარი იგი ურწმუნო ცოლისა მისგან მორწმუნისა, და განინმინდების ცოლი იგი ურწმუნო ქმრისა მისგან მორწმუნისა“ (პირველი კორინთელთა მიმართ — 7, 14).

(საინტერესოა აღინიშნოს, რომ XVII საუკუნის დამდეგს რომის პაპი თავის ეპისტოლეში შაჰ-აბასის თანამეცხედრეს, ქართლის მეფის ასულს რომ იყო, შეახსენებდა სწორედ პავლე მოციქულის სიტყვებს მორწმუნე მეუღლისგან ურწმუნო მეუღლის განწმენდაზე).

ყველაფერი ნათელი გახდება, თუკი სრულად დავიმონებთ შუშანიკის მიერ მინიშნებულ ადგილს პავლე მოციქულის ეპისტოლედან: „ხოლო უკეთუ ურწმუნო იგი განეყენებოდეს, განეყენენ; არა-დამონებულ არს ძმა იგი გინა დაი იგი ეგვეითართა მათ, რამეთუ მშვიდობასა გვიწოდნა ჩვენ ღმერთმან“ (პირველი კორინთელთა მიმართ — 7, 15).

მაშასადამე, გამოთქმა „არა-დამონებულ არს“ გულისხმობს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევას — თუკი ურწმუნო მეუღლეს სურს გაყრა, მაშინ მონებულ მეუღლესაც შეუძლია გაეყაროს.

ცხადია, რომ იაკობ ხუცესის დასტური ეხება არა შუშანიკის პერიფრაზს პავლე მოციქულის ეპისტოლედან, არამედ — მითითებული მუხლის სრულ შინაარსს.

მაგრამ არსაიდან არა ჩანს, რომ ვარსკენი ეყრება ცოლს. პირიქით, შემდგომში არაერთხელ ვხედავთ, რომ იგი დაჟინებით ამითხოვს შუშანიკის დაბრუნებას სასახლეში და სხვებიც ამავე მოუწოდებენ ამბოხებულ ქალს.

რატომღა უდასტურებს იაკობ ხუცესი, მართალი ხარ, ეგრე არისო? თუკი დაეუშვებთ წუთით, რომ თვალს უხვევენ ერთმანეთს, იმდროინდელი მკითხველისათვის გაუგებარი არ იქნებოდა უადგილოდ დამონება პავლე მოციქულისა?

ჩანს, ორივე, შუშანიკიცა და იაკობიც, დარწმუნებულია, რომ ვარსკენი ეყრება კანონიერ ცოლს და ამის საბუთად, ვარსკენის ჩამოსვლამდე, ერთადერთი ფაქტი მოეპოვებათ — ვარსკენის მიერ სპარსთა მეფის ასულის ცოლად შერთვა, რაც ქრისტიანული რჯულის თანახმად, კანონიერ ცოლთან გაყრას მოასწავებდა.

შუშანიკს კონკრეტული ფორმით ეხატება ვარსკენის გამაზდენება — ჯერ კიდევ მის გამოჩენამდე ცურტავში. ვარსკენი, გამაზდენების შედეგად, სულითაც ეყრება შუშანიკს და ხორციითაც. ვარსკენის გამაზდენება წარმართულ

წყვიდადში აბრუნებს შუშანიკს, როგორც ქალს. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქრისტიანობის მიერ დანერგულმა მონოგამიურმა ქორწინებამ აღადგინა ქალის პიროვნული ღირსება სახელდობრ იმით, რომ გაათავისუფლა იგი დამამცირებელი პოლიგამიისგან, აამალლა და გამოაცხადა მამაკაცის ცხოვრების თანამკვიდრად.

მხოლოდ გამაზდენება რომ იყოს ვარსკენის დანაშაული, შუშანიკი როგორ დაუსახავდა მისაბაძ მაგალითად არშუშა პიტიახსს? განა შუშანიკმა არ იცოდა, რომ არშუშაც, მამა ვარსკენისა, გამაზდენდა? უფრო მეტიც, ლაზარ ფარპეცის ცნობით, „ყველას დაბეჯითებით და დაუცხრომლად აჩქარებდა ამავე აზრზე დადგომას“ სწორედ არშუშა („ჭკვიანი და გამომჩრჩველი კაცი“) და დღენიადაგ მოუწოდებდა გამაზდენებას შუშანიკის მამას — ვარდან მამიკონიანს.

მხოლოდ გამაზდენება რომ იყოს ვარსკენის დანაშაული, გაუგებარი იქნებოდა ეკლესიის მიერ მხარდაჭერა შუშანიკისა, რომელიც არღვევდა ქრისტიანული რჯულის კანონს ცოლ-ქმრული კავშირის თაობაზე (გავიხსენოთ ვარსკენის საყვედური, გამოთქმული ეპისკოპოსის მისანართით: „გამომეც ცოლი ჩემი, რად განმამორებ ჩემგან?“).

მხოლოდ გამაზდენება რომ იყოს ვარსკენის დანაშაული, იგივე ეპისკოპოსი აფოცი, ცოტა ხნით ადრე მიგზავნილი შუშანიკთან ვარსკენისგან, პავლე მოციქულის სიტყვებს (ურწმუნო ქმართან ცხოვრებაზე) დაუმონებდა შუშანიკს, ამით რომ გაეხადა იძულებული — ოჯახს დაბრუნებოდა. იაკობ ხუცესი კი გვაუწყებს, რომ ეპისკოპოსი და ჯოჯიკი „მრავალსა დასაჯერებელსა სიტყვასა ეტყოდეს მას“ („შუშანიკის წამების“ სომხური რედაქციის მიხედვით, შუშანიკს ასე არწმუნებდნენ: დაბრუნდი შინ, რათა დაცხრეს ვარსკენის მისხნება, თორემ უფრო გაბოროტდება და უბედურებას დაატებს დიდსაც და მცირესაცო. შუშანიკი უნდა დაურუნდეს ვარსკენს ხალხის ინტერესებისათვის! სავარაუდოა, რომ სომხურ რედაქციაში მოტანილი ტექსტის ანალოგიური იქნებოდა იაკობ ხუცესის თხზულებაში ზოგადად აღნიშნული „დასაჯერებელი სიტყვები“).

და კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება. როგორც ცნობილია, შუშანიკის წამების ამბავი არ არის ნახსენები ლაზარ ფარპეცის თხზულებაში, რომლის შესავალში ვკითხულობთ, რომ სხვა ამბებთან ერთად აღწერილ იქნება „უშიშარ კაცთა მიერ თავის დადება მონამებრივ სიკვდილად... საკრველთა და საპყრობილეთა ხანგრძლივად დათმენა ზეციერ სიკეთეთა იმედით“. გარდა ამისა, როგორც აღნიშნავენ, „სომხეთის ისტორიის“ დანერისას ლაზარ ფარპეცის მიზანი ისიც იყო, რომ შეექო და განედიდებინა მამიკონიანთა გვარი. და განა შუშანიკის მონამეობა მხარში არ ამოუდგებოდა ლაზარის თხზულების პერსონაჟთა — ვარდან და ვაჰან მამიკონიანების — გმირულ ბრძოლას ირანელთა წინააღმდეგ?

მაგრამ ლაზარ ფარპეცის თხზულებაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი შუშანიკზე, თუმცა აღნიშნულია „ურჯულო“ ვარსკენ პიტიახსის მოკვლა ვახტანგ გორგასლის ბრძანებით.

ამასთან დაკავშირებით ლაშა ჯანაშია წერდა: „მინც რატომ არ მოიხსენია ლაზარმა შუშანიკი და მისი წამების ამბავი? ამ კითხვაზე გადაჭრით პასუხის გაცემა ძნელია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ შეიძლება ასეთი ვარაუდების დამკვება: ან ლაზარმა შუშანიკის წამება არ ჩათვალა იმდენად მნიშვნელოვან ამბად, რომ მოეტანა იგი თავის წიგნში, ან ეს ამბავი იმდენად განსხვავებულად იცოდა, ისეთი ვარიანტით, რომელიც არც იძლეოდა საშუალებას ძალიან ამაღლებულ ტონებში ლაპარაკისა“.

არ არის გამორიცხული, რომ ლაზარმა იცოდა შუშანიკის წამების ამბავი, როგორც შედეგი ოჯახური დრამისა და ამიტომაც არ მიიჩნია საჭიროდ მისი დამონება თავის თხზულებაში.